



ქართულ-გერმანული დიალოგის
„მწვანე ისტორია“:
იდეები და მოღვაწეები

ქართულ-გერმანული დიალოგის
„მწვანე ისტორია“:

იდეები და მოღვაწეები

თბილისი 2021

პროექტის ავტორი და სამეცნიერო რედაქტორი: ლელა გაფრინდაშვილი

რედაქტორი: ელზა ნაბახტეველი

დიზაინერი: გიორგი არაბული

ფოტო-კოლაჟი მოამზადა ლელა გაფრინდაშვილმა

წიგნი მომზადდა და გამოიცა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის
საზოგადოების (GIZ) პროგრამის – „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული
მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (IBIS) – ფინანსური მხარდაჭერით



5	წინასიტყვაობა
10	ლელა გაფრინდაშვილი ქალის სივრცე და ქალების კულტურა
42	ლევან ბრეგაძე საქართველოს ბუნება, ევროპელთა თვალით დანახული
70	ცისანა გოდერძიშვილი, ლიანა ოსიშვილი საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი და იქ მოღვაწე გერმანელი სწავლულები
96	ნონა კუბრეიშვილი საბაღო-სამეურნეო კულტურა და მისი ქომაგები საქართველოში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე
126	მელანო გოგოლაძე ქართველი განმანათლებლის, ილია ალხაზიშვილის წვლილი საქართველოს ბუნების შესწავლასა და ბუნების შესახებ განათლების გავრცელებაში
146	ნინო სატკოევა თბილისის თვითმმართველობის მწვანე პოლიტიკა 1875-1917 წლებში

CARTE DE LA GÉORGIE

0 10 20 40 60 80 100 150

Kilomètres

Route suivie par l'auteur dans son premier voyage.



წინასიტყვაობა

თანამედროვე საქართველოში „მწვანე იდეები“ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. თუმცა, ამ იდეების ისტორიასთან დაკავშირებული კვლევა და სწავლება თითქმის არ მიმდინარეობს. მაშინ, როცა საბუნებისმეტყველო ცოდნა და მისი გავრცელება, ტყე-პარკების, რეკრეაციული სივრცეების შექმნა ქართველ მეცნიერთა თუ კულტურის მოამბავთა საქმიანობისა და ქართულ-ევროპული დიალოგის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ყველა დროში ქართველები ცდილობდნენ ევროპულ, განვითარებაზე ორიენტირებულ აზრთან დაახლოებასა და საკუთარ რეალობაში ადაპტირებას. ამ პროცესს დიდად დაეხმარა ქართველების წასვლა ევროპაში განათლების მისაღებად, საქართველოში ევროპელ მოგზაურთა და მკვლევართა ჩამოსვლა, სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესა და საგანმანათლებლო მოძრაობა.

ევროპელებისთვის საქართველოს გაცნობაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მე-18 საუკუნის ქართველი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის, ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომმა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და მისმა რუკებმა. მათ უწინამძღვრეს ევროპელ მეცნიერთა ქართული კულტურითა და ბუნებით დაინტერესებას, დასავლური საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიღწევებთან ქართველების ზიარებას.

მე-19 საუკუნის საქართველოში ძალიან ცოტა სკოლა იყო და ისიც – მხოლოდ მაღალი წოდების წარმომადგენელთა შვილებისთვის. ამას ემატებოდა რუსული, ასიმილაციური პოლიტიკის მიერ სასწავლებლებიდან ქართული ენის განდევნა, რასაც ქართველებმა საგანმანათლებლო მოძრაობა დაუპირისპირეს: 1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ჩამოაყალიბეს. ორგანიზაციის წესდების ერთ-ერთი პუნქტი სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლებას აკანონებდა, რამაც ქართულენოვანი სკოლების გახსნასა და ქართული სახელმძღვანელოების შექმნას ჩაუყარა საფუძველი.

მწერალმა და განმანათლებელმა, იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა „ბუნების კარი“ (გამოიცემოდა 1868-1918 წლებში), ყმაწვილებისთვის ბუნების და ქართული ლიტერატურის შესახებ ცოდნის წყარო. მოგვიანებით კი მან ქართული ენის სწავლების სახელმძღვანელო – „დედა ენა“ (1876-1925) შექმნა.

„ბუნების კარის“ საბუნებისმეტყველო ნაწილის შედგენისას იაკობმა გამოიყენა გერმანელი მეცნიერების – ალფრედ ბრემის, კარლ ფოკტის და მორიც ვაგნერის შრომები.

სახელოვანი მწერლის, რაფიელ ერისთავის ავტორობით ორი ლექსიკონი გამოიცა: „შემოკლებული ლათინური, რუსული და ქართული მცენა-

რეთა ლექსიკონი“ (1873) და „ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“ (1884), სადაც მან ედუარდ რეგოს კვლევები გამოიყენა.

ადამიანის განვითარებაში მწვანე გარემოსთან ერთად ჯანსაღ კვებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მე-19 საუკუნის ღარიბ საქართველოში საკვების მოპოვება და დამზადება ეკონომიკური საკითხი იყო. სწორედ ამიტომ, მეოჯახე და მეურნე ქალების დასახმარებლად, ბარბარე ჯორჯაძემ დაწერა წიგნი „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი“ (1874). 1914 წელს კი იგი, ოდნავ სახეცვლილი, მისმა ქალიშვილმა გამოსცა.

ბუნების შესახებ ცოდნის გავრცელების მოამაგეები არიან ქალების რედაქტორობითა და მონაწილეობით გამოცემული საყმაწვილო და სამეცნიერო-ლიტერატურული ჟურნალები და გაზეთები: „ცისკარი“, „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „კვალი“ და სხვ.

სრულიად უნიკალურია მოგზაური და საქართველოში მცხოვრები ევროპელების მასალები საქართველოში სტუმრობისა და ცხოვრების შესახებ.

გერმანელ მკვლევართაგან, რომლებიც ბუნებისმეტყველებას, საქართველოს ბუნების შესწავლას, მწვანე სივრცეების შექმნასა და მოვლა-პატრონობას ემსახურებოდნენ, გამორჩეულნი არიან: გუსტავ ფერდინანდ რიჩარდ რადე, გიორგი გეხტმანი, ოტო ვილჰელმ ჰერმან ფონ აბიხი, ადოლფ ფონ კუპფერი, ნიკოლაია ბუში, პაულ ჰაინრიხ არნოლდ მორიცი, იოჰან მილბერგი, გლებ ფონ ლემლაინი, ალბერტ ჰინცენბერგი, ადოლფ ქრისტიან როლოვი, ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერი, იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, ევგენი გ. კიონიგი და სხვები.

1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ და 1918-1921 წლების დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საფუძველი ჩაუყარა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებას, საქართველოს ბუნებისა და კულტურის ფუნდამენტურ შესწავლას.

ტყე-პარკების, რეკრეაციული ზონების, დაცული ტერიტორიების, ბოტანიკური ბაღების შექმნის ისტორიაში მრავალი საინტერესო ფურცელია როგორც რუსეთის იმპერიის ხანაში, ისე საბჭოთა პერიოდში. საქართველოს ბუნებას ჰყავდა ქართველი და ევროპელი გულშემატკივრები მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების, მმართველი წრეების წარმომადგენლების სახით.

პროექტზე მუშაობისას ჩემთვის მთავარი იყო საქართველოში „მწვანე ისტორიასთან“ დაკავშირებული ძირითადი იდეებისა და მოღვაწეების წვლილი შეგვესწავლა და განსაკუთრებით გერმანელი მკვლევარების და მეცნიერების დამსახურება გვეჩვენებინა. ცხადია, ამ საკითხის სრულად დამუშავება ბევრად მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ჩვენ გვქონდა, მაგრამ

პროექტის გუნდი მაქსიმალურად ეცადა, რომ კვლევის შედეგები საინტერესოდ მოეთხრო მკითხველისთვის.

ლელა გაფრინდაშვილი, ნინო სატკოევა, ლევან ბრეგაძე, ნონა კუპრეიშვილი, ცისანა გოდერძიშვილი, ლიანა ოსიშვილი და მელანო გოგოლაძე – ესენი არიან მკვლევარები, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს საიმისოდ, რომ წარმატებით დასრულებულიყო პროექტი „ქართულ-გერმანული დიალოგის „მწვანე ისტორია“: იდეები და მოღვაწეები“. განსაკუთრებული მადლობა მათ ამისთვის.

წინამდებარე პუბლიკაციის გარდა, საარქივო და წერილობითი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, მე მოვამზადე ფოტოგამოფენა და საინფორმაციო ბარათები, რამაც საბოლოოდ მიგვაახლოვა მიზანს: გავაცნოთ საქართველოს „მწვანე ისტორია“ მოქალაქეებს პუბლიკაციის გავრცელების, გამოფენების ორგანიზების, სკოლებსა და უმაღლესი განათლების სისტემაში ამ მასალის ინტეგრირების გზით.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამას „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (IBIS), რომლის მხარდაჭერის გარეშე ჩვენი პროექტის განხორციელება დაიგვიანებდა. ჩემი პატივისცემა მინდა გამოვხატო პროექტის ხელმძღვანელის, ქრისტიან გიონერისა და პროექტის თანამშრომლის, მარიამ ურდიას მიმართ. მათი რჩევები და თანადგომა აძლიერებდა ჩვენი სამუშაოსთვის აუცილებელ ინსპირაციას.

ლელა გაფრინდაშვილი

კავშირი „ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის“ თავმჯდომარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



ქალის სივრცე და ქალების კულტურა

ლელა გაფრინდაშვილი

ვინ მოქსოვა ხალიჩა და ვინ დაწერა შელოცვა?

კულტურაში ქალის ადგილს განსაზღვრავს ის სივრცე, სადაც იგი მოძრაობს ან რომელშიც გამომწვევდებულია. ქალის აზროვნება და შე/მოქმედება იწყება და ფართოვდება იმის მიხედვით, თუ როგორია მისი გონების მუშაობის ასპარეზი, რამდენად ცდილობს და შეუძლია იმ ზღვარდადებული სინამდვილის გადაბიჯება/გადალახვა, რომელიც ბედ-მა არგუნა.

ქალის განთავისუფლების გზა ახალი სივრცის შემეცნების, ახალი ცოდნის შეძენისა და თვითგამორკვევის პროცესია. ეს კი საზოგადოებაში, სახელ-მწიფოში, სამყაროში საკუთარი ადგილის მოპოვებას ნიშნავს. „ქალე-ბისგან დაცლილ“ კაცობრიობის ისტორიას თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ ქალების არშემჩნეულ, არდამახსოვრებულ არტეფაქტებს, რომლებსაც ხშირად ავტორი არ ჰყავს, მაგრამ საყოველთაოდ ცნობი-ლია, რომ ეს ქალების კულტურაა. ამის მაგალითია ეთნოგრაფიულ და ისტორიულ მუზეუმებში შემონახული საეკლესიო თუ საერო დანიშნუ-ლების ნაქსოვი, ნაქარგი, შეკერილი კოსტიუმები და ნივთები, ხალიჩები, ფარდაგები, თეთრეული და მაგიდის გადასაფარებლები. გარდა ამისა, არსებობს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნუმუშები (ლექსები, ზღაპრე-ბი, თქმულებები, სიმღერები), რომელთა ტექსტებსა და დანიშნულებაში შეიძლება ქალი ავტორის ამოცნობა. მრავალი ხალხის ისტორიაში თაო-ბიდან თაობას გადაეცემა იავნანები, შელოცვები, სატრფიალო, სარიტუა-ლო ლექსები და სიმღერები, რომლებსაც მხოლოდ გოგონები/ქალები სწავლობდნენ, ასრულებდნენ და იყენებდნენ.

ქალების კულტურის დამახსოვრებას ყველაზე დიდი სამსახური განმა-ნათლებლობის ეპოქამ გაუწია, როცა ქალებმა წერა-კითხვა ისწავლეს, კითხვა და წერა დაიწყეს. ამით დასრულდა დავიწყების ბედისწერული ეპოქა და დაიწყო ქალის ფიზიკური და სულიერი სხეულის გასაჯაროება, განვითარება. ამიერიდან ქალები საკუთარი სახელით აზროვნებენ, ლა-პარაკობენ, ქმნიან და მოქმედებენ, რაც მათი „გაუჩინარების“ ალბათო-ბას მნიშვნელოვნად ამცირებს.

ქალების კულტურას ჯერ კიდევ ბავშვობაში ვეზიარე, როცა ბებიჩემის კალთაზე გამობმული ხარბად ვეწაფებოდი ყველაფერს, რაც მან იცოდა. დაუსრულებლად შეეძლო მოეყოლა და ჩემთვის ესწავლებინა ხალხური ლექსები, სიმღერები, შელოცვები, თქმულებები, საქონლისა და ადამია-ნის სწეულებათა სამკურნალო მცენარეები, ტრადიციული კერძებისთვის აუცილებელი სუნელები და საკმაზები. ამ დაუღალავი მასწავლებლის

წყალობით, ათი წლის ასაკში უკვე განსწავლული შეგირდი და დამხმარე ძალა ვიყავი: დიდი ენთუზიაზმით ვკრეფდი, ვახმოვდი და შესაბამის ჭურჭელში ვათავსებდი საჭირო მცენარეებს.

ჩვენი ბუხრის თავზე წარმოუდგენელი სილამაზის ხალიჩა ეკიდა, ხოლო მის ცენტრში – ელვარე, პატარა ხანჯალი. ეს ორი ნივთი ბებიას მშობლების სახლიდან გამოატანეს და ორთავეს შვილებივით უვლიდა და უფროთხილდებოდა. ხანჯალს ყველა სტუმარს აჩვენებდა და რამდენჯერმე მგზნებარე სახით წარმოთქვამდა: მამაჩემმა გამოჭედა, მამაჩემმა გამოჭედა, მამაჩემმა გამოჭედა! ამ ჭეშმარიტების დასადასტურებლად კი თითს ადებდა ქარქაშს, რომელზეც დიდი ასოებით იყო ამოტვიფრული „ლუკა ბაბლუანი“.

ყოველთვის მიკვირდა, რატომ არაფერს ამბობდა ბებია ხალიჩაზე და მის ავტორზე? ამიტომ ერთხელ, როცა მან თავისი პერფორმანსი დაასრულა და წარმოთქვა „მამაჩემმა გამოჭედა“, ყველასთვის მოულოდნელად ვკითხე: ვინ მოქსოვა ხალიჩა? ორატორი შეკრთა, სახეზე მღელვარების ტალღამ გადაუარა, შუბლი დაძაბული ფიქრისგან გაუთეთრდა, მაგრამ მაინც ჩვეული გამბედაობით მიპასუხა: ვინ მოქსოვა ხალიჩა არ ვიცი, მაგრამ რაც ნამდვილად ვიცი, ის არის, რომ ეს ხალიჩა დედას მამაჩემმა მაშინ აჩუქა, როცა მე დავიბადე: ხონის ბაზარში უყიდია იქაური გლეხისგან.

მთელი ბავშვობა მაწვალებდა ხალიჩის ავტორის გაურკვევლობა და არა იმიტომ, რომ ქსოვის სწავლა მინდოდა, არამედ ბებიაჩემის მონათხრობის გასამდიდრებლად. ხშირად წარმოვიდგენდი – როგორ დგას გოგუცა სტუმრების წინაშე და როგორ „იტკბარუნებს პირს“ მისთვის ძვირფასი ნივთების წარმომავლობით, ავტორების თავგადასავლითა და ოსტატობით, როგორ ითრევს მსმენელებს ამ ამბების ლაბირინთში და უბრალო მთხრობელი როგორ იქცევა მემკვიდრედ, მსახიობად და მწერლად. ერთხელ დამესიზმრა კიდევ: დგას ბუხართან ბებიაჩემი, მგზნებარედ საუბრობს, მე კი კალამმომარჯვებული ველოდები ყოველ მის სიტყვას და ვიწერ რვეულში, რომ შემდეგ ქალაქში წავიღო და ჩემს იქაურ მეგობრებს წავაკითხო.

ჩემი მეორე „უცნაური შეკითხვა“ საქონლის შელოცვას უკავშირდება, რომელსაც სოფლის ქალები მაკე ძროხებისთვის იყენებენ. ამ შელოცვისთვის ბებიაჩემი საგანგებოდ ემზადებოდა: სამ ხალათს იცვამდა და ორ თავსაფარს იხურავდა. მდუმარენი შევდიოდით ბოსელში, პატარა ჯორკოვებზე ვსხდებოდით და რიტუალი იწყებოდა: მუცელზე თავებს ვადებდით მაკე ძროხას და ხმადებლა ჩურჩულს ვიწყებდით. ეს იყო ჩემთვის ყველაზე მისტიკური, პოეზიამდელი და პროზამდელი პერიოდის ტექსტი, რომლის წარმოთქმისას სამყაროს შვილად და მეგობრად განვიცდიდი თავს. როცა ხბო დაიბადებოდა, სიამაყით ვამცნობდი თანატოლებს, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ სიცოცხლის გაჩენაში მეც დიდი წვლილი მქონდა შეტანილი.

შელოცვის ტექსტი ბავშვური თამაშების ნაწილიც იყო: ერთმანეთს ვეჯიბრებოდით გოგონები მის გამართულ, შთამბეჭდავ წარმოთქმაში და ყველას ძალიან მოგვწონდა. ამიტომ ჩამოვიარე სოფლის ყველა ქალი და სათითაოდ ვკითხე ტექსტის ავტორის ვინაობა. გაწბილებული ბოლოს ბებიასთან მივედი, მაგრამ ამაოდ. მან ისეთივე სახე მიიღო, როგორიც ხალიჩის ავტორის „გახსენებისას“ ჰქონდა, და ისეთივე გამბედაობით მიპასუხა: ეს შელოცვა ძალიან ძველია, ბებიაჩემს ბებიაშისმა ასწავლა, იმას კიდევ ბებიაშისმა, აგერ შენც ჩემგან ისწავლე. ეტყობა, სვანების პირველმა ბებიაშმა დაწერა თავისი შთამომავლებისთვისო. მაშინ წერა-კითხვა არავინ იცოდა ალბათ და ცოდნა ზეპირად გადადიოდაო. ეს პასუხი კი მომეწონა, მაგრამ დიდხანს მაწვალებდა ამ ჩემი პირველი „ჯადოსნური ლექსის“ ავტორის ცნობის წადილი.

ასაკის მატებასთან ერთად, ჩემი მთხრობელების რიცხვი გაიზარდა: ბაბუაჩემი, დეიდაჩემი და დედაჩემის ბიცოლა, მარიამი ამ საქმეში შეუცვლელი ფავორიტები იყვნენ და თითოეულ მათგანზე დიდი რომანის დაწერა შეიძლება. მე ახლა დეიდაჩემზე შეგჩერდები, მწერალ ქალზე, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ინტელექტუალურ განვითარებასა და პიროვნულ ზრდაზე.

ჩვენი ოჯახის გუსტავ რადე, რაფიელ ერისთავი და ბარბარე ჯორჯაძე

გერმანელი მეცნიერის, გუსტავ რადეს შესახებ პირველად დეიდაჩემმა, სირა გაბიანმა მიაშო. მაშინ დეიდა ჩვენი წინაპრის, სიმონ მღვდლის ბიოგრაფიას სწავლობდა და ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში აღმოაჩინა, რომ სიმონი გუსტავ რადეს იცნობდა:

„...მღვდელი სიმონი დღეს 108 წლის მოხუცია, მაგრამ ისე ცოცხალი, ისე ჯანმრთელი, რომ არავინ დაიჯერებს, თუ იმისი წლოვანება 60 წელს ალემატება. ტანად პატარაა, თმაწვერგაყვითლებული, თავისებურად ჩაცმდახურვისა და ცხოვრების მოყვარე. ეს „პატარა ხუცესი“ (კოტოლო ბაბ – სვანურად) დანახვისთანავე მიიქცევს მნახველის ყურადღებას. საღმრთო წერილი უსწავლია ცაგერის მონასტერში. მღვდლად კურთხეულა მარტვილში. საღმრთო წერილის ცოდნაში ბევრი რამ აკლია, ნამეტურ ტიბიკონში, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლიდა პატარა ხუცესს, რომ ღმერთი წმინდის გულით შეეყვარა და ხალხის გულიც მოეგო. უშგული დღესაც წმინდანსავით უყურებს ამ ხუცესს. წარსულიდან ბევრი რამ ახსოვს სიმონ მღვდელსა. იგი იცნობდა უწინდელს საქართველოს ეგზარხოს ისიდორეს. ახსოვს მუხრანბატონი და რაფიელ ერისთავი, როდესაც ისინი ქუთაისში ყოფილან სამსახურში. ივანე ბართოლომეი (არქეოლოგი და ნუმისმატი, გენერალ-ლეიტენანტი, პეტერბურგის აკადემიის წევრ-

კორესპონდენტი), დიმიტრი ბაქრაძე, უსლარი, გუსტავ რადდე – ყველა იმის დროს ყოფილან სვანეთში. ბევრს საინტერესო რამეებს მოჰყვება თავის ნაცნობობის შესახებ დიდკაცებთან...”¹

დეიდაჩემისგან ვიცი (წინაპართა გადმოცემით), რომ სვანეთში ექსპედიციისას გუსტავ რადდე (Gustav Ferdinand Richard Radde) სიმონის რჩევით მოინახულა ქვემო სვანეთში მდებარე ლაფურის მყინვარი და ეს სილამაზე აღწერა კიდევ თავის ჩანახატში „ლაფურის მყინვარი და ცხენისწყლის სათავეები“/„Lapuri glacier and the Tskhenis-tskali headwaters“ (1866 წელი). ამ ნამუშევრის გარდა, ჩვენი ოჯახისთვის უძვირფასესი განძია რადეს მიერ დახატული სიმონის პორტრეტი.

რაფიელ ერისთავისა და სიმონის ნაცნობობას ჩვენი ოჯახის ბიბლიოთეკაში არსებული ორი წიგნიც ადასტურებს: რაფიელ ერისთავის „ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“, რომელიც 1884 წელსაა გამოცემული თბილისში და ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის „ქართული სამხარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი“, რომელიც ექვთიმე ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა 1874 წელს.

რაფიელ ერისთავის წიგნი უკვე სტუდენტმა გადავშალე და აღმოვაჩინე, რომ მასზე მუშაობისას ავტორმა მრავალი წყარო გამოიყენა, მათ შორის გერმანელი ბოტანიკოსის, დენდროლოგისა და ფარმაცოლოგის, ედუარდ რეგოს შრომები.

ედუარდ რეგო (Eduard Regoh, 1816-1888) ლატვიაში, გეორგ ფერდინანდ რეგოსა და ანა ლუიზა შმიტხენის ოჯახში დაიბადა. ტარტუს უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მან სწავლა ტარანდტში, საქსონიის სატყეო აკადემიაში (Königliche-Sächsische Forstakademie) გააგრძელა და 1840 წლის 15 აგვისტოს რუსეთის იმპერიაში პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლა გახსნა.² 1843 წლიდან ამ სასწავლებელში უკვე ქართველებიც სწავლობდნენ. 1847 წელს მან ამავე რაიონში ბოტანიკური და დენდროლოგიური პარკი გააშენა. დენდროპარკის არქიტექტორი იყო იტალიელი ანჯელო კამპიონი, ხოლო კოლექციებისა და ლანდშაფტის საქმეს რეგო უძღვებოდა.³

არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რაფიელ ერისთავმა თავისი ლექსიკონის შედგენისას გამოიყენა მცენარეების შესახებ სოფლის ექიმბაში ქალების მიერ „მენახული“ ცოდნა:

1. სირა გაბიანი. გაჭირვებამ მათქმევინა. ქუთაისი: 2003, გვ. 3-4.

2. გორეცკის ოლქი, ბელორუსია.

3. ედუარდ რეგოს ერთგული დამხმარე იყო მეუღლე, ემილია შმიდტი. მისი შვილებიც (ლიდია, რობერტი, ედუარდი და იულია) სიამაყით ინახავდნენ მამის მოღვაწეობის ისტორიას, მაგრამ საბჭოთა რეჟიმმა ეს მეხსიერება გაანადგურა. ედუარდ რეგოს შვილიშვილი, აგროქიმიკოსი გიორგი რეგო, 1937 წელს ჯაშუშობის ბრალდებით გაასამართლეს და დახვრიტეს.

„...ამ ლექსიკონის შედგენისას ვსარგებლობდი და ვხელმძღვანელობდი შემდეგით: ა. ნ. ანენკოვისგან შედგენილი მცენარეთა ლექსიკონით, ბ. ნ. სიტოვსკის და ა. ოვერინისგან შედგენილის მცენარეთა ლექსიკონით, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წერილებით, ბუნების ისტორიით ფრინველთა და პირუტყვთა, საბა სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინოვისგან შედგენილის ლექსიკონებით, სხვა და სხვა კარაბადინებით და ე. რეგოსგან შედგენილის მცენარეთა აღწერით და გამოკითხვით ამავე საგანზედ სოფლის ექიმთა ქალთა და კაცთა...”⁴

რაფიელ ერისთავის წყალობით მოხვდა ალბათ ჩვენს ოჯახში მისი დის, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის (1833-1895) კულინარიული წიგნი. კერძების რეცეპტების გარდა, ბებიჩემი ბარბარეს წიგნიდან სხვადასხვა ხილის (ანწლის/danesblood, მელისკუდას/melissa, ალუბლის/cherry) არყის გამოხდის წესებსაც იყენებდა. ამ წიგნიდანვე ჰქონდა ნასწავლი ძაფების გამოხარშვა და შეღებვა, საპნის გამოხდა, ქლიავისა და მსხლის ჩირის დამზადება.

ბარბარეს წიგნი მეც გამორჩეულად მიყვარდა. მან შემივსო ის დანაკლისი, რაც ხალიჩის და შელოცვის ავტორთა ძიებისას განვიცადე. ქალების „ზეპირსიტყვიერი კულტურის“ ნაკლულევანება „დაწერილი კულტურის“ ნიმუშმა შეავსო. ამიტომ ყველა ჩემს მეგობარს წავუკითხე წინასიტყვაობა, რომლითაც ბარბარე ჯორჯაძე თავის მკითხველებს მიმართავს. ინტერესს ამ ტექსტისადმი აძლიერებდა მასში გამოყენებული სიტყვებისა და აზრთა წყობის სიძველე, რაც სამუზეუმო ექსპონატად აღიქმებოდა ჩვენ მიერ და დიდი მონდომებით ვკითხულობდით და ვისმენდით მას:

„ამ დროის ცვლილებას, გლეხთა რეფორმას და დღევანდელს ჩუენს მდგომარეობას რომ უყურებ, საჭიროთა ვხედავდი სამხარეულოს წიგნის შედგენას, რადგანაც არ მეგულება ქართულს ენაზედ ამგვარი წიგნი. იქნება ისინი არ ჰსაჭიროებდნენ ამგვარს წიგნს, რომლებიც მხარეულებით და რუსულის სამხარეულოს წიგნებით უზრუნველნი არიან, მაგრამ, ვისაც შეძლება არა აქვს, რომ დაიჭიროს ქირით კარგი მხარეული და არც იცის რუსული, რომ იმ ენაზედ დაწერილის წიგნებიდან მაინც შესძლოს გააკეთებინოს საჭმელები, მაშინ იმას შეუძლიან ამ წიგნით ისარგებლოს.

ისიც უნდა დავსძინო რომ, შეძლებაც რომ გქონდეთ, ხანდის-ხან ისე გაძნელდება ხოლმე ხეირიანი მხარეულის შოვნა, რომელიც, ან თქვენს გემოვნებაზედ ვერ გააკეთებს საჭმელს და ან სრულებით წინააღმდეგს თქვენის სურვილისას. რადგან, თითქმის, ყოველს ქალს ვალათ აძევს ოჯახის მზრუნველობა, ამისთვის ეს წიგნი მზა არის, იყოს სახელმძღვანელოთ სამხარეულოში, უმეტნავესად საქართველოში არსებულითა საჭ-

4. რაფიელ ერისთავი, ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან, ტფილისი, 1884, გვ. 3. ამ წიგნის წინამორბედი „შემოკლებული ლათინური, რუსული და ქართული მცენარეთა ლექსიკონი“, რომელიც რაფიელმა 1873 წელს გამოსცა.

მელთა გაკეთებისათვის და სხვა საოჯახო სამეურნეო ნაცადთა ცნობათ სარგებლობისათვის. ესე იგი: მასალების შენახვისა, ღვინის დაყენებისა, არყის გამოხდისა, ძაფების შეღებვისა, საპნის მოხარშვისა, მურაბების და მწნილების გაკეთებისა და სხვათა და სხვათა, რომელნიც მოუცილებელნი საჭირონი არიან, უნამეტნავესად სოფელში და თუ ეს ასეა, ამისათვის აქვე დავსძინე რაოდენიმე ევროპული სახელ-და-ხელო სატმელებიც.

ყოველს შემთხვევაში, თუ ამ შრომით, მცირედსაც არის სარგებლობას მოუტან ჩემთა მემამულეთა, მე ვიქნები დაჯილდოებული მით; ხოლო ამ შრომას თუ რამე ნაკლულევანება შეამჩნდეს, ვიმედოვნებ, საზოგადოება შემინიშნავს და გამამხნევებს დარიგებითაც, რათა შემდეგში გამოვსცე უფრო სრული და უკილო სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო წიგნი“.⁵

ბარბარეს ბიოგრაფიაზე მუშაობისას აღმოვაჩინე, რომ მან სამზარეულოს წიგნზე შრომა გააგრძელა და მიხეილ ახტაპელოვის დახმარებით 80-იან წლებში გამოსცა „სრული სამზარეულო“ ანუ განახლებული ვერსია პირველი წიგნისა. ბარბარეს და რაფიელის მიმოწერიდან გავარკვეე, რომ გამომცემელს ავტორის მოხსენიება რატომღაც დავიწყნია, რის გამოც ბარბარეს გულისწყრომა დაუმსახურებია.

მესამედ ბარბარე ჯორჯაძის „სრული სამზარეულო“, ოდნავ სახეცვლილი, ახალი რეცეპტებით გამდიდრებული, მისმა ქალიშვილმა მანანა ჯორჯაძე-გეხტმანმა გამოსცა, 1914 წელს და წინასიტყვაობაში აღნიშნა, რომ ამ ვერსიაზე მუშაობა ბარბარეს დასრულებული ჰქონდა, მაგრამ გამოცემა ვერ მოასწრო:

„...განსვენებული დედაჩემი სიტყვით არ კმაყოფილდებოდა და მწერლობითაც სურდა გაეწია „პროპაგანდა“ დიასახლისთა შორის. სხვათა შორის მან განიძრახა ქართული სამზარეულოს შედგენა – რადგან გრძნობდა, რომ ერის წარმატებაში და ცხოვრებაში პირველი ალაგი ჯანმრთელობას უკავია – ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია კარგ და საღ საზრდოზე, მეორე მხრით ოჯახში სატმლის რიგზე მომზადებას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. გამოუცდელი დიასახლისი ყოველთვის მეტს სანოვავგეს ხარჯავს და მასთან ვერც ნოყიერს და ყუათიან სადილს ამზადებს...

აი ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა განსვენებული სამზარეულოს შედგენის დროს. ყოველი სატმელი, რაც კი ამ წიგნში შედის, ყველა მისი პირადი გამოცდილების შემდეგ არის დაწერილი.

...განსვენებულს აზრათ ჰქონდა მესამე გამოცემის დაბეჭდვა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა შეუშალა ხელი. დამზადებული მასალა მე დამრჩა. ამ მასალიდან ზოგი გამოვტოვე, რასაც დღევანდელ მომენტისათვის ცოტა მნიშვნელობა ჰქონდა და ზოგი ევროპული და ქართული სატმელებიც

დაუმატე. ამ რიგად შევსებული სამზარეულო, მგონია დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს დიასახლისებს“.⁶

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართულ ენაზე პირველი კულინარიული წიგნი სანკტ-პეტერბურგში გამოიცა, 1818 წელს, ბაგრატ ბაგრატიონის/ბატონიშვილის ავტორობით. მასსავე შესავალში ვკითხულობთ:

„წიგნი ესე საუკეთესოთა სანოვავეთა, შექარლამათა, და სასმელთა შესამზადებელი გამოვჭკრიბე და ვთარგმნე რუსულისა ენისაგან, ძეთათვის მამულისა ჩემისათა ქართველთა, ვინადგან არა იყო ქართულსა ენასაზედა აქამდე, მე საქართველოს მეფის გიორგის ძემან, და მისის იმპერატორების დიდებულების სასახლის კამარლერმან, და ორდენტა წმინდის ანნას პირველის ხარისხისა, წმინდისა იოანე იერუსალიმელისა მეორისა ხარისხისა კავალერმან ბაგრატ. წელსა 1818 სანკტ პეტერბურღს...“.⁷

რუსეთის იმპერიაში რუსულენოვანი კულინარიის წიგნი „საჩუქარი ახალგაზრდა დიასახლისებს ანუ დამზარე სამუალეა საშინაო მეურნეობის ხარჯთა შესამცირებლად“ 1861 წელს დაიბეჭდა, მისი ავტორი იყო ელენა ბურმანი-მოლოხოვეცი (Elena Burman-Molokhovets, 1831-1918).

ევროპაში უკვე გამოსულია და დიდად პოპულარულია ელზა აქტონის „თანამედროვე სამზარეულო კერძო ოჯახებისთვის“ (1845) და იზაბელ ბიტონის „მისის ბიტონის საოჯახო მეურნეობის მართვა“ (1861).

ბარბარე ჯორჯაძისთვის, სავარაუდოდ, ცნობილი იყო ბაგრატ ბატონიშვილისა და ელენა ბურმანის წიგნები. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მათი გავლენა მნიშვნელოვანია, რადგან ბარბარეს ნაშრომში ძირითადი აქცენტი ქართულ კერძებზე, საკმაზეზე და იმდროინდელი ქალების ყოფისათვის მნიშვნელოვან, სამეურნეო ჩვევებზეა გამახვილებული. ტკბილეულისა და ნამცხვრების ნაწილში არის მცირე მსგავსება, მაგრამ წიგნში წარმოდგენილი 300 რეცეპტიდან ამ განყოფილებაში სულ 20-მდე იქნება.

მე-20 საუკუნეში კიდევ ერთი ავტორი ქალი გამოჩნდა, ოლია ოცხელი, რომელმაც მისი პირველი კულინარიული წიგნი ბაქოში გამოსცა, რუსულ ენაზე, ხოლო 1914 წელს – ქართულადაც.

ბარბარეს „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი“ უმნიშვნელოვანეს მასალას იძლევა ლინგვისტების, ეთნოგრაფების, კულინარების, ბოტანიკოსების, სოციოლოგებისა და ლიტერატორებისთვის. წიგნის კომპოზიციაში, ენაში მოჩანს შემოქმედი ქალის შემეცნებითი ინტერესები, ქალების დახმარების სურვილი. წიგნში გამოყენებული საკმაზეების, კერძების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე და-

6. სრული სამზარეულო, შედგენილი კნ. ბარბარე ჯორჯაძის მიერ. თბილისი: 1914, გვ. 6-7.

7. ბაგრატ ბატონიშვილი. წიგნი შესამზადებელი სანოვავეთა მზარეულთაგან. სანკტ პეტერბურღი: 1818, გვ. 1.

5. ბარბარე ჯორჯაძე. ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი. ტფილისი: 1874, გვ. 3-4.

ვიწყებულისა და მათი გახსენება და აღდგენა საშური საქმეა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული კულინარიული კულტურის შედარება ბარბარესდროინდელთან და ამ ორსაუკუნოვანი ისტორიის თავისებურებათა ანალიზი.⁸

ბარბარეს ეპოქა და ქართველი ქალები

ბარბარე პატარა გოგო იყო, როცა მისი დედა, ანა ამილახვარი, გარდაიცვალა და აღმზრდელად ამილახვრების ნამზითევი გამდელი, დილავარდისა მიუჩინეს. მისი წყალობით შეისწავლა ბარბარემ წერა-კითხვა, ქარგვა, ქსოვა, ლოცვები, ისტორიული თქმულებები და ზღაპრები. თორმეტი წლის ასაკში გაათხოვეს ბარბარე ბაქარია ჯორჯაძემ. ეკლესიაში ჯვრისწერის შესახებ ბარბარემ მოგვიანებით უამბო თავის მეგობარს, მარიამ დემურიას:

„საზოგადოდ იმ დროს ქალებს ძალიან ადრე ათხოვებდნენ და მეც ისეთი პატარა ვიყავ, ჯვარს რომ გვწერდნენ, თამაშობა მეგონაო. როდესაც მღვდელი ქორწინების წესს ასრულებდა, იმ დროს ეკლესიაში ღამურა შემოფრინდა, დავინახე თუ არა ღამურა, მღვდელს ვუთხარი: „მღვდელო, მღვდელი, შენი ჭირიმე გაჩუმდი, მე მგონი ჩემი იადონი შემოფრენილა და მინდა დავიჭიროო“.⁹

ქმარმა, ბაქარია ჯორჯაძემ, ახალ დროს (ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის ნგრევის შემდეგ დაწყებულ კაპიტალისტურ წარმოების წესს) ფეხი ვერ აუწყო და ადგილ-მამული სულ ვალების გასტუმრებას შესწირა. სამი შვილით (მიხეილი, ნოშრევანი, მანანა) ბარბარე მეტწილად მარტო იყო, რადგან ბაქარია სულ სამსახურს ეძებდა და სხვადასხვა რეგიონში მსახურობდა. ცოდნისა და შემეცნების დაუოკებელი სურვილის მქონე ბარბარე ხარბად დაეწაფა ჯორჯაძეების სახლში არსებულ მდიდარ ბიბლიოთეკას. ამ დაუცხრომელმა თვითგანვითარებამ თავისი შედეგი გამოიღო და მისი ლექსები, პიესები, პუბლიცისტური წერილები, მოგონებები, მოთხრობები უხვად გამოჩნდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ამ საქმით და მისი პიესების ინსცენირებით მიღებული შემოსავლით ბარბარეს ოჯახის გამოსაკვები თანხაც გაუჩნდა.

1870-იან წლებში ბარბარე ერთხანს მასწავლებლობდა. მისი მეუღლე, ბაქარია ჯორჯაძე ამ დროს სოფელ კახში¹⁰ მუშაობდა და ცოლ-შვილიც თან წაიყვანა. ეს რეგიონი, საინგილო, ქართველი განმანათლებლების გან-

საკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა, რადგან აქაურ ქართველებს კულტურული ასიმილაციის საფრთხე ემუქრებოდათ. მე-19 საუკუნეში ამას რუსიფიკაციის საფრთხეც დაემატა, ამიტომ აქ სკოლების გახსნასა და ქართული ენის სწავლებაზე თანაბრად ზრუნავდნენ სასულიერო და საერო მოღვაწეები. ბარბარემ კახის სკოლაში ოთხი წელი იმუშავა და ასეთი წერილით გამოემშვიდობა იქაურ ბუნებასა და ქალებს:

„მშვიდობით, ჩემო მშვენიერო და დაუვიწყარო კაკო! მართალია მოვშორდი შენს ტურფა სახეს, შენს ამწვანებულ ტყით მოსილ გორაკებს, შენს ამღვრეულს, მაგრამ ზოგჯერ სარკიან კურმუხს, შენს ნაკადულს, შენს შფოთიან წისქვილ-დანგებს, შენს წმინდა გიორგის სალოცავს, შენს ტურფა და უმანკო შკოლას და შენც კაკელო, კახეთელის ძმაო! გეუბნები, მოვშორდი ყოველიფერს შენისას კაკო, მაგრამ გული ჩემი მაინც შენსკენ არის!.. მრავალი სანუგეშო და არა სანუგეშო საქმენი ვნახე მე, ამ ოთხ წელში, შენში მრავალ-წამებულ...“

ჩვენს წინაპრებს უთქვამთ – სწავლა სინათლეა, უსწავლელობა – სიბნელეო. მგონი, თქვენც მრავალჯერ გაგიგონიათ. მაშ, ისწრაფეთ სწავლი-სადმი, ვიდრე დრო არის! ახლა ხომ ცხადათ ხედავთ მის საჭიროებას? ნუ მოაკლებთ თქვენს შვილებს უბრალო ქართული წერა-კითხვის ცოდნას! ხომ კარგათ გახსოვთ ყასიმა, კოსტა, მურადა, ჰაჯი-ქაუზა, ალა შირინა, ალავერდა, რუშინა და სხვანი რა დროს მოდიოდნენ ჩემთან წერა-კითხვის სასწავლებლათ? ესენი დღისით მუშაობაში თავს იკლავდნენ, ღამით კი შკოლაში მოგროვდებოდნენ! თუ თქვენ მესტას შეუძლია ოთხი თავისი შვილს შკოლაში აღზრდა მისცეს, რატომ ყველა თქვენგანს ერთის შვილის სწავლა არ შეუძლია? ვიდრე დრო და კეთილი შემთხვევა გაქვს, ისწავლე და განსაკუთრებით შენი შვილები შკოლაში გაგზავნე. ხომ გაგიგონიათ: საუკუნე იცოცხლეო, საუკუნე ისწავლეო!“¹¹

1870-იანი წლებიდან „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ“ საინგილოშიც გახსნა ორკლასიანი სკოლები, მაგრამ ისინი გაუნათლებლობას უფრო უწყობდნენ ხელს, ვიდრე – განათლებას.¹²

1889 წლიდან სოფელ კახში უკვე არსებობდა ორკლასიანი სამრევლო სკოლა. 1893 წელს, მამა ლეონიდეს ინიციატივით კი ქალთა სკოლა გაიხსნა, სადაც 1896 წლიდან განმანათლებელი ქალი, სოფიო კონტოშვილი-ყულოშვილი მოღვაწეობდა. სოფიოს ინგილო ქალები „ჩონ დედას“ (ჩვენი დედა) ეძახდნენ, რადგან მისი წყალობით შეისწავლეს მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მებოსტნეობა-მებაღეობა, ბავშვის, მელოვინე ქალისა

8. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რუსუდან გორგილაძის წიგნი „კერძთაყვანისცემა, კულინარიული მოგზაურობა დროსა და სივრცეში“. თბილისი: 2012.

9. მარიამ დემურია. მოგონება. გაზეთი „ივერია“, 1895, №91, გვ. 3.

10. ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია, სადაც ეთნიკურად ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ.

11. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ბარბარე ჯორჯაძის არქივი, ხელნაწერი № 9974.

12. ეს საზოგადოება 1860-1917 წლებში ფუნქციონირებდა და რუსული იმპერიული პოლიტიკის საყრდენი იყო. იგი „კეთილშობილი“ მიზნებით ხსნიდა სკოლებს, თუმცა ქართული ენის სწავლებას კრძალავდა.

და ავადმყოფის მოვლა. სოფიოს მიერ ჩამოყალიბებული „ქალთა წრე“ ცოდნისა და თავისუფლების ადგილი იყო ქალებისთვის: სოფიოს მაგალითის და მასთან ურთიერთობის წყალობით დაძლიეს მცირეწლოვანთა ქორწინების, აკვანში დანიშვნის, დედამთილ-მამამთილთან უმძრახობის (მათთან საუბრის აკრძალვა) ადათები და გზა გაუხსნეს ქალის მიმართ თანასწორუფლებიან დამოკიდებულებას ოჯახსა და საზოგადოებაში.

რუსეთის იმპერიის ასიმილაციური პოლიტიკა თანდათან ძლიერდებოდა. ქართველები იძულებულნი იყვნენ რუსული მარწუხების ძალას დაჰპირისპირებოდნენ და ეს საქმე კონსპირაციულად ეკეთებინათ. 1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნით და ამ საზოგადოების წესდებით ქართველმა განმანათლებლებმა მიაღწიეს საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების დაშვებას და დაიწყეს ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა და სკოლებში ინტეგრირება.

ამ საქმეში განუზომლად დიდია ქართველი განმანათლებლის, იაკობ გოგებაშვილის დამსახურება. მან ჯერ „ბუნების კარი“ შექმნა, რომელიც ყმაწვილებს ბუნების შესახებ ცოდნას აძლევდა, ხოლო მოგვიანებით – ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელო „დედა ენა“.

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ (გამოიცემოდა 1868-1918 წლებში) შედგებოდა საბუნებისმეტყველო და სალიტერატურო ნაწილებისგან. საბუნებისმეტყველო წერილის შედგენისას მან გამოიყენა გერმანელი მეცნიერების – ალფრედ ბრემის, კარლ ფოკტის და მორიც ვაგნერის (Alfred Edmund Brehm, Karl Christopher Vogt, Moritz Wagner) შრომები. სახელმძღვანელოს შესავალში იაკობი წერს:

„დაწინაურებულს განათლებულს ქვეყნებში კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება შეადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისა. ამის გამო ბუნების შესწავლას იქ დიდს ადგილს უთმობენ ბავშვების განვითარებაში როგორც ოჯახებში, ისე სკოლებში...

ჩვენში აქამდინ მეფობს მოზარდის თაობის აღზრდაში ფანტაზია. ჭკუის განმავითარებელი და განმავიზიზღებელი საგნები, სალის მსჯელობის აღმზრდელნი რეალურნი ვარჯიშობანი, ცხოველი ბუნება ჩვენს მშობლებს სრულიად მივიწყებული აქვთ თავისის შვილების აღზრდა-განვითარებაში.

საქართველოს ბუნება ისეთი მდიდარია და მრავალფეროვანია, რომ ევროპის ბუნება მასთან ნარცხადაც არ მოვა, მაგრამ ჩვენ ამ მდიდრის ბუნებისა არაფერი გაგვეცება, უკუღმართი აღზრდის წყალობით...“¹³

ბარბარე ჯორჯაძე მხურვალედ თანაუგრძნობდა სწავლა-აღზრდის პრო-

ცესს. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მასალებზე მუშაობისას აღმოვაჩინე, რომ მან მოამზადა სახელმძღვანელო, რომელიც ბავშვებს ქართულ ანბანს შეასწავლიდა.

სამწუხაროდ, ამ სახელმძღვანელოს ვერსად მივაკვლიე. მაგრამ ვნახე რაფიელისადმი მიწერილი წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ ბარბარეს ნაშრომი ვიღაცამ გამოსცა და ავტორი არ მიუთითა.

„საყვარელო ძმაო რაფიელ, მრავლობით დაგკოცნი და ღმერთსა ვსთხოვ შენსა და შენი ცოლ-შვილის დღეგრძელობას.

ხომ გაგიგონია, ცუდათ ჯდომას ცუდათ შრომა ჰსჯობიაო. მეც ასე ვიშრომე და შევადგინე საყმაწვილო წიგნი... მე შენა გთხოვ, გენაცვალე, ჯერ ხომ რა საკვირველია შალაშინს გაჰკრავ და რაც არ მოგეწონება მოშლი... როცა გაჩაღხო, მერე მიშას გადააწერიხე და თუ მოეწონებათ დავაბეჭდინოთ...“¹⁴

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ სახელმძღვანელოს ვერსად მივაკვლიე. იგი არ არის არც ბარბარეს, არც რაფიელ ერისთავის არქივში, არ იძებნება ხელნაწერებსა და ბიბლიოთეკებში.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ერთ-ერთმა აკადემიურმა ჯგუფმა მუშაობა დაიწყო მე-12 საუკუნის ლიტერატურული ძეგლის, შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე. როგორც და-ძმის მიმოწერიდან ირკვევა, რაფიელი ამ ჯგუფის წევრი იყო, ბარბარე კი – არა. ეს გარემოება უცნაურია, რადგან რაფიელი ხშირად უგზავნიდა ბარბარეს პოემის ტექსტს გასასწორებლად. ქართველ მწიგნობარ ქალთა შორის, ვინც ძველ ქართულ ხელნაწერებს და ლიტერატურას იცნობდა, ბარბარე გამორჩეული ფიგურა იყო, ისევე როგორც მისი დედა, ბებია და მრავალი ნათესავი. სწორედ ამიტომ გამოეხმაურა იგი არტურ ლაისტის მიერ გერმანულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანის“¹⁵ გარშემო ატეხილ დისკუსიას:

„...ქართველებისათვის დიდათ სამწუხარო არის, რომ ჩვენი გამოჩენილი სახელოვანი პოეტი რუსთაველის თხზულება „ხელი ხელ საგოგმანები“ ისე გადააქვთ სხვა ენაზედ, როგორც უბრალო რამ ზღაპარი... ჩვენი სახელოვანი პოეტი რომელ საგანსაც შეეხება, მკითხველის გულსა და ღვიძლს გრძნობით განგმირავს: საღმრთოზედ, სიბრძნეზედ, სიუხვეზედ, გმირობასა და მიჯნურობაზედ, სოფლის მუხანათობაზედ, მაშინდელ დროის დიდებასა და ჩვეულებაზედ, ერთობასა და მოძმეთათვის თავის დადებაზედ, ყოველსავე ფილოსოფიურად ხატავს. არა მარტო დევ-გმირები და ქაჯებია მისი ჰაზრი.

14. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ბარბარე ჯორჯაძის არქივი, ხელნაწერი № 9971.

15. Schota Rustaweli. Der Mann im Tigerfelle. Dresden: E. Pierson, 1889.

13. იაკობ გოგებაშვილი. საქართველოს მთები და ქარები. „ბუნების კარი“. ტფილისი: 1912, გვ. 3.

ვინც რუსთაველის პოემას გაარკვევს, ის პირი რუსთაველისავით ფილოსოფოსი უნდა იყოს, თორემ უბრალო ლიტონს კაცს როგორ შეეძლება კვალში ჩადგომა? თუმცა კამისია იყო დანიშნული გადამწერთაგან შეცდომების გასასწორებლათ, მაგრამ, როგორც ჰსჩანს, იმათაც გულდასმით ვერ გადაუთვალეირებიათ“.¹⁶

ცხოვრებისგან ქანცგაწყვეტილ ბარბარეს ორი მესაიდუმლე ჰყავს: ბუნება და ძმა რაფიელი. ეს „სამთა კავშირი“ კარგად ჩანს ბარბარეს ლექსში „ძმაო, რაფიელ“:

„ვხედავ ცვლას ტაროსთ და დროებათ ვით საპყრობილეს:
დამფლეს, დამაბეს, მძიმე ჯაჭვით შემაბორკილეს,
ნათელი გული, მხიარული, შემოირგულეს,
რად მივემგზავსე უცნობოსა ოცნებაში მყოფს?..
დილით აღვსდგები და შევხედავ ცას ლაჟვარდოვანს,
მზეს განმრწყინვალეს, ოქროდ მთრთოლვარეს და ვითა ფრთოვანს.
თითქო მივილტვი ჩემის ხვედრით და ავალ ზეცას,
შევალ ღრუბელში, დავიფარავ, ამ ჭმუნვარებას...“¹⁷

საკუთარი ბედის უკუღმართობამ ბარბარეს გაუმძაფრა ქალების ჩაგვრისადმი მგრძნობელობა და ქალებისადმი სოლიდარობა. სწორედ ამიტომ მისი პიესები („რას ვეძებდი და რა ვპოვე“, „სარკით მოტყუება“, „შური“, „მკითხავი“) სულ ქალების ბედს უტრიალებს. ამ თემასვე ეძღვნება მოთხრობები: „თაზო მომღერალი“, „მარიამ“, „რამდენიმე აზრი ახლანდელ მდგომარეობაზე“. სწორედ ამიტომ არ უდრკებოდა იგი მისი თანამედროვე, ცნობილი და გამორჩეული მოღვაწეების ნააზრევის კრიტიკას. იგი პირველი პოლემისტი ქალია, ვინც გაბედა და კრიტიკული პასუხები დაუწერა ილია ჭავჭავაძეს, გამორჩეულ ინტელექტუალს, რომელმაც 1860 წელს ქართული ენის მოდერნიზაციის, მისი ხალხთან დაახლოების საკითხი წამოჭრა და უღმობელი ბრძოლა გამოუცხადა ყველას, ვინც ძველ, ხალხისთვის გაუგებარ ენაზე წერდა. ბარბარეს წერილები ბევრმა კონსერვატორის გაბრძოლებად აღიქვა, მაგრამ ეს არ არის სწორი. ბარბარე მხოლოდ იმას ამბობდა, რომ „ძველის“ ერთბაშად განადგურება ვნებს კულტურას და აზიანებს ისტორიულ, კულტურულ ქსოვილს.

ქალების ჩაგვრის საწინააღმდეგო მანიფესტია ბარბარეს წერილი „ორიოდ სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“, რომელიც 1893 წელს გამოქვეყნდა და რომლითაც მამაკაცებს თავიანთი დების, მეუღლეებისა და ქალიშვილების გვერდში დგომისკენ მოუწოდა, რადგან ახალ დროში ქალების შრომა, შემოქმედება სჭირდებოდა საზოგადოებას:

„...მართალია, დედაკაცისთვის თვით ბუნებას არ მოუცია ვრცელი ასპა-

რები, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც შეიქმნება დედად და კისრად დააწვება ოჯახის მოვალეობა. მაგრამ გათხოვებამდის კი უნდა ჰქონოდა ქალსაც თანასწორი აღზრდა და მიმართულება, რომ შესძლებოდა თავის თავის ცხოვრება და ქმრის უღელის გაწევა. მამაკაცმა ოჯახშიაც კი არად ჩააგდო დედაკაცის შრომა, უპირატესობა თვით დაიპყრო და ყურები გამოუჭედა: თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არც არა გესმით, გამოყრუებული და გამოფშუტურებული ხართ, თქვენ თვალებს თვალის ჩინობა არ შეუძლიან, ხართ დაუნდობელნი, მოღალატენი და ვინ მოსთვლის, რა არ უწოდებია კაცს, ამ კაცის სათაყვანებელი არსებისათვის, რომელიც არის დედა, და, ცოლი და ასული...

საბრალო ქალებს იმ დაჩაგვრით მაინც ვერ დაუთრგუნეს ნიჭი და გონება: თუ განათლება არ მისცეს, თავიანთ დედაენაზედ მაინც კარგად და საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა და საქმიანობა, ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არ ქალი, როდესაც კაცები მამულის დასაცველად თოფ-იარაღზედ იყვნენ დაყუდებულნი? თუ აქამომდე მოაღწია მდიდარმა ქართულმა ენამ, ქალის მეოხებით მოაღწია...

დღეს კი სხვა ქვეყნებიდან ჩვენშიაც შემოვიდა ახალი დრო განათლებისა და აყვავებისა. ახლა მაინც ჩვენმა კაცებმა დაანებონ თავი ზვაობას და მეშურნეობას, მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდევ კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა თანამედროვე ქალებისა, თორემ ძველ დედაკაცებს სამარის მეტი ველარა გაგვასწორებს-რა და ახალი თაობის ქალებიც ღვაწლსა და შრომას არ შეუდრკებიან, თუკი საქმეს უშველიან რასმე“.¹⁸

ბარბარე ჯორჯაძე საკუთარი ცხოვრებით, შემოქმედებით მაგალითი იყო მისი თანამედროვე ქალებისა და გოგონებისთვის, რათა მათ მეტი და გამბედავი ნაბიჯები გადაედგათ საზოგადოებისკენ და ებრძოლათ საკუთარი უფლებების, შემოქმედებითი თავისუფლებისა და განვითარების ასპარეზის მოპოვებისთვის. სწორედ ამიტომ ყველა მისი მეგობარი, თანამედროვე და ახალგაზრდა, ვისაც კი იგი ერთხელ მაინც უნახავს, განსაკუთრებით აღნიშნავს მის გამბედაობას, ცოდნის შეძენისა და შემეცნებისკენ, საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობისკენ დაუოკებელ წრაფვას. ამ მაგალითმა შემდეგი თაობის წარმომადგენელ მრავალ ქალს მისცა ბიძგი: გამოიყვანა საჯარო სივრცეში, ბრძოლისა და შემოქმედების ნაპერწკალი აუნთო.

ბარბარეს ეპოქის ქალთაგან მნიშვნელოვანია ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილის წვლილი, რომელმაც ქალების განათლების დონის ასამაღლებლად 1895 წელს „ქალთა სახელოსნო სკოლა“ (1895-1925)

16. ბარბარე ჯორჯაძე. რჩეული თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1988, გვ. 142.

17. ჟურნალი „ცისკარი“, 1861, № 1, გვ. 126-127.

18. ბარბარე ჯორჯაძე. ორიოდ სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ. ჟ. „კვალი“, 1893, № 16, გვ. 1-2.

გახსნა. მას ამ საქმეში მხარს უჭერდნენ ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე, მარიამ თუხარელი, ოლღა ალღაძე, ეკატერინე მელიქიშვილი-მესხი. ამ სასწავლებელში, ჭრა-კერვის გარდა, გოგონები სწავლობდნენ ხატვას, ცეკვას, ბუნებისმეტყველებას. პროფესიას დაუფლებულმა გოგონებმა ანალოგიური სკოლები გახსნეს სხვა ქალაქებში: ქუთაისში, გორში, ახალციხეში, ფოთში. ეკატერინე იყო „ქალთა წრეების“ გახსნის ინიციატორი თბილისში, გორში, თელავში, ხონსა და ქუთაისში, სადაც ქალების ემანსიპაციის იდეის გასავრცელებლად შეკრებებს ატარებდნენ და ერთმანეთს ამ იდეასთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და ცოდნას უზიარებდნენ.

საგანმანათლებლო მოძრაობაში, ბუნების შესახებ მეცნიერული ცოდნის გავრცელებაში დიდი როლი შეასრულა საცმაწვილო ჟურნალ-გაზეთებმა, რომელთა რედაქტორები, გამომცემლები ან თანამშრომლები ქალები იყვნენ:

ქართული სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“ (1852-1875), რედაქტორი ივანე კერესელიძე;

ჟურნალი „ნობათი“ (1883-1885), რედაქტორი ანდრია ლულაძე;

საცმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ (1890-1923), რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი;

საცმაწვილო ჟურნალი მოზრდილთათვის „ნაკადული“ (1904-1927), რედაქტორები: ელისაბედ ერისთავი, ნინო ზურაბიშვილი, მარიამ დემურია, ნინო ნაკაშიძე;

სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი „კვალი“ (1893-1904), რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი.

ამ ჟურნალ-გაზეთებში ქალები აქვეყნებდნენ საკუთარ მოთხრობებს, ლექსებს, თარგმანებსა და პუბლიცისტურ წერილებს, რამაც ხელი შეუწყო მათ შემოქმედებით განვითარებასა და საზოგადოებრივ საქმიანობას.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველი ქალები უკვე უფრო თამამად აფუძნებდნენ საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომელთაგანაც გამორჩეული იყო რამდენიმე:

დომინიკა ერისთავის ინიციატივით დაფუძნებული „ქართველ ქალთა საზოგადოება“;

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის „ქართველ ქალთა კომიტეტი“;

ანასტასია ერისთავი-ხოშტარის „განათლება“;

ნინო ყიფიანის „იმედი“.

ეს საზოგადოებები აგროვებდნენ თანხას უცხოეთში ახალგაზრდების სასწავლებლად გასაგზავნად, ეხმარებოდნენ ღარიბ მოწაფეებს. ნინო ყიფიანმა სულ მალე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

„ახალი დროება“ დააარსა, სადაც ბევრი ავტორი ჰონორარის გარეშე აქვეყნებდა წერილებს და კორესპონდენციებს.

კატო მიქელაძემ კი 1917 წელს „ქუთაისის ქალთა ინტერპარტიული ლიგა“ ჩამოაყალიბა და გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ გამოსცა, რომელიც ქალების პოლიტიკურ გააქტიურებას ემსახურებოდა. კატოს ამ საქმეში გვერდში ედგნენ მისი წინამორბედი ქართველი ქალები: აწვდიდნენ მასალებს გაზეთისთვის, ორგანიზებას უწევდნენ კორესპონდენციების გამოგზავნას რეგიონებიდან, ავრცელებდნენ გაზეთს თავიანთ ქალაქებსა და სოფლებში, ეხმარებოდნენ საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეკრებების მოწყობასა და ლექციების ჩატარებაში.

ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ, 1922 წელს, ეკატერინე გაბაშვილის სკოლა დაიხურა, ისევე როგორც აიკრძალა ყველა კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივა. ადამიანები, ვინც საგანმანათლებლო მოძრაობასთან და განმანათლებლური იდეების დამკვიდრებასთან იყვნენ დაკავშირებულნი, „საბჭოთა სამშობლომ“ არაკეთილსამიედო „ელემენტებად“ გამოაცხადა და ბევრი მათგანი გაანადგურა კიდეც.

მოგზაურობა, როგორც ახალი ცოდნა და შე/მოქმედება

ევროპელებს საქართველოს შესახებ ინტერესი გაუღვივა მე-18 საუკუნის ქართველი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის, ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომმა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელზე მუშაობაც მან 1745 წელს დაასრულა.¹⁹

ეს არის ქართული გეოგრაფიული მეცნიერების უძველესი, ყველაზე სრულყოფილი, ენციკლოპედიური შინაარსის ნაშრომი. მის უნიკალურობას განაპირობებს საქართველოს ისტორიის, ბუნების, მოსახლეობის, ზნე-ჩვეულებების, ლანშაფტის შესახებ ინფორმაცია და ავტორის მიერ შედგენილი რუკები.

კარტოგრაფიის განვითარების ტენდენციებმა, რომლებმაც მე-18 საუკუნის ევროპა მოიცვა, რუსეთშიც შემოაღწია. ვახუშტი ბაგრატიონმა, რომელიც პეტერბურგში მოღვაწეობდა, საფუძვლიანად შეისწავლა ეს საქმე და მრავალი უნიკალური რუკა შექმნა.

მარი ბროსეს კვლევების წყალობით, ქართველ მეცნიერთათვის ცნობილი გახდა, რომ გერმანული ჟურნალი „Wissenschaftliche Zeitschrift“ უკვე 1747 წელს წერდა „ტფილისელი პრინცის“ რუკების შესახებ:

19. ვახუშტი ბაგრატიონის ეს ნაშრომი პირველად მარი ბროსემ გამოსცა 1845 წელს ქართულ და ფრანგულ ენებზე, 1854 წელს – დავით ჩუბინაშვილმა, 1885 წელს – დიმიტრი ბაქრაძემ, 1904 წელს – მოსე ჯანაშვილმა, 1913 წელს – ზაქარია ჭიჭინაძემ, 1941 და 1977 წლებში – საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ.

„ამ რუკების დიდი ნაწილი ქართულიდან უკვე თარგმნილია და ბატონი ჟ. დელილი გვპირდება მათ გამოქვეყნებას, რითაც კავკასიის დღემდე იდუმალ-ლებით მოცული მთები ერთბაშად გახდება ევროპელთათვის ცნობილი“.²⁰

ფრანგმა ასტრონომმა და კარტოგრაფმა ჟოზეფ ნიკოლა დელილმა ვახუშტის ქართლის რუკა და თბილისის გეგმა ჯერ კიდევ 1745 წელს გამოსცა პარიზში, ხოლო 1747 წელს კი საქართველოსა და შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ქვეყნების რუკები გამოაქვეყნა.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონიშვილის რუკების გადამღებთა შორის არის მარიამ ჩიქოვანი, ქართველი მწიგნობარი და კარტოგრაფი ქალი. მარიამმა რუკები იმერეთის დედოფლის (დავით მეფის მეუღლის), ანას თხოვნით გადაიღო. ანა დედოფალი 1809 წლიდან პეტერბურგის ქართულ კოლონიაში ცხოვრობდა და ქართული ხელნაწერების გადაწერა-გამრავლების საქმეს ემსახურებოდა.

მარიამ ჩიქოვანი, ეტყობა, ანა დედოფალს გაჰყვა პეტერბურგში და კარტოგრაფია შეისწავლა. მარი ბროსეს შეფასებით, ვახუშტის რუკების მარიამისეული ვერსიები დიდად არ განსხვავდება დედნისგან და „ნამდვილი საგანძურია“.

სამწუხაროდ, მარიამის ბიოგრაფიის შესახებ არაფერია ცნობილი და ეს საქმე დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს. გარდა ამისა, დამატებით არის შესასწავლი ვახუშტის რუკები, რის შემდეგაც შევძლებთ ზუსტად დავადგინოთ, თუ კონკრეტულად რომელი რუკაა მარიამის გადაღებული და რით განსხვავდება ან გამოირჩევა იგი სხვა კარტოგრაფთა ნახელავისგან ან ევროპაში გამოქვეყნებული რუკებისგან.²¹

მე-19 საუკუნის ათიანი წლებიდან საქართველოში მოგზაურობით, ბუნებისა და კულტურის კვლევით უკვე მრავალი ევროპელი მოგზაური და მკვლევარი ინტერესდება. ისინი განსაკუთრებულ ხოტბას ასხამენ აქაურ ბუნებას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქალები, მამაკაცებისგან განსხვავებით, ყოფასთან და „ქალების კულტურასთან“ უფრო ახლოს მიდიან და ყოველდღიურ, ტრადიციულ ყოფას ინტერესით აკვირდებიან. სწორედ ამიტომ, ყველა მოგზაური ქალი აღწერს ქალების მდგომარეობას ოჯახში, ქორწინების წესებსა და შვილოსნობის მდგომარეობას, საერო და რელიგიურ რიტუალებში ქალთა ფუნქციას.

1811-1812 წლებში საქართველოსა და სპარსეთში იმოგზაურა ფრედერიკა ფრაიგანგმა²² და 1816 წელს ჰამბურგში გამოაქვეყნა ნაშრომი „Lettres sur le Caucase et la Géorgie. Suivies d’une relation d’un voyage en Perse en

1812“, რომელიც 1823 წელს ინგლისურად ითარგმნა და ლონდონში გამოიცა.²³ ფრედერიკამ აღწერა ბუნება ვლადიკავკაზიდან თბილისამდე, ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ეკლესიის, თბილისური ბაღების, ბაზრის, კლიმატის, წყლებისა და საკვების თავისებურებები. ავტორი გატაცებით მოგვითხრობს რუსი სახელმწიფო მოღვაწის, ისტორიკოსისა და არქეოგრაფის, ალექსეი მუსინ-პუშკინის მიერ შეგროვებულ მინერალოგიურ, ბოტანიკურ და ორნიტოლოგიურ მასალაზე.

საყურადღებოა ფრედერიკა ფრაიგანგის მიერ ქორწინებისა და გლოვის რიტუალის აღწერა, სადაც აშკარაა ქალებისადმი თანაგრძნობის გამომხატველი ინტონაცია და ადათწესობრივი კანონის კრიტიკული განსჯა:

„...ქართველები ოჯახს ძალიან ადრე ეკიდებიან. როგორც წესი, ქალი თორმეტი, ვაჟი კი, ასე, თხუთმეტი წლის ასაკში ქორწინდება. არცთუ ისე იშვიათად აკვანშივე ინიშნებიან, მაგრამ ბავშვობას ცალ-ცალკე ატარებენ. წესია, მომავალი მეუღლეები ერთმანეთს არ უნდა იცნობდნენ. ჯვარს იწერენ ეკლესიაში, ბერძნული რიტუალის მიხედვით, განსხვავება ის არის, რომ საცოლეს სახეს მანდილით უფარავენ. მისი ნახვის უფლება საქმროსაც კი არა აქვს. აქ ქორწინება გარიგებაა და არა გულის სურვილი...

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვრივის გლოვა ქმრისადმი სიყვარულისა და სიახლოვის გამოხატულებად ითვლება, ქართველი ქალების შემთხვევაში ბევრი რამ გაუგებარია. დღეს კაცის დასაფლავებას შევესწარი. მოთქმისგან დაოსებული ცოლი რამდენიმე საათის განმავლობაში ქმრის კუბოსთან იჯდა, თვალზე ცრემლი არ უშრებოდა, ხმამაღლა მოთქვამდა და ყვიროდა, განუწყვეტლივ იმეორებდა თავისი ქმრის სახელს, მკერდში ხელებს იცემდა და თმას იგლეჯდა. ყველა მისი ქმედება წუხილსა და სასოწარკვეთას გამოხატავდა... როდესაც მიცვალებულს დაასაფლავებენ, ცოლი შინ ბრუნდება და იქ ჯდება, სადაც დასაფლავებამდე კუბო იდგა. ირგვლივ შემოუსხდებიან მგლოვიარე ქალები. ხმას არავინ იღებს. ასე გრძელდება ექვსი კვირის განმავლობაში. ჩვენებურად რომ ვთქვათ, ეს მათი გლოვის ერთგვარი კარანტინია. ალბათ დამეთანხმებით, ეს ძალზე დიდი დროა და რა, თქმა უნდა, გლოვას გულწრფელობა აკლდება...“²⁴

ფრედერიკას მოგზაურობისას თან ახლდნენ თავისი მისი შვილებიც: ორი წლის ანდრეასი და ჩვილი ქალიშვილი, კატარინა, რომელიც 1812 წლის სექტემბერში, სტავროპოლის მხარეში, ქალაქ გეორგიევსკში გარდაიცვალა. მოგზაური ქალი (დედას ალბათ მაშინაც ბევრი უსაყვედურებდა

20. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. თბილისი: 1997, გვ. 36.

21. მარიამ ჩიქოვანის შესახებ ინფორმაციას მარი ბროსეს უნდა ვუმაღლოდეთ. თუმცა კარტოგრაფი ქალით მოგვიანებითაც დაინტერესდნენ მკვლევრები: რუბენ ორბელი, ივანე მათურელი, გრიგოლ ზარდალიშვილი.

22. ფრედერიკა ფონ ფრაიგანგი (Frederika Afanasyevna von Freygang, née Kudryavskaya, 1790-1863) იყო აფანასი კუდრიავესკის/Afanasy Kudryavsky და Katarina Kryunes შვილი. ფრედერიკას მეუღლე იყო ცნობილი მეცნიერი ვილჰელმ ფონ ფრაიგანგი.

23. Letters from the Caucasus and Georgia: To Which Are Added The Account of a Journey into Persia in 1812 and an Abridged History of Persia Since the Time of Nadir Shah, Translated from the French and Illustrated with Maps and Engravings. London: John Murray, Albemarle Street, 1823.

24. Letters from the Caucasus and Georgia: To Which Are Added The Account of a Journey into Persia in 1812 and an Abridged History of Persia Since the Time of Nadir Shah. London: 1823, p. 187-190.

და ახლაც ბევრ წყევლა-კრულვას დაიმსახურებს იმის გამო, რომ ჩვილი ბავშვები ასეთ შორეულ მოგზაურობაში წაიყვანა და ამით „გამაოგნებელი წინდაუხედაობა“ გამოიჩინა) აგონიაში ჩავარდა და მოსკოვში სწორედ მაშინ დაბრუნდა, როცა ნაპოლეონმა ქალაქი აიღო. 1815 წელს, როცა ფრედერიკას და ვილჰელმს კარლი შეეძინათ, ისინი სანკტ-პეტერბურგში გადასახლდნენ, სადაც ფრედერიკა 1863 წელს გარდაიცვალა.

მოგზაურ ქალთაგან, ქრონოლოგიურად მეორე ინგლისელი ანა ლისტერია (Anne Lister, 1791-1840), რომლის დღიურები უნიკალური არტეფაქტია და მისი კოდიფიცირებული ენის გამო დღემდე თავსატეხია მკვლევართათვის. ანა მთელი ცხოვრების მანძილზე წერდა დღიურს, სადაც საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებას, ეკონომიკურ პრობლემებს, ლესბოსურ ურთიერთობებსა და მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ასახავდა. საქართველოში მოგზაურობას დღიურების ოთხასი გვერდი ეთმობა.

მეცნიერი ვივიენ ინგჰამი/Vivien Ingham ამბობს, რომ ანას დღიურები, საქართველოს შესახებ ცნობების თვალსაზრისით, შეუდარებელი საგანძურია, ოლივერ და მარჯორი უორდროპების წერილებისა და ნაშრომების შემდეგ.

ისტორიკოს დევიდ მ. ლანგის/David M. Lang ცნობით, ანა და მისი თანამგზავრი ენ უოკერი/Ann walker საქართველოში დარიალის ხეობით შემოვიდნენ. თბილისში, გუბერნატორ გოლოვინის მეუღლის წყალობით, თავიანთი მოგზაურობისთვის საჭირო ხალხს დაუკავშირდნენ. დღიურებში ანა მოიხსენიებს ალექსანდრე, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებს, სხვადასხვა სოციალური ფენისა და სტატუსის წარმომადგენლებს, რომლებსაც ადამიანს, ვისაც ის შეხვდა და დაუახლოვდა. იგი ასევე საუბრობს ყოფისა და ურთიერთობების თავისებურებებზე, საქონლისა და პროდუქტების ფასებზე და სხვა მრავალ წვრილმანზე.

მკვლევართა აზრით, ექვსთვიანი მოგზაურობის (1840 წლის თებერვალი-სექტემბერი) შთაბეჭდილებები საინტერესოა მრავალი კუთხით: აქ არის მოგზაურობა და ტოპოგრაფია, არქიტექტურა და არქეოლოგია, კულტურისა და რელიგიის კვლევა, მსჯელობის საგანია სოციალური, ეკონომიკური და სამხედრო საკითხები. ანას მოგზაურობისას ცხელემა შეეყარა და 1840 წლის 22 სექტემბერს ქუთაისში გარდაიცვალა.

ოლივერ და მარჯორი უორდროპების შრომები საქართველოს შესახებ²⁵ და მთელი მათი მოღვაწეობა ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის გარჯის შეუდარებელი მაგალითია. ისინი მრავალი წელი

ემსახურებოდნენ საქართველოს ევროპულ წიაღში დაბრუნებასა და ქართულ-ევროპული დიალოგის განახლებას, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსულმა იმპერიულმა პოლიტიკამ შეაჩერა. ოლივერი 1919-1921 წლებში, პირველ ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბრიტანეთის უმაღლესი წარმომადგენელი იყო.

1888 წელს ოლივერმა გამოაქვეყნა შრომა „The Kingdom of Georgia. Travel in a Land of Women, Wine and Song“. საქართველოს ისტორიისა და პოლიტიკური ვითარების აღწერის პარალელურად, ავტორი ინტერესით აკვირდება ბუნებას, ხალხს, კულტურისა და ენის თავისებურებებს:

„შუადღისას დავტოვეთ ვაზიანი და მალევე ჩავიარეთ გერმანელების აყვავებული კოლონია მარიენფელდი, თავისი სუფთა, კეთილმოწყობილი კოტეჯებით, შფოთიანი ალვის ხეებით. იგი მდინარის კალაპოტთან ახლოს მდებარეობს და ამიტომ ძალიან ნაყოფიერი, გრილი და ზაფხულობით სასურველი ადგილია. მარიენფელდში მისვლამდე ცოტა ხნით ადრე, თელავისკენ მიმავალი გზიდან, უკვე კახეთის მთები დავინახეთ...

ჩვენი ახალი სახლი ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა: დიდი, მაღალი ოთახები, ორი აივანი, გორაკის ფერდობზე გადაჭიმული ვენახები და ბაღები. ხედი იყო ბევრად ლამაზი, ვიდრე მე ოდესმე მინახავს ან წარმომიდგენია. სახლი ღრმა და ვიწრო ხევის თავზე იდგა. ხევის ციცაბო ნაპირებზე, ალაზნის ველამდე, ვაზი და თუთის ხეები იყო გაშენებული“.²⁶

მარჯორი თავის ნარკვევში „Notes of Journey in Georgia in 1894-95“, რომელიც ოქსფორდის ბიბლიოთეკაში ინახება, ევროპელებს აცნობს თბილისს, ქუთაისს, მცხეთას, ბათუმს, სამწერლო და ლიტერატურულ ვითარებას. იგი აღფრთოვანებულია ქართული სტუმარმასპინძლობით, ქართული ცეკვითა და სიმღერით, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის განსწავლულობითა და მისი ქადაგებებით, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და მამია გურიელის ლექსებით, ქალების სამოსითა და გრაციოზულობით. მარჯორის განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს „ვეფხისტყაოსნის“ იდეები, რომლებსაც ის მისი ძმის საშუალებით ეზიარა და ჯერ კიდევ ლონდონში გადაწყვიტა მისი ინგლისურად თარგმნა. ამ პოემის იდეათაგან მას განსაკუთრებით აღაფრთოვანებს თანასწორობის იდეა, გამოხატული ფრაზაში „ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“. მარჯორი საუბრობს თამარ დედოფალზე და მისი მმართველობის პერიოდზე, რომელსაც ეძღვნება რუსთაველის პოემა. სწორედ ამიტომ მარჯორის სჯეროდა, რომ ქართველებისა და ევროპელების დაახლოება აუცილებელი იყო:

„...როგორც, საერთოდ, მთაში მცხოვრებ ხალხს, ქართველებსაც წარმოსახვის ნათელი უნარი აქვთ და ძლიერ უყვართ პოეზია. აქ შეუძლებელია

25. Wardrop Collection. Marjory Scott Wardrop. Mss. Oxford: Oxford Bodleian Library; Wardrop, Marjory Scott. Georgian Folk Tales. 1894; The Life of St. Nino, Oxford, 1900; Wardrop, Marjory Scott. The Man in the Panther's Skin: A Close Rendering from the Georgian Attempted by Marjory Scott Wardrop. London: The Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, 1912; Oliver Wardrop, The Kingdom of Georgia. Travel in a Land of Women, Wine and Song. London: Sampson Low, Marston, & Searle Rivingston, 1888.

26. Oliver Wardrop. The Kingdom of Georgia. Travel in a Land of Women, Wine and Song. London: Sampson Low, Marston & Searle Rivingston, 1888, p. 73.

მოვიხსენიოთ ყველა პოეტი და პოეტი ქალი, რომელთაც სახელი გაითქვეს საქართველოში, მაგრამ ვიმედოვნებ, ინგლისელი საზოგადოება მალე უფრო უკეთ გაეცნობა ამ ხალხის ძველსა და ახალ ლიტერატურას, რომელიც დასავლეთისთვის თითქმის სრულიად უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ყოველთვის დასავლეთისკენ უფრო ისწრაფოდა, ვიდრე აღმოსავლეთისკენ. ჯერ კიდევ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში მათი ახალგაზრდა დიდებულები განათლების მისაღებად საბერძნეთს იგზავნებოდნენ და დღემდე ქართველები განათლების მიღებას დასავლეთში ცდილობენ.

„ივერიის“ გარდა, აქ რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი გამოდის ქართულ ენაზე. ყოველთვიური ლიტერატურული და სამეცნიერო ჟურნალია „კვალი“, სამეურნეო საკითხებს ეძღვნება „მეურნე“, გამოდის საბავშვო ჟურნალი „ჯეკილი“, რელიგიური ჟურნალი „მწყემსი“ და სხვა...“²⁷

მარჯორი სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა ქართველებთან: უგზავნიდა მათ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს და მათგანაც იღებდა მისთვის საინტერესო მასალას, ეხმარებოდა ქართველ ახალგაზრდებს ევროპაში სწავლა-განათლების მიღებაში. მას განუწყვეტელი მიმოწერა ჰქონდა ქართველ მწერალ და საზოგადო მოღვაწე ქალებთან: ანასტასია წერეთელთან, დომინიკა ერისთავთან, ელისაბედ საგინაშვილთან, ოლღა გურამიშვილთან, ტასო მაჩაბელთან, ელენე წერეთელთან, ისევე, როგორც ღვაწლმოსილ მამაკაცებთან: იაკობ გოგებაშვილთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან... მარჯორის ნაადრევმა გარდაცვალებამ საერთო-სახალხო გლოვა გამოიწვია საქართველოში, სადაც მისი და ოლივერის ხსოვნა დღემდე ცოცხალია. ამის დასტურია 2015 წელს საქართველოს პარლამენტის წინ გახსნილი მათი მემორიალური ძეგლი²⁸ აგრეთვე კვლევები, რომლებიც მათ საქართველოში და საქართველოსთვის მოღვაწეობას ეხება, რასაც ამ ისტორიის მცოდნენი ფართოდ ავრცელებენ თავიანთ პუბლიკაციებსა და საჯარო გამოსვლებში.

ბელგიელმა კარლა სერენამ (Caroline Hartog Morgenstein-Serena, 1824-1884) საქართველოში 1876-1878 და 1881 წლებში იმოგზაურა. ბუნება და ყოფა მან არა მარტო სიტყვიერად აღწერა, არამედ საუცხოო ილუსტრაციებიც დაურთო წიგნს, რომელიც 1881 წელს გამოსცა პარიზში.²⁹ პირველი მოგზაურობის შემდეგ, იგი სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს ფრანგულ ჟურნალში „Le Tour du Monde“, მაგრამ საქართველოს ბუნებითა და ხალხით აღფრთოვანებულს, უნდოდა, რომ ევროპელებსაც „დაეთვალიერებინათ“ იგი. ქართველი მეგობრები შესაბამისი ფოტოების გაგზავნას კი დაჰპირდნენ, მაგრამ ეს დანაპირები ვერ შეუსრულეს. ამიტომ კარლამ საგანგებოდ შეისწავლა ფოტოგრაფია ვენაში და 1881 წელს

კვლავ ჩამოვიდა საქართველოში, ისევ მოიარა მისთვის საინტერესო ადგილები და ფოტოები გადაიღო. კარლას ფოტოების მიხედვით ილუსტრაციები სხვადასხვა მხატვარმა მოამზადა.³⁰ მათ შორის ერთ-ერთი იყო ფრანგი მოქანდაკე ქალის, მარსელ ლანსელოს/Marcelle Lancelot მიერ დახატული „გორის რესტორანი“. საბოლოოდ, საუცხოო გამოცემა გამოვიდა. ქართველები ხარობდნენ, როცა კარლას მეგზურობდნენ და როცა მისი მოგზაურობის შესახებ თანამემამულეებს აუწყებდნენ:

„ამ დღეებში ჩვენ გვესტუმრა გამოჩენილი მოგზაური ქალი კარლა სერენა, რომელიც ამ სამი-ოთხი წლის წინედ იყო ჩვენში, კავკასიის გასაცნობად და ასაწერად... ქალბატონი კარლა სერენა, ამ დღეებში აბხაზეთში აპირებს გამგზავრებას და იქიდან დაბრუნების შემდეგ კახეთში წავა... რალა თქმა უნდა, რომ ჩვენი სტუმართ-მოყვარე ხალხი, ამ მხნე ქალს, რომელიც ასე თამამად მოგზაურობს მარტო-მარტო ჩვენს ქვეყანაში, ყოველ შემწეობას აღმოუჩენს იმას და ამით თავის ქვეყანასაც სარგებლობას მოუტანს, რადგან ყოველს შემთხვევაში კარგია, რომ ჩვენი ქვეყანა და ხალხი ევროპამ გაიცნოს“.³¹

არაჩვეულებრივად შთამბეჭდავია კარლა სერენას ენა, მისი ინტერესების პალიტრა, ქართველებისა და საქართველოს მიმართ დამოკიდებულება, რაც თვალნათლივ ჩანს მისი თხრობის სისადავესა და ფოტოების მრავალფეროვნებაში. კარლას აინტერესებს და იგი მკითხველსაც უშურველად აცნობს იმერეთის, აფხაზეთის, სამურზაყანოს, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის ბუნებასა და მეურნეობას, საეკლესიო და საერო შენობების არქიტექტურას, გლეხების სახლებსა და ყოველდღიურ ყოფას, სოფლის სკოლებსა და სასამართლოს, ეკლესიებსა და მონასტრებს, მოცეკვავე და მგლოვიარე ქალებს, ეროვნულ სამოსში გამოწყობილ იმერლებს, მეგრელებს, დიდოელებს, სვანებს, ახალციხელ სომხებს და დუხობორებს.

კარლას წიგნის კითხვისას ჩემთვის სასიამოვნო აღმოჩენა იყო, რომ მან გრემიც მოინახულა და ჯორჯაძეების ოჯახი გაიცნო. ეს არის მწერალი ქალის, ბარბარე ერისთავისა და ზაქარია ჯორჯაძის ოჯახი. სავარაუდოდ, ეს ორი დაუდგრომელი ქალი ერთმანეთს ვერ შეხვდებოდა, რადგან ბარბარე ამ დროს საინგილოშია, მაგრამ მისი ნათესავები კი კარლას უთუოდ უმასპინძლებდნენ.

„...ამ რეგიონის ყველაზე დიდი მამულები – ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ძველ თავადის გვარს, ჯორჯაძეებს ეკუთვნის. ენისელი იმიტაც არის განსაკუთრებული, რომ რეგიონის მთავარი ცხოვრობს არა ორ-სამოთახიან პატარა სახლში, როგორც აქ არის მიღებული, არამედ დიდ აგურის შე-

27. ლეილა თაქთაქიშვილი-ურუშაძე. მარჯორი უორდროპი. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965, გვ. 49.

28. ავტორი – მოქანდაკე ჯუმბერ ჯიქია.

29. Serena Carla. Mon Voyage: souvenirs, Vol. I: De la Baltique a la Mer Caspienne. Paris: 1881.

30. ეს მხატვრები იყვნენ: R. Langlois, E. Ronjat, A. Sorouy, Taylor, H. Clerget, Y. Pranishnikoff, A. Ferdinandus, P. Fritel, E. Burnand, Marcelle Lancelot.

31. გაზეთი „დროება“, 1881, № 220, გვ. 1.

ნობაში, რომელსაც გარს აკრავს კარგად მოვლილი და ყვავილებში ჩაფლული ბაღი... ერთ-ერთი ადგილი, რომელიც მოვინახულე, იყო გრემი. ამ ძველი ქალაქის (რომელსაც ასევე ნოქალაქევსაც უწოდებენ) ნარჩენები, როცა არ უნდა ნახო, ყოველთვის ძალიან შთაბეჭდავია. აშკარაა, ადრე აქ რამდენიმე ბაზარი ყოფილა, დიდი შენობის ნანგრევებზე კი ამბობენ, რომ იქ ოდესღაც აკადემია მოქმედებდა (ამჟამად განათლების მხრივ ერთმნიშვნელოვნად სავალალო მდგომარეობაა)“.³²

1876 წლიდან 1885 წლამდე საქართველოში ცხოვრობდნენ ბერტა ზუტნერი – ავსტრიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში და მისი მეუღლე – არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერი.³³

არტურ ზუტნერი კავკასიისა და საქართველოს შესახებ მრავალი რომანისა და მოთხრობის ავტორია. მას აგრეთვე ეკუთვნის წერილები „ვეფხისტყაოსანზე“, რომლებიც 1884 წელს იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.³⁴

1909 წელს გამოქვეყნებულ „მემუარებში“ ბერტამ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს. აქ არის მისი შთაბეჭდილებები გორდში, ქუთაისში, თბილისსა და ზუგდიდში მოგზაურობაზე, იქაურ ყოფასა და ქართველებზე. სამეგრელოში მათი მასპინძელი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი იყო³⁵. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მემუარებში ბერტა საუბრობს არტურთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაზე, რასაც ისინი დღეში ოთხ საათს უთმობდნენ და აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ რუსთაველის ეპოქისა და კალმის სიდიადის გამო:

„ქართული პოემის თარგმნა კმაყოფილებით გვაკმაყოფილებდა. ჩვენ წინაშე გადაიშალა უკვე განვლილი მე-13 საუკუნის სამყარო ამ შორეულ მხარეში. ეს იყო ეპოქა, რითაც ამაყოფილებს ქართველები, რადგან ამ დროს ქვეყანაში ოქროს ხანა სუფევდა – ეპოქა, როცა დიდი დედოფალი თამარი მართავდა საქართველოს, შოთა რუსთაველი გალობდა მის კარზე, უმღეროდა მის დიდებას, მის ძალას, მის სილამაზეს.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩვენეული თარგმანი არ დაიბეჭდა, მაგრამ ჩვენ არ გვინანია ის დრო, რაც ამ სამუშაოზე დაგვეხარჯა. ყოველივე ამის მეშვეობით და იმ მონათხრობითაც, რითაც გვამდიდრებდა ჩვენი ქართველი პატრიოტი (**მასპინძელს – მწერალ იონა მეუნარგიას – გულისხმობს. – ლ. გ.**), ჩვენ შევადგინეთ ქართველი ხალხისა და ამ მომავადობეული ქვეყნის არ-

32. Excursions In The Caucasus From The Black Sea To The Caspian Sea: 1875-1881, by Mme Carla Serena, Narikala Publications, 2016, p. 151-152.

33. Bertha Felicitas Sophie Freifrau von Suttner, ქალიშვილობის გვარი Kinsky, 1843-1914.

34. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, წიგნი 1. თბილისი: 1976, გვ. 154-173.

35. ეკატერინე მასპინძლობდა და იცნობდა ანა ლისტერსაც და კარლა სერენასაც. კარლა თავის წიგნში სპეციალურ თავს უთმობს ამ ოჯახს და მის ისტორიას. ბერტამ ასევე გაიცნო ეკატერინეს ძმის, დავითის, ქალიშვილი თამარი, რომელსაც ბერტა და არტური თბილისშიც ესტუმრნენ.

სსა და სულში, მის ისტორიასა და ლიტერატურაში, სადაც ამდენი ხანი დავყავით“.³⁶

ბერტამ და არტურმა გაიცნეს სამეფო და სხვა წარჩინებული ოჯახების წარმომადგენლები: ორბელიანები, წერეთლები, ბაგრატიონები, ჭავჭავაძეები. ბერტა ასევე კმაყოფილია იმითაც, რომ ქართველების ზნე-ჩვეულებებს, ბუნების თავისებურებებსაც ჩასწვდნენ, რადგან დიდი ინტერესით დადიოდნენ ქორწილებში, სატირალში და ნათლობებზე.

მოგონებების დასასრულს ბერტა აღნიშნავს, რომ, მიუხედავად საქართველოში გატარებული დაუვიწყარი წლებისა, სამშობლოში დაბრუნების მოახლოებას ცოლ-ქმარი გულის ფანცქალით ელოდებოდა.

იმ უამრავ მოგზაურს, მკვლევარსა და მთამსვლელს შორის, რომლებიც საქართველოს ეწვივნენ, გამორჩეულია ავსტრიელი მთამსვლელის, ცენცი ფონ ფიკერის (Creszentia von Ficker-Sild, 1878-1956) ჩამოსვლა. იგი თავის ძმასთან – ჰაინრიხ ფონ ფიკერთან – ერთად მონაწილეობდა 1903 წელს ვილი რიკმერ-რიკმერსის მიერ ორგანიზებულ ექსპედიციაში, რომელიც უშბის სამხრეთი მწვერვალის დაპყრობით დაგვირგვინდა. ამ მოვლენის შემდეგ ცენცი ფიკერს „უშბა-გოგონა“ (Uschba-Mädel) შეარქვეს, ხოლო თათარხან დადემქელიანმა მას სიმბოლურად აჩუქა უშბა. ეს არის ტექსტი, რომლითაც ეს ჩუქება გაფორმდა:

„მე, თავადი თათარხან დადემქელიანი, დღეს ვჩუქნი ინსბრუკელ ფროილაინ ცენცი ფონ ფიკერს, როგორც საკუთრებას, უშბის მთას. ეს არის ასტრონომიული პუნქტი 160 19' 25'' 89/430 7' 34'' 62 და რაც ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით ტოპოგრაფიული თვალსაზრისით ამ მთა-ინდივიდუუმს მიეკუთვნება. ეცერი, სვანეთი. 12/25 ივლისი 1903.

ჩუქების სიგელი, რომლის თანახმადაც თავადი თათარხან დადემქელიანი ეცერიდან ტიროლელ ქალიშვილს ცენცი ფონ ფიკერს უშბის მთას საკუთრებაში გადასცემს, მომზადდა ქვემოთ ხელისმომწერ მოწმეთა თანდასწრებით, [და] თავად თათარხან დადემქელიანის მიერ იქნა ხელმოწერილი და მისივე ბეჭდით დადასტურებული. ეცერი, 12/25 ივლისი 1903.

ვილი რიკმერ-რიკმერსი

ჰუბერტ ვაგნერი

ჯონ ჰარისონ ვიგნერი

ფრანც შეკი

დემეტი გერლიანი

ზურაბ გურჩიანი

თათარხან დადემქელიანი“.³⁷

36. Bertha von Suttner. Memoiren. Bremen: Carl Schunemann Verlag, 1965, S. 117-120.

37. უშბის ჩუქების დოკუმენტის ტექსტი თარგმნილია Deutsche Alpenverein-ის საარქივო დოკუმენტის მიხედვით, თარგმნა ლევან ბრეგაძემ.

ვინ იცის, სვანეთსა და მთელ საქართველოში რამდენი გოგონა შთააგონა ცენცის მაგალითმა, მის მიერ უშბის დაპყრობამ. ქართული ალპინისტური სკოლის ფუძემდებელი, ქართველი ქალი ალპინისტი, ალექსანდრა ჯაფარიძე, ამ დროს 7 წლის იქნებოდა და, სავარაუდოდ, ამ ამბავს ისიც შეიტყოდა. ალექსანდრა უშბაზე 1934 წელს, 39 წლის ასაკში ავიდა, მისი წინამორბედი ცენცი კი 1903 წელს 25 წლის იყო.

ალექსანდრას ძმა, სიმონი, 1923 წელს, თეთნულდზე ასვლისას დაიღუპა. სწორედ მას მიუძღვნა ალექსანდრამ უშბაზე ასვლა. მასთან ერთად იყვნენ მთამსვლელები: ალიოშა ჯაფარიძე, იაგორა კაზალიკაშვილი და გიო ნიგურიანი. მწვერვალამდე სულ ცოტა მანძილი იყო დარჩენილი, როცა დაღამდა და ღამის გასათევი ადგილი კი მხოლოდ ერთი ადამიანისთვის იყო საკმარისი. ალექსანდრამ ნაბადში გახვეულმა და თოვზე დაკიდებულმა გაათია ღამე, ხოლო მამაკაცები უკან დაეშვნენ და დილით ამობრუნდნენ. ალექსანდრას მოგონება, ამ ექსპედიციასთან დაკავშირებული, დიდი საჩუქარი იქნებოდა ცენცისა და უშბასთან შერკინებული ყველა მთამსვლელისთვის:

„...ჩანდა ყველა მწვერვალი, თითქოს ხელს გავიწვდიდი და იალბუზის შეხებას ვიგრძნობდი. ღამე სულ სხვაგვარად ბრწყინავდნენ ბროლის კოშკით აღმართული ყინულოვანი ქედები. ზევით უშბა იყო და მე უკვე ვიცოდი, რომ ხვალ ჩვენ, ყველანი, მწვერვალზე ავიდოდით და გაცოცხლდებოდა სიმონის ოცნება. ეს ასვლაც მის ხსოვნას ეძღვნებოდა. აქ, ამ უფსკრულში გებადება ნამდვილი პატივისცემის გრძნობა იმის მიმართ, ვინც პირველმა შეხება უშბას, ვინც ავიდა ან იფიქრა მასზე ასვლა“.³⁸

1940 წელს ალექსანდრა მონაწილეობდა ურთულეს ტრავერსში ცენტრალურ კავკასიონზე, რომელიც 22 მწვერვალზე (მათგან თერთმეტი ურთულესი კატეგორიის იყო) ასვლას გულისხმობდა. ალექსანდრა პირველი ალპინისტი ქალია მსოფლიოში, ვინც ამ კატეგორიის ექსპედიცია დაძლია.

1945 წელს ალექსანდრას მისმა საყვარელმა უშბამ მეორე ძმა, ალიოშა „წაართვა“. მაგრამ მისი სული მაინც განაგრძობდა ძიებას. 1948 წელს მყინვარწვერის კალთაზე მდებარე ბეთლემის გამოქვაბულის ექსპედიციას უხელმძღვანელა და ისტორიას დაუტოვა იქ ნაპოვნი მე-13 საუკუნის უნიკალური ნივთები.

ალექსანდრამ თავის მეგობართან და თანამოაზრესთან, მზია ერისთავთან, ერთად მრავალი წელი შეაღია ახალგაზრდების აღზრდასა და ალპინიზმით დაინტერესებას. იგი დაუღალავად უზიარებდა მათ საკუთარ გამოცდილებას და დაატარებდა ექსპედიციებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

38. ეკა აღდგომელაშვილი. ალექსანდრა ჯაფარიძე. ჰაინრიხ ბიოლის ფონდის (HBS) პროექტი „50 ქალი საქართველოდან“, იხ. <http://www.feminism-boell.org/ka/2014/06/13/aleksandra-japarize>

ალექსანდრა 1974 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, ვერის ბაღში თავისი ძმების გვერდით.

საფრანგეთში კაპიტანმა გრიგოლ წერეთელმა ჰოლანდიელი მწერალი ქალი ოდეტ კენი გაიცნო.³⁹ ეს ნაცნობობა თანდათან დიდ მეგობრობასა და სიყვარულში გადაიზარდა, რამაც ოდეტის გულში საქართველოსადმი ინტერესი გააღვივა.

1920 წელს ოდეტი საქართველოში ჩამოვიდა. იგი შეხვდა პროფესორებს: აკაკი შანიძეს, ექვთიმე თაყაიშვილს და სხვებს. სწორედ მათი რჩევით დაგეგმა ოდეტმა მოგზაურობის მარშრუტი. ოდეტის მეგზურები იყვნენ დავით ჭავჭავაძე და გრიგოლ წერეთელი.

ოდეტმა მოინახულა კახეთი, გურია, ფშავი, ხევსურეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო და ზემო სვანეთი, ახალციხე. მისი ინტერესიანი თვალი და შეყვარებული გული ხარბად ეწაფებოდა ქართული კულტურის ძეგლების (ალავერდი, ზარზმა, ნიკორწმინდა, ბაგრატის ტაძარი, ერეკლე მეფის სასახლე) ისტორიას. იგი მოხიბლული იყო თბილისის, თელავის, ქუთაისის ხალხმრავალი ბალებით, სავაჭრო ადგილებით და რეფორმებით, რაც ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის რეგიონებში შეინიშნებოდა:

„...ქვემო სვანეთში უკვე გარკვეული პროგრესი იგრძნობა. მენშევიკური ხელისუფლება უკვე აგზავნის ექიმებს გარკვეულ ცენტრებში და ისინიც ანათლებენ სოფლის დასახლებებს: არიგებენ მედიკამენტებსა და ჟურნალ-გაზეთებს. თუმცა ძალიან ძნელია მასწავლებლის მოძიება, ვინც აქ თავს დაიმარხავს...“⁴⁰.

მწერალი ქალი, რომლისთვისაც ქალების პოლიტიკური მონაწილეობის იდეა ცნობილი და ახლობელია, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულების – „ეროების“ და პარლამენტის არჩევნებში ქალები და მამაკაცები თანასწორად მონაწილეობდნენ და ხმის უფლება ორივე სქესის მოქალაქეებს გარანტირებული ჰქონდათ.

დავით ჭავჭავაძის (რომელსაც Dodi-დ მოიხსენიებს) შესახებ საუბრისას, ოდეტი ამბობს:

„...Dodi, ლეიტენანტი თავადი დავით ჭავჭავაძე... საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XIII-ის შვილთაშვილია და იმ ცნობილი პრინცესას შთამომავალი, რომელიც შირაზის ემირის, შამილის, მიერ რუსეთის წინააღმდეგ ეპიკური ბრძოლის დროს მძევლად აიყვანეს...“⁴¹.

39. Odette Zoé Keun, 1888-1978.

40. Odette Keun. Au Pays de la Toison D’or (En Georgie mencheviste independante). Paris: Ernest Flammarion, 1923, p. 266.

41. Odette Keun. Au Pays de la Toison D’or (En Georgie mencheviste independante). Paris: Ernest Flammarion, 1923, p. 10.

აქ ჩანს, რომ ოდეტმა იცის 1857 წელს პარიზში გამოცემული ანა დრანსეს წიგნი „Les Otages de L’Imam“.⁴² მასში 1854 წლის ლექების კახეთზე დაცემის ამბავია აღწერილი: დავით ჭავჭავაძის ოჯახის ტყვედ ჩავარდნა, ტყვეთა ცხოვრება იმამ შამილის სერალში და შემდეგ მათი გამოსყიდვა. ანაც დაატყვევეს, რადგან იგი ამ დროს დავითის შვილების გუვერნანტი იყო.

ანა დრანსე დაწვრილებით გადმოგვცემს გატაცების ამბავს, თავდამსხმელთა სისასტიკეს, ურთულეს გზას აულამდე, იქაურ ყოფას, განთავისუფლების პროცესს.

როგორც ჩანს, ფრანგი ქალის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა შამილის ცოლების ერთმანეთთან და მეუღლესთან ურთიერთობა მეტადრე მესამე ცოლს, ქისტ ამინეთს, თანაუგრძნობდა:

„...შამილი დიდად ცდილობს ცოლთა შორის თანასწორობა დაამყაროს და მაინც მათ შორის ამინეთი ყველაზე ნაკლებად არის ბედნიერი – ძალიან ბევრის ატანა უხდება. იმამის სახლში არყოფნისას ზაიდეთი მეტად მკაცრად ეპყრობა: წამდაუწუმ ეჩიჩინება, გულს უწყალებს, ავალებს ძალზე უხემ საქმესაც კი. ამინეთი საერთო სამზარეულოში ზელს და აცხობს პურს, და ეს მაშინ, როცა ამას არ აკეთებს არც ზაიდეთი და არც შუანეთი. საბედნიეროდ, ქისტის ქალს შრომას უმსუბუქებს დედამისი – ნანანი, რომელიც მზარეულთუფროსია და სამზარეულოს განაგებს“.⁴³

დავითმა ოდეტი წინანდალშიც ჩაიყვანა, სწორედ იმ მამულში, საიდანაც ლექებმა მისი წინაპრები და ანა დრანსე გაიტაცეს.

შთაბეჭდილებებით დატვირთული ოდეტი ემშვიდობება ქართველებს და თავის განზრახვასაც უმხელს მათ: საქართველოს შესახებ პარიზში წიგნის გამოცემა და მანამდე კი – თავისი ამ ნაშრომისთვის დამატებითი ცნობების მოგროვება აქვს გადაწყვეტილი. სამ წელიწადში, 1923 წელს, ერნესტ ფლამარიონმა გამოსცა ოდეტ კენის „ოქროს საწმისის ქვეყანაში: მოგზაურობა მენშევიკურ დამოუკიდებელ საქართველოში“, რომელიც 1924 წელს ინგლისურად ითარგმნა.

ამ დროს საქართველოში უკვე წითელი ტერორი მძვინვარებს. ბოლშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ ყველას, ვინც მათ რეჟიმს მხურვალედ არ მიესალმა და 1938 წელს ოდეტის მეგობარი გრიგოლ წერეთელიც დახვრიტეს.

ახლა, როცა ამ ჩემს სტატიას ვამთავრებ და ოდეტის წიგნის წინასიტყვაობას ვკითხულობ, მისი სიტყვებიდან თითქოს უცნაური წინათგრძნობა გამოსჭვივის – დაკარგული თავისუფლების ხელახლა მოპოვებისთვის სამომავლო ბრძოლების მაუწყებელი წინათგრძნობა:

42. ანა დრანსეს (Anna Drancey, 1832-1964) წიგნი 1978 წელს ქართულად გამოიცა სათაურით „შამილის ტყვე ქალები“, მთარგმნელი – მურმან თავდიშვილი. რუსულად ეს წიგნი 1858 და 1859 წლებში გამოვიდა. 1859 წელს წიგნის ქართული თარგმანი დაუსრულებია ივანე კერესელიძეს, თუმცა არ დაუბეჭდავს.

43. ანა დრანსე. შამილის ტყვე ქალები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1978, გვ. 79.

„...1921 წლის თებერვალში, დაახლოებით ორი კვირის თავზე მას შემდეგ, რაც პარიზში საერთაშორისო კონფერენციამ საქართველო დე იურე აღიარა, რუსი კომუნისტების მეთაურობით წითელი ჯარები შემოიჭრნენ საქართველოში. მენშევიკურმა მთავრობამ რამდენიმე დღეს გაძლო დედაქალაქ თბილისში, რომლის მისადგომებთანაც ლამაზად მოკვდა საქართველოს სამხედრო სკოლა.

შემდეგ მთავრობა ქალაქ-ქალაქ გაედინა ბათუმისკენ – შავი ზღვისკენ, და სადღაც მარტის დასასრულისთვის დატოვა ეს პორტი და კონსტანტინეპოლისკენ წავიდა. ქართული ჯარი, რომელსაც ძალიან აკლდა კადრები, იარაღი, დემორალიზებული იყო მთავრობის გაქცევის გამო და თბილისთან საომარი მოქმედებების შემდეგ თითქმის აღარ იბრძოდა რიცხოვნობით ბევრად აღმატებულ მტერთან; და საქართველოც მოსკოვს დაქვემდებარებულ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა.

...რუსული ბოლშევიზმი მყარდება ამ დიდებულ, ლიბერალურ, მომავადოებელ და ყოველთა შორის რაინდულ ქვეყანაში, რომლის ხალხი უმწიკვლოა და რომელიც სხვებზე მეტადაც იმსახურებს ბედნიერებას. იგი ძალიან ღრმადაა ჩემს გულში...“.⁴⁴

უცნაურია, როგორ ვერ შეხვდა ოდეტი კატო მიქელაძეს?! ქართველ ფემინისტს, რომელმაც 1914 წელს ბრიუსელის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაამთავრა და საქართველოში ქალებისთვის ხმის უფლების მინიჭებისთვის იბრძოლა. კატო რამდენიმე წელი პარიზშიც ცხოვრობდა.⁴⁵

კატო მიქელაძეს დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პარლამენტში, 1919 წელს, 130 დეპუტატიდან 5 (3,8%) ქალი იყო: მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ელენორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე, ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე, ანა სოლოლაშვილი. მათგან რეპრესიებს მხოლოდ ქრისტინე გადაურჩა და ისიც იმიტომ, რომ ბიბლიოთეკას შეაფარა თავი და მთელი ცხოვრება ჩუმად, წარსულის გახსენების შიშით შეპყრობილი, ქართული ისტორიულ დოკუმენტებსა და ხელნაწერებს სწავლობდა.

კატო მიქელაძე 1942 წელს უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა, ხოლო მის დაკრძალვას სულ რამდენიმე მეგობარი დაესწრო. კატოს საფლავი დაკარგულია.

საქართველოში თანასწორუფლებიანობის იდეის განხორციელებაში დიდი როლი შეასრულეს ევროპაში განათლებულმა ქალებმა: ეკატერინე მელიქიშვილმა, ეკატერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძეებმა, ანასტასია

44. Odette Keun. Au Pays de la Toison D’or (En Georgie mencheviste independante). Paris: Ernest Flammarion, 1923, p. 7.

45. კატო მიქელაძის ევროპაში სწავლა დააფინანსეს ქართველმა მეცენატებმა: პეტრე ზუბალაშვილმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა და გერმანელმა ეკატერინა რაიზერმა/Ekaterina Reiser.

თუმანიშვილმა და სხვებმა, რომელთაც დაინახეს ამ იდეის სარგებელი საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. ყველა მათგანი საკუთარი მაგალითითა და დაუღალავი შრომით ამ იდეას ემსახურებოდა და ამკვიდრებდა.

ემანსიპაციის, თავისუფლების, დემოკრატიისა და განვითარების იდეებს არანაკლები ამაგი დასდეს ევროპელმა ქალებმა, რომელთა შესახებაც ზემოთ გიამბეთ. ევროპელებისთვის საქართველოსა და ქართველების გაცნობით ისინი ბიძგს აძლევდნენ და აღრმავებდნენ ქართველებისა და ევროპელების დაახლოების პროცესს.

თანამედროვე საქართველოს მოქალაქე ქალებისთვის ქართულ-ევროპული დიალოგის ეს HER-story საამაყო და შთამაგონებელია, რადგან იგი ფიზიკური და სულიერი საზღვრების გადალახვის, შემეცნებისა და ცოდნის ახალი სივრცეების აღმოჩენის მაგალითს გვაძლევს. ეს მაგალითი კი შთაგვაგონებს, რომ არ ჩავიკეტოთ ერთ სივრცეში, ერთმანეთს ხმა მივაწვდინოთ, მოვუსმინოთ, გავუგოთ და ნელ-ნელა მოვაახლოოთ კულტურული პოლიფონიის ეპოქა ჩვენთვის და ყველა ადამიანისთვის.

აღდგომელაშვილი, ე. „ალექსანდრა ჯაფარიძე“, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის (HBS) პროექტი „50 ქალი საქართველოდან“, იხილეთ: <http://www.feminism-boell.org/ka/2014/06/13/aleksandra-japarize>

ბაგრატ ბატონიშვილი, 1818. „წიგნი შესამზადებელი სანოვაგეთა მზუარეულთაგან“, სანკტ პეტერბურღი.

ბაგრატიონი, ვ. 1997. „საქართველოს გეოგრაფია“, თბილისი.

გაბიანი, ს. 2003. „გაჭირვებამ მათქმევინა“. ქუთაისი.

გაფრინდაშვილი, ლ. „ბარბარე ჯორჯაძე, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის (HBS) პროექტი „50 ქალი საქართველოდან“, იხილეთ: <http://www.feminism-boell.org/ka/2014/06/13/aleksandra-japarize>

გოგებაშვილი, ი. 1912. „საქართველოს მთები და ქარები“, ბუნების კარი, თბილისი.

გორგილაძე, რ. 2012. „კერძთაყვანისცემა, კულინარიული მოგზაურობა დროსა და სივრცეში“, თბილისი.

დემურია, მ. 1895. „მოგონება“, ივერია (91).

დრანსე, ა. 1978. „შამილის ტყვე ქალები“, საბჭოთა საქართველო, თბილისი.

დროება, 1881 (220).

ერისთავი, რ. 1884. „ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“, ტფილისი.

თაქთაქიშვილი-ურუშაძე, ლ. 1965. „მარჯორი უორდროპი“, ლიტერატურა და ხელოვნება, თბილისი.

რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976. წიგნი 1.

ცისკარი, 1861 (1).

ჯორჯაძე, ბ. 1874. „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი“, ტფილისი.

ჯორჯაძე, ბ. 1914. „სრული სამზარეულო, შედგენილი კნ. ბარბარე ჯორჯაძის მიერ“, თბილისი.

ჯორჯაძე, ბ. „გამომშვიდობება და ჩემი ანდერძი“, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ბარბარე ჯორჯაძის არქივი, ხელნაწერი №9974.

ჯორჯაძე, ბ. 1988. „რჩეული თხზულებანი“, საბჭოთა საქართველო, თბილისი.

ჯორჯაძე, ბ. 1893. „ორიოდ სიტყვა ცმაწვილ კაცების საყურადღებოდ“, კვალი (16).

Keun, O. 1923. „Au Pays de la Toison D’or , En Georgie Menchevistelindependante“, Paris, Ernest Flamariion.

Rustaweli, Sh. 1889. „Der Mann im Tigerfelle“, E. Pierson, Dresden.

Serena, C. 2016. „Excursions In The Caucasus From The Black Sea To The Caspi-an Sea: 1875 – 1881“, Narikala Publications.

Von Freygang, F. 1823. „Letters from the Caucasus and Georgia: To Which Are Added The Account of a Journey into Persia in 1812 and an Abridged History of Persia Since the Time of Nadir Shah“, London.

Von Suttner, B. 1965. „Memoiren“, Carl Schunemann Ferlag, Bremen.

Wardrop, O. 1888. „The Kingdom of Georgia. Travel in a Land of Women, Wine and Song“, London, Sampson Low, Marston,& Searle Rivingston.



საქართველოს ბუნება, ევროპელთა თვალთ დანახული

ლევან ბრეგვაძე

წინათქმა

დასავლეთევროპული ლიტერატურის მკვლევარი ქალბატონი ნატალია ორლოვსკაია წიგნში „საქართველო XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის ლიტერატურებში“ წერს:

„საქართველოს ბუნება, მისი ლანდშაფტის მშვენიერება შედარებით ნაკლებად აისახა XVII-XVIII სს. ევროპულ ლიტერატურაში. საქართველოში ჩამოსული ადამიანები მეტისმეტად დაკავებულნი იყვნენ თავიანთი საქმეებით და ვერ იცლიდნენ ბუნების მშვენიერებით დასატკბობად [...]. მოგზაურებს უფრო ის აინტერესებდათ, რაც უშუალოდ ადამიანთა ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული: მათი საცხოვრებელი, ტანსაცმელი, გარეგნობა“.¹

ჩვენი აზრით, იმის მიზეზებზე საუბრისას, თუ რატომ იჩენდნენ საქართველოში მე-17-მე-18 და უფრო ადრეულ საუკუნეებში ჩამოსული ევროპელები ბუნების მიმართ ნაკლებ ინტერესს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბუნების ესთეტიკური აღქმის დრო ჯერ არ დამდგარიყო. ბუნებას ესთეტიკური თვალსაზრისით პირველად რომანტიკოსებმა შეხედეს. ბუნების მიმართ ევროპელების ყურადღება ჟან-ჟაკ რუსომ გაამახვილა და ბუნების ესთეტიკური ათვისება რომანტიკოსებმა მისგან შთაგონებულებმა დაიწყეს. ევროპული ლიტერატურის ჩინებულად მცოდნის, გიორგი ნადირაძის (1902-1960), სიტყვით, „შესაძლოა, მხატვრული შემოქმედების ისტორიაში ბუნების გრძნობა არც არასოდეს ყოფილა ისე მდიდარი და ინტენსიური, როგორც რომანტიკოსთა თაობაში. [...] „ლანდშაფტს უნდა განიცდიდე როგორც საკუთარ სხეულს [...]“, – წერს ნოვალისის თავის ფრაგმენტებში“.²

მე-19 საუკუნიდან ვითარება ამ მხრივ ძირეულად შეიცვალა. საქართველოში მოხვედრილი ევროპელები უკვე დიდი ყურადღებით ეკიდებიან ბუნებას, აღწერენ უნიკალურ პეიზაჟებს, ადარებენ მათ სილამაზით განთქმული სხვა ქვეყნების ლანდშაფტებს, ეძებენ მსგავსება-განსხვავებებს მათ შორის, ცდილობენ სხვებსაც გადასდონ საქართველოს ბუნების ხილვით გამოწვეული თავიანთი აღტაცება.

1. Орловская, Наталья. Грузия в литературах Западной Европы XVII-XVIII веков. Тбилиси: Издательство ТГУ, 1965, с. 40.

2. ნადირაძე, გიორგი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო. თბილისი: გამომცემლობა „საარი“, 2010, გვ. 108.

ამ ნაშრომში ევროპელ მოგზაურთა თვალით შევხედავთ ჩვენებურ პეი-
ზაჟებს, რომლებიც უხვად არის წარმოდგენილი საქართველოში მოგზაუ-
რობის ამსახველ მათ წიგნებში. გამოვიყენებთ აგრეთვე გასული საუკუნის
პირველ მეოთხედში თბილისში გამოცემული გერმანული გაზეთის „კაუკა-
ზიშე პოსტის“ („Kaukasische Post“) ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებ-
საც, რათა წარმოვადგინოთ ნათელი სურათი იმისა, თუ როგორ აღიქვამენ
ევროპელები, სტუმრად მოსულნი თუ აქ დამკვიდრებულნი, საქართველოს
ბუნებას, რა ზემოქმედებას ახდენს იგი მათზე.

მიწიერი სამოთხე... ზღაპრული ქვეყანა...

ჯადოსნური შთაბეჭდილება

„ჩვენი ღვთივკურთხეული ქვეყანა“ („...unser gottgesegnetes Länd-
chen...“), ასეა მოხსენიებული საქართველო კავკასიელ გერმანელთა
გაზეთის „კაუკაზიშე პოსტის“ 1920 წლის 13 მაისის ნომერში დაბეჭდილ
ხელმოწერელ სარედაქციო სტატიაში, რომლის სათაურია „შავი ზღვა“.³
ეს იმ გერმანელების გაზეთია, რომელთა წინაპრები 1818 წლიდან დამ-
კვიდრდნენ კავკასიაში, თუმცა თავიდან მათი გერმანიიდან გამომგზავ-
რების მიზანი პალესტინა იყო, მაცხოვრის საფლავთან ახლოს ცხოვრე-
ბის სურვილით იყვნენ შეპყრობილნი. ეს განზრახვა, მიზეზთა და მიზეზთა
გამო, ვერ აისრულეს, მაგრამ დიდად უკმაყოფილონიც არ დარჩენილან
საქართველოში დასახლებით, რასაც ზემოთ დამოწმებული ფრაზაც მოწ-
მობს.

და ეს არც იყო მოულოდნელი: ერთ-ერთი პირველი სიტყვა, რაც ევრო-
პელ მოგზაურებს ახსენდებათ საქართველოს ბუნების ხილვისას, არის
სამოთხე. მაგალითად, გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი (Arthur Leist,
1852-1927), რომელსაც საქართველო მეორე სამშობლოდ ექცა (1885
წელს დამკვიდრდა თბილისში, აქვე გარდაიცვალა და აქვეა დაკრძალუ-
ლი), თავისი წიგნის „საქართველო. ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეო-
ბა“ (1885) პირველივე გვერდებზე ლაპარაკობს „ბათუმის **სამოთხისებურ**
გარემოზე („Batums paradiesischer Umgegend“),⁴ ხოლო მატარებლით
სურამის უღელტეხილს მიახლოებული ასეთ შეფასებას აძლევს იმას, რა-
საც ირგვლივ ხედავს: „ვისაც თვალი აქვს, დაინახოს, ვისაც გული აქვს,
განიცადოს ნეტარება ამ დიდებულებისაგან, ვინაიდან შეუდარებელი
სამოთხე წარმოუდგება აქ მხერას!“.⁵ იგივე არტურ ლაისტი მოთხრობა-
ში, რომლის სათაურია „ვარო“, ამგვარად აცნობს გერმანელ მკითხველს
ჭიათურის სანახებს: „მთელი იმერეთი ბაღს მოგვაგონებს, მაგრამ აქ, ზე-

მო იმერეთში, თავი **სამოთხეში** გეგონება. მიწის ყოველი მტკაველიდან
სიმწვანე აღმოიფრქვევა, გარშემო მთებია, მჩქეფარე ნაკადულები ხმაუ-
რით მოიკვლევენ გზას ბარისკენ, და ამ დიდებულ პეიზაჟს თავზე დაჰნა-
თის ლაჟვარდოვანი ზეცა“.⁶

ედუარდ იუონი (Eduerd Juon, 1874-1959), სწავლული მეტალურგი და ოფი-
ცერი, რომელმაც ერთი წელი დაჰყო გურიაში მე-20 საუკუნის დამდეგს
(ამ ადამიანზე უფრო მეტს ქვემოთ ვიტყვით), წერს:

„შავი ზღვისკენ დაქანებული კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალ-
თებზე მდებარე გურია **სამოთხისებური** ქვეყანაა. [...] მზის ქვეყანაა და
მზგამჯდარი და გაღულუნებული ჩანს არა მარტო ველები და ტყეები,
მსუბუქად ნაგები სახლები და ბაღები იდილიურ სოფლებში, არამედ,
უპირველეს ყოვლისა, ამ ქვეყნის მოსახლეობა“.⁷

ბარონი დე ბაი (Amour-Auguste-Louis-Joseph Berthelot, baron de Baye,
1853-1931), ფრანგი სწავლული, არქეოლოგი და მოგზაური, დიდად მოყ-
ვარული საქართველოსი, უცხოელ მკითხველს ასე აცნობს აფხაზეთს სა-
ქართველოს ამ კუთხის შესახებ 1904 წელს გამოცემულ წიგნში:

„მას შემდეგ, რაც იმოგზაურებთ აფხაზეთში, სადაც კომფორტი არ არ-
სებობს, და საღამოს ჩამოხვალთ გაგრაში, ფერიების ქვეყანაში (au pays
des féés), თავი აღმოსავლურ **სამოთხეში** (en un paradis oriental) გეგო-
ნებათ. ახალი ორიგინალური შენობები ელექტრონის შუქს აფრქვევენ
მთვარის სინათლეზე მოლაპლაპე ზღვასთან. ჩრდილები ადიდებს პალ-
მებსა და ეგზოტიკურ ხეებს, თბილი ატმოსფერო ყვავილების დამატრო-
ბელ სურნელს გამოყოფს“.⁸

საქართველოს ბუნების აღსაწერად უცხოელები ხშირად იყენებენ აგ-
რეთვე ეპითეტს **„ზღაპრული“**. ბათუმიდან თბილისისკენ მატარებლით
მიმავალი არტურ ლაისტი ასე ხატავს ლამის პეიზაჟს:

„მატარებელი წინ მიიწევს დაბლობზე, რომელიც კვლავაც ლამაზია, მაგ-
რამ უკვე საღამოვდება, ოღონდ არა ისე ნელ-ნელა, როგორც ჩვენთან
ჩრდილოეთში იცის, არამედ სწრაფად [...]. მერე მთვარე ამოიწვერება
შორეული მთების თავზე და მისი ვერცხლისფერი შუქი გადმოელვრება
ამ **ზღაპრულ** სამყაროს (Märchenwelt) და მთები და ველები კვლავ ჯა-
დოსნურ ნათელში გაეხვევიან“.⁹

6. Leist, Arthur. „Waro“. Kaukasische Post, 1908. 25.03 (07. 04), № 41a: S. 5.

7. Juon, Eduard. „Ein Jahr im aufständischen Gurien“. Kaukasische Post, 1907.16 (29). 09, № 14. S. 12.

8. დე ბაი, ჟოზეფ. საქართველოში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარე-
ბი დაურთო ლეილა მალრაძემ. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2011, გვ. 134. შდრ.
Baron de Baye. En Abkhasie. Paris: 1904, p. 44..

9. Leist, Arthur. Georgien. Natur, Sitten und Bewohner. Leipzig: Verlag Friedrich, 1885, S. 8-9.

3. „Das Schwarze Meer“. Kaukasische Post, 1920. 13. 05, №38, S. 4.

4. Leist, Arthur. Georgien. Natur, Sitten und Bewohner. Leipzig: Verlag Friedrich, 1885, S. 2.

5. იქვე, გვ. 7.

ინგლისელ მწერალს, მარჯორი უორდროპსაც (Marjory Wardrop, 1869-1909), რომელსაც მის დიპლომატ და ლიტერატორ ძმასთან, ოლივერ უორდროპთან (Oliver Wardrop, 1864-1948), ერთად უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ლიტერატურის (მათ შორის „ვეფხისტყაოსნისა“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“) ინგლისურად თარგმნა-გამოცემასა და, საზოგადოდ, ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციის საქმეში მსოფლიო მასშტაბით, ბათუმიდან თბილისისკენ მატარებლით მიმავალს სწორედ ეს ეპითეტი – ზღაპრული – მოსდის თავში საქართველოს ბუნებაზე საუბრისას:

„მატარებელი ბათუმიდან ტიფლისში ზოზინით მიდიოდა. მაგრამ ტურისტისთვის ეს უფრო მისასალმებელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე – დასანანი, რადგან გეძლეოდა საშუალება გენახა ლამაზი ბუნება, რომელიც თანდათან გეშლებოდა თვალწინ. ცა ნელა იწმინდებოდა და ჩვენ წინაშე ამ შესანიშნავი ქვეყნის **ზღაპრული** სურათი იხატებოდა“.¹⁰

სწორედ ზღაპრებში გვხვდება ხოლმე ისეთი ჯადოსნური ბალები, სადაც წელიწადის დროები ერთად არის წარმოდგენილი: ხეხილის ნაწილი ყვავის (გაზაფხული), ნაწილს სიმწიფეში შესული ხილი ასხია (ზაფხული), ხოლო ზოგიერთი ხიდან გადამწიფებული ნაყოფი თავისით ცვივა ძირს (შემოდგომა). აი ამის მსგავსი ვითარება უხილავს მარჯორი უორდროპს ზემოაღნიშნული მოგზაურობისას:

„ბუნებას მგონი დავიწყებოდა, რომ ზამთარი იდგა: ირგვლივ უხვად ყვავოდნენ მცენარეები. წელიწადის ყველა დრო ერთმანეთს შერწყმოდა და ნათელ პეიზაჟს ქმნიდა: გაზაფხული წარმოდგენილი იყო იებით, მაშინ, როცა ზაფხულს ხასხასა ფოთლები განასახიერებდა, ხეებს რომ ამშვენებდა; ისინი ცდილობდნენ შემოდგომის მკვეთრ ფერებთან შერკინებას, შორს კი მოჩანდა ყინულოვან მთათა მწვერვალები, რომლებსაც თითქოს უწესრიგობა შეჰქონდა ამ მშვენიერებაში“.¹¹

საქართველოს ბუნება რელიგიური ექსტაზის მსგავს განცდას იწვევს უცხოელებში. თუმცა იმ ადამიანს, გერმანელ სწავლულს, რომლის შთაბეჭდილებასაც ახლა გავეცნობით, მთლად უცხოელად ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან მასაც, არტურ ლაისტის მსგავსად, მეორე სამშობლოდ ექცა საქართველო – კარლ ფონ ჰანი არის მისი სახელი და უფრო დაწვრილებით ამ არაჩვეულებრივი ადამიანის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ჯერ კი გავეცნოთ ერთ ფრაგმენტს კარლ ჰანის ნარკვევიდან „ფეხით მოგზაურობა თბილისიდან თუშეთისა და ფშავისკენ (1890 წლის ზაფხული)“, რომელიც მე-7 თავად არის შესული 1892 წელს ლაიფციგში გამო-

ცემულ მის წიგნში „კავკასიიდან“ („Aus dem Kaukasus“). ლამისა და განთიადის არაჩვეულებრივი პეიზაჟი დაუფიქსირებია კარლ ჰანს თუშეთის მისადგომებთან, სურათი, რომელსაც ამ მრავლის მნახველ-განმცდელი ადამიანის არსება რელიგიური მოწიწებით აღუვსია:

„სოფლის ცოტა ზემოთ, მწვანე მინდორზე დავეცით ბანაკი. მთვარე ჩვენს კოცონს ეჯიბრებოდა ბანაკის განათებაში, და მახლობელი ტყიდან მრავალრიცხოვან ბუღბუღთა საყვარელი გალობა ისმოდა, ნიავის მსუბუქი ქროლვა არხევდა მაღალი წიფლების კენწეროებს, რომელთა ფოთლები საიდუმლოდ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. ოდნავ გრილ ღამეს მოჰყვა დიდებული განთიადი, რომელიც მგალობელ ფრინველთა მრავალათას-ხმოვანი სიმღერით დაიწყო, ცვართა მილიონობით კამკამა მსხვილ წვეთებში მზის პირველი სხივები იმსხვრეოდა. ასეთ გარემოში ყოველი დღე ბუნების ზეიმია, უფლის დღეა (ein Tag des Herrn), რომელიც სულს მოწიწებით აღავსებს (der die Seele zur Andacht erhebt)“.¹²

კახეთში ცხენით მოგზაურ ოლივერ უორდროპსაც ამის მსგავსი განცდა ეუფლება, რომელსაც იგი ნეტარების გამომხატველი აღმოსავლური რელიგიური ტერმინის – ნირვანას – გამოყენებით აღწერს:

„ზაფხულის მცხუნვარე მზე მაღლა იდგა ცის ლურჯ თაღზე; ჩემს მარცხნივ სუროთი დაფარული კლდეები მოჩანდა, მარჯვნივ – მდინარის გადაღმა აღმართული მთის თეთრი მწვერვალები, რომლებიც ერთმანეთისგან გვეყოფდა მე და ევროპას, მაგრამ მე ევროპაზე სულაც არ ვფიქრობდი, ყველაფერი დამავიწყდა – ნათესავები, ჩემი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა. [...] ჩემი მაჯისცემა ჰარმონიულად ერწყმოდა თვით ბუნების გულისცერას. იგი სტიმულად მიჰყვებოდა ნაკადულის ჩხრიალს, ხეთა მოცახცახე ფოთლებში მოსრიალე ნიავის ჩურჩულს. მე განცხრომის **ნირვანაში** შევედი (I had entered a blissful Nirvana). აქ „მე“-ს მთელი ცნობიერება სამყაროს სულში დაინთქა“.¹³

ფრიდრიხ ბოდენშტედტი (Friedrich Martin von Bodenstedt, 1819-1892), გერმანელი მწერალი, რომელმაც ორი წელიწადი (1843-1845) დაჰყო საქართველოში, და თავის სახელგანთქმულ წიგნში „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ (ბერლინი, 1850) ჩვენებური პეიზაჟების საუცხოო სურათები წარმოადგინა, იმ მაგიურ ზემოქმედებას, რაც საქართველოს ბუნებას მასზე მოუხდენია, სიტყვა „ჯადოს“ შემცველი ზედსართავების გამოყენებით გადმოსცემს. აფხაზეთის ბუნებით მოხიბლული, იგი წერს:

„საუცხოო ამინდის წყალობით პირველი ორი დღის განმავლობაში კიდევ ერთხელ დავტკბით ყველა იმ **მომაჯადოებელი** (bezaubernden) ხე-

10. უორდროპი, მარჯორი. მოგზაურობა საქართველოში. ჩანაწერები. ინგლისურიდან თარგმნეს, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს მედეა აბაშიძემ და გია ჯოხაძემ. თბილისი, 2012, გვ. 24.

11. იქვე, გვ. 24-25..

12. Hahn, Carl. „Aus dem Kaukasus“. Leipzig, Verlag Ducker & Humbolt, 1892, S. 245.

13. უორდროპი, ოლივერ. საქართველოს სამეფო. ინგლისურიდან თარგმნა მერაბ ურუშაძემ. თბილისი, 2001, გვ. 101-102. შდრ. Oliver Wardrop. The Kingdom of Georgia. London, 1888, p. 85.

დითა და ბუნების დიდებული სპექტაკლებით, რასაც აფხაზეთის ზღვის-პირი უხვად გვთავაზობს“.¹⁴

ხოლო მამადავითიდან და სოლოლაკის მთიდან დანახული თბილისის ხედების ურთიერთშედარებისას აღნიშნავს:

„სოლოლაკის მთიდან დატკბებით ხედით, რომელიც დავითის მთიდან **(მთაწმინდიდან. – ლ. ბ.)** დანახულ ხედს დიდებულებით კიდევაც აჭარბებს. აქედან მოჩანს დიდუბის ვრცელი დაბლობი, ქვემოთ კი, მტკვარსა და სოლანლულის ქედს შორის თბილისის ულამაზესი ბაღებია გაშლილი. უწინარეს ყოვლისა კი მაღალი გალავნით დაცული, ტერასებად განლაგებული ბატონის ბაღი **(Kronsgarten: ამჟამინდელი ბოტანიკური ბაღი იგულისხმება. – ლ. ბ.)** ახდენს **ჯადოსნურ** (zauberhaften) შთაბეჭდილებას მცენარეთა სიუხვით“.¹⁵

ქართული ზამთარი დიუმას „კავკასიაში“

ყველაზე ცნობილი ევროპელი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში საქართველო მოინახულა და მერე თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა, სახელგანთქმული ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა (მამა) (Alexandre Dumas père) გახლავთ. მან კავკასიაში იმოგზაურა და 1858 წლის 23 ნოემბრიდან 1859 წლის 11 იანვრამდე სტუმრობდა საქართველოს, ხოლო უკვე 1859 წლის აპრილში პარიზში სამ წიგნად გამოიცა მისი „კავკასია“, რომელშიც მან საქართველოს ბუნების ამსახველი რამდენიმე საუცხოო სურათი შესთავაზა მკითხველს.

ფრანგ მწერალს ძალიან უნდოდა თბილისიდან ვლადიკავკაზში ასულიყო და ერთი კვირა დარჩენილყო იქ – დარიალის გავლა მეწადაო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სურვილის ასრულება მან დეკემბერში ინება, აღარ გაგვიკვირდება, მიზნისთვის რომ ვერ მიუღწევია: თოვლმა მხოლოდ კაიშაურამდე მიუშვა. ქარბუქმა და ზვავებმა წინსვლის საშუალება აღარ მისცა და „სამი მუშკეტერის“ ავტორი თბილისს დაბრუნდა, ოღონდ არა მთლად ხელცარიელი: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზამთრის ჩინებული პეიზაჟი წამოიყოლა თან. მოვუსმინოთ:

„კაიშაურში რომ მიხვალთ, უნდა შეჩერდეთ და გარემოს მოავლოთ თვალი, მეტადრე უკან უნდა მოიხედოთ. გარშემო მუდმივი თოვლი დევს, უკან საქართველოს ველები გადაჭიმულა. ვერ გეტყვით, როგორ გამოიყურება ეს პეიზაჟი ზაფხულში, მაგრამ ზამთარში იგი სევდიანი და დიდებულია. ყოველივე თეთრად ბრწყინავს, ღრუბლები, ცა, მიწა. ეს ყვე-

ლაფერი ერთი უზარმაზარი სივრცეა, დაუსრულებელი ერთფეროვნება, ერთი სამარისებური მდუმარება“.¹⁶

„სევდიანი და დიდებული“ (triste et grandiose) – ჩინებული დახასიათებაა დიდთოვლიანი საქართველოს მთიანეთისა!

დიდი მწერლის ეს დანატოვარი მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის, რომ მე-19 საუკუნეში მთიანი საქართველოს ზამთრის პეიზაჟი, უცხოელების მიერ აღწერილი, ბევრი არ მოგვეპოვება, რისი მიზეზიც ადვილი მისახვედრია: ზამთარში საქართველოს მთიან ადგილებს უცხოელები ნაკლებად ეტანებოდნენ წლის იმ დროს იქ არსებული საყოფაცხოვრებო სირთულეების გამო.

ფოთში კი, ფაზისის (რიონის) შესართავთან ფრანგ მწერალს კალენდარულ შუა ზამთარში თითქმის გაზაფხული დახვდა და თოვლიანი მთების დანახვა უკვე მხოლოდ შორიდან შეეძლო:

„მარცხნივ მოჩანდა მაღალი თოვლიანი მთების თვალწარმტაცი მოხაზულობა და მზის პირველი სხივები მათ ვარდისფრად ღებავდა, როგორც სამყაროს შექმნის პირველ დღეს. გარდა ამისა, ფაზისის ორთავე მხარეს ტყეები გახშირდა და გადაიქცა ხშირ ტევრად, სადაც, ეტყობოდა, ყველანაირი ჯიშის ფრინველი თუ ცხოველი ირეოდა“.¹⁷

ალექსანდრე დიუმას იქ ნავით შეუცურავს ფაზისის ორივე მკლავის შემაერთებელ არხში, რომელსაც არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე, რასაც იგი სიტყვებით ასე გამოხატავს:

„ამ არხზე უფრო ლამაზი არაფერი მინახავს, ზამთარშიც კი. მას ორივე მხარეს ხეივანი დაჰყვება. საუცხოო ფორმის ხეები მასზე მიმავალი ნავების თავზე ერთმანეთს ტოტებით ეხლართებიან“.¹⁸

ქართული ბუნება საერთაშორისო კონტექსტში

ამგვარი შთაბეჭდილებების შემდეგ მოგზაურებს სურვილი უჩნდებათ ქართული ბუნების ესთეტიკური ზემოქმედების ძალა, თუ შეიძლება ასე ითქვას, საერთაშორისო კონტექსტში განიხილონ, ახლანდელი მოდური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, მისი (ქართული ბუნების ესთეტიკური ზემოქმედების ძალის) ინტერნაციონალიზაცია მოახდინონ.

ოლივერ უორდროპის წიგნში „საქართველოს სამეფო“ ვკითხულობთ:

16. დიუმა, ალექსანდრე. კავკასია. თარგმანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძისა, ია ბერსენაძისა და გიორგი ეკიზაშვილისა. თბილისი: გამომცემლობა „აგორა“, 2009, გვ. 242. შდრ. Alexandre Dumas. Le Caucase. Montréal, 2006, p. 533.

17. დიუმა, ალექსანდრე. კავკასია. თარგმანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძისა, ია ბერსენაძისა და გიორგი ეკიზაშვილისა. თბილისი: გამომცემლობა „აგორა“, 2009, გვ. 292.

18. იქვე.

14. Bodenstedt, Friedrich. Tausend und Ein Tag im Orient. Berlin: Verlag der Deckerschen Geheimen Ober-Hofbuchdruckerei, 1850, S. 362.

15. Bodenstedt, Friedrich. დასახელებული ნაშრომი, გვ. 196-197.

„არ არსებობს არავითარი მიზეზი იმისა, საქართველო რატომ არ უნდა გახდეს ისეთივე პოპულარული კურორტი, როგორიც ნორვეგია და შვეიცარიაა. [...] საქართველო ისევე მშვენიერია, როგორც ორივე ზემოხსენებული ქვეყანა“.¹⁹

ახლა საქართველოში უფრო ადრე ნამყოფ სტუმრებს მოვუსმინოთ:

„მთელი ხეობა იქამდე, სადაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის რიონი ერთდება, კავკასიის ულამაზეს ადგილებს განეკუთვნება, და მე არ მახსენდება სადმე შვეიცარიაში მენახოს ისეთი ხეობა, რომელიც დიდებულით ამას გვერდით დაუდგებოდა“, – წერს გერმანელი ბოტანიკოსი და მოგზაური კარლ კოხი (Karl Koch, 1809-1879) რაჭის ბუნების სილამაზებზე საუბრისას.²⁰

ამავე ამრის არის კარლ ფონ ჰანიც:

„ალაგ-ალაგ ეს გარემო საქსონიის შვეიცარიას გვაგონებს, ოღონდ აქ, რიონის მიდამოებში, ყველაფერი ბევრად დიდებულია (alles viel größartiger)“.²¹

მაქს ფონ ტილმანს (Max von Thielmann, 1846-1929), ბერლინელ დიპლომატსა და მოგზაურს, რომლის სამოგზაურო ჩანაწერები ერთ-ერთ საუკეთესოდ არის მიჩნეული ამ ჟანრის ლიტერატურულ ტექსტებს შორის, სვანეთში, ლენტეხის ზემოთ, ნანახი ხეობა ჰარცის მთებში მდებარე და სილამაზით განთქმულ მდინარე ილზეს მიდამოებს აგონებს: „იქაც და აქაც ჩხრიალა ნაკადული ციცაბო კლდეებსა და ნაძვის უხნეს ტყეებს შორის თავქვე ეშვება ტინებზე, ოღონდ აქ ყოველივე ალბათ ხუთჯერ უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე იქ, და ალაგ-ალაგ ამოსული დაფნის ბუჩქიც შეგვახსენებდა, რომ სამხრეთში ვიმყოფებოდით“.²²

ადგილობრივმა გამცილებელმა ტილმანი და მისი თანამგზავრები უღელტეხილთან მიიყვანა:

„აქ ჩვენ, ყოველგვარი გარდამავალი ფაზის გარეშე (**ანუ, ერთბაშად, ყოველგვარი „შესავლის“ გარეშე. – ლ. ბ.**), ისეთი სანახაობის (**სპექტაკლის: Schauspiel. – ლ. ბ.**) მომსწრენი გავხდით, რომლის მსგავსი ალპებში არაფერი მინახავს, თუმცაღა იქ მე რამდენჯერმე მიმოგზაურია

მცინვარებს შორის. ჩვენ წინაშე გაწოლილიყო მთელი თოვლიან-ყინულიანი კავკასიონი წებელდიდან თერგამდე, ოცდაათ მილზე გადაჭიმული ვეებერთელა კედელი, საიდანაც მთები ხან კოშკების მსგავსად ამოწვერილიყო ქედიდან, ხანაც წინ წამოწეული ბასტიონებივით ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან იცავდნენ ქედს. ამ გრანდიოზულმა სურათმა ისე დაგვატყვევა, რომ დიდხანს ვერ შევძელით ცალკეული მთებისთვის მიგვეპყრო ყურადღება ანდა რუკაზე დაგვეხედა. [...] ჩვენ ქვემოთ იყო თავისუფალი სვანეთი, რელიეფური რუკის მსგავსად გაშლილი; ამგვარ გადასახედზე, საიდანაც ესოდენ მკაფიოდ ჩანდა ქვემოთ გაწოლილი ტერიტორია, მხოლოდ ერთხელ აღმოვჩნდი კიდეც, როცა ღუნიბის მთაზე ვიდექი, დაღესტანში“.²³

თეთნულდი, რომელიც მისი შეფასებით, კავკასიონის მთათა შორის ულამაზესია, ტილმანს თავისი დამაბრმავებელი სითეთრითა და გრაციოზული ფორმებით შვეიცარიის ალპებში მდებარე იმ მთას აგონებს, რომელსაც იუნგფრაუს – ქალწულს ეძახიან.

ალპებს იგი კიდეც ერთხელ ახსენებს, როცა სვანეთის მთებიდან აღმოსავლეთის მხარეს გადაშლილ თვალსაწიერზე ლაპარაკობს (მგონი, ყაზბეგიც კი დავინახეთ იქიდანო!): „ასეთი ხედი ალპების ნებისმიერ ხედთან შედარებას გაუძლებს!“.²⁴

და ბოლოს, ფრიდრიხ ბოდენშტედტის დაკვირვებასაც გავეცნოთ, რომელიც ჩრდილოეთის მხრიდან მოადგა კავკასიონს სტეფანწმინდასთან და ნანახით თავისი აღფრთოვანება ასეთი ოქსიმორონით გამოხატა:

„ევროპის ვერცერთი მთიანეთი მთლიანობაში ვერ შემოგვთავაზებს ასეთ **დამთრგუნველად მშვენიერ** სანახაობას (so überwältigend schönen Anblick), როგორსაც კავკასიონი, როცა იგი სტეპიდან მომავალი მოგზაურის თვალწინ აღიმართება“.²⁵

მსგავს ოქსიმორონს იყენებს ფრიდრიხ ბოდენშტედტი ყაზბეგზე საუბრის დროსაც:

„ჩემ წინაშე **შემაძრწუნებელი სილამაზით** (in schauerlicher Schöne) წამომართულიყო ვეება ყაზბეგი, სიმღერებით ხოტბაშესხმული, თქმულელებით გარემოცული წმინდა მთა“.²⁶

19. უორდროპი, ოლივერ. საქართველოს სამეფო. ინგლისურიდან თარგმნა მერაბ ურუშაძემ. თბილისი, 2001, გვ. 25.

20. Koch, Carl. Reise durch Radscha. wignSi: Reisen im Kaukasus. Berichte aus dem 19. Jahrhundert. Herausgegeben und mit einem Vorwort versehen von Jürgen Breuste und Burkhard Malich, 61-71. Leipzig: Koehler & Ameling, 1987, S. 67.

21. Hahn, Carl. „Aus dem Kaukasus“. Leipzig: Verlag Ducker & Humbolt, 1892, S. 87.

22. Thielmann, Max. Durch Svanetien. wignSi: Reisen im Kaukasus. Berichte aus dem 19. Jahrhundert. Herausgegeben und mit einem Vorwort versehen von Jürgen Breuste und Burkhard Malich, 146-155. Leipzig: Koehler & Ameling, 1987, S. 147.

23. იქვე, გვ. 151-152.

24. იქვე, გვ. 154.

25. Bodenstedt, Friedrich. Tausend und Ein Tag im Orient. Berlin: Verlag der Deckerschen Geheimen Ober-Hofbuchdruckerei., 1850, S. 41.

26. იქვე, გვ. 43.

უმამაცესთა სპორტი და შემოდგომის

უნაზესი ლირიკა

მთები რომ ამალღებულ, გმირულ განწყობას ბადებს ადამიანის გულში, ეს ბუნებრივია (გაგისხენოთ ტიციან ტაბიძის სტრიქონები: „მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს, / რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს?“²⁷ მაგრამ ესთეტიკურად გაფაქიზებულ სმენასა და მზერას ამ ქვის გოლიათების გარემოცვაში ლირიკული შტრიხებისა თუ ნოტების გარჩევაც შესძლებია. ამის დასტურია გერმანელი ალპინისტისა და მკვლევარ-მოგზაურის, ვილი რიკმერ-რიკმერსის (Willy Rickmer-Rickmers, 1873-1965) მიერ 1898 წელს გამოქვეყნებული სტატია, რომლის სათაურია „კავკასიონის უშბა“ („Der Uschba im Kaukasus“).

ჯერ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მისი ავტორის შესახებ, სვანეთის მთებზე, მეტადრე უშბაზე, თავდავიწყებით შეყვარებულ ადამიანზე. იგი გერმანელ მეცნიერ-ალპინისტთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომლის წარმომადგენლებმა სპორტულ მიღწევებთან ერთად კავკასიის კვლევის სფეროშიც გამოიჩინეს თავი. რამდენჯერმე სცადა ვილი რიკმერ-რიკმერსმა უშბაზე ასვლა. 1895 წელს მისი სამი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ 1903 წელს ოთხ ალპინისტთან ერთად შეძლო უშბის მანამდე აუღებელი სამხრეთი მწვერვალის დაპყრობა, რაც მსოფლიო მასშტაბის სპორტული მიღწევა იყო (ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ადოლფ შულცე, ამ წარმატებისთვის „უშბა-შულცედ“ წოდებული).

ვნახოთ ალპინისტის მიერ აღწერილი ლირიკული პეიზაჟი, უშბის მისადგომებთან დანახული:

„ზაფხული ჩამთავრდა. სვანეთის ფერდობებზე შემოდგომის ტყე აჭრელდა. მეწამულ ალაღ ანთია ცირცელი. მოღრუბლული დღეა; მოძრავი ღრუბლებიდან ძლივს ჟონავს სინათლე. მკრთალად ანათებენ ბეჩოს რუხი კოშკები ბინდში [...]“²⁸

და აქ ავტორი, გრძნობს რა უძლურებას, სიტყვებით გადმოსცეს ბუნების მთელი მშვენიერება, დახმარებისთვის თავის წარმოსახვაში არსებულ ფერმწერს მიმართავს ხვეწნით:

„ო, მხატვარო, თუკი შენ ჩემი გულისწადილის წვდომა შეგიძლია, მაშინ დამიხატე უბრალოებისა და უდრეკელობის ეს სურათი (das Bild von Einfachheit und Trotz), რომელსაც ოქტომბრის ქარის ზუზუნი ახლავს, ვითარცა ნაზი, განშორების ტკივილით აღსავსე მელოდია, – ქარისა, ნოტიო

ნისლით ხავსიან კლდეებს რომ ნამავს; და კიდევ ფოთლების ჩუმი შრიალი, რომლებიც წყნარად ეფინებიან მიწას ტყეში“²⁹

ამ სტატიაში რიკმერ-რიკმერსი უშბასთან თავისი ერთ-ერთი წარუმატებელი შერკინების ამბავს მოგვითხრობს, – როგორ დაიხია უკან ნაშუადღევს, როცა მიხვდა, რომ ძალა არ ეყოფოდა მწვერვალისაკენ გზის გასაგრძელებლად... ძირს დაშვებაც ძალიან სახიფათოა: „შიშით აღიქვამს ყოველ გაფაჩუნებას ყური ამ თეთრ, ყინულოვან სიმართოვეში. ახლა რომ ზემოთ ლოდი მოწყდეს?“³⁰

მაგრამ ყოველივე მშვიდობიანად მთავრდება, რაზეც მეტყველებს ეს ლირიკული პასაჟი, ალპური იდილიის ამსახველი, უშუალოდ რომ მოსდევს ახალ აზზაცად ახლახან ციტირებულ სიტყვებს:

„საამო მუსიკასავით ჟღერს საღამოს წყაროს რაკრაკი მწვანე მდელოზე გაშლილი კარვის გვერდით; რა ნაზია სიწყნარე, რომელსაც მწუხრის სიმღერას უგალობს პაწია ჩიტი“³¹ ჰეროიკული და ლირიკული პასაჟების ასეთი მონაცვლეობა კარგად წარმოაჩენს ამ ჩინებული ტექსტის ავტორის მდიდარ სულიერ სამყაროს.

კარლ ფონ ჰანი – თბილისელი

მკვლევარი და ესთეტი

ამ არაჩვეულებრივ ადამიანზე, რომელიც უკვე ვახსენეთ, ცოტა ვრცლად უნდა შევჩერდე, მით უფრო, რომ მისი პიროვნებაც და მოღვაწეობაც კავკასიოლოგიის სფეროში ბოლო დრომდე რატომღაც უყურადღებოდ იყო დარჩენილი.

თბილისის მკვიდრი გერმანელი სწავლული კარლ ფონ ჰანი (Carl von Hahn) 1848 წელს დაბადებულია გერმანიაში, ვიურტემბერგის ქალაქ ფროიდენშტადტთან მდებარე სოფელ ფრიდრიხსტალში. განათლებაც გერმანიაში მიუღია – ტიუბინგენის უნივერსიტეტში ფილოლოგია და თეოლოგია შეუსწავლია. 1872 წლიდან კავკასიის მთავარმართებლის, დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის შვილთა აღმზრდელია ჯერ ნეაპოლში, შემდეგ კი, იმავე წელს, დიდი მთავრის ოჯახთან ერთად თბილისში ჩამოდის და სამუდამოდ რჩება აქ – საქართველო მისი მეორე სამშობლო ხდება. 1874 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის გიმნაზიებში (ასწავლის ძველბერძნულ და გერმანულ ენებს). ერთხანს (1906-1909 წლებში) თბილისის ქალთა პირველი გიმნაზიის დირექტორიც

27. ტაბიძე, ტიციან. ლექსები, პოემები, პროზა, წერილები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1985, გვ. 155.

28. Rickmer-Rickmers, Willy. Der Uschba im Kaukasus. wignSi: Reisen im Kaukasus. Berichte aus dem 19. Jahrhundert. Herausgegeben und mit einem Vorwort versehen von Jürgen Breuste und Burkhard Malich, 205-216. Leipzig: Koehler & Ameling, 1987, S. 206.

29. Rickmer-Rickmers, Willy. დასახელებული ნაშრომი, გვ. 206-207..

30. იქვე, გვ. 212.

31. იქვე.

ყოფილა. ეს ღრმად განათლებული ადამიანი, რომელიც თავისუფლად ფლობდა რამდენიმე ძველსა და ახალ ენას და შინაურულად გრძნობდა თავს მეცნიერების მრავალ დარგში, ნაყოფიერად მუშაობდა კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის საკითხებზე, მისი ინტერესების სფეროში შედიოდა ენათმეცნიერება და ფოლკლორი. მის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის შეიძლება დავასახელოთ რუსულად ორ წიგნად გამოცემული ძველბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები კავკასიაზე; მის კალამს ეკუთვნის გამოკვლევა „პირველი ცდა კავკასიური გეოგრაფიული სახელების განმარტებისა თათრული, ქართული, სომხური, ოსური და სხვა ტექსტების მიხედვით“; მანვე თარგმნა რუსულად იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის წიგნი სამეგრელოს შესახებ. 1879 წლიდან სისტემატურად აწყობდა ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შემდეგ მოპოვებულ მასალებს სამეცნიერო ჟურნალებში ბეჭდავდა და წიგნებადც გამოსცემდა. მათში იგი მოგვითხრობს სვანეთში, რაჭაში, ფშავ-ხევსურეთში, კახეთში, თუშეთში, ოსეთში, სამეგრელოში, სამურზაყანოსა და საქართველოსა და მთელი კავკასიის სხვა მხარეებში თავისი მოგზაურობების შესახებ. ძირითადად ოთხ კრებულშია თავმოყრილი მისი ეს ნაშრომები, ესენია: „კავკასიიდან“ („Aus dem Kaukasus“, ლაიფციგი, 1892), „კავკასიური მოგზაურობები და შტუდიები“ („Kaukasische Reisen und Studien“, ლაიფციგი, 1896), „სურათები კავკასიიდან“ („Bilder aus dem Kaukasus“, ლაიფციგი, 1900), „ახალი კავკასიური მოგზაურობები და შტუდიები“ („Neue kaukasische Reisen und Studien“, ლაიფციგი, 1911).

მასვე უთარგმნია გერმანულად და ზემოთ დასახელებულ პირველ წიგნში შეუტანია რამდენიმე სვანური და ოსური ზღაპარი და თქმულება.

გარდაიცვალა კარლ ფონ ჰანი 1925 წელს თბილისში.

კარლ ფონ ჰანი საქართველოს ბუნების დიდი მოტრფიალეა, აღტაცებული მეხობება ჩვენებური ლანდშაფტისა. ქართული ბუნების სურათების აღწერისას იგი იყენებს ეპითეტებს: herrlich, großartig (დიადი), majestätisch (დიდებული), erhaben (ამაღლებული), unbeschreiblich [schön] (აუწერელი, ენით გამოუთქმელი [სილამაზისა]).

მაგრამ მართო აღტაცების გამომხატველი შეძახილებით როდი კმაყოფილდება! ესთეტის თვალთა აკვირდება ბუნებას, ერთმანეთს ადარებს ნანახს, ცდილობს და წარმატებით ახერხებს კიდევ სიტყვებით გადმოსცეს პეიზაჟის სილამაზე.

1888 წლის ზაფხულში გვერიშის ხეობით მოხიბლული წერდა:

„იქ, სადაც რიონი კვლავ სამხრეთით უხვევს, მდებარეობს კავკასიაშიც კი სამწუხაროდ ნაკლებად ცნობილი გვერიშის ხეობა (ქუთაისიდან 40 ვერსის მოშორებით), ულამაზესი და უდიდებულესი, რაც კი ცხოვრებაში მინახავს. აქ ბუნებას თვალწარმატებელი (Liebliches) და საშინელ-დიდებული

(Schrecklich-großartiges) ერთ შთამბეჭდავ (effektiv) სურათად გაუერთიანებია“.³²

ერთი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ მოუნახულებია ეს ადგილი და თავისი ადრინდელი შთაბეჭდილება ასე დაუბუსტებია:

„კვლავაც აღტაცებულნი ვმგზავრობდით ამ დიდებულ მხარეში და ვტკებოდით [...] გვერიშის ხეობით, რომელიც მე მაშინ (**წინა ზაფხულს, პირველი ხილვისას. – ლ. ბ.**) ყველაზე ამაღლებული (das Erhabenste) და ულამაზესი მეჩვენა, რაც კი ჩემს თვალს მანამდე უხილავს. მაგრამ ახლა უნდა ვაღიარო, რომ ლაჯანურის ხეობა გვერიშისას თუ არ სჯობს, ყოველ შემთხვევაში, არ ჩამოუვარდება მაინც“.³³

კარლ ჰანის ნაშრომები იმით გამოირჩევა, რომ, გარდა პეიზაჟების ზოგადი შეფასებებისა, იგი დაწვრილებით მოგვახსენებს იმ დეტალების თაობაზეც, ბუნების ამა თუ იმ სურათის შემადგენელი ნაწილები რომ არის, კონკრეტულად ასახელებს მცენარეთა სახეობებს, მათ ფორმებს, ფერებს...

„რაც უფრო ვუახლოვდებით ქუთაისს, მით უფრო მოგვაგონებს გარემო ბაღნარს“, – წერს იგი ბარად ჩამოსული რიონის განაპირა ტალეებზე საუბრისას და აღწერს წაბლის ტყეებს, აყვავებულ ბროწეულის ბუჩქებს, ივნის ხეებზე გასულ მსხმოიარე ვაზებს, რომელთაც მოხდენილად ადარებს მწვანე შადრევნებს:

„აქ ღვინოც კი, ასე ვთქვათ, ხეებზე იზრდება, მეტადრე – იფანზე. ვაზები შემოჭდობიან ხის ტანს, კენწერომდე აცოცებულან, და იქიდან მათი დრეკადი, მოქნილი ლერწები, უხვად მტევნებდასხმულნი, ყოველი მხრიდან მწვანე შადრევნის მსგავსად ქვემოთკენ მოიწევენ“.

და პეიზაჟის შესახებ დეტალურ თხრობას კვლავაც აღტაცების გამომხატველი ზოგადი შეძახილით ამთავრებს: „დიდებული ადგილია (**სიტყვასიტყვით: „მიწის დიდებული ნაჭერია“.** – ლ. ბ.) ეს რიონის ტალა!“ („Ein herrliches Stück Erde – dieses Rion-Thal“).³⁴

მთაც არაჩვეულებრივი ძალით იზიდავს კარლ ჰანს. ნარკვევს, რომლის სათაურია „ფეხით მოგზაურობა თბილისიდან თუშეთისა და ფშავისკენ (ზაფხული 1890)“, იგი ასე იწყებს:

„მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ცოტა ამაღლებულ ადგილას მდებარე ჩემი თბილისური ბინის აივნიდან, ცამოწმენდილზე ჩრდილოეთით დიდებული სანახაობა იშლება – მოჩანს დიდი კავკასიონის თოვლიანი ქედის ერთი ნაწილი, რომელშიც გამოირჩევა ორკუზიანი ყაზბეგი, ვითარცა უეჭველი ბატონ-პატრონი იქაურობისა“.³⁵

32. Hahn, Carl. „Aus dem Kaukasus“. Leipzig: Verlag Ducker & Humboldt, 1892, S. 87-88.

33. იქვე, გვ. 131.

34. Hahn, Carl. დასახელებული ნაშრომი, გვ. 89.

35. იქვე, გვ. 235.

რალა გასაკვირია, რომ ამ ადამიანს დიდად ალაფრთოვანებდა სვანეთის პეიზაჟი! ვრცელ პასაჟს უძღვნის თეთნულდის, უშბას, შხარას აღწერას დღისით თუ ღამით, ცამოწმენდილზე თუ ღრუბლიან და ნისლიან ამინდში. კერძოდ, ნარკვევში, რომლის სათაურია „ფეხით მოგზაურობა თბილისიდან სვანეთის ალპებში (ზაფხული 1899)“, იგი გვაუწყებს:

„სიტყვით აღუწერელი მშვენიერი ხედი გადაგვეშალა თვალწინ: ჩვენ წინაშე 80-100 ვერსის სიგრძეზე მძლავრ ნახევარწრედ გაწოლილიყო დიდი კავკასიონის ქედი. მოპირდაპირე მხარეს კი მოჩანდა თეთნულდისა და ადიშის ვეებერთელა პირამიდები თავიანთი უზარმაზარი გლეჩერებით და იქვე მრავალწვეროიანი, უსწორმასწორო ფორმის შხარა და შემდეგ მარჯვნივ და მარცხნივ უამრავი თოვლით დაფარული მწვერვალი და მთის გუმბათი. მოშორებით, მარცხნივ, ცისკენ აუშვერია თავისი მძლავრი რქები გროტესკული ფორმის ფართო უშბას, ბუმბერაზ მთას, და მის უკან, უშბათი თითქმის მთლიანად დაფარული, კიდევ უფრო ვეება იალბუზი დგას. [...] მაღლე ნისლში ეხვევა ჩვენ პირისპირ მდებარე პირამიდები, მარტო უშბა მოჩანს მთელი საღამოს განმავლობაში და ფერმრავალი დაისის ცვალებადი განათების ყველა ფაზაში იგი ჩვენი მზერის არეალშია. მარჯვნივ ქვევით, ღრმად, ენგურის ხეობაში მდებარეობს კოშკმრავალი უმეგული, ეტყობა, საცხოვრებლად იქ მხოლოდ კოშკებს იყენებენ, სახლები არ ჩანს.“³⁶

განსაკუთრებით დასაფასებელი ის არის, რომ კარლ ფონ ჰანმა, ჩვენში დამკვიდრებული ბევრი უცხოელისგან განსხვავებით, შესანიშნავად იცის, სად ცხოვრობს, რა ქვეყანაში. მისი ნაშრომების ყოველ ფრაზაში იგრძნობა პატივისცემა და სიყვარული ამ მრავალტანჯული ქვეყნის და მის მკვიდრთა მიმართ, რომელთაც, მათი სამშობლოს გეოპოლიტიკური თავისებურების გამო, იშვიათად თუ ჰქონიათ მოსვენებული ცხოვრება. უაღრესად საინტერესო ნაშრომში, რომლის სათაურია „ქალაქ თბილისის წარსულიდან, დასაბამიდან რუსების შემოსვლამდე“ (დაიბეჭდა გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ 1909 წლის მე-10-მე-14 ნომრებში) იგი წერს:

„მდებარეობა ქვეყნისა, რომლის ტერიტორიაზე ორი დიდი სამხედრო და სავაჭრო გზა კვეთდა ერთმანეთს – ერთი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, მდიდარი ინდოეთიდან შავი ზღვისა და ევროპისკენ მიმართული [...] და მეორე – სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, [...] კასპიის ზღვის გაწვრივ, სპარსეთიდან და სომხეთიდან ბარბაროსი სკვითებისკენ მიმავალი, – აი ასეთი მდებარეობა იყო მიზეზი იმისა, რომ [საქართველოს] მშვიდობიანი მცხოვრებნი ძალიან ხშირად იძულებულნი იყვნენ გუთნის ნაცვლად ხმალი აეღოთ ხელში უცხოელ მოძალადეთაგან საკუთრების, სახლ-კარის დასაცავად. ეს მიწა-წყალი, რომელსაც ნიაღვარივით მოედებოდა ხოლმე ყველა ჯურის დაუპატიჟებელი სტუმარი – სპარსელები, ბერძნები, რომაელები, არაბები, ჰუნები, მონღოლები, თურქები – სისხლიანი, მრავალწლიანი ბრძოლების ასპარეზი ხდებოდა.“³⁷

1912 წელს კარლ ფონ ჰანის საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წელი საიუბილეო ზეიმით აღუნიშნავთ ჩვენს დედაქალაქში. ამის თაობაზე გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი“ იმავე წლის მე-4 ნომერში იუწყებოდა და საიუბილეო ღონისძიებების შესახებაც მოუთხრობდა მკითხველს:

„საიუბილეო ზეიმი 21 მარტს შედგა ვაჟთა პირველ გიმნაზიაში და 27 მარტს სასტუმრო „ვეტცელში“ გაიმართა ბანკეტით დასრულდა. ზეიმს მთელი პედაგოგიური პერსონალი დაესწრო. უამრავი მისასალმებელი სიტყვა წარმოითქვა, რომლებიც გულიდან იყვნენ დაძრულნი და გულეზისკენ მიემართებოდნენ, ხოტბა შეასხეს დიდადპატივცემულ იუბილარს, როგორც ჩინებულ პედაგოგს, შესანიშნავ სწავლულსა და დიდებულ, ღრმად რელიგიურ, ჰუმანურ ადამიანს, რომლისთვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ არის.“³⁸

პროფესორი ლეონ მელიქსეთ-ბეგი (1890-1963) კარლ ფონ ჰანის გარდაცვალების გამო გამოქვეყნებულ გამოსათხოვარ წერილს ამ სიტყვებით იწყებს:

„კარლ ჰანი კავკასიოლოგიის ძველი სკოლის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელია, ერთ-ერთი იმ ვეტერან-კავკასიოლოგთაგანი, რომელნიც არ მიეკუთვნებოდნენ არცერთ ადგილობრივ ეროვნებას, მაგრამ, რაკილა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ აქ და მთელი კავკასია შემოვლილი ჰქონდათ, შესაძლოა, ადგილობრივი წარმომავლობის მოღვაწეებზე უკეთ იცნობდნენ კავკასიის ბუნებას, აფასებდნენ და უყვარდათ იგი.“³⁹

ძნელია ამ შესანიშნავი პიროვნების ამგვარ დახასიათებას არ დაეთანხმო, როდესაც თბილისელი გერმანელი სწავლულის მეცნიერულ შრომებსა და მის პრაქტიკულ მოღვაწეობას გაეცნობი.

ბუნება და პოლიტიკა

ზემოთ ედუარდ იუონი ვახსენეთ, გურია რომ სამოთხეს შეადარა თავის მოგონებებში „ერთი წელი ამბოხებულ გურიაში“ („Ein Jahr im aufständischen Gurien“), რომელიც 1907 წელს გამოქვეყნდა გერმანიაში გამომავალი ჟურნალის – „ვესტერმანს მონატსჰეფტეს“ („Westermanns Monatshefte“) ფურცლებზე, ხოლო იქიდან თბილისელი გერმანელების გაზეთმა „კაუკაზიშე პოსტმა“ გადმოიბეჭდა რამდენიმე თვის შემდეგ სამ გაგრძელებად (№№ 14, 15, 16).

38. „Zum 40-jährigen Amtsjubiläum Sr. Exzellenz des Wirkl. Staatsrats Karl v. Hahn“. Kaukasische Post. 1912.15/28. 04, № 4, S. 10.

39. Меликсет-Беков, Леон. „К. Ф. Ган“. Известия кавказского историко-археологического института, т. IV, 1926, с. 144.

36. Hahn, Carl. დასახელებული ნაშრომი, გვ. 161.

37. Carl von Hahn. „Aus der Vergangenheit der Stadt Tiflis, von deren Anfängen bis zur Ankunft der Russen“. Kaukasische Post, 1909. 25.10 (7.11), № 10, S. 8.

ედუარდ იუონი თადარიგის ოფიცერი ყოფილა და ვადიან სამხედრო სამსახურში გაუწევიათ რუსეთის არმიის იმ ნაწილში, რომელიც თურქეთის საზღვართან, არარატის განშტოებებზე იდგა ზღვის დონიდან ორი ათას მეტრ სიმაღლეზე. როცა გურიაში აჯანყება დაიწყო, ამ გარნიზონის ნაწილები გენერალ ალიხანოვის მრისხანე „რიონის კორპუსის“ შემადგენლობაში შეიყვანეს და სასწრაფოდ დაძრეს ამბოხებულებისკენ. ამით იუონს საშუალება მიეცა ენახა საქართველო.

და მოხდა საოცრება: სამტროდ მოსული კაცი მოყვრად გადაიქცა, რაშიც მის წარმომავლობასთან, განათლებასა და ადგილობრივი მოსახლეობის მომხიბლავ ხასიათთან ერთად საქართველოს ბუნებასაც მიუძღვის თავისი წვლილი.

მოვუსმინოთ:

„1905 წლის თებერვალი იდგა და კონტრასტი აქაურსა და იმ ამინდს შორის, უკან რომ ჩამოვიტოვეთ, ჯადოსნურად მოქმედებდა. თუმცა ჩვენი გარნიზონი ბევრად უფრო სამხრეთით მდებარეობდა, იქ სასტიკი ზამთარი მძვინვარებდა [...]. ხოლო აქ, ნატანების მშვენიერ ველზე, გაზაფხულს მთელი თავისი მომხიბვლელობა გამოეფინა: მინდორი მწვანედ აბიბინებულებოდა, ფილოდენდრონი ყვავდა, აკაციებსა და მაგნოლიებსაც გამოეღოთ ნაზი ყლორტები. ნოტიო, თბილი ჰაერი იების სურნელით იყო გაჟღენთილი. ამ დიდებულმა გარემომ გადაგვაფიქრა ყველა გაჭირვება, რაც ყოველთვის ახლავს თან მოზრდილი სამხედრო ნაწილების გადაადგილებას. ჯარისკაცები ბავშვებივით იქცეოდნენ: ხარობდნენ, მღეროდნენ და კარვებს აყვავებული რტოებით რთავდნენ“.⁴⁰

ცხადია, გურულებს კარგად ესმოდათ, რა უბედურებას მოუტანდა ხალხს სადამსჯელო კორპუსის ოზურგეთში შესვლა. ამ ვითარებაში მათი მიზანი იყო სამშვიდობო მოლაპარაკება ეწარმოებინათ სამხედროებთან, რათა დაერწმუნებინათ ისინი ღრმად არ შეჭრილიყვნენ გურიის ტერიტორიაზე და საკმარისი იქნებოდა ნატანებშივე დაბანაკებულიყვნენ.

და თუკი მათ ამ მიზნის მიღწევა შეძლეს, ეს ქართული ბუნების დამსახურებაც არის, რაც სრულიად აშკარად ჩანს ციტირებული ფრაგმენტიდან.

მოკლედ, მას შემდეგ, რაც ქართულმა ბუნებამ შეასრულა თავისი „დიპლომატიური მისია“, გურულებმა მოახერხეს სამხედროების დაყოლიება გურიის საზღვართან შეჩერებულიყვნენ და წინ არ წაწეულიყვნენ ოზურგეთის მიმართულებით.

ნატანებში კარვები გავშალეთ და თოთხმეტი დღის განმავლობაში თავს ისე ვგრძნობდით, როგორც ღმერთები საფრანგეთშიო, წერს იუონი.

40. Juon, Eduard. „Ein Jahr im aufständischen Gurien“. Kaukasische Post, 1907.16 (29). 09, № 14. S. 12-13.

(იდიომი „საფრანგეთში ღმერთივით/ღმერთებივით ცხოვრება“ – Wie Gott/Götter in Frankreich leben – უზრუნველ, ტკბილ ცხოვრებას ნიშნავს).

ეს ორკვირიანი იდილია იმან დაარღვია, რომ ამბოხებულებმა თავისი სახლის წინ სიცოცხლეს გამოასალმეს ხელისუფლების ერთგული მომრიგებელი მოსამართლე თავადი ტიფო ნაკაშიძე... და უკვე ვერც ბუნება და ვერც ველარაფერი დაუდგებოდა წინ სადამსჯელო კორპუსის შესვლას ოზურგეთში, რასაც მოსახლეობისთვის უმძიმესი შედეგები მოჰყვა...

ედუარდ იუონს ამბოხებულების კეთილგანწყობა და ნდობა ხალხის სასიკეთოდ ჩადენილი უანგარო საქმიანობით მოუპოვებია; იგი სიამაყით აღნიშნავს: „ამ სტრიქონების ავტორი ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი იყო, ვინც მოახერხა ქალაქის (ოზურგეთის. – ლ. ბ.) ინტელიგენტურ წრეებთან კონტაქტის დამყარება, და მათთან გატარებულ დროს ყოველთვის სიამოვნებით მოვიგონებ“-ო.⁴¹

შემდგომაც არაერთხელ უბრუნდება ქართული ბუნების სილამაზის აღწერას ედუარდ იუონი. შავ ზღვასაც ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე:

„ზღვა ჩვენი ბანაკიდან ერთი კილომეტრით იყო დაცილებული და მე ნეტარებით ვატარებდი მის ნაპირზე დროს საათობით, აღტაცებული შევყურებდი მას, რომელიც მაშინ, მართლაც, შავი აბობოქრებული სტიქიონი იყო; ხშირი ქარიშხლებისაგან აწრიალებული, ჰორიზონტთან საავდრო ღრუბლებში გახვეული, ის პირქუში და შიშის მომგვრელი ჩანდა. სულ სხვანაირია იგი ზაფხულში! იქიდან არც ისე შორს მდებარეობს კურორტი ქობულეთი, სადაც კოლორიტული, მწვანე და ყვითელი ფერებით განთქმული, დაისით ტკობა შეიძლება“.⁴²

ჰყვება, რა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ლიხაურში, ძველი სასახლის რომანტიკით გარემოცულ ნანგრევებს შორის ხეტიალი:

„რა დამავიწყებს ფეხით გასეირნებას უძველესი, ველური რომანტიკით გარემოცული ნანგრევებისაკენ ლიხაურში, რომლის ისტორია ქრისტიანობის დასაწყისს სწვდება. ამ ნანგრევებზე ჩვენთან, ბანაკში, საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ: თითქოს მის ახლომახლო იარაღით სავსე სარდაფები იყო მოწყობილი; იმავე ნანგრევებთან, ეზოში, დადეს საზვიამო ფიცი მოძრაობის მეთაურებმაო, იქვე იკრიბება რევოლუციური საიდუმლო ტრიბუნალიც, რომელმაც ნაკაშიძეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანაო. [...] მე იქ სხვა ვერაფერი ვნახე, გარდა ვეებერთელა, ძველი, მშვენიერი სუროებით გარშემორტყმული ნასახლარისა, რომელშიც ათასობით ღა-

41. Juon, Eduard. „Ein Jahr im aufständischen Gurien“. Kaukasische Post, 1907.30.09 (13.11), № 16, S. 11.

42. Juon, Eduard. „Ein Jahr im aufständischen Gurien“. Kaukasische Post, 1907.16 (29). 09, № 14. S. 13.

მურა ბუდობდა, ხოლო მისი ქონგურებიდან დიდებული სანახაობა იშლებოდა ზღვამდე“.⁴³

ვნახოთ კიდევ ერთი პასაჟი, სადაც პოლიტიკა და ბუნება ერთმანეთს არის გადაწნული.

გუბერნატორ ვლადიმირ სტაროსელსკის დაუინებული მოთხოვნით ჯარი გურიიდან გაიყვანეს. ამის შემდეგ მალე გამოცხადდა ე.წ. გურიის რესპუბლიკა, რომელიც მთავრობამ სისხლში ჩაახრჩო. ედუარდ იუონმა სხვა ოფიცრებისაგან შეიტყო, რომ მთელი ჩოხატაური და ნახევარი ოზურგეთი გადაუწვავთ. იგი ნალვლიანად წერს:

„რუსებს ქვემეხები აუტანიათ ქალაქის პირდაპირ მდებარე გორაკზე, სადაც ხის ძველი სამლოცველო იდგა, და ნახევარი ოზურგეთი მიწასთან გაუსწორებიათ. მრავალი კვირადღე გამიტარებია ამ მზიან გორაკზე, ბალახზე წამოწოლილი ვტკბებოდი მშვენიერი ხედებით, ხშირ სიმწვანეში მოელვარე ჭრელი სახურავების ცქერით. ზოგი ჩემი მეგობარი სავლელ სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით დაუხვრეტიათ, ბევრი მთებში გახიზნულა“.⁴⁴

ახლა ვნახოთ, როგორ ეხმარებოდა ბუნება ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულთ პოლიტიკური აგიტაციის წარმოებისას:

„1905 წლამდე ოზურგეთს სამხედრო არც ენახა, – წერს იუონი, – მაგრამ ოზურგეთის სწორედ ეს, საქვეყნო ფაციფუს განრიდებული მდგომარეობა, გამოიყენეს რევოლუციონერებმა და წყნარი, ხილის ბაღებსა და ვაზებში ჩაფლული ქალაქი რევოლუციის ციტადელად გადააქციეს. [...] სახლები საკარმიდამო ნაკვეთების შუაგულში დგას და ერთმანეთს მეტისმეტად არის დაცილებული ეზო-ბაღებით. ზაფხულში, როდესაც სუროებით, ლიანებითა და ხვიარა ვარდებით ტანშემოსილი ხეები ამწვანებულია, სახლები სულ აღარ მოჩანს, მით უფრო, რომ უმეტესად მომცრო ზომისა და ერთობ მსუბუქად ნაგებნი არიან. ეს გარემოება, სხვათა შორის, დიდად უწყობდა ხელს აგიტატორებს. მარდად მოივლიდნენ ხოლმე ქალაქს და სოფელს, შეუმჩნევლად შედიოდნენ სახლებში თავიანთი იდეების გასავრცელებლად. რაკი მწვანე საფარით შენიღბული სახლები შორიშორს იდგა, მათი მოქმედება არ იპყრობდა ისედაც მცირერიცხოვანი პოლიციის ყურადღებას. ასე შეუმჩნევლად მომზადდა აჯანყება“.⁴⁵

ორიოდე სიტყვა ამ მოგონებების ავტორის შესახებ.

ედუარდ იუონის პაპა სიმონ იუონი შვეიცარიიდან (გრაუბიუნდენიდან) გადმოსახლებულა რუსეთის კუთვნილ ბალტიისპირეთში 1830 წელს, ხო-

ლო მამა თეოდორ (ფიოდორ) ფრიდრიხ იუონი მოსკოვში დასახლებულა და რუსული სადამღვევო კომპანია დაუარსებია. ამ მოგონებების ავტორს, ედუარდ იუონს, ციურისსა და მიუნხენში ქიმია და მეტალურგია შეუსწავლია. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ურალის მეტალურგიის რეორგანიზატორი და ხელმძღვანელი ყოფილა. ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ ყველაფერი დაუკარგავს და 1919 წელს ძლივს გაუღწევია შვედეთში. 1921 წელს ისევ რუსეთში დაბრუნებულა, რომელიც შემდეგ კვლავ მიუტოვებია და შვეიცარიის მოქალაქეობა მიუღია.

ედუარდ იუონი 1874 წლის 27 იანვარს დაბადებულია მოსკოვში. მისი მშობლების ცხრა შვილიდან ის მესამე ყოფილა. გურიაში ყოფნისას იგი 31-32 წლისა იქნებოდა. გარდაცვლილა 1959 წლის 16 ივნისს მურიში, ბერნთან ახლოს.

აჯანყებულთა მიმართ სიმპათიით გამსჭვალული მისი მოგონებების გამოქვეყნება თბილისური გერმანული გაზეთის რედაქციას დიდ გამბედაობად უნდა ჩაეთვალოს.

ბუნება და ეკონომიკა

თითქოს პარადოქსია, მაგრამ საქართველოს ეკონომიკურ ჩამორჩენას ევროპელი დამკვირვებლები, ნაწილობრივ მაინც, ბუნებრივი გარემოს ნაყოფიერებით ხსნიან.

კარლ ფონ ჰანი, ქუთაისთან ახლომდებარე სანახებს რომ აღწერს, აღნიშნავს, ამ ბაღნარში ყველაფერს ბუნება იძლევა უხვად და ადამიანის ხელს თითქმის არაფრის წამატება არ უწევს ბუნების მიერ ბოძებული სთვისო.⁴⁶ ხოლო ალაზნის ველზე მოგზაურობისას იგი იმაზეც დაფიქრებულა, რა მოსდევს ბუნების ასეთ ხელგაშლილობას. უზომოდ ნაყოფიერი ნიადაგი მოსახლეობის ფიზიკურ და ამის შედეგად აგრეთვე სულიერ ინერტულობას უწყობს ხელს, რაც ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზიაო, თუმცა ამ ჩამორჩენის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც კარგად იცის. იქვე უწერია: საუკუნეების განმავლობაში ქართველები ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგნენ და იძულებულნი იყვნენ, იარაღით ხელში რწმენა და საკუთრება დაეცვათ შემოსეული მტრებისაგანო, და აღნიშნავს: „რა ძლიერ აქვს ამ ხალხს მეომრული ცხოვრება, ასე ვთქვათ, ძვალსა და რბილში გამჯდარი, სხვათა შორის მათი მისაღმება „გამარჯობა!“-ც ცხადყოფს, რაც გერმანულად უნდა ითარგმნოს, როგორც „dein Sieg!“, რაც ნიშნავს „მე გისურვებ შენ გამარჯვებას!“ („Ich wünsche dir zu siegen!“). დილით ერთმანეთს ასე ესალმებიან „Morgen des Frie-

43. Juon, Eduard. „Ein Jahr im aufständischen Gurien“. Kaukasische Post, 1907.30.09 (13.11), № 16, S. 11.

44. იქვე, გვ. 12.

45. Juon, Eduard. „Ein Jahr im aufständischen Gurien“. Kaukasische Post, 1907.23.09 (06.10), № 15, S. 11.

46. Hahn, Carl. „Aus dem Kaukasus“. Leipzig: Verlag Ducker & Humboldt, 1892, S. 89.

dens!“ („დილა მშვიდობისა!“), ხოლო საღამოს: „Abend des Friedens!“ („საღამო მშვიდობისა!“). და თუკი ჩვენ [გერმანელები] ასე მოვიკითხავთ ერთმანეთს: „როგორა ხარ, როგორ მიდის საქმე?“ („Wie geht’s?, wie steht’s?“), ქართველი ასე ეკითხება [მეორე ქართველს]: „Mit welchem Frieden lebst du?“ („როგორ მშვიდობით ბრძანდები?“).⁴⁷ ამ საკითხს ედუარდ იუონიც ეხება, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვით, ერთი წელი დაჰყო გურიაში; ისიც ამახვილებს ყურადღებას ბუნების ნაყოფიერებისა და ეკონომიკური ჩამორჩენილობის პარადოქსულ ურთიერთკავშირზე:

„გურია ისტორიული მხარეა — ძველი იბერიის ნაწილი, და ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათწლეულებიდანვე ქრისტიანული კულტურის კერა. იგი, როგორც დამოუკიდებელი სამთავრო, იმთავითვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აღმოსავლეთის ხალხებთან აღებ-მიცემობაში, მაგრამ როგორც **ბუნებისა და ბედისაგან მეტისმეტად უხვად დაჯილდოებულ ქვეყანათა უმეტესობას დაემართა**, შუა საუკუნეებს აქეთ ვერც გურიამ შეინარჩუნა თავისი მნიშვნელოვანი მდგომარეობა. მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე მოექცა მონღოლთა (ასე წერს! — ლ. ბ.) უღელქვეშ, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს რუსეთს შეაფარა თავი და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან რუსეთის პროვინციად იქცა“.⁴⁸

უფრო კონკრეტულადაც განიხილავს ამ საკითხს ედუარდ იუონი:

„ფართო დიდებულ ჭალებს გვიმრა მოსდებია. არავინ ფიქრობს მიწას იმაზე მეტი წაართვას, ვიდრე დღიურ უღუფადაა საჭირო; ხვალისთვის ღმერთი იბრუნებს. არაფერია იმაზე უბადრუკი, ვიდრე გურულის ყოველდღიური სუფრა: სიმინდის ფქვილი — მთავარი საკვები — გურულად მომზადებული მხოლოდ ცხელია გემრიელი და მაშინაც ძნელი მოსანელებელია; ველურად მოსული ყურძნის ღვინო მჟავეა. უხვი და მრავალფეროვანი ხილი მოუვლელივით და მებაღეობის კულტურის სრული უქონლობის გამო გაუხეშებულია და მატლებისგანაა დაჭმული“.⁴⁹

ქვეყნის სიდუხჭირის კიდევ უფრო არსებით მიზეზზე — ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრაზე — მოგზაურთა ნაწერებში არაფერი შეგვხვედრია.

ეკოლოგია – სამშობლოს დაცვა

1912 წელს „კაუკაზიშე პოსტში“ (№17) დაიბეჭდა შტუტგარტიდან რედაქტორის სახელზე მოსული კორესპონდენცია, ხელმოწერილი ამგვარად: „თქვენი ერთგული დრ. R. Z.“, რომელიც 1912 წლის 30 ივნისით არის დათარიღებული.

კორესპონდენტი მოგვითხრობს იმ ხანებში შტუტგარტში გამართული ერთი საერთაშორისო ეკოლოგიური კონგრესის შესახებ. ეს არის დასავლეთ ევროპაში ეკოლოგიური მოძრაობის საწყისი ეტაპი. თვით ტერმინი „ეკოლოგია“ მაშინ დღევანდელი მნიშვნელობით, ეტყობა, არ იხმარებოდა. მის ნაცვლად კორესპონდენციის ავტორი იყენებს კომპოზიტს „Heimatschutz“ — „სამშობლოს დაცვა“. „სამშობლოს დაცვის კავშირი“ („Bund Heimatschutz“) 1904 წელს დაარსდა და იგი ერთ-ერთი უძველესი ბუნების დამცველი ორგანიზაციათაგანია გერმანიაში (1998 წლიდან ამ კავშირის სახელწოდებაა „სამშობლო და გარემო გერმანიაში“ — „Der Bund Heimat und Umwelt in Deutschland“ e. V.).

შტუტგარტიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში ვკითხულობთ:

„თქვენს იდილიურ კავკასიაში, საბედნიეროდ, წარმოდგენაც არ გექნებათ, რა არის „სამშობლოს დაცვა“. თქვენ ის ალბათ არ გესაჭიროებათ, რადგან, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მანდ ჯერ კიდევ არ განვითარებულა ინდუსტრია. სამშობლოს დასაცავი მოძრაობა უშუალო შედეგია ინდუსტრიის განვითარებისა, ინდუსტრიისა, რომელიც ყველაფერს ანადგურებს, რომლისთვისაც არაფერია წმიდათა წმიდა, არც ტყე, არც ტბა, არც მთა, არც ქალაქის გალავანი. ეს ინდუსტრია ყველგან ფაბრიკა-ქარხნებსა და ყაზარმული ტიპის საცხოვრებლებს აგებს. ჩვენ, დასავლეთევროპელებს, უამრავი მაგალითი გვაქვს თვალწინ იმისა, როგორ სპობს ადამიანთა უგუნურება მშვენიერ ბუნებას და მამა-პაპათა ხელოვნებას. მაგრამ ახლა ამის წინააღმდეგ უკვე ყველგან დაიწყო მძლავრი საპროტესტო მოძრაობა...“.⁵⁰

გაფრთხილებასავით გაისმის ეს სიტყვები მათი გამოქვეყნებიდან საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ. დღეს აღარც საქართველო წარმოადგენს იდილიურ ადგილს ეკოლოგიური თვალსაზრისით, წავიდა ის დრო, როდესაც მარჯორი უორდროპი მოწამეთის სანახების ხილვისას აღტაცებას ვერ მაღავდა იმით, რომ „უფრო პირველქმნილი და ხელშეუხებელი ბუნების სურათის წამოდგენა შეუძლებელია“.⁵¹

ინდუსტრიამ, ადამიანთა სიხარბემ, აქაც იძალა ბუნებაზე. ევროპული მწარე გამოცდილების გათვალისწინება ყოველად აუცილებელია დღევანდელ კავკასიაში ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

47. იქვე, გვ. 239-240.

48. Juon, Eduard. „Ein Jahr im aufständischen Gurien“. Kaukasische Post, 1907.16 (29). 09, № 14. S. 12.

49. იქვე.

50. „Brief aus Stuttgart“. Kaukasische Post. 1912. 15/28.07, № 17, S. 14.

51. უორდროპი, მარჯორი. მოგზაურობა საქართველოში. ჩანაწერები. ინგლისურიდან თარგმნეს, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს მედეა აბაშიძემ და გია ჯოხაძემ. თბილისი, 2012, გვ. 35.

დასკვნის მაგიერ

მორიც ვაგნერი (Moritz Wagner, 1813-1887), გერმანელი მკვლევარი და მოგზაური (მისი ინტერესების სფეროში შედიოდა უპირატესად ბიოლოგია და გეოგრაფია, ცნობილია ლანდშაფტების ჩინებული აღწერილობებით) ყაზბეგის მთის მიმდებარე ველ-მინდვრების ასეთ დახასიათებას გვთავაზობს:

„...დავდივარ თვალწარმტაც მინდვრებსა და ალპურ მდელოებზე, რომელთაც [...] ყვავილების სამყარო (Blumenwelt) ამკობს, ისეთი ნაირფერადი, ისეთი თვალის მომჭრელი, ისეთი კეთილსურნელოვანი, რომლის მსგავსი მთის ფლორა მანამდე არასოდეს არსად მინახავს“.⁵²

მშობლიური ბუნების ღირსებები ჩვენ ჯერ კიდევ აღმოსაჩენი გვაქვს.

აქაც, სამწუხაროდ, უცხოელების იმედად ვართ...

52. Wagner, Moritz. Ein Sommeraufenthalt im kaukasischen Hochgebirge. In: Reisen im Kaukasus. Berichte aus dem 19. Jahrhundert. Herausgegeben und mit einem Vorwort versehen von Jürgen Breuste und Burkhard Malich, Leipzig: Koehler & Ameling, 1987, S. 74.

ბიბლიოგრაფია

დე ბაი, ჟოზეფ. საქართველოში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლეილა მალრაძემ. თბილისი, 2011.

დიუმა, ალექსანდრე. კავკასია. თარგმანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძისა, ია ბერსენაძისა და გიორგი ეკიზაშვილისა. თბილისი: გამომცემლობა „აგორა“, 2009.

უორდროპი, მარჯორი. მოგზაურობა საქართველოში. ჩანაწერები. ინგლისურიდან თარგმნეს, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს მედეა აბაშიძემ და გია ჯოხაძემ. თბილისი, 2012.

უორდროპი, ოლივერ. საქართველოს სამეფო. ინგლისურიდან თარგმნა მერაბ შრუშაძემ. თბილისი, 2001.

Меликсет-Беков, Леон. „К. Ф. Ган“. Известия кавказского историко-археологического института, т. IV, 1926.

Орловская, Наталья. Грузия в литературах Западной Европы XVII-XVIII веков. Тбилиси, 1965.

Baron de Baye. 1904. „En Abkhasie“. Paris.

Bodenstedt, F. 1850. „Tausend und Ein Tag im Orient“. Berlin: Verlag der Deckerschen Geheimen Ober-Hofbuchdruckerei.

„Brief aus Stuttgart“. 1912, Kaukasische Post. 15/28.07, (17): 13-14.

„Das Schwarze Meer“. 1920. Kaukasische Post, 13.05, (38): 4.

Hahn, C. 1892. „Aus dem Kaukasus“. Leipzig: Verlag Ducker & Humbolt.

Hahn, C. 1909. „Aus der Vergangenheit der Stadt Tiflis, von deren Anfängen bis zur Ankunft der Russen“. Kaukasische Post, 25.10 (7.11), (10): 8-9.

Juon, E. 1907. „Ein Jahr im aufständischen Gurien“. Kaukasische Post, 16 (29).09, (14): 12-13; 23.09 (06.10), (15): 10-12; 30.09 (13.11), (16): 11-12.

Koch, C. 1987. Reise durch Radscha. In: Reisen im Kaukasus. Berichte aus dem 19. Jahrhundert. Herausgegeben und mit einem Vorwort versehen von Jürgen Breuste und Burkhard Malich, 61-71. Leipzig: Koehler & Ameling.

Leist, A. 1885. Georgien. Natur, Sitten und Bewohner. Leipzig: Verlag Friedrich.

Leist, A. 1908. „Waro“. Kaukasische Post, 25.03 (07. 04), (41a): 5-6.

Rickmer-Rickmers, W. 1987. „Der Uschba im Kaukasus: Reisen im Kaukasus. Berichte aus dem 19. Jahrhundert“. Herausgegeben und mit einem Vorwort versehen von Jürgen Breuste und Burkhard Malich, 205–216. Leipzig: Koehler & Ameling.

Thielmann, M. 1987. „Durch Svanetien: Reisen im Kaukasus. Berichte aus dem 19. Jahrhundert“. Herausgegeben und mit einem Vorwort versehen von Jürgen Breuste und Burkhard Malich, 146–155. Leipzig: Koehler & Ameling.

Wagner, M. 1987. „Ein Sommeraufenthalt im kaukasischen Hochgebirge: Reisen im Kaukasus. Berichte aus dem 19. Jahrhundert“. Herausgegeben und mit einem Vorwort versehen von Jürgen Breuste und Burkhard Malich, Leipzig: Koehler & Ameling, 73–81.

„Zum 40-jährigen Amtsjubiläum Sr. Exzellenz des Wirkl. Staatsrats Karl v. Hahn“. 1912. Kaukasische Post. 15/28. 04, (4): 9–10.





საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი და იმ მოღვაწე გერმანელი სწავლულები

ცისანა გოდერძიშვილი, ლიანა ოსიშვილი

თუკი თბილისის ბოტანიკურ ბაღს ერთ მთლიანობად განვიხილავთ თავისი ტერიტორიულ-ინფრასტრუქტურული, ფლორისტული თუ იქ მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი მახასიათებლებით და, ამავე დროს, თუნდაც ზერეღედ, თვალს შევავლებთ მის ისტორიას, ნათლად დავინახავთ, რომ დაარსებიდან მოყოლებული იგი, როგორც მგრძნობიარე, ცოცხალი ნაწილი ქალაქისა, ზუსტად ასახავდა და საკუთარ სხეულზე განიცდიდა ყველა იმ ისტორიულ მოვლენას, რაც თბილისს ბოლო საუკუნეების მანძილზე გამოუვლია. ამიტომაც მასაც ისევე ჰქონდა დაცემისა და „ფეხზე წამოდგომის“ არაერთი ხანა, როგორც ქალაქს და შესაბამისად – ქვეყანასაც. სოციალურ-პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად განპირობებული მდგომარეობა ასეთი პერიოდებისა მძაფრად მოქმედებდა მის ყველა ზემოხსენებულ მახასიათებელზე: ხან პირდაპირი მნიშვნელობით მიწასთან ასწორებდა ბაღის ტერიტორიასა და მასზე გაშენებულ უნიკალურ მცენარეებს, შლიდა ინფრასტრუქტურას, შედარებით მოგვიანებით კი, გასულ საუკუნეში, უკვე სამეცნიერო სამუშაოებსაც აკნინებდა და ზოგჯერ საერთოდ წყვეტდა კიდევ. ხანაც ყველაფერი ეს ისევე „წელში იმართებოდა“. სწორედ ასეთი იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი და მე-20 საუკუნის დასაწყისი, ის პერიოდი, როცა ბაღს გერმანელმა მეურვეებმა მოჰკიდეს ხელი, გააფართოეს მისი მიწები, მოაწყვეს ინფრასტრუქტურა და გაამდიდრეს მცენარეთა კოლექციები, სამეცნიერო მიმართულებით კი დასაბამი მისცეს არაერთ ფუნდამენტურ სიახლეს.

თბილისის ბოტანიკურ ბაღს მდინარე წავკისისწყლის ხეობაში, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ არაბობის დროს უნდა ჩაჰყროდა საფუძველი, რაც ამ ადგილის უნიკალური მიკროკლიმატით იყო განპირობებული. ამაზე თუნდაც ბაღის ნარგავების მორწყვის მიზნით არაბების მიერ აგებული სარწყავი არხიც მეტყველებს, რომელსაც არაბულად „სულუ-ლახი“ ჰქვია და, ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, „სოლოლაკიც“ აქედან მომდინარეობს. წავკისისწყლის ხეობას ლეღვთახევისა და ეძახდნენ, მის ქვემოთა ნაწილს კი – „სეიდაბადს“. ხალხური გადმოცემის მიხედვით, იგი ხშირი მცენარეებით ყოფილა დაფარული, რომელთა შორის ლეღვის ხეები ჭარბობდა თურმე და ხევის სახელწოდებაც აქედან წარმოშობილა. გვიანდელი შუა საუკუნეებიდან ქალაქის ეს „გარეუბანი“ ქართველ მეფეთა მამული ყოფილა, სადაც მშვენიერი, ეგზოტიკური მცენარეებით დაფარული „სასახლის ბაღი“ გაუშენებიათ და მას „სამეფო ბაღს“, „ციხის ბაღს“, იმავე „სეიდაბადის“ ბაღსაც უწოდებდნენ. მის შესახებ პირველი ცნობები ფრანგ მოგზაურთა თუ მეცნიერთა ჩანაწერებში გვხვდება. მათგან უძვე-

ლესი ჟან შარდენს ეკუთვნის, რომელიც თავის ათტომიან თხზულებაში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ გარკვეულ ადგილს უთმობს საქართველოს და თბილისის ბაღების სიმშვენიერებებს მიუთითებს. მათში კი სიდიდით მთავრის ბაღს გამოყოფს. სწორედ შარდენისეულ ჩანაწერებს იმოწმებენ მკვლევრები, როგორც ერთ-ერთ პირველწყაროს და იქიდან გამომდინარე, რომ იგი თბილისს 1672-1673 წლებში სტუმრობდა, ხოლო ხემცენარეებს ზრდასრულ ასაკამდე 35-40 წელი მაინც სჭირდებათ, ბაღის დაარსების სავარაუდოდ XVII საუკუნის პირველ ნახევარს მიიჩნევენ, კონკრეტულად კი – 1636 წელს. ამას ადასტურებენ ისეთი დიდი მეცნიერებიც, როგორებიც არიან აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი და ბუნების ისტორიის მკვლევარი მიხეილ შენგელია. რა თქმა უნდა, ეს თარიღი ზუსტი ვერ იქნება და ესეც აღიარებულია, თუმცა, დღემდე ბაღის იუბილეებს დასახელებული წლიდან ითვლიან და, შესაბამისად, ისიც თამამად არის გაცხადებული, რომ ამგვარი ფუნქციით თბილისის ბოტანიკური ბაღი უძველესია ამიერკავკასიაში.

შარდენის შემდეგ ფრანგი ბოტანიკოსი და ექიმი, ჟოზეფ ტურნეფორი აღწერს თბილისს, რაც იმდროინდელ აღწერათა შორის საუკეთესოდ არის მიჩნეული. ამავე დროს, იგი პირველი ევროპელი მეცნიერია, რომელმაც საქართველოს ბოტანიკის შესწავლა დაიწყო. თბილისში ტურნეფორს 1701 წელს უმოგზაურია და სხვა ნაგებობათა შორის მეფის სასახლეს დაუთვალიერებია: „ეს სასახლე ქალაქის იმ გარეუბანშია, რომელზედაც ოსმალეთში მიმავალი გზა გადის. სასახლე საინტერესოა იმიტომ, რომ მის ირგვლივ საუცხოო ბაღებია, რომლებსაც უკეთ უვლიან, ვიდრე ოსმალეთში. ამ ბაღში აღტაცებაში მოგვიყვანა მცენარე (პაჩული), რომელსაც ისეთივე ფოთლები ჰქონდა, როგორიც თამბაქოს“¹.

ცოტა უფრო მოგვიანებით კი, 1768 წელს, თბილისში ჩამოსულა აბატი დელაპორტე, რომელიც, ქართველი ქალის სილამაზისა და „შიშველ კლდეებზე ამოზრდილი სახლების“ თვალწარმტაცობასთან ერთად, მოხიბლულა გოგირდის აბანოების ღირსებებით² და სასახლის ბაღების სიმშვენიერით: „ჩვენ გვაჩვენეს მეფის სასახლე საიდაბადზე, რომელიც ამაღლებულ ადგილზეა აშენებული და ჩანს, რომ მისი შემოგარენი ისეთივე ლამაზია, როგორიც სასახლის შიგა მორთულობა. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ დიდი ბორცვები დამრეც კალთებად გადაუკეთებიათ და ზედ ნაკადულები მოსჩქეფენ“.

თუმცა ეს უკვე ერეკლეს დროის თბილისია, „რომელიც სრულიად გამორჩეული იყო თავისი მისწრაფებებითა და იერიით. მშვიდობის ნახევარ-

რი საუკუნე თბილისმა იმისთვის გამოიყენა, რაც ალბათ ისედაც იდო მის სულში, მაგრამ ძნელბედობას მიენავლებინა“³. ამ ძნელბედობის, მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო იყო, რომ გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი, ქართლის მეფის უკანონო შვილი ვახუშტი ბატონიშვილი მამას, ვახტანგ VI-ს რუსეთში გაჰყვა და სამეცნიერო მოღვაწეობა მოსკოვში განაგრძო. სხვა მრავალ სამეცნიერო დამსახურებასთან ერთად, ეპოქის კარტოგრაფიული ხელოვნების შენაძენია თბილისის გეგმაც, რომელიც ასეთ გეგმებს შორის ქრონოლოგიურად პირველია (1735 წ.). იგი ასახავს თბილისის მდგომარეობას „ოსმალბობის“ წინ და ერთვის ცხრა სვეტში მოქცეული ექსპლიკაცია (განმარტება), რომელიც არაბული ციფრებითა და ქართული ასორიცხვებით აღნიშვნებს მოიცავს. გეგმაზე 51-ე ნომრად ციხის ბაღია მონიშნული და მისი არსებობის ერთგვარ თვალნათლივ დადასტურებას წარმოადგენს. ამიტომაც ბოტანიკური ბაღის მუზეუმში, სანამ იგი შენობის რეაბილიტაციის მოლოდინში ფუნქციონირებას შეწყვეტდა სულ რამდენიმე წლის წინ, ვახუშტისეული თბილისის გეგმა უპირველესი თვალსაჩინოება იყო, რომელზე დაყრდნობითაც იწყებდნენ ბაღის ისტორიის თხრობას მასპინძლები. გეგმის გარდა, ვახუშტი ბატონიშვილი ბაღს მოიხსენიებს თავის წიგნშიც „საქართველოს გეოგრაფია“ და ძალიან მოკლე, მაგრამ მკვლევართათვის ერთობ მნიშვნელოვან ამბავს ჰყვება იმის შესახებ, თუ როგორ გადმორგო ვახტანგ VI-მ კეჩუთისა და ბოლნისის მთიანი ხეობებიდან სუმბული, რომელმაც ვერ გაიხარა და თესლი არ გაიკეთა. შემდგომში სწორედ ასეთი არაერთი ცნობის აღმოჩენამ და მათმა კვლევამ მისცა საშუალება მეცნიერებს, მათ შორის ნ. კეცხოველს⁴, დაესკვნათ, რომ მაშინდელი სამასი ბაღიდან მეფის ბაღი იყო მთავარი, სადაც მცენარეები შორეული ქვეყნებიდანაც შემოჰქონდათ და აქედანვე ვრცელდებოდა კიდევ გამრავლების მიზნით. ეს კი მას, მართლაც, ოდითგანვე ანიჭებდა ბოტანიკური ბაღის მნიშვნელობას.

ნახევარსაუკუნოვანი მშვიდობიანი ცხოვრების შემდეგ ქალაქსა და მის შემოგარენს საშინელი განსაცდელი ელოდა ალა-მაჰმად-ხანის სახით, რომელიც თბილისს 1795 წელს შემოესია, გაძარცვა და გაჟლიტა მოსახლეობა, მიწასთან გაასწორა, გადაწვა და დაანგრია ყველაფერი და, რა თქმა უნდა, არც სამეფო ბაღი დაინდო. „ალა-მაჰმად-ხანმა ვერ მოკლა თბილისი, მაგრამ სულთმობრძავი დატოვა“⁵. როგორც ჩანს, ასეთი სულთმობრძავი დარჩა მეფის ბაღიც, რადგან იქ რამდენიმე ხნის შემდეგ ძლივსლა შეიმჩნეოდა ორიოდ ძველი ნარგავი, ბოტანიკური იშვიათობა⁶. თუკი ბაღის დაარსებას XVII საუკუნიდან მოვითვლით, ეს მისი ძნელბედობის პირველი და ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი გამო-

1. პოლიექტოვი, მიხეილ და ნათაძე, გრიგოლ. ტურნეფორი თბილისში XVIII საუკუნის

დასაწყისი. ტფილისი: 1930, გვ. 29.

2. გვათუა, ნინო. ძველი თბილისის გოგირდის აბანოების ისტორიიდან. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966, გვ. 95.

3. მორჩილაძე, აკა. თბილისი. ჟ. „ჩემი სამყარო“, №18, 2017, გვ. 46.

4. კეცხოველი, ნიკო. ბოტანიკა საქართველოში, თბილისი: 1969, გვ. 35.

5. მორჩილაძე, აკა. თბილისი. ჟ. „ჩემი სამყარო“, № 18, 2017, გვ. 46.

6. თბილისის ბოტანიკური სიძველეები. გაზ. „Навкв“, №25, 1851, გვ. 2.

დის. ალა-მაჰმად-ხანის სისასტიკეს შეწირულსა და დაკნინებულს არც რუსეთის იმპერიამ მოუტანა დიდი სიკეთე XIX საუკუნის დასაწყისში: მეფობა გააუქმა, ქვეყანა რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა და თბილისში კავკასიის მთავარმართებელი დასვა. მშვიდობიანად შემოსული რუსეთის ჯარის სარდლობას სამეფო ოჯახის რეპრესიები დაევალა. ქართლ-კახეთის უკანასკნელმა დედოფალმა მარიამმა გაძევებისგან თავდასაღწევად ჯერ გაქცევა სცადა ხევსურეთში, შემდეგ მის წასაყვანად მისული გენერალი ლაზარევი ხანჯლით გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ რუსეთში გადასახელებას მაინც ვერ გადაურჩა. იქამდე კი, 1801 წელს, დედოფლის შორეულმა ნათესავმა, მთავრსარდალმა პავლე ციციანოვმა სამეფო ბაღი, რომელიც სამეფო კარის მფლობელობაში იყო, „სახაზინო ბაღად“ აქცია და კერძო პირებზე არენდით გასცემდა.

მაღევე, 1808 წლიდან, ისევ ციციანოვის ბრძანებით, აქ სააფთიაქო ბაღი მოეწყო სამკურნალო მცენარეების მოსაშენებლად, რომლებიც ხეხილთან ერთად დაურგავთ, მაგრამ ამ დროის თბილისის პირქუში და მკაცრი ცხოვრების ფონზე ბაღის მდგომარეობა მაინც არ უნდა ყოფილიყო დიდად სახარბიელო.

თუმცა დადგა 1844 წელი და ქალაქის ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა; კავკასიის მეფისნაცვლად გრაფი ვორონცოვი დაინიშნა, ბრიტანეთში დაბადებული და იქვე აღზრდილი, ბრწყინვალე განათლებისა და იშვიათი მოქნილობის ადამიანი. მან ადგილობრივი ტრადიციების პატივისცემა, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლება უფრო საიმედო გზად მიიჩნია აქაურობის დასამშვიდებლად, ვიდრე მათრახი და ციმბირში ხალხის გადასახლება. სიახლეები ბაღსაც შეეხო, უპირველესად კი – მის სტატუსს. დანიშვნიდან სულ რაღაც ერთ წელიწადში, 1845 წელს, ვორონცოვმა ბაღი მეფისნაცვლის კანცელარიის განკარგულებაში გადაიტანა და ოფიციალურად მიანიჭა „ბოტანიკური ბაღის“ სახელწოდება. მისი ჩანაფიქრი, რომ ბაღის ტერიტორია ყოფილიყო სილამაზითა და სასარგებლო თვისებებით გამორჩეული კავკასიის მცენარეთა სანერგე, რომელიც მთელი მხარის მეზაღეობას მოემსახურებოდა, საწყის წლებში ძნელი განსახორციელებელი აღმოჩნდა. ეს რა გასაკვირი იყო, როცა ბაღს ექვსი ხეიბარი ჯარისკაცი იცავდა და მეურნეობას მხოლოდ ერთი მეზაღე უძღვებოდა.

1846 წლიდან ბაღის მმართველად მაიორი შემოიკა დაუნიშნავთ, რომლის დროსაც მოუწყვიათ მერქნიან მცენარეთა სათბური, გამოჰყავდათ ნერგები და კავკასიის მასშტაბით სხვადასხვა ორგანიზაციას ამარაგებდნენ. ამასთან, ხეხილის საუკეთესო ჯიშები ყირიმიდან გამოუწერიათ, კარტოფილის შვიდი ჯიშით კი – ჰამბურგიდან. საქმე ისე წასულა წინ, რომ 1849 წლიდან უკვე მოსახლეობაზე დაუწყიათ ვაზისა და ხილის ნამყენების გაცემა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ეს კი უკვე ის დროა, როცა რუსეთის იმპერიას დასავლური კულტურის გავრცელე-

ბის, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარებისთვის საქართველოშიც, როგორც რუსეთის შემადგენელ ერთ-ერთ გუბერნიაში, ჩამოსახლებული ჰყავდა ევროპელი ემიგრანტები. მათ შორის იყვნენ სამხრეთგერმანელი კოლონისტები, რომელთა კომპაქტური დასახლებები, „საქართველოს გერმანული კოლონიები“, ეკონომიკურადაც საკმაოდ მომძლავრებულიყვნენ. ცნობილია, რომ თბილისის შემოგარენსა და მის ახლომახლო რეგიონებში დაფუძნებულ ასეთ დასახლებებში მუყაითი გერმანელები ხეხილსა და ვაზს აშენებდნენ, რასაც 1860-იან წლებამდე მხოლოდ თავიანთი მოხმარებისთვის იყენებდნენ. შემდეგ კი იმდენად დიდ მოსავალს იწვედნენ, რომ წარმოება გააფართოეს და ღვინისა და კონიაკის, არყისა და ლიქიორის ექსპორტით ეკონომიკური გარღვევა შეძლეს⁷. ეს მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ ალბათ არ არის გამორიცხული, რომ ამ საქმეში ბოტანიკური ბაღიდან გაცემულ ვაზის ნამყენებსაც ჰქონოდათ დიდი დამსახურება, მით უმეტეს, რომ ამ დროიდან მას რუსეთის იმპერიის პოლიტიკის ერთგული გამტარებლები, მაიორი შემოიკა, პოდპოლკოვნიკი დემონკალი და აგრონომი დოიჩმანი უძღვებოდნენ, ხოლო ხელისუფლება კი მაშინ სათანადოდ ეხმარებოდა გერმანულ კოლონიებს, უფასოდ უშენებდა სახლებს, ურიგებდა სახნავ-სათეს, საბაღე და სავენახე მიწებს, შრომის იარაღებს და ა.შ. ამ ვარაუდს ისიც განამტკიცებს, რომ დოიჩმანის ხელმძღვანელობის დროს, 1856-1860 წლებში, ბაღი სოფლის მეურნეობისა და უცხოელთა კოლონიების სამმართველოს გადაეცა მფლობელობაში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა ბოტანიკური ბაღის მხრიდან კოლონისტთა შესაბამისი დახმარების შესაძლებლობას.

მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, ამ პერიოდში ბაღის მდგომარეობა კვლავაც არ იყო მაინცდამაინც სახარბიელო. ვორონცოვის გადადგომის შემდეგ ბაღს „გარდამავალი ხანა“ დაუდგა, როგორც ამას მოგვიანებით მისი მესვეურნი უწოდებდნენ⁸. სინამდვილეში კი ეს ბაღისთვის ერთობ მძიმე დრო აღმოჩნდა, როცა მისი არსებობაც კი სათუო გახდა. ერთი მხრივ, მთავარი გარემოება შესაძლოა სწორედ ის იყო, რომ ბაღს არასპეციალისტები მართავდნენ, მეორე მხრივ კი, უამინდობაც შვრებოდა თავისას. თუკი მაშინდელი ერევანსკის მოედანიც კი ქალაქის კიდე იყო და, მიუხედავად მოედნობისა, გაზაფხულის წვიმების დროს იქაურობა მიჰქონდა სოლოლაკის აღმართებიდან მოვარდნილ ნიაღვრებს, ადვილი წარმოსადგენია, რა დღე ადგებოდა სოლოლაკის ქედის სამხრეთ ფერდობზე, წავკისისწყლის ხეობაში მაშინ არცთუ დიდ ტერიტორიაზე გარიყულ ბაღს. სულ რაღაც ათ წელიწადში დროის მონაკვეთში (1846-1856) იგი მართლაც რამდენჯერმე დაუფარავს ადიდებულ წავკისისწყალს, ხოლო 1848 წელს, უამინდობასთან ერთად, ნარიყალაზე დენთის საწყობის

7. მანჯგალაძე, გურამ. გერმანელები. ეთნოსები საქართველოში. თბილისი: 2008, გვ. 260.

8. ბოტანიკური ბაღის შრომები. ტ. I. ტიფლისი: 1895 წ. გვ. 5.

აფეთქებასაც მნიშვნელოვნად დაუზიანებია, რასაც მაიორ შემოტას მიერ მეფისნაცვლისადმი ამ წელს მიწერილი ანგარიშიდან ვიგებთ⁹. 1857 წლის ღვარცოფს „დაბახანის ხეობაში“ (იგივე წავკისისწყლის ხეობა) კიდევ ერთხელ ჩამოუშლია ტერასების კედლები, დაუნგრე-ვია სათბური და წაუღია ნარგავები... და დადგა საკითხი – საერთოდ განთავისუფლებულიყვნენ ბოტანიკური ბაღისგან, როგორც ხაზინის-თვის არამომგებიანი დაწესებულებისგან და მუშათაიდის ბაღთან ერ-თად ისიც ქალაქის მმართველობისთვის გადაეცათ. ასე გამოაცხადა ახალდანიშნულმა მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ იმავე წელს ის სასეირნო (Гулянищный) ბაღად.¹⁰ უკვე სახელიც, „ბოტანიკუ-რი“, შეუფერებელი გახდა. მაშინდელი თბილისის ცხოვრების ფონზე, როცა მეღვინეები იყვნენ თუ აძლევდნენ ქალაქს ლალ იერს ბაღებში და მტკვარზე გასულ ტივებზე დროსტარებით, ბოტანიკური ბაღი, ორთა-ჭალის განთქმულ ბაღებთან ერთად, იოლად იქცეოდა საქეიფო ადგი-ლად. აქ მართლაც აღვირა ხსნილი ღრეობები ეწყობოდა, ნარგავების ძვირფასი ჯიშები ნადგურდებოდა და უამინდობით ისედაც დასუსტე-ბული და უყურადღებოდ დარჩენილი ბაღი კიდევ უფრო ზიანდებოდა.

ორიოდე წელიწადში მისთვის „მებაღეობის სასწავლებლის ბაღი“ უწო-დებიათ,¹¹ 1860 წელს კი სასწავლებელი კახეთში გადაუტანიათ და ბა-ღისთვის ძველი სახელი – „ბოტანიკური“ დაუბრუნებიათ. ბოტანიკურის მნიშვნელობის დაბრუნებას შესაძლოა ხელი იმანაც შეუწყო, რომ ამ დროისთვის სასეირნო ბაღად „ალექსანდრეს ბაღი“ უკვე დაპროექტებუ-ლი იყო, მომდინარეობდა მუშათაიდის ბაღის კეთილმოწყობაც. დადგა დრო, როცა დაკნინებულ და სხვადასხვა სტატუსსა თუ მესაკუთრეგამოვ-ლილ ბაღს მცოდნე სპეციალისტისა და კარგი პატრონის ხელილა თუ უშ-ველიდა.

ამ პერიოდისთვის გერმანელი კოლონისტების გარდა თბილისში უკვე ჩამოსულია არაერთი მოწვეული გერმანელი სპეციალისტიც, რომელ-თაც სხვადასხვა სფეროში უკვე დიდი წარმატებებისთვის მიედწიათ. ასეთი მოწვეული სპეციალისტი იყო ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერიც (1828-1906), სწავლული მებაღე-დეკორატორი და ლანდშაფტის არქი-ტექტორი, რომელსაც 1861 წლიდან ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანე-ლობა დაევალა.

ბოტანიკურ ბაღში მისი დანიშვნის წელს გაუქმდა ბატონყმობა რუსეთ-ში, სამი წლის შემდეგ კი – საქართველოშიც. შედეგად, სოფლებიდან საცხოვრისისა და ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქს მომწყდარმა მუ-შახელმა „ახალი თბილისის“ შენება და მისი გაზრდა გამოიწვია. ბოტა-

ნიკური ბაღიც უნდა აჰყოლოდა კაპიტალიზმის შემოსვლით ამოძრა-ვებული ქალაქის რიტმს. ასეც მოხდა. თუმცა, შარერის მმართველობის დასაწყისში ბაღის განვითარება მდორედ მიიწევდა წინ. ამას მწირი დაფინანსებაც¹² განაპირობებდა და, რაც მთავარია, შარერის მოუც-ლელობაც: იგი პარალელურად პირველი ევროპული ყაიდის ბაღის – „ალექსანდრეს ბაღის“ – გაშენებასა და სასახლის ბაღის ხელახალ მოწყობას ხელმძღვანელობდა. ამავე პერიოდში იგი იყო ჩართული ბორჯომის პარკისა და ახლანდელი თეთრიწყაროს პარკის მოწყობა-შიც და ბოტანიკურ ბაღზე მზრუნველობისთვის დრო თითქმის აღარ რჩებოდა. ცოტა ხანში „ალექსანდრეს ბაღი“ გაიხსნა (1865 წ.), მოეწყო ზემოხსენებული დანარჩენი ბაღები და შარერიც მხოლოდ ბოტანიკუ-რი ბაღის საქმიანობაზე გადაერთო. 1869 წლიდან საგრძნობლად გაი-ზარდა ბაღის დაფინანსება და მუშაობაც გაჩაღდა. საფუძველი ჩაეყარა ზოგიერთი ტექნიკური და სამრეწველო მცენარის მოშენებასა და აკ-ლიმატიზაციას. სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მერქნიანი ჯიშების დანერგვაც დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ 10 000 ნერგი გვალვისგან განადგურდა, ეს პირველი ცდა იყო გამწვანების მიზნით ჩატარებული პრაქტიკული ღონისძიებებისა. ჰაინრიხ შარერის ხელ-მძღვანელობით 1872-1873 წლებში აშენდა მცირე ზომის ორი მრგვალ-თალოვანი ორანჟერეა, რისთვისაც მასალა საფრანგეთიდან ჩამოიტა-ნეს. ორანჟერეა განკუთვნილი იყო ოთახის მცენარეების კოლექციებისა და ვიქტორიასთვის,¹³ რომელიც დამთავალიერებლთა აღფრთოვანე-ბას იწვევდა. დაიწყო მცენარეთა ადაპტაციის საკითხების შესწავლის პირველი ცდებიც. გაახარეს და გააშენეს როგორც ადგილობრივი, ისე არაადგილობრივი მცენარეები, რის შედეგადაც საგრძნობლად გამ-დიდრდა და გაფართოვდა კოლექციების სახეობრივი შემადგენლო-ბა. აღსანიშნავია, რომ შარერი მსოფლიოს 70 უმსხვილეს ბოტანიკუ-რი ბაღთან თანამშრომლობდა და კოორდინაციას უწევდა კავკასიის ბოტანიკურ ბაღების საქმიანობასაც. ისე რომ, 1875 წლის ბოლოს ბო-ტანიკური ბაღში 1238 სახეობის ღია გრუნტისა და სასათბურე მცენარე აღრიცხებოდა, მათ შორის – ანანასიც კი. გარდა ამისა, იყო 134 სახეო-ბის ვარდი. შეიქმნა ბოტანიკური ბაღის პირველი კატალოგი, რომელიც 1887 წელს გამოიცა. ამ დროისთვის კი კოლექციები უკვე ღია გრუნტის ხე-ბუჩქის 342 სახეობას, მრავალწლოვანი ბალახების 2205 სახეობასა და საორანჟერეო მცენარეების 3406 სახეობას, მთლიანობაში თითქმის 5-ჯერ მეტს, ითვლიდა. ეს ყველაფერი დიდ და პატარა საფეხურებად შექმნილ ტერასებზე და პარტერში მოწყობილ ყვავილნარად იყო გან-

12. ბაღის დაფინანსება, მთელი ხარჯი, მებაღისა და მცველების ანაზღაურებისა და კე-თილმოწყობის ჩათვლით, წელიწადში 700 მანეთს არ აღემატებოდა.

13. ტროპიკული მცენარე, რომელიც სამხრეთ ამერიკაში, მდინარე ამაზონის აუზშია გავ-რცელებული, Victoria regias-ს აქვს 2 მ. სიგანის ფოთლები, რომლებიც წყლის ზედაპირზე ცურავენ და შეუძლიათ 50 კგ. ტვირთს გაუძლონ, მისი ყვავილის სიგანე 35 სმ.-ს აღწევს, ორანჟერეებსა და საგანგებოდ აშენებულ აუზებში იგი პირველ წელსვე ყვავილობს.

9. ბოტანიკური ბაღის შრომები. ტ. I. ტიფლისი: 1895 წ. გვ. 5.

10. იქვე.

11. მებაღეობის სახაზინო სასწავლებელი ბაღის ტერიტორიაზე 1859 წელს გაიხსნა და მას დოიჩმანი ხელმძღვანელობდა.

ლაგებული და არაჩვეულებრივ სანახაობას ქმნიდა. ამ სანახაობის გამო იყო, ალბათ, რომ ბაღი თბილისელებისა და ქალაქის სტუმრებისთვის გამორჩეულ ადგილად ქცეულა დასასვენებლად. ბაღი დილის 8 საათზე იხსნებოდა, საღამოთი კი ზარს რეკავდნენ და ისე აუწყებდნენ სტუმრებს მის დახურვას. გარე ტერიტორიაზე და გზაზე სეირნობა უფასო ყოფილა, შესვლის მსურველებზე კი ერთჯერადი ან სემონური ბარათები გაიცემოდა. ხალხი ასევე ბილეთით შედიოდა ბაღში, რომელიც გარე ტერიტორიისგან ხის ღობით ყოფილა გამოყოფილი და ქვედა მხარეს ბოტანიკური ქუჩიდან შემავალი ჭიშკარი, ანუ მთავარი შესასვლელი, ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთით – ნარიყალას ციხე-სიმაგრე, სამხრეთით – მდინარე წავკისისწყალი, დასავლეთით კი – მუზეუმსა და გვირაბს შორის მოქცეული ტერიტორია. შესვლა კი ყველას როდი შეეძლო, გადმოცემით, ბაღში არ უშვებდნენ მთვრალებსა და შეუსაბამოდ ჩაცმულებს, იმათაც, ვისაც ხაზინის საკუთრებისადმი დაუდევარი მოპყრობით, უხეშობითა და უტაქტო ქცევით გამოარჩევდნენ.

შარერმა თავისი მოწესრიგებული, გერმანული შრომის კულტურით წარმართული სამეურნეო და სამშენებლო საქმიანობით მართლაც შეძლო არაჩვეულებრივი ბაზა შეექმნა ბაღის შემდგომი განვითარებისთვის.

1889 წელს ჰაინრიხ შარერი ალბერტ ჰინცენბერგმა შეცვალა, რომელმაც ბაღში 1898 წლამდე იმუშავა და ღირსეულად გააგრძელა შარერის მიერ ბაღის განვითარებისთვის დაწყებული საქმიანობა. მისი მუშაობის პერიოდში შეიქმნა ახალი ნარგავების, ისეთები, როგორიც იყო 1892 წელს მუზეუმსა და ჩანჩქერს შორის მდებარე ტერიტორიაზე გაშენებული ფიჭვების, ნაძვების, ცაცხვების, ღვიისა და სხვათა კოლექციები. 1893 წლის ანგარიშის მიხედვით, ბაღში ითვლებოდა მცენარეთა 124 ოჯახის 1444 სახეობა. და თუ შარერის დროს მცენარეები უსისტემოდ, არაგეოგრაფიული პრინციპით ირგვებოდა, ახლა უკვე ცალკეულ ნაკვეთებზე მოწყობილ განყოფილებებში ნარგავები განლაგებული იყო ოჯახების, ზოგ ადგილებში კი ვერტიკალური სარტყლების მიხედვით, რაც გაზრდილი კოლექციების უკეთ გაცნობისა და მათი განხილვის საშუალებას იძლეოდა. 1891-1893 წლებში ასე შეიქმნა¹⁴:

1. კავკასიურ მცენარეთა განყოფილება.
2. სამხრეთის მცენარეების განყოფილება, სადაც აკლიმატიზაციაზე ცდებისთვის დარგული იყო თბილი ქვეყნების მცენარეები. მეცნიერთა¹⁵ ვარაუდით, ამ განყოფილების ეგზოტიკური მცენარეების კოლექცია გახდა საწყისი დღევანდელი ისტორიული არბორეტუმის შესაქმნელად.

14. ბოტანიკური ბაღის 1893-1895 წლების ანგარიშების მიხედვით.

15. გოგოლიშვილი, მამია. სხიერელი, ვიქტორ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური (თბილისის) ბოტანიკური ბაღი. მოკლე ისტორია. თბილისი: 1986, გვ. 15.

3. ბოლქვოვან მცენარეთა განყოფილება, სადაც წარმოდგენილი იყო ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის ბოლქვოვან და ტუბეროვან მცენარეთა 300 სახეობისგან შემდგარი კოლექცია.

4. ალპური გორაკი – მაღალმთის მცენარეთა ექსპოზიციისთვის, სადაც 1895 წელს დაირგო დაახლოებით 70 სახეობის მცენარე.

5. წიწვოვან მცენარეთა განყოფილება.

6. ეკონომიკური მცენარეების (სამკურნალო, მარცვლოვანი, სამღებრო, საკვები, ბოსტნეული და სხვ.) განყოფილება.

თუმცა, ეს განყოფილებები რეალურად მიწის პატარა ნაკვეთებს მოიცავდა, რაც მცენარეთა ჯგუფების მზარდ კოლექციათა უფრო სრულად წარმოდგენის საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ ახალი მიწების შემოერთება გახდა აუცილებელი, რაც 1896 წელს განხორციელდა სამხრეთ ექსპოზიციის ბაზაზე. შედეგად, ამავე წელს უფრო დიდ ტერიტორიებზე გადატანილ უკვე არსებულ განყოფილებებს კიდევ სამი ახალი დაემატა:

1. უცხოური წარმოშობის წყლის მცენარეთა განყოფილება.
2. მლაშობის მცენარეთა განყოფილება.
3. საქსაულის საჩვენებელი განყოფილება.

სამხრეთ ექსპოზიციის ახალი ტერიტორიების ათვისებასთან ერთად პირველად მოეწყო რკინისმილებიანი სარწყავი სისტემა, რომელიც ნახევარ კილომეტრს აჭარბებდა. თუმცა, სამხრეთ ექსპოზიციის სუსტი და ნაკლები სიღრმის მქონე ნიადაგი არ აღმოჩნდა მთლად შესაფერისი ეკოლოგიური მოთხოვნების მიხედვით კოლექციების განლაგებისა და მათი შემდგომი გამდიდრებისთვის. მუშაობა რომ არ შეფერხებულიყო, კერძო პირებისგან ნაკვეთების შესყიდვა და წავკისისწყლის მოპირდაპირე ნაპირის, ყველაზე ხელსაყრელი რელიეფის მქონე მიწების, ათვისება დაიწყო. ამრიგად, ბაღის ტერიტორია 63 ჰექტარამდე გაიზარდა. გაფართოვდა გზების ქსელი, ახალ ნაკვეთებზე გაიყვანეს უკვე 5 კილომეტრამდე რკინისმილებიანი სარწყავი ქსელიც. სათბურისა და სკოლის თანამშრომლებისთვის ააგეს აგურის სახლი. ასეთივე სახლი ააშენეს სოლოლაკის ქედზე დირექციისა და სპეციალისტებისთვის.

სამეურნეო საქმიანობასთან ერთად, ჰინცენბერგის მოღვაწეობის პერიოდში უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო საქმიანობას ჩაეყარა საფუძველი.

1889-1891 წლებში გამოიცა ღია გრუნტის მცენარეთა თესლებისა და ბოლქვების კიდევ ორი კატალოგი. ამასთან, ბაღში სათანამშრომლოდ და საქართველოს ცალკეული რაიონების ფლორის შესასწავლად მიიწვიეს ცნობილი ბოტანიკოსები. ეწყობოდა ექსპედიციები უმთავრესად დასავლეთ საქართველოში და გამოკვლევების შედეგად შეიქმნა საინტერესო ნაშრომები. ერთ-ერთი ასეთი იყო, მაგალითად, ნიკოლაი ალბოვის „მა-

საღები კოლხეთის ფლორის შესასწავლად“, რომელიც შარერის, ტიმო-ფეევის, სპეშნევის სხვა საინტერესო სტატიებთან ერთად გამოქვეყნდა „თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომების“ პირველ ტომში. 1895 წელს ასე დაედო საფუძველი ბოტანიკური ბაღის პირველ ბეჭდვით ორგანოს, რაც მის ისტორიაში აკადემიური მიმართულების საინტერესო საწყისად იქცა. არანაკლებ საინტერესოა, რომ სპეციალისტები, რომლებიც ბოტანიკურ ბაღთან თანამშრომლობდნენ, წმინდა მეცნიერულ საქმიანობასთან ერთად, ფართოდ ავრცელებდნენ თავიანთ ცოდნას საზოგადოებისთვის სასარგებლო საკითხებზე. მაგალითად, ხსენებულ მეცნიერთაგან ერთ-ერთს, საქართველოში ფიტოპათოლოგიური მიმართულებით პირველ მკვლევართაგანს – ნიკოლაი სპეშნევს, იმის გამო, რომ იმ დროისთვის ვაზის ნერგებს ამერიკიდან ევროპაში, ევროპიდან კი საქართველოში, ფილოქსერასთან ერთად, ვაზის ჭრაქი და ნაცარიც შემოჰყოლია, ამ საკითხზე რჩევა-დარიგებებისთვის სპეციალური დღეები და საათები გამოუყვია, შემდეგ კი ლექციების კითხვაც დაუწყო მსურველთათვის საბა-ლოსნო საზოგადოების სადგომში. გაზეთ „ივერიის“ 1899 წლის 28 მარტის ნომერში ახალ ამბად წერია:

ამგვარ განცხადებებს არაერთს შეხვდებით „ივერიის“ ამავე და მომდევ-ნო წლების, აგრეთვე „ცნობის ფურცლის“ სხვადასხვა ნომერში.

მე-19 საუკუნის მიწურულს კიდევ უფრო გაფართოვდა თანამშრომლობა საქართველოსა და უკვე მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე მეცნიერ-ბოტა-ნიკოსებთანაც, რომელთა შრომები ბოტანიკური ბაღის ბეჭდვითი ორგა-ნოს მესამე და მეოთხე ტომებში დაიბეჭდა 1899 წელს. ბაღის შრომების გამოქვეყნებული ტომები დაეგზავნა როგორც ცალკეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს, ისე სხვადასხვა ბოტანიკურ დაწესებულებას რუსეთსა და ევროპაში. სანაცვლოდ კი ბაღმა მათი შრომები და პერიოდული გა-მოცემები მიიღო. ამგვარად დაედო საფუძველი ბოტანიკური ბაღის ბიბ-ლიოთეკის საწყის ფონდს.

ამ პერიოდისთვის, მიუხედავად მნიშვნელოვანი წამოწყებებისა, რაკი-ლა მისი ხელმძღვანელობა ხან ერთ სპეციალისტს ევალეობდა, ხან მეო-რეს, საორგანიზაციო საკითხების თვალსაზრისით ბაღის საქმიანობა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გამართული, თანაც, არც თანამშრომელთა რაოდენობა იყო საკმარისი და არც მუდმივი ბოტანიკოსი, ჰყოლოდათ რომელიც პრაქტიკულ თუ სამეცნიერო საქმიანობას ერთიანად გაუძღვე-ბოდა. სპეციალისტებიც, რომლებიც იმ დროისთვის თანამშრომლებად იყვნენ მიწვეულნი, ხშირად ბაღში საქმიანობას სხვა დაწესებულებებში მუშაობას უთავსებდნენ.

და აი, 1902 წელს დამტკიცდა დირექტორის, მთავარი ბოტანიკოსის, მება-ლისა და კონსერვატორის შტატი, რაც ბაღის ორგანიზაციული მხარის მო-წესრიგების საწინდარი აღმოჩნდა. დირექტორად კი დაინიშნა ადოლფ ქრისტიან როლოვი (Adolf Christian Roloff).

ადოლფ როლოვი 1870 წლის 25 ივნისს დაიბადა თბილისში, გერმანელების ოჯახში. აქვე დაუმთავრებია რეალური სასწავლებელი, რომელიც არცთუ დიდი ხნის გახსნილი იყო თბილისში¹⁶. სხვათა შორის, ევროპაშიც ასეთი სასწავლებლების შექმნის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება გერმანელთა სახელს: ჯერ ზემლერმა 1706 წელს ქ. ჰალეში (გერმანია), შემდეგ კი, 1753 წელს, ქ. ბერლინში გერმანელმა ღვთისმსახურმა იოჰან ჰეკერმა დააარსა „ეკონომიკურ-მათემატიკური რეალური სასწავლებელი“. 1830-იანი წლე-ბიდან კი, კერძო პირების წყალობით, ამ სასწავლებლების ქსელი გაფარ-თოვდა სამრეწველო საქმიანობის შესახებ ცოდნის გასავრცელებლად. 1888 წელს გამოცემული ბრძანებით რეალური სასწავლებლების კურსდამ-თავრებულებს უკვე შეეძლოთ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. ალბათ როლოვმაც სწორედ ეს შანსი გამოიყენა, რაკი ცნობილია, რომ მან 1891 წელს დაამთავრა პეტროვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემია, სადაც სასწავლო კურსი ოთხწლიანი იყო.

1892 წელს, სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ, როლოვი დაბ-რუნდა საქართველოში და მუშაობდა მასწავლებლად ქუთაისის სასოფ-ლო-სამეურნეო სკოლაში, შემდეგ კი, ექსპერტად კავკასიის ფილოქსე-რას კომიტეტში. შვიდი წლის განმავლობაში მუშაობით ისე გამოუჩენია თავი, რომ 1899 წლიდან იგი მიწათმოქმედების დეპარტამენტის წამყვან სპეციალისტად და, იმავდროულად, თბილისის ბოტანიკური ბაღის გამ-გედ დაუნიშნავთ. ამ დროიდან მოყოლებული, მთელი ოცი წლის მან-ძილზე, მისი საქმიანობა უშუალოდ დაუკავშირდა ბაღის განვითარების საქმეს. პირველ ყოვლისა, მან ანალოგიური დაწესებულებების გასაცნო-ბად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში იმოგზაურა, 1902 წლიდან კი, უკვე როგორც თბილისის ბოტანიკური ბაღის პირველმა დირექტორმა, დაიწ-ყო მისი ორგანიზება. ამისთვის არაერთი ძირეული საქმიანობა განხორ-ციელდა.

ადგილობრივი მცენარეულობის შენარჩუნებისა და მათზე ბოტანიკურ-გეოგრაფიული თუ ეკოლოგიური დაკვირვების მიზნით, ბაღის ზედა ნა-წილში გამოიყო ნაკრძალი ტერიტორიები, რომლებიც თავდაპირველად 30 ჰექტარს მოიცავდა, შემდგომ კი, ახალშემოერთებული ფართობების ხარჯზე, 60 ჰექტარამდე გაიზარდა. სწორედ ამ ტერიტორიებზეა გავრცე-ლებული მცენარეთა 800-მდე სახეობა, რაც თბილისის ფლორის თით-ქმის ნახევარს შეადგენს.

ბაღის ახალშექმნილი მიწების ზედა ნაწილში მოეწყო ახალი სანერგე, სადაც ფიჭვნარის გავლით გაიყვანეს ფართო საურმე გზები. სანერგეს 1905 წლისთვის უკვე 1,5 ჰექტარი ეჭირა და იქ გამოჰყავდათ როგორც ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე (სამედიცინო, სამღებრო, ეთერზე-თოვანი და სხვ.) და ხეხილოვანი მცენარეების, ისე დეკორატიული და

16. 1870 წელს გაიხსნა თბილისის პირველი რეალური სასწავლებელი, რომლის ბაზაზეც 1922 წელს ქიმიური ტექნიკუმი დაარსდა და პეტრე მელიქიშვილის სახელი ეწოდა.

ბალისთვის საჭირო საკოლექციო მცენარეების ნერგები. ამ საზღვრებში ბალის სანერგე დღესაც ფუნქციონირებს.

გაიზარდა თანამშრომლობა მსოფლიოს სხვადასხვა ბოტანიკურ ბაღთან, რომელთაც სისტემატურად ეგზავნებოდათ თესლები და მცენარეთა ბოლქვები, 1900 წლისთვის მათ რიცხვს 78-სთვის მიუღწევია. ამასთან, მცენარეთა თესლები საჩუქრის სახით ეგზავნებოდათ სკოლებს, სატყეო მეურნეობებს და კერძო პირებსაც.

ბალის ახლად შესყიდულ ტერიტორიებთან დასაკავშირებლად 1899 წელს ჩანჩქერის თავზე აიგო 27 მეტრი სიგრძის დეკორატიული ხის ხიდი. 1903 წელს დამთავრდა რკინისმაღებიანი ხიდის მშენებლობა წავკისისწყალზე, ბალის ზედა ნაწილში, რითაც ბოტანიკური ბაღი კოჯრის გზატკეცილს დაუკავშირდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კი იყო მოგვიანებით (1914 წ.) ჩანჩქერის თავზე მრგვალთალოვანი, ლამაზი მოხაზულობის დეკორატიული ხიდის აშენება, რომელიც ერთ-ერთი პირველია XX საუკუნის დასაწყისის რკინაბეტონის ხიდთაგან. შემდგომში ჩანჩქერთან ერთად ის ბალის ემბლემად იქცა. აიგო ორი დამატებითი აკვედუკიც. საცალფეხო ბილიკებით დაიქსელა საკოლექციო ნაკვეთები.

აშენდა მუშა-მებაღეთა სკოლის ექვსოთახიანი შენობა, სოლოლაკის ქედის თხემზე – ბალის დირექციის შენობა, მოგვიანებით, იქვე ახლოს, ფიზიოლოგიის ლაბორატორიის კორპუსი და საცდელ-სავეგეტაციო ორანჟერეა, მეცნიერ თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლი, ხუთოთახიანი საცხოვრებელი სახლი მუშებისთვის და კიდევ არაერთი სხვა. ასე რომ, მთლიანად როლოვის მოღვაწეობის პერიოდში თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე აშენდა საცხოვრებელი სახლების, ლაბორატორიის, მუზეუმის, ჰერბარიუმის და სხვა დანიშნულების 14 კორპუსი, 4 ორანჟერეა და სათბური.

ჯერ კიდევ როლოვის ბოტანიკური ბაღის გამგედ დანიშვნამდე, ე.ი. 1899 წლამდე, მცენარეთა კოლექციები სოლოლაკის ქედის სამხრეთ ფერდობზე მხოლოდ 2,5 ჰექტარზე იყო გაშენებული ე.წ. გეოგრაფიული მეთოდით, უკვე 1900 წლიდან დაიწყეს ახალი კოლექციების განთავსება ძირითადად მდინარე წავკისისწყლის მარჯვენა ფერდობზე. ამისათვის კი აუცილებელი გახდა ორი ახალი წყალგაყვანილობის მშენებლობა. პირველი როლოვის მოსვლისთანავე, 1899-1900 წლებში აიგო, სათავეს მდინარე წავკისისწყლიდან, შინდისის ქვემოთ იღებდა და მასში წყალი ხეობის მარჯვენა ფერდობებს ნაწილობრივ ღია არხით, ნაწილობრივ თიხის მილებით მოუყვებოდა სანერგემდე, სადაც ორ მცირე ზომის აუზში გროვდებოდა. მოგვიანებით კი მეორე სისტემა ააშენეს უკვე რკინაბეტონის მილებით. ამგვარად, ეს ახალი მიწები შესაბამისად მოეწყო იმისთვის, რომ აქ კოლექციები განლაგებულიყო, თანაც განლაგებულიყო სრულიად ახალი მეთოდით, რომელიც დღესაც მთავარია ბოტანიკურ ბაღებში. როლოვმა ორი ძირითადი, ფლორისტული და სპეციალიზებული პრინციპი

გამოიყენა და ასე შეიქმნა, ერთი მხრივ, კავკასიის ფლორის (კავკასიის ცოცხალი ფლორის) და თურქესტანის ფლორის განყოფილებები, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფოთლოვანი ტყეების, ხეებისა და ბუჩქების კოლექცია, კედრნარი, ფიჭვების, ხმელთაშუაზღვისპირეთის ხეშეშფოთლიანი ხეებისა და ბუჩქების, წიწვიანი ხეების, ირანისა და შუა აზიის უდაბნოებისა და ნახევრად უდაბნოების მლაშობების მცენარეთა კოლექციები, პომოლოგიური ბაღი და სხვ.

ამათგან ერთ-ერთი პირველი კავკასიის მცენარეთა კოლექცია იყო, რომელსაც 1899 წელს ჩაეყარა საფუძველი, 1916 წლისთვის კი ის 2000-ზე მეტ სახეობას ითვლიდა (კავკასიური ფლორის თითქმის ნახევარს). შემდგომ იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფართოფოთლოვან ტყეთა ხეებისა და ბუჩქების კოლექცია, რომლისთვისაც თავის დროზე 7500 ორმო მოამზადეს და წინასწარ შეიტანეს ტყის მიწა. სარგავი მასალა ზრდასრული ნერგების სახით კი კოჯრის, ბეთანიის, მცხეთისა და ლაგოდეხის ტყეებიდან ჩამოიტანეს. პარალელურად, 1900-1901 წლებში მიმდინარეობდა ცენტრალური აზიისა და ირანის მლაშობების მცენარეთა კოლექციის გაშენება ნარიყალას ციხის პლატოზე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ნანგრევების ირგვლივ, რომლის მიზანი იყო ცენტრალური აზიისა და ირანის უდაბნოებისა და ნახევრად უდაბნოების მცენარეთა ინტროდუქცია ამიერკავკასიის პირობებში მათი პერსპექტიულობის შესასწავლად. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უდაბნოთა ქვიშების დამმაგრებელი მცენარეების ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლას. ამასთან, იგი საჩვენებელ ნაკვეთადაც იქცა, სადაც კულტივირებული იყო უდაბნოების, ნახევრად უდაბნოებისა და მლაშობების მცენარეთა 50-მდე სახეობა.

წავკისისწყლის მარჯვენა ფერდობზე, ჩანჩქერის ხიდთან ახლოს, 1900 წლიდან მოეწყო ხმელთაშუაზღვისპირეთის მარადმწვანე ხეშეშფოთლიან ტყეთა ხეებისა და ბუჩქების, აგრეთვე წიწვიანი ხეების კოლექციებიც, ხოლო ამ უკანასკნელის ცენტრალურ ნაწილში – დეკორატიული აუზი და ყვავილნარი, ირგვლივ განლაგებული ნაძვებით, სოჭებით, კედრებით, კალოცდრუსებით, კვიპაროსებითა და ღვიებით.

შედარებით მოგვიანებით, 1911 წელს, 200-მდე სახეობის ცოცხალი მცენარე ჩამოუტანიათ თურქესტანიდან და სანერგის ზემოთ დაურგავთ, ამგვარად ჩაყრია საფუძველი თურქესტანული მცენარეების განყოფილებას.

როლოვის ხელმძღვანელობის პერიოდში შეიქმნა კავკასიაში პირველი პომოლოგიური ბაღი, რომლის ძირითადი ნაწილი 1900 წლიდან 1914 წლამდე ბოტანიკური ბაღის სანერგეში ერთ ჰექტარამდე მიწის ფართობზე ყოფილა გაშენებული. ზოგიერთი ხეხილი კი (ნუში, თუთა, კაკალი და სხვ.) გზების გასწვრივ და ნაკვეთების ირგვლივაც დაურგავთ, ისე რომ, ხეხილის სადგედ ბაღი 1916 წლისთვის 500-მდე ჯიშს ითვლიდა, რომლებიც ამ პერიოდშივე ბაღში გამოცემულ ხეხილოვან მცენარეთა კატალოგში იყო აღწერილი. თბილისის ბოტანიკური ბაღის გარდა, ხე-

ხილოვანი მცენარეების კოლექციები, მათი ჯიშების გამოცდისა და გავრცელების მიზნით, თავმოყრილი ჰქონდათ ყველა რეგიონულ გეოგრაფიულ განყოფილებასა და საცდელ სადგურში: ბაკურიანში, სევანში, ყარაიაზში, ბობოყვათში, საქარაში და სხვ. სწორედ ამ გეოგრაფიული განყოფილებებისა და საცდელი სადგურების დაარსება იყო როლოვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინიციატივა, რომლის შედეგადაც კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი გახდა სამეცნიერო-გამოყენებითი ხასიათის კვლევები. თუმცა ეს ოდნავ მოგვიანებით, იქამდე კი უკვე დაწყებული იყო არაერთი სამეცნიერო განყოფილების, ლაბორატორიისა და კაბინეტის ჩამოყალიბება, რამაც ბოტანიკური ბაღი კავკასიაში ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად აქცია. ეს კი, ალბათ, ადოლფ როლოვის ყველაზე უფრო დიდი დამსახურებაა.

თუკი ქრონოლოგიურად მივყავით, ერთ-ერთი პირველი მიკოლოგიური კაბინეტი შექმნილა. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის გაუქმების შემდეგ, 1909 წელს, იმ ფაქტმა, რომ ადოლფ როლოვი ამ კომიტეტის წარმატებული ექსპერტი იყო თავის დროზე, შესაძლოა ხელი შეუწყო მიკოლოგიური ლაბორატორიის სწორედ ბოტანიკური ბაღისთვის გადაცემას და კულტურულ მცენარეთა მიკოფლორის შესწავლის იქ გაგრძელებას. ბაღში კი ამით სამეცნიერო კაბინეტების ჩამოყალიბებას მიეცა დასაბამი და არაერთი მეცნიერი თანამშრომლის მოწვევის საფუძველი აღმოჩნდა. მალევე, 1911 წელს, ჩამოყალიბდა ენტემოლოგიური კაბინეტი და მიკოლოგიურ კაბინეტთან ერთად გაერთიანდა კულტურული მცენარეების დაცვის განყოფილებაში, რომლის კვლევის მიზანს წარმოადგენდა კულტურულ მცენარეთა სოკოვანი დაავადებებისა და ენტომავენებლების გამოვლენა, მავნე სოკოებისა და ენტომოფაუნის ბიოლოგიის შესწავლა, როგორც ბუნებრივ, ისე ლაბორტორიულ პირობებში; სოკოვანი დაავადებებითა და ენტემავენებლებით სოფლის მეურნეობისადმი მიყენებული ზარალის დადგენა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა. ამიერკავკასიის მასშტაბით შეგროვდა ძვირფასი კოლექციები, რომელთა ბაზაზე შეისწავლეს და აღწერეს მეცნიერებისთვის სრულიად ახალი სოკოებისა და მწერების გვარები და სახეობები.

ამავე პერიოდში, 1911 წელს, კულტურულ მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანისა და არსებულის გაუმჯობესებისთვის, მცენარეთა ჰიბრიდიზაციის მეთოდებისა და ტექნიკის დამუშავებისთვის, შეიქმნა მცენარეთა სელექციის განყოფილება. სპეციალურად აშენებულ სათბურში კვლევის ობიექტს ჯერ ხეხილოვანი კულტურები, მარცვლოვნები და ტექნიკური მცენარეები შეადგენდა, შემდგომში კი განყოფილების კვლევების პროგრამა გაფართოვდა და მოიცვა ამიერკავკასიის ბუნებრივი ფლორის მეურნეობრივად მნიშვნელოვანი მცენარეების გამოვლენისა და შესწავლის საკითხები. ამისთვის სპეციალურად დაწესდა ბოტანიკოს ფლორისტის თანამდებობა, თავად განყოფილებას კი შემდეგ „სასელექციო-

ფლორისტული“ ეწოდა და მის განკარგულებაში მოექცა საკოლექციო ნაკვეთები, ხეხილოვანი და ტყის კულტურების სადედე ნარგაობები, სანერგეები და პლანტაციები. ცოტა ხანში ამავე განყოფილებაში დაიწყო ფუნქციონირება მემინდვრეობის კაბინეტმა, რომელიც არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით პიონერი იყო ბოტანიკის ახალი მიმართულების – გეობოტანიკის კვლევის მეთოდების დანერგვაში. აქ შეისწავლებოდა მდელოების ბუნებრივი შემადგენლობა და მეურნეობრივი მნიშვნელობა, რაც საშუალებას იძლეოდა დასახულებული საძოვრებისა და სათიბების გაუმჯობესების გზები.

გარდა ზემოხსენებულისა, 1912 წელს ბაღში კიდევ ერთი სათბური აშენდა ფიზიოლოგიური ცდებისთვის, რასაც სულ ცოტა ხნით ადრე (1911 წ.) დაარსებული მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორია უძღვებოდა. სხვა ძირითად მიმართულებებს შორის ლაბორატორიის მეცნიერული კვლევის პრიორიტეტული მიმართულებები მცენარეთა ყინვაგამძლეობისა და გვალვაგამძლეობის შესწავლა იყო.

შემდგომი ორი-სამი წლის მანძილზე არსებულს კიდევ რამდენიმე სამეცნიერო განყოფილება თუ ლაბორატორია მიემატა, ასეთები იყო:

სპოროვან მცენარეთა განყოფილება (1914 წ.), რომელიც კავკასიის სპოროვან ფლორას შეისწავლიდა და აქვეყნებდა შრომებს „Mycotheca Caucasica“-ში.

სამედიცინო მცენარეთა განყოფილება (1916 წ.), რაც უმთავრესად პირველი მსოფლიო ომის საჭიროებით იყო განპირობებული და ადგილობრივ სამკურნალო მცენარეებსა და მათი შეგროვების მეთოდებს სწავლობდა.

მეტეოროლოგიური განყოფილება, რომელიც 1915 წლამდე როგორც სადგური, ისე ფუნქციონირებდა, შემდეგ კი სამეცნიერო განყოფილებად იქცა და შეისწავლიდა კავკასიის კლიმატს, ამუშავებდა სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის საკითხებს და თანამშრომლობდა თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიასთან, რომლის ანგარიშებშიც იბეჭდებოდა ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო მასალები მეტეოროლოგიის ხაზით.

სამეცნიერო მუშაობა კიდევ უფრო გაიშალა ბაღის კავკასიის ფლორის ჰერბარიუმში, სადაც 1904 წლისთვის ინახებოდა მცენარეთა 7662 სახეობის ნიმუში. ჰერბარიუმის თანამშრომელთა სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებები, კავკასიის ფლორის ცალკეული ოჯახებისა და გვარების, კავკასიის ბოტანიკურ-გეოგრაფიული რაიონების შესწავლასთან ერთად, ბაღის ცოცხალი კოლექციის კვლევასაც მოიცავდა.

ჰერბარიუმთან ერთად ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო საქმიანობის ხელშემწყობი იყო მისი ბიბლიოთეკა და მუზეუმი, რომლებსაც ჯერ კიდევ შარერისა და ჰინცენბერგის ხელმძღვანელობის დროს ჩაეყარა საფუძველი, თუმცა იქამდე ერთს ისტორიული ციხის კოშკში, ხოლო მეორეს

ბალის ცენტრალურ ნაწილში აგურისკედლიანი შენობის მოკრძალებულ ოთახებში ედოთ ბინა. ადოლფ როლოვის მოღვაწეობის დროს კი რამდენჯერმე შეიცვალეს ადგილი და თითოეულ ჯერზე მეტსა და მეტ სივრცეს იკავებდნენ. ბოლოს, 1914 წელს, კოჯრის გზაზე სპეციალურად აშენებულ ორსართულიან შენობაში განთავსდა ჰერბარიუმიც, მუზეუმიცა და ბიბლიოთეკაც. 1915 წლისთვის ამ უკანასკნელში 4753 დასახელების 11 000 ტომი ირიცხებოდა მცენარეთა სისტემატიკის, ფლორისტიკის, მცენარეთა გეოგრაფიის, დენდროლოგიის, ფიზიოლოგიის, სოფლის მეურნეობისა და სხვა თემატიკით. მუზეუმი 10000-მდე ნიმუშს ითვლიდა და მონაწილეობდა საზღვარგარეთის გამოფენებში. აქ ექსპონატები შემოდიოდა როგორც კავკასიიდან, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და ამასთან მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.

როგორც უკვე ვახსენეთ, ბოტანიკური ბალის აკადემიური მხარე კიდევ უფრო გააძლიერა მისი გეოგრაფიული განყოფილებებისა და საცდელი სადგურების დაარსებამ და იქ მიმდინარე სამეცნიერო-გამოყენებითი ხასიათის კვლევებმა.

როლოვის ინიციატივით პირველი გეოგრაფიული განყოფილების, ბაკურიანის ბოტანიკური ბალის, ჩამოყალიბებას წაადგა ერთი ისტორიული გარემოებაც. ამ დროისთვის ბორჯომის მინერალური წყალი და ბორჯომის ხეობა უკვე ყურადღების ცენტრშია მოქცეული. რუსეთის მეფე ალექსანდრე II-ს ძმისთვის, მიხაილ რომანოვისთვის ნაბოძებ და მის მმართველობას დაქვემდებარებულ ხეობაში უკვე მნიშვნელოვანი გარდატეხების ხანა დამდგარიყო. სხვა ბევრ სიახლესთან ერთად გაიყვანეს ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზაც. სწორედ იმ „კუკუშკა მატარებლის“ სახელით ცნობილი რკინიგზის არსებობას გაუადვილებია კოხტაგორის ფერდზე მაღალმთის ბოტანიკური ბალის გაშენება 1910 წელს. ინიციატივას კი, პირველ ყოვლისა, ისევ მეცნიერული საფუძველი ჰქონდა, რადგან მცენარეთა მაღალმთიანეთის კლიმატურ-ნიადაგობრივ პირობებში ზრდა-განვითარების შესასწავლად დიდი ხანია უკვე საჭირო იყო შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულების – ალპური და მაღალმთიანეთის ბოტანიკური ბალის შექმნა, ისეთის, როგორიც ბაკურიანის, ზღვის დონიდან 1750-2000 მეტრზე მდებარე, რუსეთის იმპერიაში პირველი მაღალმთის ბოტანიკური ბალი იყო. თავდაპირველად, თუ განყოფილებას 12 ჰექტარი ეკავა, სამიოდე წელიწადში მისი ფართობი 98 ჰექტარამდე გაზრდილა. პირველსავე წელს აქ სპეციალისტებისთვის ოთხოთახიანი სახლი აუშენებიათ და მაშინვე შესდგომიან სამეცნიერო და საცდელი კოლექციების შექმნას მცირე კავკასიონის ჩრდილოეთ ნაწილის მაღალმთის ფლორის შესასწავლად და ასევე, ეგზოტიკური ხეებისა და ბუჩქების ინტროდუქციისთვის კავკასიის მაღალმთიანეთში მათ გასავრცელებლად.

გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, რასაც ადგილობრივი მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობისთვის დიდი სარგებლობა შეეძლო მოეტანა, ბოტანიკურ ბალს ბაკურიანისთვის მნიშვნელოვანი მოვლენისთვის

საც შეუწყვია ხელი. სწორედ ბოტანიკური ბალი და მისი ხელმძღვანელი კოზლოვსკი მასპინძლობდნენ თურმე დაბაში ჩასულ დამწყებ მოთხილამურეებს. პირველი ქართველი მოთხილამურეები აქ საქართველოში ახალჩამოსულ გიორგი ნიკოლაძეს¹⁷ ჩამოუყვანია, რომელსაც მალე სპორტის ზამთრის სახეობების პოპულარიზაცია და ბაკურიანის ფერდობების ათვისება დაუწყია.

ბაკურიანის გეოგრაფიული განყოფილების დაარსებიდან ერთ წელიწადში, 1911 წელს, ამიერკავკასიის რკინიგზის ყარაიამის სადგურთან ახლოს შეიქმნა ყარაიამის (გარდაბნის) განყოფილება, სადაც ხდებოდა ბოსტნეულისა და ტექნიკური კულტურების გაშენების მეთოდების დამუშავება, ხეხილის კულტურული ჯიშების გამოცდა და ხეხილ-კენკროვანი და ბოსტნეულის საადრეო ჯიშების გავრცელება. ამ მიზნით კი აქ მოწყობილი იყო სხვადასხვა საცდელი ნაკვეთი, სანერგე, ბოსტანი და „კავკასიის პომოლოგიური ბაღი“, რომელიც თბილისის ბოტანიკური ბაღიდან გადმოიტანეს 1914 წელს. ცოტა ხნით ადრე თბილისის ბოტანიკური ბაღიდან ყარაიამის განყოფილებაში გადმოუტანიათ მუშა-მებაღეთა სკოლაც. ყარაიამის განყოფილების დაარსებიდან სულ ერთ წელიწადში კი (1912 წ.), სომხეთში, სევანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს (სოფელი სევანი), ზღვის დონიდან 2000 მ. სიმაღლეზე გაიხსნა გოგჩის (სევანის) მაღალმთის განყოფილება. სამხრეთ კავკასიის ფლორის შესწავლის გარდა აქ დიდი ყურადღება ეთმობოდა სამეცნიერო-გამოყენებით კვლევებს – სამედიცინო მცენარეების, ხორბლეულის ადგილობრივი ჯიშებისა და ეგზოტიკური ხეებისა თუ ბუჩქების აკლიმატიზაციის შესწავლასაც, ისევე, როგორც სომხეთის მაღალმთიანეთის პირობებისთვის ბოსტნეული კულტურების შერჩევასა და ფიტოფენოლოგიურ დაკვირვებებს.

გოგჩის განყოფილების პარალელურად, ქობულეთთან ახლოს (სოფელი ბობოყვათი) დაარსდა კოლხეთის განყოფილება და, თუ გოგჩაში სამხრეთ კავკასიის ფლორა იყო საკვლევი ობიექტი, აქ ძირითად მიზანს დასავლეთ ამიერკავკასიის მცენარეების შესწავლა წარმოადგენდა. აქვე შენარჩუნდა კოლხეთის ტყის ნაკრძალი.

გეოგრაფიულ განყოფილებებთან ერთად, 1911-1916 წლებში როლოვის ხელმძღვანელობით შეიქმნა რამდენიმე საცდელი სადგურიც. აღსტაფის საცდელ სადგურში (1911 წ.), აზერბაიჯანში, აღსტაფის რაიონში, საქონლის საკვები მცენარეები შეისწავლებოდა. მულანლოს საცდელ სადგურში, მულანლოს ველზე (აზერბაიჯანი, საბირაბადთან ახლოს) მერქნიან მცენარეთა სანერგე ფუნქციონირებდა. ოზურგეთის (1914 წ.), აჯამეთის (1915 წ.), ზუგდიდის (1916 წ.) საცდელ სადგურებში კი ვაზს, ხეხილსა და მარცვლოვან კულტურებს იკვლევდნენ.

17. ქართველი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის ვაჟი, მათემატიკოსი, მეტალურგი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, სპორტსმენი და სპორტის მოღვაწე.

ბოტანიკურ ბაღში ადოლფ როლოვის მოსვლიდან სულ რამდენიმე წელიწადში ამიერკავკასიის მასშტაბით მთელი სიგრძე-სიგანით გაშლილი ეს სამეცნიერო საქმიანობა, რაც არა მარტო გეოგრაფიულ არეალს, არამედ განსხვავებულ სამეცნიერო შინაარსსაც გულისხმობდა, ერთგვარად თავს იყრიდა ბოტანიკური ბაღის აკადემიურ გამოცემებში. „თბილისის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო შრომები“, რომელსაც ჰინცენბერგის დროს ჩაეყარა საფუძველი და საქართველოს გასაბჭოებამდე 42 ტომს მოითვლიდა, სისტემატურად გამოდიოდა როლოვის მოღვაწეობის პერიოდში. მისი დიდი ნაწილი, 38 ტომი, სწორედ ამ დროს გამოიცა და მასში ძირითადად მონოგრაფიები და ვრცელი სტატიები ქვეყნდებოდა. 1905-1918 წლებში გამოდიოდა მეორე ბეჭდვითი ორგანოც „თბილისის ბოტანიკური ბაღის მოამბე“ (48 გამოცემა), რომელშიც სხვა მასალებთან ერთად უფრო მცირე ზომის სტატიები, ბაღის მუშაობის შესახებ წლიური ანგარიშები და მცენარეთა სახეობების პირველადი აღწერები იბეჭდებოდა. ბაღიდან წასვლამდე როლოვმა 1919 წელს თავისი ინიციატივით დააარსა სამეცნიერო შრომების კიდევ ერთი პერიოდული გამოცემა „ტფილისის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო-გამოყენებითი განყოფილებების ჩანაწერები“.

ადოლფ როლოვს ბოტანიკური ბაღის დირექტორობის პერიოდში ყოველთვის თავზე საყრელად ჰქონდა ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული საქმეები. ამავე დროს, იგი ჩართული იყო ბათუმის ბოტანიკური ბაღის, სოჭის სადგურის, ნიკიტსკის (ყირიმის) ბაღის, ბაქოს ბოტანიკური ბაღის მოწყობაშიც. მიუხედავად ამისა, თავადაც არასოდეს შეუწყვეტია სამეცნიერო საქმიანობა და არაერთი ნაშრომის ავტორი გახლდათ. იგი, როგორც მკვლევარი, დაინტერესებული იყო აკლიმატიზაციის, მებაღეობისა და მებოსტნეობის საკითხებით, თუმცა განსაკუთრებით მაინც კავკასიის ველური ფლორა იტაცებდა. ეს გატაცება, უდიდეს შრომასა და ძალისხმევასთან ერთად, აისახა კიდევ მის უმნიშვნელოვანეს მონოგრაფიაში „კავკასიის ველურად მზარდი მცენარეები, მათი გავრცელება, თვისებები და გამოყენება“, რომელიც 1908 წელს გამოიცა. წიგნი მრავალმხრივ საინტერესოა და წმინდა მეცნიერულ მიდგომასთან ერთად, ავტორი მას პრაგმატულ მნიშვნელობასაც სძენს. შესავალ ნაწილში როლოვი, როგორც დიდი გუშემატკივარი ადგილობრივი მოსახლეობისა, იმაზე წუხს, რომ ხალხში არ არის საკმარისი ცოდნა ველური მცენარეების გამოყენების თაობაზე, ხოლო რაც არის, ისიც იკარგება, არადა, მისი აზრით, ეს მათთვის ძალზე სასარგებლო და სარფიანიც კი შეიძლება ყოფილიყო. მეორე მხრივ, იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ იმპორტული მცენარეებით გამდიდრებული წვრილი მეწარმეები სათანადოდ არ აფასებენ ადგილობრივ შემგროვებლებს და მცენარეთა ფალსიფიცირებას ახდენენ ბაზარზე. ამასთან დაკავშირებით კი ერთგვარ რეკომენდაციასაც კი იძლევა მავანთა მიმართ: „მოსახლეობისთვის სხვადასხვა სასარგებლო ველური მცენარეების შემგროვების დროისა და წესების გაცნობასთან

ერთად, მთავრობამ თავისი სპეციალისტები უნდა დაახმაროს უშუალოდ დაინტერესებული ფირმებისთვის პროდუქტის სწორად მიწოდებას და ამასთან ზომები უნდა მიიღოს ფალსიფიკაციის აღმოსაფხვრელად შუამავალთა მხრიდან, რომლებიც ხშირად არათუ ხელს არ უწყობენ ამა თუ იმ დარგის განვითარებას, არამედ ღუპავენ მას“. ადვილად მივხვდებით, რა კოლოსალური შრომაა ჩადებული წიგნის შედგენაში, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მასში აღწერილია ასეულობით ველური მცენარე, მოცემულია დანიშნულება და გამოყენების წესი, და ამასთან, მცენარეთა ლათინურ დასახელებასთან ერთად, ყველა შესაძლო ენასა და დიალექტზე არის მოხსენიებული მათი სახელები, რომლებიც ლიტერატურაში ამოუკითხავთ თუ უამრავი ექსპედიციის შედეგად შეუტყვიათ ადგილობრივი მოსახლეობისგან. სწორედ ამიტომაც, რომ ის არა მხოლოდ ბოტანიკოსებისთვისაა ფასდაუდებელი ნაშრომი, არამედ ასევე ღირებულია მეცნიერების სხვა სფეროს წარმომადგენლებისთვისაც. მაგალითად, მცენარეთა მაშინ მოპოვებული სახელწოდებები დღეს ლინგვისტებისთვის თუ ენობრივი მასალაა, სხვათა მიერ ეთნოსების წარმომავლობის გამოსარკვევადაც კია მოშველიებული¹⁸, რომ აღარაფერი ვთქვათ ფარმაკოლოგიისა და მედიცინისთვის ამ მონაცემების მნიშვნელობის თაობაზე.

ცნობილი მეცნიერი, როლოვის თანამედროვე და კოლეგა, პროფესორი დიმიტრი სოსნოვსკი მასზე წერდა: „ყოველთვის ცოცხალი და საქმიანი, რომელმაც იცის თანამშრომელთა შერჩევა და აფასება მათ შორის. ყველას, ვინც კი სიახლოვეს მიეკარება, ის უნებურად წამლავს თავისი მოთუხთუხე უსაზღვრო ენერგიით. ყოველთვის მართალი, ერთნაირი დამოკიდებულების მქონე სპეციალისტებისა და მუშების მიმართ, ხელშემწყობი ყოველგვარი ინიციატივისა. მას შეუძლია გულების მოზიდვა და იძულება, უყვარდეთ ის დაწესებულება, რომელსაც თავისი სამეცნიერო-ორგანიზატორული საქმიანობის ორი მესამედი მიუძღვნა“¹⁹. როგორც ჩანს, ამ ადამიანური თვისებებისა და ორგანიზატორული ნიჭის დამსახურება იყო, რომ მისი დირექტორობის დროს ბაღს მართლაც არაჩვეულებრივი მეცნიერ-თანამშრომლები შეემატნენ და მისი ხელმძღვანელობის ბოლომდე დარჩნენ იქ. მათ შორის იყვნენ გერმანელებიც, ევგენი (გეორგ) კიონიგი და ალექსანდრე ალფონსის ძე გროსჰაიმი.

ადოლფ როლოვს, ჯერ კიდევ ბაღის გამგეობის პერიოდში, დირექტორად დანიშვნამდე მოუწვევია ევგენი კიონიგი კავკასიის მუზეუმიდან. ასევე გერმანელი მეცნიერის, გუსტავ რადეს მიერ ხელმეორედ დაარსებულ კავკასიის მუზეუმს ამ დროისთვის დანარჩენ ოთხ განყოფილებასთან ერთად უკვე ჰქონდა ბოტანიკის განყოფილებაც და მასში

18. თავაძე, ბიძინა. VIVAT HISTORIA: ანუ რას გვიამბობენ მცენარეთა სახელწოდებანი აფსუა-აფხაზთა აბორიგენობაზე საქართველოში. გაზ. „საქართველო“, 2003, № 10-11, გვ. 3.

19. ლორია, მამია და კერესელიძე, ჯიმშერ. ადოლფ ქრისტიან როლოვი და თბილისის ბოტანიკური ბაღი. თბილისი: 2001. გვ.10.

პასტორ ჰოჭენაკერის კავკასიის მცენარეთა დიდი ჰერბარიუმი, ბუნებისმეტყველ სტევების ქართული მუხებისა და ფრიდრიხ ბაიერნის სომხეთში, დაღესტანსა და თითქმის მთელ საქართველოში შეკრებილი კოლექცია მეცნიერებისთვის მანამდე უცნობ მცენარეთა რამდენიმე სახეობით. ევგენი კიონიგს სწორედ აქ უმუშავია კონსერვატორად, როცა ბოტანიკურ ბაღში სამეცნიერო ფლორისტული განყოფილება უკვე საკმაოდ გაზრდილიყო ცოცხალ მცენარეთა ძვირფასი კოლექციებით და საჭირო გამხდარიყო ამ განყოფილების ზედამხედველობა და მათ ნარგაობებზე ფენოლოგიური დაკვირვებები. სწორედ ამ მოვალეობების შესასრულებლად გადავიდა კიონიგი ბოტანიკურ ბაღში, რის გამოც მისთვის ერთ გერმანელ მეცნიერთან, გუსტავ რადესთან თანამშრომლობა შეიცვალა მეორე გერმანელ მეცნიერთან, ადოლფ როლოვთან თანამშრომლობით.

ბაღში, ფენოლოგიური დაკვირვებების გარდა, კიონიგი მალევე, 1903 წლიდან იწყებს ექსპედიციებს ფლორისტული თვალსაზრისით მანამდე შეუსწავლელ ყარსის ოლქში. საქმე ის იყო, რომ 1902 წლისთვის ბაღს კავკასიურ მცენარეთა განყოფილებაში ჰქონდა მცენარეთა ჰერბარიუმი დასავლეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილო კავკასიიდან, ერევნისა და ელიზავეტპოლის მაზრებიდან, ლენქორანიდან, ყარაბაგიდან და დაღესტნიდან, თუმცა არ მოეპოვებოდათ მასალა მცირე აზიის მოსაზღვრე რეგიონიდან, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მეცნიერული კვლევებისთვის. კიონიგის მოგზაურობამ ყარსში კი მართლაც ბევრი სიახლე და არაჩვეულებრივად საინტერესო საჰერბარიუმო მასალა შემატა ფლორისტულ განყოფილებას და უმდიდრესი საკვლევი რესურსი შექმნა. ბაღის რამდენიმე თანამშრომლის მიერ დაგროვილი და კიონიგის მოგზაურობების შედეგად შევსებული ჰერბარიუმი უკვე ველარ ეტეოდა ერთ ოთახში. ამიტომაც ბიბლიოთეკასთან და მუზეუმთან ერთად, რამდენჯერმე გადაიტანეს სხვადასხვა სივრცეში, რაზეც უკვე ითქვა.

მომდევნო 1905-1906 წლებში კიონიგი, ამჯერად უკვე კონსერვატორის მოადგილის რანგში, კიდევ რამდენჯერმე იმოგზაურებს ყარსის ოლქში, რომელიც იმ დროისთვის ბოტანიკოსებისთვის ამოუწურავი სიმდიდრე იყო კავკასიისა და მცირე აზიის ფლორის გავრცელების შესაყარზე მდებარეობის გამო. თითოეულ ჯერზე კი მეცნიერს ბაღისთვის ახალი და ახალი ფასდაუდებელი ფლორისტული „განძი“ ჩამოჰქონდა. მისი და კიდევ რამდენიმე თანამშრომლის მიერ კავკასიის სხვადასხვა რეგიონში განხორციელებული ექსპედიციების შედეგად შეკრებილი მასალის დამუშავებით კი იმდენი მონაცემი დაგროვდა სამეცნიერო სტატიებისა თუ წერილებისთვის, რომ გადაწყდა „ბოტანიკური ბაღის მოამბის“ დაარსება, რაზეც ასევე უკვე მოგახსენეთ.

„ბოტანიკური ბაღის მოამბეში“ იბეჭდებოდა ევგენი კიონიგის ფენოლოგიური დაკვირვებების შედეგებიც, რასაც იგი პარალელურად ახორციე-

ლებდა ბაღის ველურად მზარდ და კულტურულ მცენარეებზე ყვავილობისა და ნაყოფთა შესასწავლად. თუნდაც მისი ერთი სტატია „1905-1906 წლების. ზამთრის გავლენა თბილისის ბოტანიკური ბაღის კულტურულ მცენარეებზე“²⁰ რომ ვახსენოთ, საკმარისია, წარმოდგენა შეგვექმნას, როგორი გულმოდგინებით ეკიდებოდა იგი საქმეს და რამდენად სკრუპულოზურ სამუშაოს ეწეოდა ბაღში ყოველდღიურად. ეს კი, რა თქმა უნდა, არ გამოეპარებოდა დაკვირვებულ ორგანიზატორს ადოლფ როლოვს და 1914 წლიდან იგი უკვე კონსერვატორის თანამდებობაზე ნიშნავს მას.

ამავე პერიოდში შემოემატა ბაღს ალექსანდრ გროსჰაიმიც. იგი 1888 წელს დაიბადა ეკატერინოსლავის გუბერნიის (ახლანდელი დნეპროპეტროვსკის ოლქი) სოფელ ლიხოვკაში, ვეტერინარის ოჯახში. საშუალო განათლება მასაც, როლოვის მსგავსად, „რეალურ სასწავლებელში“ მიუღია. ჯერ კიდევ სკოლის წლებში დაინტერესებულია ბუნებისმეტყველებით თავისი ბოტანიკოსი მასწავლებლის წყალობით და ინტენსიურად ჩართულა ექსკურსიებსა და ჰერბარიუმის შეგროვებაში, რაც სკოლის მერეც გაუგრძელებია. სწორედ ეს მასალა გამხდარა შემდგომში მისი სამეცნიერო მუშაობის საფუძველი.

ალექსანდრ გროსჰაიმი 1907 წელს ჩარიცხულა ჯერ ხარკოვის, შემდეგ კი მოსკოვის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრებისთანავე, 1913 წელს, რაკი სტუდენტობაშივე დაინტერესებულია კავკასიის ფლორით, თავისი სურვილით დაუწყია მუშაობა პრაქტიკანტად თბილისის ბოტანიკურ ბაღში. ამ დროს აქ როლოვის დამსახურებით სამეცნიერო მუშაობა უკვე ამიერკავკასიის მასშტაბით იყო განაღებული და შესანიშნავი პირობები არსებობდა იმისთვის, რომ ალექსანდრ გროსჰაიმის ინტერესი კიდევ უფრო გაღვივებულიყო. ასეც მოხდა, იგი 1914 წლიდან დაინიშნა ბოტანიკოს-ფლორისტად და მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება კავკასიის მცენარეთა შესწავლას მიუძღვნა. გროსჰაიმი მოგზაურობდა საქართველოსა და მთელი კავკასიის რეგიონებში, ჩამოჰქონდა მერქნიანი, ბალახოვანი და ბოლქვოვანი ცოცხალი მცენარეები, მათი თესლი, ჰერბარიუმი და უნიკალური მასალებით ავსებდა იმხანად უკვე ჩამოყალიბებულ კავკასიურ განყოფილებას, რომლითაც თბილისის ბოტანიკური ბაღი პოპულარული გახდა ევროპის მასშტაბით. გროსჰაიმის სამეცნიერო საქმიანობა, თბილისის ბოტანიკურ ბაღში დაწყებული, მოგვიანებით გამოცემულ მის ფუნდამენტურ ნაშრომებში აისახა: „კავკასიის ფლორა“ (ტ. 1-4. 1928-1934 წწ.), „კავკასიის ფლორის ანალიზი“ (1936 წ.), „კავკასიის მცენარეული რესურსები“ (1946 წ.), „კავკასიის მცენარეული საფარი“ (1948 წ.), „კავკასიის მცენარეთა სარკვევი“ (1949 წ.) და სხვ., რომლებიც დღესაც ისეთივე აქტუალურია ბოტანიკის სფეროში, როგორიც მათი შექმნისას იყო.

20. თბილისის ბოტანიკური ბაღის მოამბე, გამოშვება 4, ტიფლისი: 1906. გვ. 32-38.

ბოტანიკურ ბაღში კი გერმანელების მოღვაწეობისა და, შესაბამისად, ბაღის განვითარების ხანა ნელა-ნელა უახლოვდებოდა თავის დასასრულს: საქართველოს გასაბჭოების დრო დგებოდა. თუმცა სიძნელები ბაღს იქამდეც გასჩენოდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ფინანსები თანდათან უმცირდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც იხსნებოდა ახალი განყოფილებები თუ კაბინეტები, იზრდებოდა თანამშრომელთა რიცხვი, არ წყდებოდა სამეცნიერო მუშაობა. 1918 წელს თბილისში გამძაფრებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ბაღის მდგომარეობა გვარიანად შეარყია. ამ დროისთვის ადოლფ როლოვი საბოლოოდ ტოვებს დირექტორის თანამდებობას²¹ და ხანმოკლე ვადით რჩება კონსულტანტად. საქართველოს გასაბჭოებიდან მოყოლებული კი, რამდენიმე საჯარო თანამდებობაზე მცირე ხნით²² მუშაობის შემდეგ, ძირითადად პედაგოგიურ საქმიანობას აგრძელებს, რასაც ბაღში მოღვაწეობის განმავლობაშიც საკმაო ენერგიასა და დროს უთმობდა²³.

ადოლფ როლოვის საბოლოოდ წასვლის შემდეგ ბაღიდან მიდიან წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლებიც, მათ შორის ალექსანდრ გროსჰაიმიც, რომელიც ჯერ ბაქოში გადადის და იქ აგრძელებს მოღვაწეობას, ბოლოს კი – პეტერბურგში. გასაბჭოების შემდეგ ბაღის საქმიანობაში აღარ ფიგურირებს აღარც ევგენი კიონიგის სახელი.

კადრების გადინებასთან ერთად შეწყდა სამეცნიერო მუშაობა და ბაღის შრომების გამოცემა. შეჩერდა მშენებლობები. ვერც გვირაბი დასრულდა, რომლის დაგეგმვის თაობაზე ჯერ კიდევ 1901 წელს იუწყებოდა გაზეთი „ივერია“²⁴ და რომელიც სოლოლაკის ქედში გაიჭრა კიდევ 1909-1914 წლებში მაშინდელი ბებუთოვის ქუჩისა და ბოტანიკური ბაღის უმოკლესი გზით დასაკავშირებლად.²⁵ გაჩნდა ბაღის ფიზიკური გადარჩენის პრობლემა, რადგან ძლიერ დაზიანდა ან საერთოდ განადგურდა ცალკეული ნარგაობები, ხეხილის ბაღი, თურქესტანისა და მლაშობის მცენარეთა განყოფილებები. 1917 წლიდან სევანის მაღალმთის ბოტანიკური ბაღი სომხეთის რესპუბლიკის საკუთრებაში გადავიდა, ყველა დანარჩენი გეოგრაფიული განყოფილება, ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის გარდა, გაუქმდა მეტეოროლოგიურ სადგურებთან ერთად, რომლებიც თითოეულ მათგანში ფუნქციონირებდა.

21. რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციური გადატრიალებისთანავე მან უარი განაცხადა ბოტანიკური ბაღის დირექტორობაზე, მაგრამ ბაღის საბჭომ ისევ ერთხმად აირჩია დირექტორად, და ისიც ცოტა ხნით დაუბრუნდა ამ თანამდებობას.
22. 1919-1921 წლებში მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში განყოფილების გამგედ, შემდეგ კი მიწათმოქმედების სახალხო კომიტეტში კონსულტანტად.
23. მისი დაარსებული იყო ბოტანიკური ბაღის მუშა-მებაღეთა სკოლა, სადაც დირექტორობიდან წასვლის შემდეგაც მუშაობდა.
24. გაზ. „ივერია“, №1 10, 24 მაისი, 1901. გვ. 2.
25. კვირკველია, თ. ძველთბილისური დასახელებანი. თბილისი: 1985. გვ. 80.

ეს ძნელებდობის ჟამი, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ან რა შედეგით დამთავრდებოდა, რომ არა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერები, რომლებმაც 1920-იან წლების დასაწყისში, თითო-ოროლა დარჩენილ ძველ სპეციალისტთან ერთად, ხელი მოჰკიდეს ბაღის გადარჩენის საქმეს. იქამდე თუ ადგილობრივი კადრებისთვის თითქმის შეუძლებელი იყო ბაღში მუშაობა და სამეცნიერო სარბიელზე დაწინაურება, ახლა უკვე თანამშრომელთა რიგები შეივსო შემდგომში ისეთი ცნობილი მეცნიერებით, როგორებიც იყვნენ ნიკო კეცხოველი²⁶, ვლადიმერ მენაბდე, ლევან ყანჩაველი და სხვ. მათ შორის გაჩნდნენ მეცნიერი ქალებიც. ლუბა კემულარია-ნათაძე ჯერ კიდევ როლოვის აღმავლობის პერიოდში, 1913 წელს, მისულა ბოტანიკურ ბაღში. 1921-24 წლებში ქსენია ბახტაძე და თამარ სულაკაძე შემატებიან ბაღის ახალგაზრდა კადრებს, რომლებმაც კოლოსალური შრომა გასწიეს პოლიტიკური ვითარებისა და შიგა და შიგ სტიქიის²⁷ შედეგად გავერანებული ბაღის შესანარჩუნებლად.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ ადამიანების მეცადინეობით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და შესაბამისი განყოფილებები არათუ გადარჩა, ცოტა ხანში ისე გაფართოვდა, რომ აუცილებელი გახდა ზოგიერთი მათგანის დარგობრივ ორგანიზაციად გამოყოფა. 1933 წელს ასე გამოეყო მას ბოტანიკის ინსტიტუტი, რომელსაც გადაეცა ბაღის მთელი სამეცნიერო მასალა, აღჭურვილობა, ჰერბარიუმი და ბიბლიოთეკა. ბაღის წიაღიდან იშვნენ მემინდვრეობის ინსტიტუტი და სახელმწიფო სასელექციო სადგურიც. ამ უმსხვილეს კვლევით ცენტრებში შესაბამისად გადანაწილდნენ ბაღის მეცნიერი თანამშრომლებიც.

თავად ბაღი კი შემდგომში კიდევ არაერთ უმძიმეს განსაცდელს გაივლის, ისეთს, ლამის დაღუპვის პირას რომ მიიყვანს მას, მაგრამ გადარჩება. გადარჩება მსოფლიო თუ სამოქალაქო ომების დროსაც კი, უყურადღებოდ მიტოვებული, მოურწყველობით თითქმის გადამხმარი, სამეცნიერო საქმიანობაშეჩერებული და ისევ მოახერხებს წელში გამართვას. ამაში კი დიდი წვლილი სწორედ იმ გერმანელ მოღვაწეებსაც მიუძღვით, რომლებმაც თავის დროზე მას, ასევე სანახევროდ სულმიხდილს, ისე მოუარეს, ისეთი სამეცნიერო საძირკველი ჩაუდგეს, რომ მისი ჩამონგრევა უკვე შეუძლებელი იყო და ამიტომაც ბაღი აღარასოდეს ქცეულა უბრალო სასეირნო ადგილად. ამ შემთხვევაში ალბათ აღარც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ ვისი პოლიტიკური ინტერესები იგულისხმებოდა გერმანელთა მოღვაწეობის მიღმა მაშინ, ფაქტია, რომ სწორედ მათ დაიწყეს ბაღის სწორი ორგანიზება და მოწყობა, მათ შექმნეს პირველი ჰერბარიუმი, კატალოგი, ბიბლიოთეკა და მუზეუმი, მათ ააგეს იქ არაერთი შენობა, და რაც მთავარია, მთელი კავკასიის მასშტაბით გაშლილი სამეცნიერო მუ-

26. ბოტანიკურ ბაღში პირველად 1921 წელს დაიწყო მუშაობა.
27. 1924-1925 წლების მკაცრმა ზამთარმა ძლიერ დააზიანა ბაღის ნარგაობა. შემდეგ კი მდ. დაბახანა ამოშრა, რითაც ირწყვებოდა ბაღი და ამის გამო მდ. მტკვრის წყლის ცხენებით მიდვა უხდებოდათ.

შაობით ბალი პოპულარულ კვლევით დაწესებულებად ჩამოაყალიბეს. ამით კი თავიანთი მოღვაწეობის პერიოდი ოქროს ხანად აქციეს ბოტანიკური ბალის ისტორიაში, რომლის ხელშესახები მშვენიერი ნიმუშები, ჯერ კიდევ შარერის დროიდან შემორჩენილი, ათასწირნახული უთხოვარი (Taxus baccata), მტირალა კვიპაროსი (Cupressus funebris), ჩინური ვისტერია (Wisretis sinensis), ბიჭვინთის ფიჭვი (Pinus pityusa), კავკასიური აკაკი (Celtis caucasica) თუ ორნაკვეთა გინგო (Ginkgo biloba) დღესაც კეკლუცობენ მნახველთა წინაშე, ყვავილობენ და ნაყოფს ისხამენ.

ახალი ამბები. 1901. ივერია (110).

გვათუა, ნ. 1966. ძველი თბილისის გოგირდის აბანოების ისტორიიდან. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გოგოლიშვილი, მ. და სხიერელი, ვ. 1986. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური /თბილისის/ ბოტანიკური ბაღი. მოკლე ისტორია. თბილისი: მეცნიერება.

თავაძე, ბ. 2003. „VIVAT HISTORIA: ანუ რას გვიამბობენ მეცნარეთა სახელწოდებანი აფსუა-აფხაზთა აბორიგენობაზე საქართველოში“, საქართველო (10-11)

თბილისის ბოტანიკური სიძველეები. 1851. კავკაზი (25)

თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომები. 1895. ტ. 1. თბილისი: კოზლოვსკის ტიპოგრაფია.

თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომები. 1925. ტ. 4. თბილისი: კოზლოვსკის ტიპოგრაფია.

კეცხოველი, ნ. 1969. ბოტანიკა საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

კვირკველია, თ. 1985. ძველთბილისური დასახელებანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო.


კიონიგი, ე. 1906. 1905-1906 წწ. ზამთრის გავლენა თბილისის ბოტანიკური ბაღის კულტურულ მცენარეებზე. თბილისის ბოტანიკური ბაღის მოამბე. გამოშვება 4, თბილისი: კოზლოვსკის ტიპოგრაფია.

ლორია, მ. და კერესელიძე, ჯ. 2001. ადოლფ ქრისტიან როლოვი და თბილისის ბოტანიკური ბაღი. თბილისი: დედა ენა.

მანჯგალაძე, გ. 2008. გერმანელები. ეთნოსები საქართველოში. რედ. მ. ბასილაია, თბილისი: სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.

მორჩილაძე, ა. 2017. „თბილისი“. ჩემი სამყარო, №18 (46).

პოლიექტოვი, მ. და ნათაძე, გ. 1930. ძველი თბილისი. თბილისი.



საბალო-სამეურნეო კულტურა და მისი ქომაგები საქართველოში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე

ნონა კუპრეიშვილი

საქართველო მრავალფეროვანი ბუნებით გამორჩეული ქვეყანაა. ადგილობრივი მოსახლეობა ოდითგანვე მიწათმოქმედებას მისდევდა. სწორედ მიწისადმი განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ შექმნა არა მარტო სასოფლო-სამეურნეო დარგები, არამედ მდიდარი საბალო კულტურაც, რომლის სტილს აღმოსავლეთ-დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის თავისებურება განსაზღვრავდა.

საქართველოში საბალო-საპარკო კულტურას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენ უპირატესად შევეხებით ამ მეტად მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ ნაირსახეობას – ე.წ. მხატვრულ მებაღეობას, რომელმაც ეს სახელწოდება თავისი არაუტილიტარული, დეკორაციული ხასიათის გამო მიიღო. მართალია, ურიცხვმა შემოსევებმა იმსხვერპლა არა მარტო ქართული ბაღების დიდი ნაწილი, არამედ, პირველ ყოვლისა, ის საერო თუ საეკლესიო შენობებიც, რომელთა გარშემოც ისინი შენდებოდა. მიუხედავად ამისა, დაბეჭდებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ბაღების შემორჩენილი ფრაგმენტები ან წერილობითი წყაროები მათ შესახებ უნიკალურ მასალას წარმოადგენს ჩვენი ისტორიის სრულყოფილი შესწავლისთვის.

მკვლევარი ჯ. გიორგბერიძე თავის ნაშრომში „საქართველოს ძველი ბაღები და პარკები“ საკითხის წინაისტორიას გვაწვდის. აღნიშნული ნაშრომის მიხედვით, ქართული საბალო მეურნეობის ისტორიის უპირველეს წყაროდ მიჩნეულია არგონავტებზე თქმულების ამსახველი ცნობილი ლიტერატურული ძეგლი აპოლონიოს როდოსელის პოემა „არგონავტიკა“. აი, როგორ აღწერს აპოლონიოს როდოსელი კოლხეთის მეფე აიეტის სასახლეს, რომელსაც ოქროს საწმისის მოსატაცებლად იაზონი და მისი მეგობრები ეწვევიან: „როგორც კი ველი გალიეს, აიეტ მეფის ჭიშკარს მიადგნენ... შესცქეროდნენ გაცეხულნი კოლხთა მეფის მზიურ სასახლეს... იაზონმა და მისთა მხლებელთა ზღურბლზე უსიტყვოდ გადააბიჯეს. ვაზის ღერწები მწვანე გვირგვინად დახვეულიყვნენ შეფოთლილები. დრო იყო ვაზის ყვავილობისა. აღმა ასულნი ამკობდნენ სვეტებს, დაბლა კი ოთხი მარად უშრობი წყარო შადრევნად მოჩუხჩუხებდა...“¹

იმავე ავტორის აზრით, უაღრესად საინტერესოა ჩვ. წ. ცნობა პირველ საუკუნეში იბერიის დედაქალაქ მცხეთაში არსებული დეკორატიული ბაღის

1. გიორგბერიძე, ჯონი. საქართველოს ძველი პარკები და ბაღები. თბილისი: „მეცნიერება“, 1985, გვ. 19.

შესახებ, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ეკუთვნოდა ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელს, მეფე ადერკს. სწორედ მის მიერ ქრისტეს საჯარო სასამართლოზე გაგზავნილი ელიოზ მცხეთელი (თავის ერთ-ერთ თანამგზავრთან, ლონგინოზ კარსნელთან, ერთად) ქრისტეს კვართით ხელში ბრუნდება მცხეთაში სამეფო ბაღის ხიდთან შეხვედრა თავის დას, სიღონიას, რომელიც კვართთან მიახლების შემდეგ ჩაიკრავს მას გულში და დიდი მღელვარებისგან იქვე გარდაიცვლება. ამაზე ვრცლად საუბრობს გობრონ (მიხეილ) საბინინი თავის ცნობილ წიგნში „საქართველოს სამოთხე“. საგულისხმოა, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ბაღებში თანდათან ჩნდება ამ რელიგიის სიმბოლიკასთან დაკავშირებული ნიშნები.² ეს ხდება მთელი ქრისტიანული ევროპის მასშტაბით. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. მაგალითად, სამონასტრო ან სამეფო ბაღებში ხეივნები ჯვრისებურად იყოფა, ცენტრში თავსდება შადრევანი, როგორც ქრისტეს მოწამებრივი ცხოვრების სიმბოლო, ან ვარდების კორომი, რაც ღვთისმშობლის სიმბოლო იყო (IV საუკუნის ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლში „ნინოს ცხოვრება“ ასეთ სიმბოლოდ მაყვლის ბუჩქია გამოყენებული), ლაბირინთი, როგორც ადამიანური ცხოვრების სირთულის ამსახველი (ჭავჭავაძიანთ ბაღი წინანდალში). ბაღში განთავსებული ჭა კი თითქოს ადასტურებდა იმ აზრს, რომ ეს ბაღი უწყლოდ ისევე დაიღუპება, როგორც კაცობრიობა ნათლობის გარეშე.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილიც, რომელმაც პირველმა ქართველ მეცნიერთა შორის ხელი მოჰკიდა ქართული ეკონომიკური ცხოვრების შესწავლას და ამასთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გამოავლინა, იკვლევს რა ქართული მებაღეობის ისტორიასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, ავლენს მის არქაულ წარმოშობას. ბაღს „სამოთხე“ ან „წალკოტი“ რქმევია, ხოლო მებაღეს კი შესაბამისად – „მესამოთხე“. „ჯერ კიდევ უძველეს ხანაში, – ვკითხულობთ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომში, – ცხოვრებამ და მწერლობამ საქართველოში ორი ზოგადი ტერმინი იცოდა ბოსტნეულისა და ხეხილის შემცველი ნაჭერი მიწის სასოფლო-სამეურნეო ერთეულის აღსანიშნავად: „მტილი“ და „სამოთხე“. „სამოთხის“ გარდა „სამოთხეველიც“ არსებობდა. „მოთხვა“ ძველ ქართულში სეირნობას, დროს გატარებას ნიშნავდა, ხოლო „სამოთხეველი“ და „სამოთხე“ – სასეირნო, დროის გასატარებელ ადგილს ეწოდებოდა. სავარდოსა, საყვავილისა და ბაღის აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაში „წალკოტიც“ იხმარებოდა“.³

ის, რომ ბაღს „სამოთხე“ ან „წალკოტი“ რქმევია, ცხადყოფს ბიბლიურ თარგმანში მათი უმტკივნეულოდ გადანაცვლების კანონზომიერებაც. „ნინოს ცხოვრებასთან“ დაკავშირებულ ტექსტებში „სამოთხე“, მეტიც,

2. საბინინი, მიხეილ. საქართველოს სამოთხე. თბილისი: 1882, გვ. 9-10.

3. ჯავახიშვილი, ივანე. ქართველი ერის ისტორია, ტ. 1-2. თბილისი: 1941, გვ. 95.

მისგან ნაწარმოები „მესამოთხე“, უკვე სრულუფლებიანი ტერმინია და სწორედ ბაღს და მის მომვლელს აღნიშნავს. ამ შემთხვევაშიც ივანე ჯავახიშვილი იმოწმებს შესაფერის სამეცნიერო წყაროს, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ შატბერდულ რედაქციას, რომლის მიხედვით, მირიან მეფე ასე მიმართავს ნინოს: „მიყვარან მაყვალნი ევე შენნი... არამედ არა ვჰრიდი სამოთხესა მას სამეუფოსა და [...] სიმალღეს და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყოველთა სურნელებასა...“⁴ რაც შეეხება ტერმინს „მესამოთხე“, საილუსტრაციოდ აქ კვლავ „ქართლის ცხოვრების“ ამჟერად უკვე ვახუშტისეული რედაქციაა გამოყენებული, რომელშიც ცხადად ჩანს მირიან მეფის სასახლის კარზე ბაღისა და მებაღის არსებობა: „შემდგომად სამისა დღისა განვლო ნინომ მტკუარი და მივიდა სამოთხესა სამეფოსა, სადა აწ არს სუეტიცხოველი და შევიდა სახლაკსა მესამოთხისასა...“.

ადრეულ საუკუნეებში მეფეთა სასახლეებთან გაშენებული ბაღების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის XII საუკუნის ცნობილი პოეტი იოანე შავთელი: „თუ უქო სრანი მე მასა რანი? გალავანისა შემკულობანი, მტილ სამოთხენი, თვალთ სამოთხენი, ზედ ავაზათა შექმნულობანი...“. რეალობა რუსთველისეული ოსტატობითაა არეკლილი „ვეფხისტყაოსანშიც“, რომელშიც შთამბეჭდავადაა აღწერილი ნესტანის ციხე-კოშკის ირგვლივ („შელამდა, წავე, ბაღისა მე კარი გავიარეო...“), გულანშაროში კი ზღვის პირას გაშენებული ზღაპრული ბაღები („ნახეს ქალაქი მოცული გარე ბაღისა ტევრითა, გვარად უცხონი ყვავილნი, ფერთა ბევრისა ბევრითა...“). ზოგიერთი რუსთველოლოგის აზრით, გულანშაროს ტოპონიმიკა ასე იშიფრება: „ყვავილთა ქალაქი“.

XIX საუკუნის ექსპერტად წოდებული ლიტერატორი და ესეისტი იაკობ ბალახაშვილი ორიგინალური ხელწერით გამორჩეული არაერთი ნაშრომის ავტორია, რომელიც ფართო მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილ, ხშირად კი, ასეც შეიძლება ითქვას, მიჩქმალულ ფაქტებს წარმოაჩენს. ასეთი ხასიათისაა მისი წიგნი „ბაღი ვარდისა“, რომელიც მთლიანად ეძღვნება ძველი საქართველოს ბაღნარებს, ისტორიულ წყაროებსა და მხატვრულ ლიტერატურაში ასახულ მათ სილამაზეს. თავის გამოკვლევაში ავტორი ფაქტობრივად გადმოსცემს მხატვრული მებაღეობის ხანგრძლივ ისტორიას, რომელსაც სწორედ არგონავტების მითიდან იწყებს და მოგვითხრობს ვიდრე ორთაჭალის ბაღებამდე. განსაკუთრებით საგულისხმოა ცნობები XVII-XIX საუკუნეების (როგორც ისტორიის, ამ თვალსაზრისით ნაკლებად შესწავლილი მონაკვეთის), შესახებ, რომელშიც ფიგურირებენ სოლოლაკის, მეფე იესეს, ყაბახის, მუშთაიდის ბაღები, მითითებულია მათი ადგილმდებარეობისა და წარმოქმნის საინტერესო ისტორიები.

4. გიორგბერიძე, ჯონი. საქართველოს ძველი პარკები და ბაღები. თბილისი: „მეცნიერება“, 1985, გვ. 8.

თხრობა იწყება მეფე მირიანის ბალიდან, რომელსაც მოსდევს დავით აღ-
მაშენებლის სასახლის ყვავილნარის აღწერა. „სამეფო სასახლეს გარ-
შემო გაღავანი ჰქონია შემოვლებული. ამ სასახლეს ამის გარდა თურმე
„მტილ-სამოთხენიც“ ეკვროდა, სადაც მნახველის „თვალთსაამოთ ხენი“
მდგარა, ანუ ეს ბალები იმდენად სამეურნეო დანიშნულებით არ ყოფი-
ლა გაშენებული, რამდენადაც დასასვენებლად და თვალის საამებლად,
ამასთან, დროის სასიამოვნოდ გასატარებლადაც. ამ მტილ-სამოთხეებს
აბაზანებიც, ე. ი. წყლის აუზებიც ჰქონიათ“⁵, როგორც ეს უმრავლეს შემ-
თხვევაში ხდება. დიდი მეცნიერის ამ ცნობას ბალახაშვილი ამყარებს
სათანადო ლიტერატურული წყაროს მოშველიებით. ამჯერად ეს კვლავ
იოანე შავთელი და მისი „აბდულმესიანია“, რომელშიც აღნიშნული ბა-
ლების ასეთი შეფასებაა მოცემული: „თუ უქო სრანი, მე ამას ბანი, / გა-
ღავანისა შემკულობანი. / მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთხენი, / ზედ
აბაზანთა შექმნულობანი“.

შაჰნავაზის სახელით ცნობილი ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთეც გე-
მოვნებით მოწყობილი დასასვენებელი ადგილის მფლობელი ყოფი-
ლა. აქ გამართულ ბაღს ცნობილი ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის
ყურადღება მიუქცევია: „ტფილისის მიდამო შემკულია რამდენიმე სალ-
ხინო სახლითა და მშვენიერი ბალებით. ყველაზე დიდი მეფის ბალია.
ხეხილი ცოტაა, მაგრამ იმისთანა ხეებით არის სავსე, რომლებიც ამ-
შვენებენ ბაღს და ჩრდილსა და სიგრილეს ავრცელებენ“⁶. როგორ იქ-
ნებოდა, რომ ეს სილამაზე რომელიმე კარის პოეტს არ შეემკო. ასეთი
კი აღმოჩნდა ფეშანგი ფაშვიბერტყაძე, ძველი ქართული ლიტერატუ-
რის ისტორიაში რუსთველის ერთ-ერთ შორეულ ეპიგონად ცნობილი
მელექსე, ვახტანგ მეხუთის განსადიდებლად დაწერილი პოემის „შაჰ-
ნავაზიანის“ ავტორი: „იგ ბაღსა შუა სალხინოდ / მორთვით დგას აინა-
ხები. / მისსა მნახველსა სარჩლა აქვს, / გულო, ნუ ხელობ, ხან ები... /
წყალი დის, ავზი სავსეა, / მებაღე ბაღსა რწყვიდისა, / რა გაზაფხული
მოვიდის, / სადენად არ დასწყვიტისა. / ვარდის წყლით სავსე ყველაი, /
მინებსა ვერ დასთვლიდისა. / რა დასტკნის ვარდი, ბულბულმან / იმედი
გარდასწყვიტისა...“.

მებაღეობის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით, განსაკუთრებით
საყურადღებოა მწიგნობარი და სჯულმდებელი ქართლის გამგებელ-ჯა-
ნიშინის, ვახტანგ მეექვსის, საბალო მეურნეობით გატაცება. მეფე მისთვის
ჩვეული ენერგიულობით შესდგომია საკუთარი „სავარდის“ განაშენი-
ებას. ამასთან, იგი საირიგაციო მშენებლობითაც ყოფილა გატაცებული,
თანაც, სურვილი გასჩენია, მოეშენებინა ველური ყვავილები და ვარდებ-
თან ერთად საკუთარ ბაღში მათთვის ბინა მიეჩინა. აი, რა ცნობას გვაწ-
ვდის ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი: „დბანისის ხეობაში, კეჩუთისა

და ბოლოლის მთებში არს ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავ-
სი ნარისა და მიწასა ზედა განრთხმული; სურნელი, ვითარცა ამბარი და
უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი. მეფემან ვახტანგ მოიღო სავარდესა ში-
ნა, არამედ არა ჰყო ნაყოფი“⁷. აქ საუბარია ვახტანგ მეექვსის პირველი
ცდის მარცხით დამთავრებაზე, რაც შემდგომში ქართველმა მებაღეებმა
გამოასწორეს და ველისა და ტყის სხვა ყვავილებთან ერთად სუმბულიც
მოაშინაურეს.

ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, ქართული მხატვრული მებაღეობა
XIX საუკუნემდე ენათესავებოდა მეზობელი აღმოსავლეთის ქვეყნების
ბალთმშენებლობის დიდ ტრადიციებს. „ქართველ ტომებს, – წერს დას-
კვნის სახით მეცნიერი, – მებაღეობის კულტურა დაახლოებით ისეთივე
უნდა ჰქონოდათ, როგორიც მაშინდელ აღმოსავლეთში სუფევდა“⁸.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება: ძველი ქართული
მხატვრული ბაღების მშენებლობის სტილის გავლენა იგრძნობოდა
თავისუფალი პეიზაჟური ორგანიზაციით გამორჩეულ დასავლეთ სა-
ქართველოს საკარმიდამო ნაკვეთებში, რომლებიც მეცნიერთა და
მკვლევართა მიერ სამამულო მხატვრული მებაღეობის ისტორიის ორ-
განულ ნაწილადაა აღქმული. ამ მოვლილი და სხვადასხვა დეკორა-
ტიული მცენარით დამშვენებული კარ-მიდამოების მიმართ უცხოელთა
დიდი ინტერესი იგრძნობოდა. აი, როგორ აღწერს, მაგალითად, გლე-
ხის ეზოს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.): „ყო-
ველ მეგრელს ისე დიდი ეზო აქვს, რომ უფრო მინდორს წარმოადგენს.
ეზოში იზრდება მხოლოდ კარგი ბალახი, სარეველას ვერ ნახავთ. ყო-
ველ მოსახლეს თავი მოსწონს ეზოს სიწმინდით. ეზოს არტყია გარშემო
თხრილი და ღობე... შესასვლელთან დგამენ დიდი ალაყაფის კარებს
და დიდ ხეებს... ეზოშიც საჩრდილობლად დგამენ სხვადასხვა ხეს, უფ-
რო ხშირად კი რცხილას...“⁹.

ვითარება საგრძნობლად იცვლება XIX საუკუნის დასაწყისიდან, ანუ რუ-
სეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების, შემდგომ
კი ქვეყნის სხვა სამთავროების მიერთების დროიდან. კულტურული
ორიენტაციის ცვლილების პროცესი, ცხადია, საბალო მშენებლობის სტი-
ლისტიკაზეც აისახება. თუ საუკუნის დასაწყისში პოეტი ქალის, მართა
სოლოლაშვილის, ბაღია ან კიდევ ერეკლე მეორის ასულის, თეკლა ბა-
ტონიშვილის ბაღი ყვავილ-ხეხილითაა დამშვენებული (გვერდიგვერდ
ყვავილნარი, ხეხილი ან კიდევ მტილი), სულ მალე ბაღების ორგანიზება
განსხვავებული ხდება.

პირველი ევროპული ტიპის ბაღი იხსნება მთავარმართებლის სასახლის
უკან, სოლოლაკის ძველი მასივის ერთი ნაწილის ბაზაზე. ამ თვალსა-

5. ჯავახიშვილი, ივანე. ქართველი ერის ისტორია, ტ. 2. თბილისი: 1935, გვ. 111.

6. შარდენი, ჟან. მოგზაურობა საქართველოში, თბილისი: 1935, გვ. 25.

7. ბაგრატიონი, ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი: 1941, გვ. 39.

8. ჯავახიშვილი, ივანე. ქართველი ერის ისტორია, ტ. 1. თბილისი: 1941, გვ. 37.

9. ლამბერტი, არქანჯელო. სამეგრელოს აღწერა. ტფილისი: 1938, გვ. 49.

ჩინო მოვლენას ეხმაურება იმ დროს თბილისში მყოფი კონსული გამბა. აი, რას წერს იგი: „იმავე რაიონში გაიხსნა საზოგადოებისთვის ბაღი, რომელიც მთავარმართებლის სასახლეს აკრავს. ესაა ვეებერთელა ტერიტორია საუცხოო მცენარეულობით, ამასთან დიდი გემოვნებით დაგვემარებულნი...“.¹⁰ მოგვიანებით „ორბელიანთა აულის“ სახელით ცნობილ ადგილას, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, დღევანდელი 9 აპრილის სახელობის ბაღისა და უწინდელი ყაბახის ტერიტორიაზე (ყაბახმა, როგორც ქართული არისტოკრატიის გასართობმა თავისებურმა სპორტულმა მოედანმა, სათანადო ასახვა პოვა ქართულ რომანტიკულ პოეზიაში, კერძოდ, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში) საფუძველი ჩაეყარა იმპერატორ ალექსანდრეს II-ის სახელობის ბაღს არქიტექტორ ოტო ზიმენსის პროექტის ფარგლებში. აქედან დღევანდელი ვერის პარკის ადგილას გადაიტანეს სასაფლაო, ხოლო მებაღე-დეკორატორ შერერის ხელმძღვანელობით დაიწყო ტერიტორიის კეთილმოწყობა. ბაღის გაშენება დაუჩქარებია მტკვარზე წყლის მექანიკური სატუმბის მშენებლობას. ბაღი 1865 წელს გაიხსნა. მალე მას შემოავლეს თუჯის დეკორატიული ღობე, რომელიც დამზადებული ყოფილა ბოლნისის რაიონის სოფელ ჩათახის თუჯის ჩამომსხმელ ქარხანაში.

ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში ძნელია იპოვო უფრო გაფეტიშებული ადგილი, ვიდრე ორთაჭალის ბაღებია. გავიხსენოთ თუნდაც ფიროსმანის ცნობილი ტილოები, ქართველ მწერალთა, განსაკუთრებით კი რომანტიკოსთა, მიერ აღწერილი ლხინისა და თავშეცევის სცენები. როგორია თბილისელთათვის ამ ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილის ისტორია? თავდაპირველად ორთაჭალა ერქვა კუნძულს, რომელიც მტკვრის ძირითად კალაპოტსა და მის მარჯვენა ტოტს შორის იყო მოქცეული. ამით უნდა აიხსნას კუნძულის სახელწოდება, რომელიც თურქული და ქართული სიტყვების შეერთებით არის მიღებული. კერძოდ, „ორთა“ თურქულად არის შუა. ე.ი. ორთაჭალა ნიშნავს „შუა ჭალას“. ორთაჭალის ბაღები გიორგი მეთორმეტეს ეკუთვნოდა. მეფის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟისგან, დავით ბაგრატიონისგან, რომელიც იმხანად იძულებული იყო პეტერბურგში გადასახლებულიყო, ბაღი დოსითეოს ფირცხალაურის ხელში აღმოჩნდა. კერძო მესაკუთრის ხელში გადასული ორთაჭალა თანდათან თბილისელთა გასართობ და დასასვენებელ ადგილად იქცა. ყოფილა ასეთი ტრადიცია: გაზაფხულის შესახვედრად ქალაქის მცხოვრებნი ორთაჭალაში „ნუშის დღის“ ზეიმს მართავდნენ, რაც ნუშის ტოტებით, სიმღერითა და ცეკვით აღინიშნებოდა და ბუნების გამოლვიძებას ეძღვნებოდა (ცნობილია, რომ ამ დროს შესასრულებელი ერთ-ერთი სიმღერა „ახალ აღნაგო“ 1829 წელს თურმე თბილისში სტუმრად მყოფ რუს პოეტს, ალექსანდრე პუშკინს, უმღერეს). არსებობს ამ პერიოდში მცხოვრები ქართველი არისტოკ-

10. გიორგბერიძე, ჯონი. საქართველოს ძველი პარკები და ბაღები. თბილისი: 1985, გვ. 35.

რატიის წარმომადგენელთა მიმოწერის რამდენიმე ნიმუში, რომლებშიც საუბარია ორთაჭალის ბაღებში დროის სასიამოვნოდ გატარების შესახებ. ესაა, პირველ ყოვლისა, რომანტიკოსი პოეტის, გრიგოლ ორბელიანის, მოგონება. ტასო აგლობჟოისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერს: „ამას წინათ შევიყარენით სულ ყმაწვილი კაცები – მე, ჭილავე, გიორგი მუხრანსკი, შახავსკოი, მირსკი, ლევან, ისაკ, ჯორჯაძე, სულთან გირეი, სოსიკო და ალაღაროვი. წავედით საღამოზე ორთაჭალას და მტკვრის პირზე ჩავსხედით ზურნით, ჭიანურ-თარით და ლაზათიანის მომღერალთა და იყო ჰაერი მშვენიერი, ღამე მთვარიანი...“. გრიგოლ ორბელიანის თბილისში არყოფნისას მისი თანამეინახენი მისთვის გაგზავნილ ბარათებში ხშირად ნატრობდნენ ორთაჭალაში გატარებულ დროს და წარსული დღეების განმეორებაზე ოცნებობდნენ. მაგალითად, აი, რას სწერს დავით ყორღანაშვილი თავის მეგობარს, გრიგოლ ორბელიანს: „...იქნება ჩქარა გადმოხვიდე საქართველოში და კიდევ ველირსოთ ორთაჭალას ჩვენებურად სხდომას, ჰაზარფეშებით, წითელის ლალის ღვინით, ჭანარის ტუჩით ვაზის ფოთოლზე, თარფით თავისის შემკობილობით, მოტანილით ფეხთშიშველ წელში წალდგარტობილ მებაღისაგან“.¹¹ იაკობ ბალახაშვილი მოგვითხრობს იმის შესახებაც, როგორ იმართებოდა აქვე ქალების „ჩაით თრობა“, საგანგებოდ დადგმული კარვებიდან კი გაუთავებლად ისმოდა მუსიკისა და სიმღერის ხმა. მკვლევრის მიერ საგანგებოდ დამოწმებულია 1845 წელს „Отечественные записки“-ში ორთაჭალის ბაღებისა და ყვავილნარების ანონიმი რუსი მოხელის საინტერესო აღწერა: „ბაღი, სადაც სადილი იყო გამართული, ამაღლებულ ადგილას, ქალაქიდან ხუთი-ექვსი ვერსის მანძილზე მდებარეობდა. გარშემო ყურძნის მტევნებით დამძიმებული ვაზის ხეივნები, დამწიფებული ატმის, ალუბლისა და ქლიავის ხეები, შიგადაშიგ სხვადასხვა ყვავილებითა და აღმოსავლეთის უპირველესი ყვავილით, ვარდით, შემკული ღონიერი მწვანე ბალახი იყო...“.¹²

ძველი თბილისის უბადლო მცოდნე პოეტი იოსებ გრიშაშვილიც აღწერს ორთაჭალის ბაღებს. იგი იხსენებს მეთევზე ლოპიანასაც, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა თავის ცნობილ მუხამბაზში უკვდავყო: „ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ?/ დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ?/ ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ?/ აბა, მუშტი-კრივში მნახე, ვინა ვარ?/ მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: ძვირფასი ხარ“. ეს ლოპიანა ზემოთ აღწერილი ლხინის ცოცხალი თევზით მომმარაგებელი და მოქიფეთა ახლო მეგობარი ყოფილა.¹³ სამწუხაროდ, XX საუკუნის დასაწყისში ორთაჭალაშენისთვის აგებულმა აუცილებელმა ჯებირებმა მდინარის ტოტის დაშრობა გამოიწვია, რასაც კუნძულის გაქრობა მოჰყვა.

11. ბალახაშვილი, იაკობ. ბაღი ვარდისა. თბილისი: 1967, გვ. 52.

12. იქვე.

13. გრიშაშვილი, იოსებ. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. 3. თბილისი: 1963, გვ. 49.

1894 წელს გაზეთ „ივერიის“ რამდენიმე ნომერში იბეჭდება მეტად საყურადღებო კორესპონდენციები, რომელთა ავტორი თავადი გიორგი ჩიჩუაა.¹⁴ ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ ამ მეტად საინტერესო პიროვნებაზე. „გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუა იყო სოფლის მეურნეობაში სიახლის შემომტანი, მიწათმოქმედების განვითარებისთვის დაუღალავი მებრძოლი-ენტუზიასტი, პროგრესული საზოგადო მოღვაწე. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სუბტროპიკულ კულტურებსა და შემოსავლიანი დარგების განვითარებას. მან სამეგრელოს რაიონებსა და სოფლებში პირველმა გააშენა ვაზის ჯიშები: ცოლიკაური, საფერავი და სხვ. კარგად ჰქონდა მოწყობილი საკუთარი მამული, რომელიც საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთს წარმოადგენდა სოფლის გლეხობისათვის“,– ასე იწყებს მკითხველისთვის გიორგი ჩიჩუას წარდგენას თენგიზ ჩხეიძე, ავტორი უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომისა „ქართველი აგრონომები“.¹⁵ გიორგი ჩიჩუას ინიციატივით ეკის თემში, სოფლებში უმაფათში, ფოცხოში და სხვ. ფართო შარაგბები გაუყვანიათ. ამ გზებზე პირველი ეტლების გამოჩენას ხალხი თურმე ზეიმით ხვდებოდა. ღარიბი ბავშვებისთვის გაუხსნია სკოლა სოფელ უფალკარში. განსაკუთრებით ნაყოფიერი ყოფილა მისი საქმიანობა დასავლეთ საქართველოს საუფლისწულო მამულების ბანკის სათავეში ყოფნის პერიოდში. ამ დროს იგი უკვე რეგულარულ დახმარებას უწევდა სასოფლო-სამეურნეო სკოლებს. თვით ტრაგიკულმა შემთხვევამაც კი (მას შემოჰკვდომია მეფის მოხელე, რის გამოც შორეულ ასტრახანში გადაუსახლებიათ) ვერ შეძლო ამ მხნე ადამიანის სულით გატეხვა. უსარგებლია რა ასტრახანში თუთის ხეების არსებობით, გიორგი ჩიჩუას მეაბრეშუმეობისთვის მიუყვია ხელი და თავისი მუშაობის შედეგით იმხანად ასტრახანში გადასახლებული ნიკოლოზ ჩერნიშევსკის ყურადღება მიუქცევია – 1889 წელს დაუწერია და გამოუცია ნაშრომი „Очерк деятельности станции шелководства Г. К. Чичуа в Астрахани“, რომელშიც აღწერილია ასტრახანში ამ მეტად მნიშვნელოვან დარგში მიღებული გამოცდილება. იმავე წელს, უკვე თავის მშობლიურ სარატოვში დაბრუნებულ ჩერნიშევსკის შუამდგომლობა გაუწევია გიორგი ჩიჩუასთვის სარატოვშივე გამართული სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ორგანიზატორების წინაშე, რათა მათ მიეღოთ ჩიჩუასეული აბრეშუმის პარკი. სხვათა შორის, ამ ამბავს მაშინ დიდი გამოხმაურება მოჰყოლია. მალევე სამშობლოში დაბრუნებული გიორგი ჩიჩუა უახლოვდება „ივერიის“ კორესპონდენციებში მოხსენიებულ ივანე კლინგენს და მასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო დარგის სამომავლო განვითარებასა და სწორი დაგეგმვის პროცესში.

ქუთაისის გუბერნიაში იმხანად ორგანიზებული ოთხკაციანი ექსპედიციის მიზანი ყოფილა არსებული სამეურნეო წარმოების შესწავლა და

14. ჩიჩუა, გიორგი. მოგზაურობა სამეურნეო წარმოების შესასწავლად ქუთაისის გუბერნიაში. გაზ. „ივერია“, 1894, №19.

15. ჩხეიძე, თენგიზ. ქართველი აგრონომები. თბილისი: 1962, გვ. 32.

მომავალში მის გასაფართოებლად სათანადო ნიადაგისა და კლიმატის მქონე ადგილების შერჩევა. ექსპედიციის წევრები გიორგი ჩიჩუას გარდა ყოფილან: კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორი ივანე კლინგენი, სახაზინო-სააზნაურო ბანკის შემფასებელი აგრონომი კოფოკი, აგრონომი ოფიცერი სიმენსონი. ექსპედიცია დაუკომპლექტებია კლინგენს. მას სჭირდებოდა ზუსტი მონაცემები სამეურნეო წარმოების განვითარების შესახებ, რადგან საუფლისწულო დეპარტამენტს განზრახული ჰქონდა „დაეწყო დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა სამეურნეო წარმოება, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანდა არა მარტო ჩვენს მხარეს, არამედ მთელ რუსეთს“.¹⁶ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გიორგი ჩიჩუას პიროვნების კლინგენისეული შეფასება. აი, რას წერს იგი: „... ჩემთან მოვიწვიე განათლებული მემამულე-მეურნე [...] თავადი გიორგი ჩიჩუა, რომელიც ჩინებულად იცნობს თავის ქვეყანას და ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას. მან ძვირფასი სამსახური გაგვიწია იმით, რომ ამიერკავკასიის მეურნეთა შორის ბევრი ნაცნობი ჰყავს... ჩვენი პატარა ქარავნის ხელმძღვანელის, თავად ჩიჩუას, შემწეობით ისიც კი მოვახერხე, რომ იტალიური კოლონიების შუასაუკუნეობრივი კულტურის ნაკვალევითვის მიმეგნო. პარკები, სადაც კიდევ შემორჩენილია ძველთაძველი ზეთისხილის ძირკვები და აგრეთვე ძალიან ძველი, მაგრამ უფრო მოგვიანო ხანის კეთილშობილი დაფნის ხეივნები...“. საგულისხმოა, რომ ეს ცნობა აღებულია ივანე კლინგენის მიერ 1917 წელს პეტროგრადში გამოცემული ნაშრომიდან „Проект организации подтропического хозяйства в Закавказье с чайным хозяйством во главе“ და დამოწმებულია თენგიზ ჩხეიძის უკვე ნახსენებ წიგნში „ქართველი აგრონომები“.¹⁷

„ივერიის“ კორესპონდენციის ავტორი კი, თავის მხრივ, იმაზე მიანიშნებს, რომ დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების დათვალიერება ემსახურება იმ მიზანს, რომ მომზადდეს წინაპირობა ჩაის, ქალაღის ლაქის, ქინაქინისა და ქაფურის ხეების მოსაშენებლად, აგრეთვე ყაჭის (აბრეშუმის ჭიის) აქამდე არსებულზე უფრო საღი თესლის მოსახლეობაში დარიგებისთვის და მასთან ერთად ამავე ყაჭის (ჭიის) საკვები თუთის ხეების მოშენებისთვის (წერილში ნახსენებია ხონის ინიციატივიანი მოურავი შარაშიძე, რომელსაც თავისი საზრიანობით ყაჭის მომვლელ დედაკაცთათვის მოსამზადებელი სკოლაც კი დაუარსებია საკუთარ ოჯახში და მთავრობაც დაუინტერესებია ამით). ამის შემდეგ ექსპედიციის წევრები მიემგზავრებიან გორდისკენ, ანუ იმერეთის, სამეგრელოსა და ლეჩხუმის საზღვარზე მდებარე დადიანების საზაფხულო რეზიდენციისაკენ: „ავედიოთ გორდს. ვნახეთ შიგ გორდში მშვენიერი ვაკე ადგილი შემოზღუდული მთებით... მთის ბუნებრივი კედელი დასაფარავად ქარისა და სიცივისაგან. შეხვალთ თუ არა მინგრელსკის (მინგრელსკი სამეგრელოს

16. გაზ. „ივერია“, 1894, №8, გვ. 1-2.

17. ჩხეიძე, თენგიზ. ქართველი აგრონომები. თბილისი: 1962, გვ. 31.

უკანასკნელი მმართველი, ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის ვაჟი, ნიკოლოზ დადიანია. – ნ.კ.) ეზოში, თავს ისე იგრძნობთ, თითქოს ედემში ხართ... აქ თავადს გაუკეთებია მშვენიერი პარკი. ხეივნები მისდევს ერთმანეთს... სხვადასხვა გვარი ხეები ზამთარ-ზაფხულ მშვენივრად არის ამწვანებული. აუზები თევზითაა სავსე... აქა-იქ ვარდის უბანია. ქვემოთ მხარეს... უცხო ქვეყნებითგან მოტანილი ძვირფასი მცენარეების მრავალი ხეივანია აყობებული, აქვია სხვადასხვა ყვავილები და ხეხილი. თვით თავადს მშვენივრად შეუსწავლია ბოტანიკა და თავის ბაღს ისე უვლის, როგორც თვალის ჩინს... ყოველივე ამას ზედ დასცქერის სასახლე და მისი აივანი. ცხადია, რომ ასეთი ბაღი შეიძლება გაშენდეს მხოლოდ იქ, საცა მდიდარი მიწა და იმისთანა რბილი და ფაქიზი ჰავაა, როგორიც გორდში და ბევრგან სხვაგან ჩვენს ქვეყანაში. ეს ადგილი სწორედ სადგურია თბილ ქვეყნების მცენარეთა და ძვირფას ყვავილთა. აქ არის ზაფხულში ზომიერი ნიავი მთისა და სიგრილე, ხოლო ზამთარში 15-20 გრადუსამდე სითბო. ჩვენი უცხო სტუმრები გაკვირვებულნი იყვნენ ყველაფრით, რაც კი ნახეს გორდში, მაგრამ უფრო გაჰკვირდნენ თ. მინგრელსკის ცოდნითა და მუშაობით“.¹⁸

ორიოდე ისტორიული ცნობა გორდის ბაღის შესახებ: მას შემდეგ, რაც 1841 წელს აქ დადიანების ციხესიმაგრის მსგავსი საზაფხულო რეზიდენცია აშენდა, დავით დადიანს მოუწვევია სახელგანთქმული აგრონომი და ლანდშაფტის არქიტექტორი იოსებ ბაბინი, რომელიც აგრეთვე ხელმძღვანელობდა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის დაპროექტებას. მას დაევალია იმავე სამუშაოს შესრულება გორდის სასახლის გარშემო. ბაბინის მიერ დაწყებული საქმე გაუგრძელებია იტალიელ მეზღეს, გაეტანო ძამბერლეტის. 80 ჰექტარზე გადაჭიმული ტერიტორია ქვის გალავნით ყოფილა შემოვლებული, რომელშიც სამი დაცული ჭიშკარი იყო დატანებული. ამ კომპლექსში შედიოდა აგრეთვე აბანო და, როგორც ჩანს, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მსგავსად, ბაბინის მიერ შექმნილი ხელოვნური ტბა. სამუხსაროდ, ბოლშევიკური წითელი არმიისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გორდის სასახლე და ბაღიც ისე გაიძარცვა, რომ აქ დღეს უწინდელი დიდებული განაშენიანებისგან მცირე კვალიღაა შემორჩენილი, სასახლისგან კი სულაც უსახური კარკასი შემოგვრჩა.

გორდის შემდეგ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ფოთის აღწერილობა. გიორგი ჩიჩუა ამ კორესპონდენციაში რამდენიმე მნიშვნელოვან და სხვა წყაროებითაც დადასტურებულ ცნობას გვაწვდის. ეს, რა თქმა უნდა, ეხება რესლერის ბაღს. თუმცა მივყვეთ თანმიმდევრობით: „იმავე საღამოს წავედით ფოთის დასათვალიერებლად, – ვკითხულობთ 1894 წლის „ივერიის“ №12-ში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში, – მეორე დღით ადრე დავიწყეთ სხვადასხვა ბაღების დათვალიერება. ვნახეთ აქაური ოდესმე განთქმული ლიმონისა და ფორთოხლის ბა-

18. გაზ. „ივერია“, 1894, №12, გვ. 2.

ღი, რომელიც გაანადგურეს ოსმალებმა. ახლა ამ ბაღში მრავალგვარი მცენარეა თბილის ქვეყნების. მშვენივრად იზრდება ფოთში თითქმის ყველა სახლის ეზოში ევკალიპტი, მაგნოლია, კვიპაროსი, ალენდრა, აკაცია, ქალაღდის ხე, ბაშმალა (სამოთხის ვაშლი), რომელიც ყვავის ზამთრობით, კრიპტომერია, იაპონკა, კრიპტომერია ელეგანს, დაფნის ხე, წყავი და სხვა მრავალგვარი თვალისთვის სასიამოვნო და სახლების დამამშვენებელი ხე. მოდის აგრეთვე ტკბილი კარტოფილი (ბატატი), ყოველგვარი ყვავილები, კამელიები და სხვ. ფოთში გაუშენებია სკოლა და ბაღი სხვადასხვაგვარ მცენარეთა მეზღეს ბოტანიკოს რესლერს და აქედან გატანილი მცენარეებით გაუშენებია ბათუმის ბაღი და მოურთავს ბულვარი. ამ ბაღს ახლა უვლის რესლერის ქალი, ქ-ნი ა. სმიტისა, რომელმაც გვაჩვენა კამელიების სხვადასხვა „ლუკოვიცები“, ზეთისხილი, ლიმონი და ფორთოხალი, რომელიც ბაღში სდგას. აგრეთვე ტყის ხეივანი ნაზ მცენარეთა დასაფარავად გაკეთებული. ამ ქალმა გვიამბო, რომ განსვენებული რესლერი, ალებულ იქნა თუ არა ბათუმი, მაშინვე შეუდგა ჩაის ბუჩქების საქმეს და კიდევ ჰქონდა რამდენიმე ძირი იმ ძვირფას მცენარისა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო და იმ მიზეზითაც, რომ თანაგრძნობა არ გაუწია, ვისაც ჯერ იყო, ვერ განახორციელა თავისი სურვილი. რესლერს შეგულებული ჰქონია მამული ბათუმის მახლობლად, მაგრამ მისთვის არ მიუციათ ეს მიწა. ეს ის მიწა უნდა იყოს, რომელიც ახლა შეიძინა ჩაის მომყვანმა პაპოვმა. განსვენებულს საფლავში ჩაწყვა იმის ჯავრი, რომ ვერ აისრულა თავისი სურვილი და სიკვდილის ჟამსაც სულ იმას ამბობდა, ნეტავ ვინ დაამთავრებს ჩემს დაწყებულ საქმესო. ჩაის ბუჩქი მგონია შეიძინა რესლერისგან დ. ალფონზმა და მერე რა უყვეს, არ ვიცო“.¹⁹

სპეციალურ ლიტერატურაში ფოთისა და ბათუმის ბულვარის განაშენიანების შესახებ ჩვენ მართლაც ვაწყდებით გარკვეულ ცნობებს გერმანელი ბოტანიკოსების – რესლერისა და რეიერის შესახებ (მაგალითად, ფოტოალბომში „ბათუმი“, 2006). 1881 წელს გუბერნატორ სმეკალოვსკის დავალებით რესლერს დაუწყო ფოთში ნური-გელის, იმავე გელ-ბაშის ტბის გარშემო ბაღის მშენებლობა. გუბერნატორის ბრძანების თანახმად, რესლერს ეს მშენებლობა ათ წელიწადში უნდა დაესრულებინა. სამიოდე წელიწადში რესლერმა და რეიერმა უკვე შეძლეს მნიშვნელოვანი დაწყებითი სამუშაოების შესრულება. კერძოდ, მათ მთლიანად გაწმინდეს ტერიტორია ველური მცენარეებისგან, გააშენეს ხეივანი და დარგეს მარადმწვანე მცენარეები. როგორც ჩანს, თავდაპირველად რესლერი ფოთში ჩამოსულა 70-იანი წლების მიწურულს რუსეთის არმიის გადამდგარი ოფიცრის კურკოვსკის მოწვევით, რომელსაც იქ ჰომოლოგიური ინსტიტუტის დაარსება ჰქონია განზრახული. ამ მიზნის განსახორციელებლად კავკასიის მეფისნაცვლისგან (მისი წერილობითი თხოვნის შემდეგ) კურკოვსკის სოლიდური თანხა 10 000

19. გაზ. „ივერია“, 1894, №12, გვ. 2-3.

მანეთიც მიუღია. აშენებულია კიდევ დღევანდელი საცდელი სადგურის ადგილას 4 ჰექტარ მიწაზე ე.წ. კურკოვსკის ბაღი, რომელშიც 1000-მდე სხვადასხვა სახეობის ხეხილი, წიწვოვანი და დეკორატიული მცენარე იყო. მალევე რესლერის ბიოგრაფიაში ჩნდება ბათუმის ბულვარი, სადაც გადაინაცვლებენ ის და მისი დამხმარე მეზაღე რეიერი. ბულვარის გამწვანებისთვის გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, 1884 წელს, რესლერი მოულოდნელად გარდაიცვლება. გიორგი ჩიჩუას კორესპონდენციიდან ვიგებთ, როგორი გულისტკივილით წასულა იგი ამ ქვეყნიდან და თან წაჰყოლია დარდი მის მიერ წამოწყებულ დაუსრულებელ საქმეზე.

აფხაზეთისა და აჭარის შავი ზღვის სანაპიროები თავისი სილამაზით ყოველთვის იზიდავდა უამრავ მტერ-მოყვარეს. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით არც რუსეთის იმპერია იქნებოდა გამონაკლისი. მოგვიანებით ერთმა რუსმა ჟურნალისტმა ამ ადგილებს იმპერიის სამკაული – „რუსული რივიერაც“ კი უწოდა და ეს სახელწოდება იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ ახლაც, XXI საუკუნეში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, კვლავ აქტიურად გამოიყენება. მაშ ასე, საჭირო იყო ზღვა „დერჟავასთვის“, რომელსაც თავისი ინფრასტრუქტურა სჭირდებოდა, ამ ინფრასტრუქტურის მშენებლობას კი – ხელსაყრელი ისტორიული მომენტი, რომელიც მალე გაჩნდა კიდევ. რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვებამ ახალი მოტივაცია და შესაძლებლობები შექმნა ამ მხარის ათვისებისთვის. მაგალითად, აფხაზეთის სანაპიროზე სწორედ ამ დროიდან გამოჩნდნენ ახალი ყაიდის სტუმრები, ანუ საქმიანი რუსი გენერლები და სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებსაც მხარის განაშენიანების ამბიციური გეგმები ჰქონდათ. ერთ-ერთი მათგანი იყო საიმპერატორო ოჯახის წევრი ოლდენბურგის უფლისწული (Принц Олденбургский). ეს პიროვნება გამოსახულია ცნობილი რუსი მხატვრის, ილია რეპინის არანაკლებ ცნობილ ტილოზე „სახელმწიფო საბჭოს სადღესასწაულო სხდომაზე“, რომელიც საბჭოს დაარსების 100 წლისთავს მიეძღვნა.

როგორც ამბობენ, პრინცს ძალიან უნდოდა რუსული არისტოკრატიის საკადრისი დასასვენებელი ადგილები შეექმნა და ამით თვით ფრანგულ ნიკას გასჯიბებოდა. შავიზღვისპირეთის ასეთი დანიშნულებისთვის შესაფერის ადგილად განხილვა რუსეთმა XIX საუკუნის დასასრულს დაიწყო. ამ დროისთვის რუსეთში ზღვისპირა ქალაქები ბევრი არ იყო. ამიტომაც დედაქალაქის ელიტა ძირითადად საფრანგეთის, გერმანიისა თუ იტალიის ცნობილ კურორტებზე ისვენებდა. ამასთან, სასურველი იყო დამსვენებლების მიერ ევროპაში დახარჯული თანხების ერთობ სოლიდური ნაკადის რაღაც ნაწილი სამშობლოშივე დარჩენილიყო, ანუ თავისებური ფინანსური დივერსიფიკაცია მომხდარიყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქეთზე გამარჯვებამ მოვლენები დააჩქარა და მალე რუსეთმა ამ ჩანაფიქრის განხორციელება შეძლო. აფხაზეთის სანაპირო სუბტრო-

პიკულ ზონაში მდებარეობდა. აქ შეინიშნებოდა მინერალური წყლები – სა და სამკურნალო ტალახების სიმრავლეც, წლიური ტემპერატურა +16 გრადუსამდე აღწევდა. მრავალფეროვანი და ყოველმხრივ გამორჩეული იყო ეს კუთხე ფაუნის თვალსაზრისითაც. რაც შეეხება გაგრას, რომელიც უნდა ქცეულიყო „მშობლიურ ნიცად“, მისი ჰავა მთის მასივისა და ზღვის უჩვეულო სიახლოვის გამო სრულიად უნიკალურ შესაძლებლობებს ამჟღავნებდა. აქაურ ჰაერს „ზღვისა და მთის ბედნიერ ნაზავსაც“ უწოდებდნენ. ოლდენბურგელი პრინცის არჩევანიც სწორედ გაგრაზე შეჩერდა. პრინცმა აქ გაიყვანა ტელეგრაფი, სინათლე, წყალსადენი; დააარსა სუბტროპიკული ტექნიკუმი, ააშენა კლიმატური სადგური, რომელიც 1903 წლის 9 იანვარს გაიხნა. ეს საზეიმო ღონისძიება აღინიშნა მის მიერ ევროპაში შეძენილ ხის მასალისგან დამზადებულ და ადგილზე აწყობილ რესტორან „გაგრიფში“. შემდგომ ეს დღე გაგრის კურორტის დაარსების თარიღად იქნა მიჩნეული.

ზღვის ნაპირას პრინცმა ოლდენბურგელმა, ცხადია, გააშენა დიდი პარკიც, რომელშიც დარგეს აგავები, პალმები, ლიმონისა და ფორთოხლის ხეები, კვიპაროსები. ეს პარკი დღემდეა შემორჩენილი და „გაგრიპშთან“, პრინცის ციხეკოშკთან და ცნობილი სვეტების ხეივანთან ერთად გაგრის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. 1912 წლის 17 მაისს გაგრას ეწვია იმპერატორი ნიკოლოზ მეორე, რაც კურორტის მშენებელთა ჩანაფიქრის სრულ რეალიზაციას ადასტურებდა.

სოხუმის ბოტანიკური ბაღის ისტორია გვაცნობს მეტად საინტერესო პიროვნებას, ცნობილ რუს გეოგრაფსა და ბოტანიკოსს, პავლე ტატარინოვს (1833-1905). ოფიცრებისა და სამოქალაქო სამსახურში მყოფი მშობლების შვილებისთვის გახსნილი გატჩინის ობოლთა ინსტიტუტის კურსდამთავრებული და თავისი ერთგული სამსახურით საიდუმლო მრჩევლის ჩინამდე ამაღლებული ტატარინოვი 1885 წელს სოხუმთან ახლოს სახლდება, რათა მთლიანად დაკავდეს საყვარელი საქმით, მეზაღეობით. სოხუმის აღმოსავლეთით, ქალაქის განაპირა მხარეს, იგი რამდენიმე ნაკვეთს ყიდულობს. თავის ნაკვეთზე აშენებს აგარაკს (რომელიც არ შემონახულა), დანარჩენებზე კი – ბოტანიკურ ბაღს, რომელზედაც თავს უყრის მთელი მსოფლიოდან გამოწერილ მცენარეებს. ბაღში მაშინვე დარგეს 48 იშვიათი სახეობის პალმა, ევკალიპტის 20 და კვიპაროსის 27 სახეობა, აგრეთვე სხვა მრავალი მცენარე. ტატარინოვმა ამინდზე სისტემატური დაკვირვების მიზნით მცირე ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურიც ააშენა (მოგვიანებით იგი ამგვარი დაკვირვებისთვის გამოყენებულ ინსტრუმენტებს გადასცემს გორის სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც წარმატებით აგრძელებდნენ ტატარინოვის მიერ დაწყებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს). 1892 წელს თავისი მოღვაწეობის შესაჯამებლად ჟურნალში „Вестник садоводства, плодоводства и огородничества“ პავლე ტატარინოვი აქვეყნებს სტატიას „რვაწლიანი ცდები სოხუმში (1886-

1893)“, რომელშიც დეტალურად გვიამბობს სოხუმის მიწაზე მის მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ.

1891 წლიდან პავლე ტატარინოვს სთავაზობენ, სათავეში ჩაუდგეს სოხუმის ბოტანიკურ ბაღს. იგი ახდენს ბაღის რეორგანიზაციას და მის ბაზაზე ქმნის სოხუმის საბაღო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საცდელ სადგურს, რომელშიც შედის ბოტანიკური ბაღიც, როგორც ერთ-ერთი განყოფილება. ტატარინოვი რუსეთის სხვადასხვა ბოტანიკური ბაღებიდან, კერძოდ კი, ნიკიტინის (ყირიმ), მოსკოვისა და პეტერბურგის ბაღიდან, იწერს ნერგებსა და მცენარეთა თესლს, რითაც ავსებს სოხუმის ბაღის კოლექციას. თუმცა თავისი საქმის ერთგული ეს ადამიანი ამას არ სჯერდება და საქმიან კავშირს ამყარებს ბელგიასთან, გერმანიასა და იტალიასთან. დაუცხრომელი ტატარინოვის წყალობით სოხუმის ბოტანიკურ ბაღში ჩნდება მანდარინის და ფორთოხლის 15 სხვადასხვა და ევკალიპტისა და ბამბის რამდენიმე სახეობა, ასევე ლოტოსი, ინდიგო, იაპონური ხურმა და ა.შ. მალე ის თავისი ხარჯით მიემგზავრება სამხრეთ ამერიკასა და ხმელთაშუა ზღვის აუზის რამდენიმე ქვეყანაში, საიდანაც ჩამოაქვს 45 სახეობის აგავა, 49 სახეობის პალმა, 150 სახეობის სხვადასხვა სუბტროპიკული მცენარე. თავისი დირექტორობის პერიოდში მან მოახდინა მრავალი მცენარის ინტროდუცირება, გამოიყვანა ხორბლის ახალი ჯიშიც.

ტატარინოვი აქტიურად მონაწილეობს სოხუმის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. იგი სათავედამყარო კრების წევრი და ქალაქის საპატიო მოსამართლეა, ხოლო მის მიერვე დაარსებულ სოხუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში მუდმივ წევრად ირიცხება.

სწორედ ამ ტატარინოვს ახსენებს გიორგი ჩიჩუა ჩვენ მიერ უკვე დამოწმებულ კორესპონდენციებში. აი, რას წერს იგი ამჯერად სოხუმის შესახებ: „შიგ ქალაქში არის მშვენიერი საბოტანიკო ბაღი. გარშემო ხომ ყოველივე აყვავებულია. რა გინდა სულო და გულო, აქ რომ არ იყოს! მრავალი სხვადასხვაგვარი ყვავილი, მცენარეები თბილი ქვეყნებისა. ზოგი მოტანილი შორიდან, ზოგი აქვე ადგილობრივ ნახარები, რომელიც მუდამ ამწვანებულია და თითქმის ზამთარ-ზაფხულ ყვავის. აქ იშვიათია იმისთანა ხალხი, ეზო არ ჰქონდეს და ამ ეზოში ზამთარ-ზაფხულ არ ჰყვაოდეს ვარდები. ბევრგან არის ლიმონისა და ფორთოხლის ხეები, მრავალგვარი ევკალიპტები და სხვა ამის მსგავსი ხეები... წავედით ტაინი სოვეტნიკის ტატარინოვის საზაფხულო სადგომის სანახავად. ამ კაცს სამსახურისთვის თავი დაუწეხებია და ეს რამდენიმე წელიწადია გადმოსახლებულა სოხუმში. ტატარინოვს მშვენივრად სცოდნია ბოტანიკა და შეუსწავლია ჩვენი ქვეყნის ნიადაგი, ჰაერი და სხვ. გაუშენებია ბაღი თითქმის ყოველგვარი მცენარისა, ცხელი ქვეყნიდან გადმოტანილისა. მას აქვს რამდენიმე ხეივანი სხვადასხვა გვარის ფორთოხლებისა, რომელიც მშვენივრად ხარობს და ისხამს კარ-

გად. ბ-ნ ტატარინოვის შრომა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ყველას შეუძლია ადვილად მიხვდეს, რა კარგად ითვისებს ჩვენი ქვეყნის ბუნება ცხელი ქვეყნებიდან გადმოტანილ სასარგებლო მცენარეულობას. ეს ბაღი არის სწორედ მუზეუმი თბილ ქვეყნების მცენარეთა იმ აღწერაში, რომელიც წარუდგენია ამ საპატიო კაცს სენატორ აბაზასათვის მის აქ მყოფობის დროს...“.²⁰

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე რუს ბოტანიკოსებსა და მებაღე-მეცნიერებს შორის სულ უფრო მწიფდება აზრი რუსეთის იმპერიის ე.წ. ქვეტროპიკულ ზონაში დიდი ბოტანიკური ბაღის გაშენების თაობაზე. ამ იდეის გასახორციელებლად შეირჩა ბათუმი, როგორც ფართო ტროპიკული სარტყელის ბოლო პუნქტი. უფრო სწორად, ქალაქის ცენტრიდან 9 კილომეტრით დაშორებული, მდინარე ჩაქვისწყლის შესართავსა და მწვანე კონცხს შორის მდებარე სანაპირო ზოლი მიმდებარე ტერიტორიით, რომელიც ზღვის დონიდან 0-220 მეტრ სიმაღლეზეა და ადრე კოლხური ტიპის ტყით (წიფელი, წაბლი, ცაცხვი) და მარადმწვანე ქვეტყით (წყავი, შქერი და სხვ.) იყო დაფარული.

ცნობილი იყო, რომ ქარის სინესტე აქ თავის მაქსიმუმს აღწევდა. შესაბამისად, ნალექების რაოდენობა 2 500 მლ იყო. მართლაც, არსად სხვაგან, არც რუსეთის და არც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე არ შეინიშნებოდა ასეთი ჭარბნალექიანობა. შედარებისთვის შეგვიძლია ავიღოთ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე საკურორტო ქალაქი ანაპა, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა მხოლოდ 425 მილილიტრია. აჭარის ზღვისპირეთში ჭარბტენიანობასთან ერთად თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული იცოდა, ბათუმში ტემპერატურა იყო 4-6 °C, საშუალო წლიური ტემპერატურა კი – 15 °C; იანვარში ჰაერი თბებოდა 7 გრადუსამდე, ზაფხულში კი – 23 გრადუსამდე.

საქართველოს ბუნებისადმი მიძღვნილ უხვად ილუსტრირებულ ალბომში განთავსებული ტექსტის ავტორი მწერალი არჩილ ქიქოძე წერს: „სუბტროპიკული ჰავის მქონე დასავლეთ საქართველოში აჭარა ყველაზე სუბტროპიკული ადგილია. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ისე ხარობს ტროპიკული ეგზოტიკური მცენარეები, როგორც მშობლიურ ამაზონიაში ან ცენტრალურ აფრიკაში, თუმცა ადგილობრივი ფლორაც იმდენად წაგავს ჯუნგლს, რომ ძნელი სათქმელია, სად მთავრდება ბოტანიკური ბაღი და სად იწყება აჭარული პეიზაჟები“.²¹

ბათუმის ბოტანიკური ბაღის დღევანდელ ტერიტორიაზე დაფუძნება და მისი სათანადოდ განაშენიანება განვითარების რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველი ეტაპი უკავშირდება ცნობილი ფრანგი არისტოკრატის, გაბრიელ დ'ალფონსის სახელს. იგი ამ ადგილების ერთ-ერთი პირ-

20. გაზ. „ივერია“, 1894, №19, გვ. 3.

21. საქართველო (ფოტოალბომი), ტექსტის ავტორი არჩილ ქიქოძე. თბილისი: 2012, გვ. 84.

ველი მოაგარაკე, შემდგომ კი ჩაქვში საკუთარი სახლის მფლობელი ყოფილა. 1881 წელს მებაღე-დეკორატორმა, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ლანდშაფტის დიზაინერმა, დ'ალფონსმა, ამჟამად არსებული ბოტანიკური ბაღის ქვედა ნაწილში გააშენა პატარა პარკი, რომლისთვისაც სამხრეთ საფრანგეთიდან იშვიათი დეკორატიული მცენარეები გამოიწერა. 1885-1889 წლებში გაბრიელ დ'ალფონსი ქალაქ ბათუმის მებაღე-დეკორატორად დაინიშნა. ეს თანამდებობა მან საკუთრივ ქალაქის სანაპიროს გასალამაზებლად გამოიყენა და ხორცი შეასხა კლასიკური ბულვარის შექმნის იდეას. დღეს სწორედ ამ ბულვარში შეგვიძლია ვიხილოთ დ'ალფონსის შესანიშნავი ძეგლი, რითაც ქალაქმა ღირსეული პატივი მიაგო დამსახურებულ მებაღე-დეკორატორს.

მეორე ეტაპი იწყება 1892 წლიდან, როდესაც ჩვენთვის უკვე ნაცნობმა პავლე ტატარინოვმა დატოვა სოხუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის თანამდებობა და ბათუმისკენ გაემურა. დღევანდელი ბოტანიკური ბაღის ზედა ნაწილში ტატარინოვმა შექმნა ე.წ. „საკლიმატიზაციო ბაღი“, სადაც XX საუკუნის დასაწყისისთვის მარადმწვანე მერქნიან მცენარეთა მდიდარი კოლექცია იყო თავმოყრილი. აქვე მან ააგო თავისი საცხოვრებელი სახლიც, რომელშიც დღეს ბოტანიკური ბაღის დირექციაა განთავსებული. მიუხედავად გაწეული მუშაობისა, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ოფიციალურად გახსნა ფერხდებოდა და ეს მხოლოდ მოგვიანებით მოხერხდა.

ეს მეტად მნიშვნელოვანი მისია შეასრულა ბათუმის ბოტანიკური ბაღის ახალმა დირექტორმა, ცნობილმა რუსმა ბოტანიკოსმა, რუსეთში გეოგრაფიის პირველმა დოქტორმა, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა, ანდრია კრასნოვმა (სხვათა შორის, თეთრგვარდიელ გენერალ კრასნოვის ძმამ). მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღო ბათუმის ბაღის ორგანიზაციის გეგმა, ამ ამოცანის შესრულება სწორედ კრასნოვს დაევალა, რომელიც უკვე მრავალი სამეცნიერო წერილისა თუ გამოკვლევის ავტორი იყო (მოგვიანებით, 1915 წელს, პეტროგრადში გამოქვეყნდა მეცნიერის კიდევ ერთი ნაშრომი „სამხრეთი კოლხეთი“ („Южная Колхида“). პროფესორი კრასნოვი პირველად 1893 წელს გაეცნო ბათუმის მხარეს და მოიხიბლა მისი „ჯადოსნური იერით“. მისი სიტყვით, აქაური ჰავა არაფრით ჩამოუვარდებოდა ევროპის ცნობილი კურორტების ჰავას. ამიტომაც კრასნოვმა გადაწყვიტა, ეს მხარე სუბტროპიკულ კულტურათა გავრცელების ახალ სამშობლოდ ექცია.

საგულისხმოა, რომ ბოტანიკური ბაღის გაშენებას იგი მიუდგა არა მხოლოდ როგორც ბოტანიკოსი, არამედ როგორც გეოგრაფი, როგორც ლანდშაფტის დიზაინერი. ეს კი გამოვლინდა ჩრდილოეთ ამერიკის, იაპონიის, ჩინეთის, ჰიმალაის, ჩილეს, ავსტრალიისა და ახალი ზელან-

დიის სუბტროპიკების პატარ-პატარა მონაკვეთების სახელდახელოდ შექმნაში. გარდა ამისა, კრასნოვმა გამოიყენა ფიტომელიორაციის ხერხი და ჭაობების დაშრობის მიზნით მოაშენა ავსტრალიური ევკალიპტი, რადგან ამ ხეებს ჰქონდათ განსაკუთრებული ძალა, თავიანთი ფესვებით ნიადაგიდან ამოექაჩათ ზედმეტი ტენიანობა. ამ ხერხით ეკოლოგიური ვითარება გაუმჯობესდა. ანდრია კრასნოვი 1914 წელს გარდაიცვალა თბილისში, ანდერძად კი დატოვა, დაესაფლავებინათ ბოტანიკური ბაღის ისეთ ადგილზე, საიდანაც კარგად ჩანდა ჩაქვი დათოვლილი მთების ფონზე და ზღვის ფრანგმენტი. დღეს ბაღის დათვალიერების დროს მნახველს ეძლევა საშუალება ნახოს კრასნოვის ბიუსტი, რომელიც მის საფლავზე დგას.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიაში ნაკლებად ჩანს 1902-1907 წლებში აქ მოღვაწე ქართველი სწავლული მებაღის, თბილისის საბალოსნო სკოლის პედაგოგის, იოსებ ლიონიძის, სახელი. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ჟურნალ „სუბტროპიკების“ გამოცემასთანაც. სხვათა შორის, პროფესორი კრასნოვი და კიდევ ერთი სპეციალისტი, პროფესორი კოჩუნოვი, ხშირი სტუმრები ყოფილან იოსებ ლიონიძის ოჯახში, ხშირადაც მიმართავდნენ თურმე მას, როგორც მებაღე-პრაქტიკოსს, სხვადასხვა რჩევისთვის. იოსებ ლიონიძეზე უფრო ვრცლად საუბარი უპრიანი იქნებოდა თბილისის საბალოსნო სკოლის ისტორიის კონტექსტში, თუმცა საამისო მასალები, სამწუხაროდ, ცოტაა. არადა, იოსებ ლიონიძის მოღვაწეობა საუკეთესოდ ჩანს სწორედ ამ სკოლის ფუნქციონირების ფონზე. ორიოდე სიტყვა ლიონიძის წარმომავლობის შესახებ. იოსებ ლიონიძე 1868 წელს კახეთში, სოფელ კონდოლში, გაღარიბებული თავადის, დიმიტრი გაბრიელის ძე ლიონიძის ოჯახში დაიბადა, იგი პირდაპირი შთამომავალია ერეკლე მეფის მრჩეველის, ცნობილი ისტორიული პირის, სოლომონ ლიონიძისა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის – „ბედი ქართლისას“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია. იოსებ ლიონიძე თვითონაც თბილისის საბალოსნო სკოლის კურსდამთავრებული ყოფილა. 1889 წელს იგი ამავე სკოლაში მთავარ მებაღედ და სპეციალური საგნების მასწავლებლად დატოვეს. სკოლის დირექტორს, ცნობილ პედაგოგ ოსტაპოვიჩისა და მასწავლებელ ვანო ჯაფარიძეს მშვენივრად ჰქონიათ აწყობილი სწავლების საქმე. იოსებმა აქ 1896 წლამდე იმუშავა. სხვათა შორის, მის მოსწავლეთა შორის იყო სახელგანთქმული მებაღე-დეკორატორი მიხეილ მამულაშვილი. 1896 წელს იოსებ ლიონიძემ ცოლად შეირთო გერმანელი ქალი მარია გრეფი. მარია მეტად განათლებული იყო, ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას, პედაგოგიური განათლება კი ლონდონსა და პარიზში ჰქონდა მიღებული. იგი პარიზში გაიცნო და თავისი დისშვილების აღმზრდელად ჩამოიყვანა მარიამ ვახტანგის ასულმა ორბელიანმა. გოგონები კი, რომლებსაც მარია ინგლისურსა და გერმანულ ენებს ასწავლიდა, შემდგომში ცნობილი ქართველი კრი-

ტიკოსის, კიტა აბაშიძისა და ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამარსებელის, პროფესორ ივანე ჯავახიშვილის, მეუღლეები გახდნენ.

მარია გრეფმა იოსებ ლიონიძე ლამისყანაში გაიცნო, ცოლად გაჰყვა მას და სამუდამოდ დარჩა ქმრისა და მისი ქვეყნის ერთგული. სწორედ მისი დახმარებით შეძლო იოსებმა გერმანიაში მებაღეობის შესახებ თავისი ცოდნის სრულყოფა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იოსებ ლიონიძე ქალაქ ბათუმის თავის, ივანე ანდრონიკაშვილის, დახმარებით იწყებს ქალაქის ალექსანდრეს ბაღსა და ბულვარში სუბტროპიკული მცენარეების მოშენებას. იმავდროულად, ქუჩებში აიღეს აკაციის ხეები და მათ ნაცვლად გააშენეს კალიფორნიის დაფნის ფოთოლი, პალმები და სხვ.

იოსებ ლიონიძე პარალელურად ნაყოფიერად მუშაობდა დეკორატიულ, ციტრუსოვან და ხილის კულტურათა სანერგეებში. ყოველწლიურად 150 ათას ძირ ციტრუსის ნამყენს ახარებდა. გააშენა 57 სახის საუკეთესო ჯიშის ვარდი. სანერგეების შექმნამ, თავის მხრივ, ბიძგი მისცა მთელი ქალაქის მასშტაბით სუბტროპიკული და დეკორატიული კულტურების გავრცელება-განვითარებას. სწორედ ასეთმა წარმატებულმა პრაქტიკამ მისცა იოსებ ლიონიძეს საშუალება, მოეპოვებინა ესოდენ მნიშვნელოვანი გამარჯვება 1913 წლის პეტერბურგის გამოფენაზე, რომელსაც ორგანიზატორებმა „Русская Ривьера“ უწოდეს. ამ გამოფენაში მონაწილეობა უნდა მიეღო შავიზღვისპირეთის საბაღოსნო მეურნეობებს, მათ შორის ქალაქ ბათუმსაც. ჟიურის გადაწყვეტილი ჰქონდა, უმაღლესი ჯილდო მიენიჭებინა პრინც ოლდენბურგელისთვის, მაგრამ სწორედ იოსებ ლიონიძემ შეძლო იმის დამტკიცება, რომ პრინცის ექსპონატების დიდი ნაწილი ჩამოტანილი იყო საფრანგეთიდან და არ იყო გამოყვანილი შავი ზღვის სანაპიროზე. ამიტომაც პრინც ოლდენბურგელის მეურნეობას მეორე ადგილი მიაკუთვნეს, პირველობა კი ქ. ბათუმს ერგო, პერსონალური ჯილდო იოსებ ლიონიძეს მიანიჭეს დეკორატიული და ციტრუსოვანი კულტურების გამოყვანისთვის. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იოსებ ლიონიძემ ბაღი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გააშენა.

საქართველოს დიდ ქალაქებში საბაღო-საპარკო ხელოვნების კულტურის დამკვიდრებას ადასტურებს ქუთაისის ცენტრალური ბაღის, ბულვარის ისტორიაც. როგორც ლ. გვენეტაძე, ავტორი წერილისა „ქუთაისის ცენტრალური ბაღი, ‘ბულვარი’“ და შ. ისაკაძე სტატიაში „საქართველოს პირველი საქალაქო ბაღი“ აღნიშნავენ,²² „ეს ბაღი იმთავითვე მოქალაქეთა სასეირნოდ და დასვენება-გართობის მიზნით გაშენდა. სახელიც შესაფერისი ეწოდა – „ბულვარი“, რაც ფრანგული სიტყვაა და ხეებით დაჩრდილულ ფართო ქუჩას ნიშნავს. თუმცა თანდათანობით ქუთაისელებისთვის მან უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა, რადგან თავშეყრის

22. გაზ. „ქუთაისი“, 1986, №8, გვ. 3-4.

საცვარელ ადგილად, ამასთან ქალაქის თავისებურ ფორუმად, სახალხო პარლამენტადაც კი იქცა.

ბულვარის გაშენებამდე ქუთაისს ჰქონია საქალაქო ბაღი, რომლის დაარსებას იმერეთის მმართველ გორჩაკოვს მიაწერენ, სხვა ცნობით კი იგი იმერეთის მეფის – სოლომონის ასულის, დარეჯანის საკუთრება ყოფილა. საინტერესოა, რომ თავდაპირველად ეს ბაღი შერეული ტიპის იყო, ანუ მასში დეკორატიული მცენარეების გარდა ნახავდით ხე-ხილსაც და ბოსტანსაც. ე.ი. იგი ვერ იტყოდი, ევროპული ტიპის ბაღიაო, მასში აღმოსავლური ბაღისთვის დამახასიათებელი ელემენტებიც იყო წარმოდგენილი. ამგვარი სახით ბაღს უარსებია XIX საუკუნის 50-იან წლებამდე (მისი ტერიტორიის ნაწილი დაიკავა ახალაშენებულმა წმინდა ნინოს სასწავლებელმა და ქალაქის სხვა ახალმა ნაგებობებმა). 1825-1828 წლებში, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის, პ. გლინესაროვის დროს, დიდ მოედანზე დარგული ჭადრების სახით შეიქმნა მომავალი ბულვარის ერთგვარი საფუძველი. სამწუხაროდ, ქუთაისელებს არ შემოუნახავთ იმ პიროვნების სახელი, ვინც ბულვარის მებაღე-დეკორატიორი იყო, თუმცა, სავარაუდოდ, ის წარმოშობით ფრანგი უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს ბულვარის განაშენიანების საბაღო-საპარკო ხელოვნების ფრანგული სტილის ნიშნები. აი, როგორ გამოიყურებოდა ბაღი: კვადრატული ფორმის, შემორაგვული წითლად შეღებილი ფიცრული ღობით, რომელსაც პარალელურად მიუყვებოდა ხეივანი. დანარჩენი ორი ხეივანი ბაღის მთელ ტერიტორიას ჯვრის ფორმით კვეთდა, ხოლო გადაკვეთის ადგილას მოწყობილი იყო მოედანი მუსიკისა და ცეკვებისთვის. ხეივნების ორივე მხარეს გაშენებული იყო ყვავილნარი, იდგა ტანაყრილი ხეები. აქვე მდგარა ხისა და ქვის სკამები, ბულვარს ამშვენებდა აგრეთვე კოინდარი. მოგვიანებით, უკვე 70-იან წლებში, ბაღში გაჰყავთ სასმელი წყალი და აშენებენ სპეციალურ ფარდულს უალკოჰოლო სასმელებისთვის. ბაღში მოწყობილ გუბურებზე იგება პატარა და ლამაზი ხიდები.

ეკონომიკური მდგომარეობის გამწვავებამ, რომელიც ყველაზე მეტად თავადაზნაურობას დაეტყო, ბაღის ცხოვრებაშიც გარკვეული კორექტივები შეიტანა. ამიტომაც ცნობილი ქართველი მოღვაწე, გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი წერდა: არათუ ბულვარი, ქუთაისის ქუჩებიც რაღაც მივარდნილად და მიყრუებულად მეჩვენაო.

80-იან წლებში ქალაქის თვითმმართველობამ, რომელიც საქმიანობით დიდად არ გამოირჩეოდა, მაინც მოახერხა ბაღის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია. გაჩნდა ახალი ბილიკები, ხეივნები. კავკასიაში იმხანად სტუმრად მყოფი იმპერატორის, ალექსანდრე მესამის დასახვედრად 1888 წელს აქ აიგო ხის პავილიონი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ცისფერყანწელები ქუთაისს „მკვდარ ბრიუგეს“ აღარებდნენ, ბულვარში არ წყდებოდა საქვეყნო საქმეების გარჩევა, ჯერ საბანკო საქმეების, შემდეგ

კი თვითმმართველობის კანდიდატთა შეფასება, ახალი იდეოლოგიური პოლიტიკური მიმართულებების შექმნაც კი. 1908 წელს ქუთაისის ბულვარი აკაკის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ეპიცენტრი გახდა. XX საუკუნის 50-იან წლებში ბალი სერიოზულად განახლდა, რისთვისაც სოხუმის ბოტანიკური ბაღიდან გადმოტანეს და გაახარეს მრავალი ძვირფასი დეკორატიული მცენარე.

რაც შეეხება ქუთაისის ბოტანიკურ ბაღს: იგი მოცულობით არც ისე დიდია, სულ 10 ჰექტარია, თუმცა თავისი ისტორიითა და მცენარეთა მრავალფეროვნებით ერთ-ერთი გამორჩეულია ჩვენს ქვეყანაში. ბაღის ისტორია იწყება 1820 წელს მცირე სანერგე-სანაშენე მეურნეობის მოწყობით, რომელსაც ქალაქის მაშინდელი გუბერნატორები ბელიავსკი და მოგვიანებით გაგარინი ხელმძღვანელობდნენ. სწორედ ამ უკანასკნელის სახელს უკავშირდება, რუსეთის იმპერიაში იმხანად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საფრანგეთიდან მებაღეობის სპეციალისტის, რეგნერის ჩამოყვანა, რომელიც აქ დაახლოებით 15 წლის მანძილზე უძღვებოდა განაშენიანების მიზანმიმართულ სამუშაოებს. გადმოცემით ცნობილია, რომ 1820 წელს სანერგე-სანაშენე მეურნეობისთვის უცხოეთიდან შემოტანილ მცენარეთა შორის იყო ჩრდილოეთ ამერიკის მკვიდრი ხე სეკვოია, რომელიც, მიუხედავად ორგზის მეხის დაცემისა, დღემდე ხარობს ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში და მის განსაკუთრებულ რელიკვიას წარმოადგენს. ხის სიმაღლე 50 მეტრს აღწევს, მისი ნახვა ძლიერ შთამბეჭდავია. რეგნერის შემდეგ ბაღის მოვლა-პატრონობას ავალებენ შოტლანდიელ იაკობ მარს. ეს ძალიან საინტერესო ბიოგრაფიის მქონე დაუღალავი პიროვნება საქართველოში მოხვდა როგორც კომერსანტი. იგი დაახლოებული ყოფილა მიხეილ ვორონცოვთან და გურიის უკანასკნელ მთავართან. იაკობ მარი, როგორც ჩანს, დიდი ენთუზიამითა და მონდომებით ეკიდებოდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას. გარდა იმისა, რომ იგი გურიასა და იმერეთში ხეხილოვანი კულტურითა და ვაზის ჯიშების მოშენება-გამრავლებითაც იყო დაინტერესებული, იაკობ მარმა ბევრი რამ გააკეთა, კერძოდ, ქუთაისის ბაღის ადგილობრივი, ენდემური და ჩამოტანილი ჯიშების გამრავლებისთვის, მცენარეთა ინტროდუქციისთვის. სხვათა შორის, ეს დაუცხრომელი შოტლანდიელი ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ნიკო მარის, მამა იყო. ბაღის ტერიტორიაზე შენარჩუნებულია სახლი, რომელშიც ნიკო მარი დაიბადა. XX საუკუნის მეორე ნახევარში ბაღს ბოტანიკურის კვალიფიკაცია მიანიჭეს. ამჟამად მასზე იქ მომუშავე პერსონალი მუდმივად მეთვალყურეობის, მრუნველობის ქვეშაა და უნარჩუნებს თავის სახეს. ცხადია, ხდება სასიკეთო ცვლილებებიც: მაგალითად, ბაღს შეემატა როზარიუმი, განახლდა რამდენიმე ხეივანი, მოეწყო სამლოცველო.

შეუძლებელია ჩვენთვის საკვლევად მონიშნული ისტორიული დროის

არეალში რამდენადმე სრულყოფილად მივიჩნიოთ საუბარი საბა-ლოსნო მეურნეობის შესახებ, თუ არ ვახსენებთ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლას, მისი შექმნისა და ფუნქციონირების ისტორიას. წინამძღვრიანთკარში ამ ტერიტორიის მფლობელის, ილია წინამძღვრიშვილის, მიერ საკუთარი სახსრებით სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსება პირდაპირ კავშირშია მე-19 საუკუნის ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობასთან, იმ იდეებთან, რომლებსაც ისინი ქადაგებდნენ. სოფლის მეურნეობის ისეთი ტრადიციული ქვეყნისთვის, როგორიც საქართველო იყო, სამოციანელები, და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე, გადაუდებელ საჭიროებად მიიჩნევდნენ სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების გამოზრდას. აუცილებელი იყო გონიერ და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა თაოსნობა, რომ სიტყვა საქმედ ქცეულიყო. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული მოღვაწე აღმოჩნდა ილია წინამძღვრიშვილი. საინტერესოა, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას გაზეთ „დროებაში“ ილია წინამძღვრიშვილი ხორეშანა გვერდწითელის ფსევდონიმით მწვავე პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა, რომლებშიც საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეებს ამხელდა. ამ წერილებით მან დაუფარავად გამოავლინა ქვეყნის სტაგნაციისა და მოსახლეობის ინერტულობისადმი საკუთარი შეურიგებლობა, რითაც გონიერი მკითხველის ნდობა და სიმპათია დაიმსახურა.

1896 წელს, მას შემდეგ, რაც თავისი ცნობილი სკოლა გახსნა, გამოქვეყნდა ილია წინამძღვრიშვილის წიგნი „ვაზის მოშენება“, რომელიც იმ დროისთვის მეტად საჭირო ნაშრომს წარმოადგენდა. როგორც ქართველი აგრონომების შესახებ დაწერილ კვლევაში ვკითხულობთ, „... ‘ვაზის მოშენება’ დაწერილია მდიდარი ფაქტობრივი მასალის შესწავლის საფუძველზე. ავტორს გამოყენებული აქვს იმ დროს ცნობილ სპეციალისტთა (დუბრიელი, ბაბოსი, ფოექსი, ცაბელი, ვენბერი, ტარდანი, ბერში, ედუარდ რეგორსი), აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის ნაშრომები“.²³ ამ ნაშრომს მოჰყვა ილია წინამძღვრიშვილის კიდევ ერთი წიგნი მიწათმოქმედების შესახებ, რომელსაც დიდი დახმარება უნდა გაეწია ახალშექმნილი სკოლის პედაგოგებისთვის. ის, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ილია წინამძღვრიშვილი დროის იმ კონტექსტში (კაპიტალიზმის დანერგვის საწყის ეტაპზე) სამეურნეო საქმიანობას, კარგად ჩანს მოგვიანებით, 1909 წელს ჟურნალ „მოსავალში“ გამოქვეყნებულ მის ერთ წერილში „რა არის ცოდნა?“. „ვისაც ჩვენი სამშობლო ქვეყნის აღორძინება და მის მკვიდრთა კეთილდღეობა სურს, მას უნდა სამეურნეო ცოდნა ჰქონდეს ყველა სამეურნეო დარგიდან. ცოდნით მდიდარი ადამიანი არავის მონა არ არის, თავისი შრომით ირჩენს თავს, ინახავს ოჯახს, კეთილსინდისიერად იხდის თავის მოვალეობას წინაშე საზოგადოებისა და სახელმწიფოსი... დროა გამოვფხიზლდეთ და გავიგოთ, რომ მეურნეობა უმთავრესი

23. ჩხეიძე, თენგიზ. ქართველი აგრონომები. თბილისი: 1962, გვ. 8.

ძარღვია ჩვენი ცხოვრებისა... მეურნეობა მარტო მიწის ჩიჩქვნა კი არა, მთელი მეცნიერული სწავლაა“.²⁴

სკოლის გახსნასაც, რა თქმა უნდა, თავისი სირთულეები ახლდა. სასკოლო გეგმისა და პროგრამის შესამუშავებლად ილია წინამძღვრიშვილმა მიიწვია ისეთი გამოჩენილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, მიხეილ ბებუთიშვილი, აგრონომი გეევსკი და სხვ. თუმცა პროგრამის დამტკიცებას აბრკოლებდა გოგებაშვილის ხელით ჩაწერილი მუხლი: „სწავლება ყველა საგნისა დაწყებული პირველი წლიდან მეექვსე წლის დასრულებამდე უნდა მიმდინარეობდეს ქართულ ენაზე... რუსული ენის სწავლება კი სამეურნეო სასწავლებელში დაწყებული უნდა იქნას მესამე წლიდან“.²⁵ კავკასიის ოლქის განათლების ზედამხედველად მაშინ მეფის რუსეთის ერთგული მოხელე, ქართველთმოძულეობით ცნობილი კირილე იანოვსკი იყო. ცხადია, სასიკეთო და ჩვენი ქვეყნისთვის ესოდენ სასარგებლო საქმის განხორციელებაზე ის ნებართვას არ გასცემდა. შექმნილი მდგომარეობა იხსნა მეფისნაცვლის მაგივრად დროებით დიმიტრი სტაროსელსკის დანიშვნამ, რომელიც, გარდა იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის ქვისლი იყო, საღად მოაზროვნე პიროვნებად იყო აღიარებული. ილია ჭავჭავაძის შუამდგომლობის შემდეგ სტაროსელსკიმ დაამტკიცა სკოლის როგორც წესდება, ისე პროგრამა.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა გაიხსნა 1883 წლის 4 სექტემბერს. გახსნის დღეს ილია ჭავჭავაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა: „გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისი თაოსნობით, დაუღალავი მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელ საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძიძებიც მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი – აი, ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეული ოსტატები არიან...“.²⁶

სკოლაში სწავლება იაკობ გოგებაშვილის წესდებითა და ნიკო ცხვედაძის პროგრამით მიმდინარეობდა. წინამძღვრიშვილმა საკუთარი მამულიდან სამეურნეო სკოლას გამოუყო 55 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა და ტყე. გარდა ამისა, მალე სკოლის განკარგულებაში იყო სასწავლო შენობა, სახლი მასწავლებლებისთვის, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი, ორი სასადილო თავისი სამზარეულოთი და საწყობით, პურის საცხობი და სახელოსნოები, ხეხილისა და ვაზის სანერგეები. სასწავლო

დისციპლინებად კი შეირჩა მევენახეობა, მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა და მეტყევეობა.

ყოველ ზაფხულს ილია წინამძღვრიშვილი თავის შეგირდებს საგურამოსკენ მიუძღოდა, სადაც ჭავჭავაძეების სტუმართმოყვარე სახლში ილიაობა იმართებოდა. ამ ზეიმში მონაწილეობა მიუღია დიდ ქართველ მწერალ მიხეილ ჯავახიშვილსაც, რომელიც მაშინ სწორედ წინამძღვრიანთკარის სკოლაში სწავლობდა. მამამისს, საბა ადამაშვილს, მიწაზე დიდი მხნეობით მომუშავე გლეხკაცს, თავისი შვილისთვის პროფესიონალი აგრონომის კარიერა ენატრებოდა (სხვათა შორის, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიხეილმა სწავლა ერთხანს ყირიმში, ნიკიტინის ცნობილ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში განაგრძო, თუმცა ოჯახში დატრიალებულმა ტრაგედიამ ახალგაზრდის გეგმები რადიკალურად შეცვალა).

1887 წელს პროფესიით აგრონომ ვლადიმერ სტაროსელსკის მოწვევით საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა იალტის საბალო-სამეურნეო სკოლის გამგებელი, ცნობილი სუბტროპიკოსი-აგრონომი ნიკიტინი (სწორედ მისი სახელი ეწოდა შემდგომ იალტის ბოტანიკურ ბაღს). მან გაიცნო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თავის მხრივ სტუმარს გააცნო წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის საქმიანობა. ნიკიტინი მოხიბლულა როგორც ამ სკოლის მუშაობით, ისე მასპინძლებით. ილიას თხოვნით იგი დათანხმდა იალტის საბალოსნო სკოლაში მიეღო 15 ქართველი ახალგაზრდა სწავლის გასაგრძელებლად. ერთ-ერთი იმათგანი, ვინც სწავლობდა, როგორც მას შეგირდები უწოდებდნენ, „ნიკიტკაში“, ალექსანდრე შარაშიძე ნიკიტინის სკოლაში ილია წინამძღვრიშვილის ჩამოსვლას და იქაური სასწავლო ატმოსფეროს გაცნობას მრავალმხრივ საგულისხმო ფაქტად მიიჩნევს: „...მისმა (**ილია წინამძღვრიშვილის. – ნ.კ.**) იქ ყოფნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ სასწავლებელზე, ხოლო ჩვენ, მაშინდელი იქაური ქართველი შეგირდები, წელში გაგვასწორა, თავის თავის პატივისცემა გაგვისამკეცა. მისი გაცნობით... გაკეთილშობილდა ის საგნებიც, რასაც აქამდე თითქოს... უხალისოდ ვსწავლობდით. ილიამ შეგვაყვარა მეურნეობა, შეგვასხა ფრთები და ერთიანად განაახლა... მთელი ჩვენი არსება...“.²⁷

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლამ მონაწილეობა მიიღო 1889-1901 წლების სამეურნეო და სამრეწველო გამოფენებში და დაჯილდოებულ იქნა ვერცხლისა და ოქროს მედლებით ღვინის რაციონალურად დაყენებისა და სამეურნეო ცოდნის ხალხში გავრცელებისათვის. მართლაც, ძნელია არ დაეთანხმო ერთ-ერთი მკვლევრის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ერთხანს შეუმჩნეველი წინამძღვრიანთკარი ილია წინამძღვრიშვილის მეოხებით საქვეყნოდ ცნობილი სოფელი გახდა...

24. ჟ. „მოსავალი“, 1909, №3, გვ. 8.

25. ჩხეიძე, თენგიზ. ქართველი აგრონომები. თბილისი: 1962, გვ. 9.

26. ილია ჭავჭავაძის სიტყვა წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნაზე. გაზ. „დროება“, 1883, №177, გვ. 2-3.

27. ჩხეიძე, თენგიზ. ქართველი აგრონომები. თბილისი: 1962, გვ. 16.

არც ისაა შემთხვევითი, რომ სწორედ მან ნებაყოფლობით დაური-
გა თანასოფლელ გლეხებს თავისი მამულის ნაწილი და მათ გამუდ-
მებით მიწურებიდან ამოსვლისა და ქვიტკირის სახლების აშენებისკენ
მოუწოდებდა...“.²⁸

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა 1933 წლამდე
არსებობდა. ამ სკოლის საფუძველზე აქ შეიქმნა სასოფლო-სამეურ-
ნეო ტექნიკუმი, სადაც 250-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო სწავლული
მეურნის დიპლომი. 2006 წლის მონაცემებით, სასწავლებელი ორიენ-
ტირებული იყო აგრარულ მიმართულებებზე, 2010 წელს კი სასწავლე-
ბელი დაიხურა. თუმცა ეს სასწავლებელი ამჟამად ფუნქციონირებს.

ბიბლიოგრაფია

ბაგრატიონი, ვახუშტი. 1941. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. თბილისი.
ბალახაშვილი იაკობ. 1967. „ბაღი ვარდისა“.

ბედოშვილი, გურამ. 2002. „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმო-
ლოგიური ლექსიკონი“. თბილისი.

გვენეტაძე, ლევან. „ქუთაისის ცენტრალური ბაღი, ბულვარი“. [https://ka.ge/Ku-taisi.Botanical Garden](https://ka.ge/Ku-taisi.BotanicalGarden).

გიორგბერიძე, ჯონი. 1985. „საქართველოს ძველი პარკები და ბაღები“. თბილისი.

გრიშაშვილი, იოსებ. 1963. თხზულებათა სრული კრებული, ტ. 3. თბილისი.

ისაკაძე, შალვა. 1986. „საქართველოს პირველი საქალაქო ბაღი“. ქუთაისი (9).

ლამბერტი, არქანჯელო. 1938. „სამეგრელოს აღწერა“. ტფილისი.

ნავდარაშვილი, ლადო. 1973. „ილია წინამძღვრიშვილი“. თბილისი.

საბინინი, მიხეილ. 1982. „საქართველოს სამოთხე“. თბილისი.

საქართველო (ფოტოალბომი), ტექსტის ავტორი არჩილ ქიქოძე. თბილისი: 2012, გვ. 84.

შარდენი, ჟან. 1935. „მოგზაურობა საქართველოში“. მერანი. თბილისი

ჩიჩუა, გიორგი. 1894. „მოგზაურობა სამეურნეო წარმოების შესასწავლად
ქუთაისის გუბერნიაში“. ივერია (8-19).


ჩხეიძე, თენგიზ. 1962. „ქართველი აგრონომები“. მეცნიერება. თბილისი.

წინამძღვრიშვილი, ილია. 1909. „რა არის ცოდნა?“. მოსავალი (2).

ჭავჭავაძე, ილია. 1883. „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნაზე“. დროება (177).

ჯავახიშვილი, ივანე. 1941-1935. „ქართველი ერის ისტორია“. ტ. 1-2. მეცნიერება. თბილისი.

28. ნავდარაშვილი, ლადო. ილია წინამძღვრიშვილი. თბილისი: 1973, გვ. 67.



**ქართველი განმანათლებლის,
ილია ალხაზიშვილის წვლილი
საქართველოს ბუნების შესწავლასა და
ბუნების შესახებ განათლების გავრცელებაში**

მელანო გოგოლაძე

„სად ხარ შენ ეი! ქართულო თავმოყვარეობავ? მაშ თავი რაღად გვინდა ცოცხალი თუ მწველელ ფურად გადავიქცევით, თუკი კულტურულ მისწრაფებაში სხვებს ჩამოვრჩებით!.. დიად, დღეს კარს მოგვსდგომია ის დიდებული ისტორიული მომენტი, რომელიც მოითხოვს ან შრომას ან სიკვდილს. დღეს საქართველოს სჭირია ახალი დავით აღმაშენებელი, ძლიერი პიროვნება, მაგრამ არა დავითისებური დიდი ხმლით და მძლავრი მკლავით, არამედ მოქალაქეობრივი თვითმოქმედებით“.¹ ეს სიტყვები ილია ალხაზიშვილს ეკუთვნის, ქართველ საზოგადო მოღვაწეს, განმანათლებელს, მწერალს, ლექსიკოგრაფს, ჟურნალისტს, ფარმაცევტს, ფოლკლორისტს, ეთნოგრაფს, რომლის სახელი ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი. იგი იმ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც უშურველად იდგნენ ქვეყნის სამსახურში იქ, სადაც ამას აუცილებლობა მოითხოვდა და ჩუმად, უხმაუროდ იხდიდნენ თავიანთ ადამიანურ და მამულიშვილურ ვალს სამშობლოს წინაშე.

ილია ალხაზიშვილი დაიბადა 1853 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ზიარში. ექვსი თვისას მამა გარდაეცვალა. მას ობლის და ყმის მძიმე ბედი არგუნა განგებამ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბრწყინვალე განათლების მიღება შეძლო. შალიკაშვილების ოჯახის (რომლის ყმა მამამისი იყო და რომელიც მფარველობდა ობლად დარჩენილ ნიჭიერ ბავშვს) თხოვნით იგი გორის აფთიაქარმა, კარლ შეჭუმამ აიყვანა შეგირდად. ილიამ ზედმიწევნით შეისწავლა წამლის დამზადება და ზოგადად მთელი სააფთიაქო საქმე. აფთიაქის მეპატრონე აღტაცებული ყოფილა მისი გამჭრიახობით.

მაგრამ აფთიაქარის მოწაფის სტატუსის მისაღებად სამაზრო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა იყო საჭირო, რომელიც მას არ გააჩნდა, ამიტომ 1870 წელს გორის მაზრის ექიმი იოსებ სააკაშვილი ამზადებს ილიას ფერშლად. 1872 წელს საფერშლო გამოცდები ჩააბარა თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში, ხოლო 1883 წელს ჩაირიცხა ქუთაისის გიმნაზიაში და მიიღო აფთიაქარის მოწაფის მოწმობა. 1886 წელს ილია ალხაზიშვილი ხარკოვის უნივერსიტეტში აბარებს გამოცდებს პროფიზორის თანაშემწის წოდების მისაღებად, 1889 წელს იგი ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი გახდა. გარდა საუნივერსი-

1. ალხაზიშვილი, ილია. მოქალაქეობრივი მოვალეობა სამშობლოსადმი. ჟ. „განათლება“, 1915, №4.

ტეტო განათლებისა, იგი კარგად იცნობდა ქართულ ხალხურ მედიცინას. ამასთანავე, საუცხოოდ იცოდა ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, თავისუფლად ლაპარაკობდა და წერდა რუსულად. იცოდა აგრეთვე ფრანგული, ლათინური, სომხური და თურქული ენები.

ფართო განათლებითა და დიდი შრომისმოყვარეობით აღჭურვილი ილია ალხაზიშვილი უანგაროდ ჩადგა ქვეყნის სამსახურში. მისი საქმიანობა უაღრესად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის ქართველ მოღვაწეთა შორის ილია ალხაზიშვილი ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა. იგი ძირითადად სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობდა და დიდი ამაგი დასდო ისტორიული მესხეთის მკვიდრთა გათვითცნობიერების საქმეს. თავისი აქტიური საქმიანობით ილია ალხაზიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის, არამედ ზოგადად ქართული კულტურისა და განათლების განვითარების საქმეში.

ილია ალხაზიშვილი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ რწმუნებული იყო ჯავახეთში, რომელსაც ევალებოდა სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა, წიგნების, სახელმძღვანელოებისა და ჟურნალ-გაზეთების დარიგება მოსახლეობაში. მისი უშუალო მონაწილეობით აქ მრავალ საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩაეყარა საფუძველი, მაგალითად, ბარალეთის წიგნსაცავ-სამკითხველოს, ახალქალაქის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, ახალქალაქის გიმნაზიას. იგი ერთნაირი მონდომებით ზრუნავდა ყველა ეროვნების წარმომადგენელთა განათლება-განვითარებაზე. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი კონფესიებად დაქსაქსული ქართველების შეკავშირებასა და მათში ქართული ცნობიერების გაღვივებაში.

ილია ალხაზიშვილი გახლდათ აგრეთვე გაზეთების – „დროებისა“ და „ივერიის“ კორესპონდენტი სამცხე-ჯავახეთში. იგი სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს, რომლებითაც მკითხველს აცნობდა საქართველოს ამ კუთხის ყოველდღიურ ყოფას და პრობლემებს.

გარდა აქტიური ჟურნალისტურ-ჰუბლიცისტური საქმიანობისა, ილია ალხაზიშვილის კალამს ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო-პოპულარული თუ მხატვრული ნარკვევი, რომლებიც თემის აქტუალობით და ფორმის დახვეწილობით გამოირჩევა. თავის დიდ ცოდნას საქართველოს ბუნებისა თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროებში მკვლევარი წარმატებით იყენებდა ლიტერატურულ შემოქმედებაში. მისი ნაშრომებიდან შეიძლება დავასახელოთ: „ბუნება და ცხოვრება“ (1897), „ბუნება

სურათებში“ (ჟურნალ „ჯეჯილის“ ალბომი, 1899), რომელშიც შესანიშნავად არის აღწერილი ცხოველთა სამყარო, და „დიფტერიტი (ჩვენებული ყელათმა, ხუნაგი ანუ ყელჭირვება), ამ ჭირის ცნობა, მისგან თავის დაცვა და მისი წამლობა“ (1902).

სააფთიაქო საქმე

თვალი გადავავლოთ ილია ალხაზიშვილის ფარმაცევტულ საქმიანობას. ამ დროს სამედიცინო მომსახურების დონე როგორც მთელ საქართველოში, ისე, რალა თქმა უნდა, ჯავახეთში, ძალიან დაბალი იყო. პრობლემა იყო წამლით მომარაგებაც. წამალი ძვირიც ღირდა და არც იშოვებოდა. 1863 წელს საქართველოში სულ თხუთმეტი აფთიაქი იყო, აქედან ათი – თბილისში. 1872 წლიდან ილია ალხაზიშვილი ემსახურებოდა ახალქალაქის მაზრას ჯერ როგორც ფერშალი, ხოლო შემდეგ როგორც აფთიაქარი. 1875 წელს იგი მაზრის ფერშლად გადაიყვანეს გორში, 1877 წლიდან კი კვლავ ახალქალაქში ასრულებს უფროსი ფერშლის მოვალეობას. ამ დროს ახალქალაქში აფთიაქი არ იყო, მაგრამ იყო ე.წ. „შკაფი“ საჭირო წამლებით. რადგან ილიას აფთიაქში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, ექიმი ენდობოდა და ისიც მისი რეცეპტებით ასრულებდა ყველა სამუშაოს ამ „შკაფ“-აფთიაქში.

1880 წელს ილია ალხაზიშვილი ახალქალაქში საკუთარ აფთიაქს ხსნის. 1883 წელს ილია თავისივე აფთიაქის შეგირდია, 1886 წელს – პროვიზორის თანაშემწე, 1892 წლიდან, დიპლომის აღების შემდეგ კი – მმართველი.

გარდა სამედიცინო მომსახურების დაბალი დონისა, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ის, რომ მოსახლეობა სილატაკის გამო ვერ ახერხებდა ექიმთან მკურნალობას. ამის შესახებ ხშირად ჩიოდა ილია ალხაზიშვილი. და მან გახსნა აფთიაქი მტკიცე გადაწყვეტილებით: ხელმისაწვდომი გაეხადა მედიკამენტები მოსახლეობისთვის, თან ხალხს უხსნიდა წამლისა და მკურნალობის მნიშვნელობას, ცდილობდა გაეგებინებინა მათთვის საკუთარი ჯანმრთელობის ფასი. „ვინც უნდა მისულიყო წამლისათვის ექიმის რეცეპტით – სომეხი იყო იგი, თათარი, ურია, ქართველი თუ სხვა რომელიმე ეროვნებისა, და თუ დაატყობდა (ჯერ გამოჰკითხავდა ოჯახის მდგომარეობას, ავ-კარგსა), რომ ხელ-ნაკლები და ღარიბი იყო, ყველას უსასყიდლოდ უთმობდა წამლებს დიდის დარიგებით და მზრუნველობით. დაიმედებული და ნუგეშნაცემი ავადმყოფის პატრონი სიხარულით ძლივს იდგა ფეხზე. ამიტომ იყო, რომ მთელს ჯავახეთში ილია ალხაზიშვილს დიდი ნდობა, პატივი და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული“;² – ასე ახასიათებს ილია ალხაზიშვილის საქმიანობას

2. კოპტონაშვილი, ვასილ. „ავტობიოგრაფია“ (მოგონებები). ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. 1929 წ. ე. №1079.

მისი თანამედროვე, სოფელ კოთელიის მკვიდრი მღვდელი ვასილ კოპ-ტონაშვილი.

ახალქალაქის მამრას ერთი ექიმი ემსახურებოდა თავისი დამხმარე პერ-სონალით. იგი უამრავი ადმინისტრაციული საქმით იყო დატვირთული და თუ ყოველივე ამას ზოგიერთი მათგანის „ვერცხლისმოყვარეობასაც“ და-ვამატებთ, არასახარბიელო სურათს მივიღებთ. ამგვარი ვითარება ხელ-მოკლე ადამიანებს უარყოფითად განაწყობდა როგორც ექიმის, ისე წამ-ლის მიმართ. ილია ალხაზიშვილთან დახმარების სათხოვნელად მისული ადამიანი კი წამალსაც ღებულობდა, დარიგებასაც, ხოლო ხელმოკლეები ხშირად – ფინანსურ შემწეობასაც. როგორც თვითმხილველები იგონებ-დნენ, ახალქალაქში ან მის სოფლებში, თუ რომელიმე უსახსრო ოჯახს ავადმყოფი ჰყავდა და ეს ამბავი ილიას ყურამდე მიაღწევდა, მას თავი-სი ხარჯით მიჰყავდა მასთან ექიმი და წამლებითაც უფასოდ ამარაგებდა. ამას გარდა, ახალქალაქის მამრის უფროსის, გიორგი თარხან-მოურა-ვის, თავმჯდომარეობით და ილია ალხაზიშვილის ხაზინადრობით ახალ-ქალაქში დაარსდა აფთიაქი, რომელიც სკოლის მოსწავლეებს უფასოდ აძლევდა ყოველგვარ წამალს.³

უნდა აღინიშნოს ილია ალხაზიშვილის წვლილი ზოგადად საქართველოში ფარმაციის განვითარების საქმეში. 1898 წელს ილია თბილისში გადავიდა სამუშაოდ და ჩამოაყალიბა „ამიერკავკასიის ფარმაცევტების სააფთიაქო ვაჭრობის ამხანაგობა ტფილისში“, ფირმა „პროვიზორი ილია სოლომო-ნის ძე ალხაზოვი და ამხანაგობა“, რომელმაც ფაქტობრივად 1900 წლიდან დაიწყო მუშაობა. ფირმის მიზანი იყო თბილისში მაღალი ხარისხის მედი-კამენტების შემოტანა და მათი რეგიონებში განაწილება. გარდა ხარისხისა, მყიდველს ისიც იზიდავდა, რომ ამხანაგობა წამლებს შედარებით იაფად ყიდდა და დანიშნულ სადგურამდე თავისი ხარჯით უგზავნიდა პაციენტს. ორგანიზაციამ თბილისის სამკურნალო განყოფილების ყურადღებას მიიქ-ცია და ქსენონისთვის წამლებს იქიდან იწერდნენ. ორგანიზაცია წარმატე-ბით მუშაობდა მთელი კავკასიის მასშტაბით.⁴

ფარმაცევტულ საზოგადოებაში ილია ალხაზიშვილის ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1899 წელს თბილისში ჩატარებულმა ფარ-მაცევტთა საზოგადო კრებამ ხმათა დიდი უმრავლესობით იგი რუსეთის ფარმაცევტთა კრებაზე წარსაგზავნად აირჩია, რაზეც მან უარი განაცხა-და. ამავე დროს, 1901, 1902, 1903 წლებში მას ზედიზედ ირჩევენ კავკასიის ფარმაცევტული საზოგადოების თავმჯდომარედ.⁵

ამგვარად, ილია ალხაზიშვილმა არა მარტო საფუძველი ჩაუყარა სააფ-

თიაქო საქმიანობას ჯავახეთში და მშრომელი ადამიანისათვის ხელმი-საწვდომი გახადა წამალი და მკურნალობა, მან ასევე დიდი წვლილი შეიტანა ზოგადად ქვეყნის სააფთიაქო საქმის განვითარებაში.

ბუნება და ბუნებისმეტყველება

ილია ალხაზიშვილმა ბავშვობა კახეთში გაატარა. „კახეთში გატარებუ-ლი დრო ყმაწვილს სამუდამოდ დარჩა ხსოვნაში. ბავშვმა პირველად აქ იგრძნო ბუნებისადმი განსაკუთრებული სიყვარული, რამაც შემდგომში განსაზღვრა მისი მიდრეკილება იმ მეცნიერებისადმი, რომელსაც ბუნე-ბისმეტყველება ეწოდება“.⁶ ილია ალხაზიშვილი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და კარგად იცნობდა მათ. საქარ-თველოს ბუნების ულამაზეს პეიზაჟებს უხვად ასახავდა თავის შემოქმე-დებაში.

ილია ალხაზიშვილის საგანმანათლებლო მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა, ქართველ საზოგადოებაში გაეღვიძებინა ბუნე-ბისა და მისი „უცთომელი და უცვლელი კანონებისადმი“, ანუ საბუნე-ბისმეტყველო საგნებისადმი, ინტერესი. გარდა იმისა, რომ კვლევა-ძიე-ბა თავისთავად ერთობ იტაცებდა, საზოგადოებას შთააგონებდა: „განა მთლად ჩვენი კეთილდღეობა ბუნების ცოდნაზე არ არის დამოკიდებუ-ლი?“⁷ ამიტომ საჭირო და აუცილებელი იყო საბუნებისმეტყველო სამეც-ნიერო ლიტერატურის შექმნა ქართულად. მაგრამ ეს მეტად საჭირო საქ-მე ნელი ტემპით მიიწევდა წინ, რაც ძალიან აწუხებდა მკვლევარს:

„საზოგადოდ ქართულ ლიტერატურაში ბუნებისმეტყველება ჯერ მკვიდრ ნიადაგზე ვერ არის დამყარებული. – წერდა ის, – ამ მეცნიერებას ჯერ მწერლებიც ცოტანი ჰყავს და მკითხველებიც. პრაქტიკულ ფილოსო-ფიას ქართველი კაცი მაგრერიგად არც თუ სწყალობს, სამაგიეროდ სულ ვმღერით, ხვთის მადლით პოეტებიც ხო ბლომად გვყავს. როგორ ფიქ-რობთ, კულტურის რომელ საფეხურზე ვსდგევართ, როდესაც არ გვაბა-დია, აქამდე არ გვაქვს რაციონალურად, კარგი ქართულით შედგენილი მინერალოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია, ჰიგიენა, ქიმია, ფიზიკა და სხვა“.⁸

მკვლევარი დანამუსებით ცდილობდა ქართველების თავმოყვარეობა გაეღვიძებინა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ქართველ კაცს საბუნების-მეტყველო მეცნიერებების დაუფლების დიდი ნიჭი და უნარი ჰქონდა. ამის დასტურად იმ ფაქტს მიიჩნევდა, რომ საქართველომ მსოფლიოს

3. სუდაძე, ნაზი. „სოციალური ვითარება და საგანმანათლებლო საკითხები XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთში“. თბილისი: 1998 წ. გვ. 69.

4. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900, №1139, გვ. 1.

5. სხილაძე, რ., ქავთარაძე, ვ. გამოჩენილი პროვიზორი მე-19 საუკუნის საქართველოში. გაზ. „ფარმაცევტი“, 2002, №2 (37), გვ. 5.

6. კეკელიძე, მიხეილ. ილია ალხაზიშვილი. თ. „მნათობი“, 1953, №11, გვ. 156.

7. ალხაზიშვილი, ილია. თ. „კვალი“, 1895, №8, გვ. 8.

8. ალხაზიშვილი, ილია. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. თ. „განათლება“, 1913, №6, გვ. 471.

„ორი ბუმბერაზი“ მეცნიერი მისცა: ფიზიოლოგი აკადემიკოსი თარხნიშვილი და ქიმიკოსი პროფესორი პეტრიაშვილი.

კიდევ ერთი ამონარიდი ჟურნალ „განათლებიდან“, რომელშიც რეგულარულად იბეჭდებოდა ილია ალხაზიშვილის საგანმანათლებლო და სამეცნიერო წერილები:

„დღევანდელი ჩვენი მგოსნები რაიმე სასწაულით სუყველანი რომ რუსთაველად გადაიქცნენ, მაინც კულტურულ ერად არ ჩავითვლებით, ვიდრე ბუნების მეცნიერებას მთლად არ გადმოვწერგავთ სამშობლო ენაზე, არც ერთი კერძო პირი სწავლულად არ ჩაითვლება, თუ რომ ბუნებისმეტყველებასთან მწყრალად არის. ამგვართვე განათლებულ ერად არ ჩაითვლება ის ხალხი, რომელსაც ბუნებისმეტყველება თავის დედაენაზე არ განუვითარებია“.⁹

მკვლევარს თავმოყვარეობას უღახავდა ის ფაქტი, რომ ქართველებს მხოლოდ რუსულის ან სხვა უცხო ენის ცოდნის წყალობით შეეძლოთ გასცნობოდნენ მეცნიერების თანამედროვე დარგებს და მის მიღწევებს: „ვსთქვით არ ვიცით უცხო ენა, მაშინ ჩვენ, ქართველები ვეგვანებით ნახევრად ველურ ხალხს... დიალ, ბატონებო, ნუთუ იმდენი თავმოყვარეობა არა გვაქვს, რომ ამ ყველასათვის აშკარა პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ“.¹⁰

1916 წელს იგი კმაყოფილებით იუწყებოდა, რომ იმ დროისათვის მეცნიერებით უკვე ბევრი ქართველი ყოფილა დაინტერესებული: „მართლაც, თუ გვინდა და ვცდილობთ კულტუროსან ხალხთა შორის ჩაგვრიცხოვ, უნდა კიდევ თავგანწირვით ვიშრომოთ, ვიშრომოთ ქართულ-სამეცნიერო ლიტერატურის აღორძინება-განვითარებისათვის. დიალ, ჩვენი ნაციონალური თავმოყვარეობა გვაგალებს ამ პრობლემის შევსებას და, ღმერთო, შენით, უკვე ბევრი ქართველია უმაღლესი სწავლით აღჭურვილი, სამეცნიერო შრომით გატაცებული“.¹¹

მაგრამ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს სერიოზული დაბრკოლება ელოებოდა – „ქართულ ენაზე სამეცნიერო ტერმინების ნაკლულობა. სწორედ ეს გარემოება ბევრს უკარგავს შრომის ხალისს – აღფრთოვანებულს ფრთები ემსხვრევა“.¹²

საჭირო იყო ქართულ ენაზე სამეცნიერო ტერმინების შექმნა. ილია ალხაზიშვილი ჯერ კიდევ 1913 წელს წერდა, რომ ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიით იგი უკვე დიდი ხანია დაინტერესებული იყო და კვლევა-ძიებას აწარმოებდა ამ მიმართულებით: „მეხალისება და ოცი წელიწადი

და მეტია კვლევა-ძიებაში ვარ – წაკითხული, გაგონილი, ყოველივე ნაჩხრეკი და ჩაწერილი მაქვს“.¹³

ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მუშაობისას ილია ალხაზიშვილი შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობდა: იგი ანგარიშს უწევდა უკვე არსებულ ტერმინებს, თუ ისინი ენის კანონებს შეესატყვისებოდა: „როცა ქართულში მოიძებნება სათანადო ტერმინი, გეხვეწებით უცხო ენიდან ნულა შემოგაქვთ“, – წერდა იგი;¹⁴ მეორე: არ ეთანხმებოდა ტენდენციას, რომ ყველა ტერმინი ქართულად ეთარგმნათ, გადმოქართულებინათ, რადგან ბუნებისმეტყველების ყველა დარგში ბერძნული და ლათინური ტერმინები იყო თავიდანვე დაკანონებული და ახლად აღმოჩენილი საგნის სახელის დასარქმევად ხშირად ისევ ამ ენებს მიმართავდნენ ხოლმე: „ბუნებისმეტყველებას თავისი ანაბანა და ლექსიკონი აქვს, მაშასადამე ძალიანაც ნუ გეუცხოებათ, ნუ გაიკვირვებთ, უკეთუ ხშირად შეხვდებით ამ ჩვენს შრომაში უცხო სახელებს, ამ გარემოებას ვერც ჩვენ ავიცილებთ თავიდან, არც თუ საჭიროა“;¹⁵ მესამე: მკვლევარი დარწმუნებით ამბობდა – როცა ამის შესაძლებლობა იყო, აუცილებლად უნდა შეექმნათ ახალი ქართული ტერმინი. ახალი ქართული ტერმინის შესაქმნელად მას უმთავრესად მიაჩნდა ორი რამ: „1. უნდა კარგად გვექონდეს შესწავლილი ქიმიური, ფიზიკური და ფიზიოლოგიური ბუნება თვით სხეულისა და 2. ზედმიწევნით უნდა ვიცოდეთ ბუნება ქართული ენისა – უნდა ვიცოდეთ წმინდა ქართული, ხალხური და მეცნიერული, ძველი და ახალი, სხვა გზით ფონს ვარ გავალთ ვერასდროს“.¹⁶

ილია ალხაზიშვილის წყალობით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ტერმინი დამკვიდრდა. მაგალითად, იგი უარყოფდა ტერმინს „მჟავბადს“ და მოითხოვდა „ჟანგბადის“ დამკვიდრებას, „გაზის“ დასამკვიდრებლად „ჰაერგვარის“ გამოყენება უარყო, „მჟავეს“ ნაცვლად „მჟავას“ უჭერდა მხარს და ა.შ. როგორც მიხეილ კეკელიძე აღნიშნავდა: „ილია ალხაზიშვილი ხშირად რომელიმე სიტყვას ათეული წლობით ეძებდა ძველ წიგნებში ან ცოცხალ სასაუბრო ენაში და ვიდრე კარგად არ დარწმუნდებოდა მის ვარგისიანობაში და სიზუსტეში, მანამ საჯაროდ არ გამოჰქონდა“.¹⁷

ჟურნალ „განათლებაში“ ხშირად იბეჭდებოდა ალხაზიშვილის კრიტიკული წერილები რუბრიკით „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“. ამ წერილებში ავტორი აკრიტიკებდა ცალკეულ ტერმინებს, გაუმართავ წინადადებებს და მთელ ნაშრომებსაც კი, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც ქართული

13. ალხაზიშვილი, ილია. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ჟ. „განათლება“, 1913, №6, გვ. 471.

14. ალხაზიშვილი, ილია. ბუნების ლექსიკონი. ჟ. „განათლება“, 1916, №4, გვ. 247.

15. ალხაზიშვილი, ილია. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ჟ. „განათლება“, 1914, №4, გვ. 317.

16. იქვე.

17. კეკელიძე, მიხეილ. ი. ალხაზიშვილის საბუნებისმეტყველო-სატერმინოლოგიო მუშაობიდან. ჟ. „ქიმია-ბიოლოგია სკოლაში“, 1969, №1.

9. ალხაზიშვილი, ილია. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ჟ. „განათლება“, 1914, №1, გვ. 70.

10. იქვე.

11. ალხაზიშვილი, ილია. ბუნების ლექსიკონი. ჟ. „განათლება“, 1916, №4, გვ. 247.

12. იქვე.

ენის კანონებს ეწინააღმდეგებოდა. ჯანსაღი კრიტიკის არსებობა მკვლევარს აუცილებლობად მიაჩნდა როგორც ზოგადად ენის, ისე სატერმინოლოგიო თუ სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

ილია ალხაზიშვილის სატერმინოლოგიო კვლევა-ძიება კონკრეტული შედეგებით დასრულდა. მკვლევარი ოცდაათი წლის მანძილზე აგროვებდა მასალას ფარმაცევტული ლექსიკონის შესადგენად და შექმნა კიდევ მშვენიერი ნაშრომი: „ფარმაცევტული ტერმინები ანუ ქართულ-რუსულ-ლათინური სახელები წამლებისა“, რომელიც 2178 ტერმინს აერთიანებდა. იქვე იყო მოცემული ცნობები ბოტანიკიდან, ქიმიიდან, მედიცინიდან, ზოოლოგიიდან. სამწუხაროდ, ეს ლექსიკონი არ გამოქვეყნებულა. მკვლევარმა შეადგინა აგრეთვე „ბუნების ლექსიკონი“, ანუ „სამეცნიერო სახელები და ტერმინები“ ბრემის სისტემის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „განათლებაში“ 1916 წელს. ასე რომ, ილია ალხაზიშვილმა მკაფიო კვალი დააჩნია როგორც ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, ისე სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ილია ალხაზიშვილის დამსახურება ქართველი მოზარდი თაობის წინაშე. იგი ყმაწვილებს დიდი სიყვარულითა და მონდომებით აცნობდა დედაბუნებას, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს და ამით უღვიძებდა საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის ინტერესს. „გაიცანით, შეისწავლეთ, დაუახლოვდით ბუნებას, შეაჩვიეთ თავი მის კვლევა-ძიებას და გაძლევთ თავდებად თვით ბუნების შემოქმედს, რომ ათასი წლის სიცოცხლე არ მოგებზრდებათ. დიაღ, ბატონებო, აინთეთ გულში ცეცხლი ბუნების სიყვარულისა, შეისწავლეთ მისი უცდომელი, უცვლელი კანონები, დაუახლოვდით ცხოველმყოფელ ბუნებას, დაეწაფებით ამ უკვდავების წყაროს და იმდენ უღეველ საინტერესო ფაქტებს გაიგებთ, რომ სიცოცხლის ინტერესი ერთი ათასად აღგებრებათ!“¹⁸ – მოუწოდებდა ილია ალხაზიშვილი ახალგაზრდებს. მოზარდ თაობაში საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესის გაღვიძების მიზნით იგი აქტიურად თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალების – „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ რედაქციებთან და სისტემატურად აქვეყნებდა განმანათლებლო წერილებს.

ნინო ნაკაშიძე ილია ალხაზიშვილის მოღვაწეობის შესახებ ჟურნალ „ჯეჯილში“ წერდა: „1915 წლიდან ისევ დაიწყო ჩვენს ჟურნალში თანამშრომლობა ფლორის ისეთმა მცოდნემ, როგორიც იყო ილია ალხაზიშვილი... მის კალამს ეკუთვნის ბევრი საუცხოო ნარკვევი მცენარეების, განსაკუთრებით ჩვენებური მცენარეების შესახებ და რამდენადაც ვიცო, ეს წერილები ჯერ არ არის ცალკე წიგნად გამოცემული, რაც, ჩემი აზრით, დიდად სასარგებლო იქნებოდა“.¹⁹ „ჯეჯილში“ თავის წერილებს მკვლევარი

აქვეყნებდა საერთო სათაურით „მცენარე და ადამიანი“; აქვე დაიბეჭდა მისი მხატვრული ნარკვევი „მტკვარი, ჭოროხი და რიონი“ და, რაც საგანგებოდ აღსანიშნავია, დღიდან მისი დაარსებისა (1890 წ.). უსასყიდლოდ ემსახურებოდა ჟურნალს.

„სამკურნალო წამალთა სწავლა“ – ამ სამედიცინო ხასიათის ნაშრომის დაწერას ავტორმა თხუთმეტი წელი მოანდომა. იგი წლობით ფურცლავდა უძველეს ქართულ კარაბადინებს, ეძებდა, პოულობდა, ერთმანეთს ადარებდა სხვადასხვა დაავადებასა და მათი მკურნალობის მეთოდებს, ძველსა თუ ახალს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამკვიდრებულ ტრადიციებს, და ცდილობდა გაერკვია, ყოველივე ეს რამდენად შეესატყვისებოდა იმ სამკურნალო საშუალებებს, „რომლებიც სასარგებლო წამლებად არის ცნობილი ამჟამად ევროპის მეცნიერთაგან და ყველა სახელმწიფოებს შეუტანიათ ფარმაცოპეაში, ე.ი. იმ წიგნებში, რომლებიც სავალდებულოა აფთიაქებისა და ექიმებისათვის“, – წერდა გრიგოლ ვოლსკი.²⁰

ჩანს, ამ ნაშრომში ილია ალხაზიშვილმა ფარმაცოლოგიის უახლესი მიღწევები წარმოაჩინა, რომლებიც ძველ ტრადიციებს ემყარებოდა. ავტორი მიუთითებდა, თუ როგორ მზადდებოდა ესა თუ ის სამკურნალო საშუალება, რა დაავადების დროს რამდენი იყო საჭირო და როგორ გამოიყენებოდა. დაწვრილებით აღწერდა ასევე სხვადასხვა სამკურნალო მცენარესა და ცხოველებს მათი ქართული, რუსული, ლათინური სახელებითა და სინონიმებით.

„სამკურნალო წამალთა სწავლა“ თავდაპირველად „ივერიის“ რედაქციას გაეგზავნა შესაფასებლად, გაზეთი მას გამოეხმაურა გრიგოლ ვოლსკის წერილით, საიდანაც დავიმოწმეთ ფრაგმენტი. აღნიშნული ნაშრომის სტრუქტურას გრიგოლ ვოლსკი ასე აყალიბებდა: 1. მცენარეთა და ცხოველთა ნამდვილი სახელი ქართულ ენაზე და მისი სინონიმები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, 2. ლათინური სახელები მათივე სინონიმებით, 3. რუსული სახელები თავისი სინონიმებით, 4. მცენარისა და ცხოველის სამშობლო, 5. მცენარის ფიზიკური თვისებები (გარეგნული ნიშნები), 6. რა და რა ავადმყოფობის დროს და როგორ გამოიყენება, 7. რა წამლები მზადდება ამ მცენარისგან და როგორ.“²¹

1893 წელს „ივერია“ იმავე ნაშრომს კვლავ ეხმაურებოდა ახალციხის მაზრის ექიმის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ვასილ გამრეკელის წერილით:

„ეს თხზულება სულ ორი დიდი რვეულია (...). პირველი რვეული შეიცავს ცნობებს, თუ რა წესით და რიგით უნდა შემზადდეს სხვა-და-სხვა-ნაირი წამლები: კრებული ბალახები, მალამოები, საცხებლები და სხვანი;

18. ჟ. „კვალი“, 1895, №8, გვ. 8.

19. ნაკაშიძე, ნინო. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ი. მაისურაძის პირადი არქივი, №263. გვ. 2.

20. გაზ. „ივერია“, 1888, №160, გვ. 1.

21. იქვე.

ასე რომ, ამ პირველს რვეულში აწერილია ყველა რთული წამლები (...), რომლებიც ამ ჟამად იხმარება მედიცინაში. ყოველ წამლის შემდეგ ნაჩვენებია რა-და-რა სატიკვარის დროს იხმარება ეს საშვალება და ან რა ზომით და წესით. მეორე რვეულში აწერილია სამკურნალო მცენარენი და მათი ნაწილები. ამ რვეულების ბოლოს მოყვანილია სარჩევი ალფაბეტით სხვა-და-სხვა სნეულებათა და იქვე ნაჩვენებია, თუ რანაირად უნდა ეძიოთ რვეულში ამა თუ იმ სენის განსაკურნებელი ღონისძიება. ერთის სიტყვით, ამ ორს რვეულში შეკრებილია ყოველივე ცნობა, რომელიც დღეს სამკურნალო მეცნიერებას შეუწყნარებია და შეიცავს: ფარმაკოპეას, ფარმაკოგნოზიას, ფარმაციას, ფარმაკოლოგიას და სხვანი“.²²

მაგრამ ილია ალხაზიშვილის ამ ნაშრომის წიგნად გამოცემა ვერ მოხერხდა.

ამრიგად, ილია ალხაზიშვილი არა მარტო პრაქტიკულ ფარმაცევტულ საქმიანობას ეწეოდა, არამედ ამ საქმის თეორეტიკოსადაც გვევლინება. თავის საქმიანობაში იგი ფართოდ იყენებდა საქართველოში საუკუნეების მანძილზე გავრცელებულ სახალხო მკურნალობის წესებსა და ტრადიციებს, რომლებიც ზეპირი სახითაც იყო ხალხში შემონახული და წერილობითაც – კარაბადინების სახით. კარგად იცნობდა მათ და ცდილობდა ყოველივე ეს მეცნიერული მედიცინის სამსახურში ჩაეყენებინა, რასაც ეს ნაშრომი კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ილია ალხაზიშვილის მრავალმხრივი შემოქმედებიდან წარმოგიდგენთ კიდევ ერთ ნაშრომს „ბუნება და სამკურნალო მეცნიერება“, რომელიც სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის თხზულებაა. იგი წერილების სახით პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ „განათლებაში“. ავტორი დიდი გულმოდგინებით გვაცნობს ბუნებას, იმ გარემოს, სადაც ადამიანს უხდება ცხოვრება და რომელიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს მასზე. მკითხველი ეცნობა როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგი, რომელთა წყალობით, „თუ იმას ვერ ვიტყვით, რომ ადამიანი მართლაც მეუფეა ბუნებისა, არც იმის თქმაღა შეგვიძლია, რომ ადამიანი დღესაც მონა იყოს ბუნებისა“.²³ იხსენებს იმ მეცნიერთა დამსახურებებსა და აღმოჩენებს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ბუნების კვლევაში. საუბრობს ჰიგიენაზე, გვაცნობს სხვადასხვა დაავადებას, მათ გამომწვევ მიკრობებსა და პარაზიტებს და იქვე მიუთითებს მათი მკურნალობის საშუალებებზე.

ამგვარად, ილია ალხაზიშვილის ნაშრომის – „ბუნება და სამკურნალო მეცნიერება“ – მეშვეობით დაინტერესებულ მკითხველს ფართო ცოდ-

ნის მიღება შეეძლო სხვადასხვა სფეროში: ბუნებისმეტყველებაში, მედიცინაში, ჰიგიენაში. ჯერ კიდევ მის გამოქვეყნებამდე ატყობინებდა ავტორი მოსე ჯანაშვილს, რომ სულ „ამ საგანზე“ აპირებდა წერას. მაშასადამე, მწერალი გრძნობდა ამ ტიპის საგანმანათლებლო ლიტერატურის მწვავე საჭიროებას. ამ ნაწარმოებს მართლაც შეეძლო შეევსო ქართულ ენაზე ამგვარი ლიტერატურის ნაკლებობით გამოწვეული სიცარიელე. თანაც, ეს იყო მხატვრული ნარკვევი, რომელიც მკითხველთა ფართო წრისთვის იყო გამიმზნული.

ზოგადად, ჰიგიენის საკითხებზე საუბრებს დიდ ყურადღებას უთმობდა მკვლევარი და ჟურნალ „განათლების“ ფურცლებზე ხშირად აქვეყნებდა ცალკეულ წერილებს ამ თემაზე. როგორც აღინიშნა, ილია ალხაზიშვილი ხედავდა, რომ საზოგადოებას ამ სახის ცოდნა აკლდა და თავს არ ზოგავდა ეს ხარვეზი შეევსო. იგი მოთმინებით განუმარტავდა მკითხველს, თუ რა როლს ასრულებდა ჰიგიენა ადამიანის ცხოვრებაში და რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისი ყველა წესის დაცვა: „აკვნის არტახიდან უკანასკნელ კუბოს ფიცრამდე ჰიგიენა მფარველ ანგელოზივით თანა გვდევს ყოველ ჩვენს ბიჯის გადადგმაში და ცდილობს თავიდან აგვაცილოს ჯანის ყოველივე ავადობა – სულიერი და ხორციელი, ხოლო ვაი იმას, ვინც ჰიგიენის ურჩი გახდება – ადრე თუ გვიან დაუსჯელი არ დარჩება“.²⁴ ან კიდევ: „ჰიგიენა ექიმობა კი არ არის, პირიქით ჰიგიენა სულ იმას ცდილობს, საექიმოდ არ გაგვიხდეს თავი“.²⁵ როგორც ვხედავთ, ილია ალხაზიშვილი მოუწოდებდა საზოგადოებას, ეცხოვრა ჰიგიენის საყოველთაოდ დამკვიდრებული წესების დაცვით და ეს იქნებოდა ადამიანის ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის გარანტია.

წერილში „დედამიწა და მისი ზეადაგი“ მწერალი აღწერს, როგორ წარმოიქმნა დედამიწა და როგორ მიიღო თანდათან თანამედროვე სახე, რა გავლენას ახდენს ნიადაგი ადამიანის ჯანმრთელობაზე. ასაბუთებს, რომ ჭაობიანი ადგილები საცხოვრებლად უვარგისია. საქართველოს მაგალითზე განმარტავს, რომ შავი ზღვის სანაპიროზე, სამეგრელოში, რიონისა და ალაზან-იორის ჭალა ადგილებში ცხოვრება საფრთხეს უქმნის ადამიანს; საუბრობს იმ დაავადებებზე, რაც იქ ვრცელდება; აქედან გამომდინარე, ქართლი საუკეთესო ადგილად მიაჩნია საცხოვრებლად, მეტადრე – ზემო ქართლი.

მკვლევარი აქვე გვაცნობს ნიადაგის სახეობებს და ამის მიხედვით – მის ნაყოფიერებას; იგი ჩამოთვლის, რა თვისებები უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი სახლისთვის შერჩეულ ადგილს, რომელ მხარეს უნდა ჰქონდეს ამ სახლს ფანჯრები, როგორ უნდა ნიავედებოდეს ოთახები და ა.შ.

ილია ალხაზიშვილი, კაცი, რომელსაც ბუნების სიყვარულმა გაუღვიძა

22. გამრეკელი, ვასილ. რამდენიმე სიტყვა შესახებ ხელნაწერისა „სწავლა სამკურნალო საშუალებათა“, შედგენილი პროკიზორის ილია ალხაზიშვილის-მიერ. გაზ. „ივერია“, 1893, №272, გვ. 2.

23. ალხაზიშვილი, ილია. ადამიანის მკბენარი და მჭამელი პარაზიტები. ჟ. „განათლება“, 1915, №12.

24. ალხაზიშვილი, ილია. ჰიგიენა. ჟ. „განათლება“, 1912, №1.

25. იქვე.

ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნებისადმი და მათი შესწავლის სურ-
ვილი აღუძრა, განსაკუთრებული სიყვარულით, სითბოთი და მოწიწებით
საუბრობდა ტყეზე და იმ დიდ სიკეთეზე, რაც მას ადამიანისთვის მოაქვს.
წერილში „ტყე და მისი ჰაერი“, მწერალი აღნიშნავდა: „იმ სიკეთეზე, რაც
ტყეს მოაქვს, წიგნები დაიწერება“; მაგრამ ამ სტატიაში იგი მოკლედ ჩა-
მოთვლის მხოლოდ ნაწილს ტყის სასარგებლო თვისებათაგან: „ტყეს
მეტად დიდი გავლენა აქვს ჰაერის სიაგარგეზე, ჰაერს საგანგებოდ ახა-
ლისებს, სწმენდს, აგრილებს და კეთილშემზავებულს, მუავბადით გამ-
დიდრებულს გვაწვდის სასუნთქავად. მეტადრე თუ ტყე ნაძვნარი და ფიჭ-
ვნარია, მაშინ ხომ მისი ჰაერი ნამდვილი უკვდავების წყაროა“.²⁶ ტყე დიდ
გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურაზე, ანელებს როგორც სიცხე-პა-
პანაქებას, ისე ყინვა-სიცივეს, უტყეო ქვეყანაში თოვლი სწრაფად დნება,
რაც მდინარეების ადიდებას იწვევს. მდინარეებს უეცრად ადიდებას ხშირი
წვიმებიც და იქ, სადაც ტყე არ არის, უეცარი წყალდიდობები მოსახლეო-
ბას დიდ ზარალს აყენებს. „ეს ყველაფერი იქ ხდება, რა ქვეყანაშიც ტყეს
უდიერად, უწესრიგოდ, უგუნურად ჩეხავენ და ანადგურებენ, მთებს ატიტ-
ვლებენ“, – გვმოდვრავს ავტორი. ტყის წყალობას უნდა მივათვალოთ
ისიც, რომ ზაფხულობით მდინარეები არ შრება, ქარისა და ქარიშხლის
ძალასაც ტყე ამცირებს, ტყიან ადგილებში სეტყვასაც არა აქვს ისეთი
გამანადგურებელი ძალა, როგორსაც იგი უტყეო ადგილებში იჩენს, ხო-
ლო ტყის მასალა ხომ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების აუცილე-
ბელი ნაწილია. მაგრამ „ტყეც არის და ტყეც“. ყველა ტყე ერთნაირად
სასარგებლო არ არის ჯანმრთელობისთვის. მაგალითად, გურია-სა-
მეგრელოს ტყეების დიდი ნაწილი, რომელიც ჩავარდნილ და ჭაობიან
ადგილებზეა განფენილი, ასევე კახეთის გაღმა მხარის ნოტიო ტყეები,
ჯანმრთელობას ვერაფერს რეგებს. სამაგიეროდ, მაღლობ ადგილზე ან
მთის კალთებზე შეფენილი ტყეები ჯანმრთელობის წყაროს წარმოად-
გენს. ავტორი განსაკუთრებით ბორჯომ-ბაკურიანისა და აბასთუმნის
სააგარაკო მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ილია ალხაზიშვილი საოცარი
სიყვარულით აღწერს აბასთუმნის უმშვენიერეს ბუნებას, ზეკარის უღელ-
ტეხილს.

ტყის უგუნური ჩეხვა მეზობელი ქვეყნის ჰავაზეც ახდენს უარყოფით ზეგავ-
ლენას, ამიტომ ავტორის სურვილია, რომ ტყეების რაციონალური მოვლა
საერთაშორისო კანონებით რეგულირდებოდეს. საქართველოსთვის კი
ტყეებს, მისი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: გარდა იმი-
სა, რომ ტყე „ამშვენებს და აკეკლუცებს ქვეყანას“, საუკუნეების მანძილზე
ტყეები იცავდა ქართველ კაცს როგორც მტრისგან, ისე ეპიდემიებისგან.
ამიტომ მკვლევარი დაბეჯითებით ამბობს: „საცა სამართალი სინდისია,
ქართველები ტყეს კი არ უნდა ანადგურებდნენ, უნდა ზედ ლოცულობ-
დნენ“. ტყე ადამიანმა უნდა მოიხმაროს, გაყიდოს, გამოიყენოს, მაგრამ
ეს ყველაფერი გონივრულად უნდა გააკეთოს. „ხოლო პირაღებით ტყის

მტრულად გაცარცვა, მთელი ტყის განადგურება, ბარბაროსობაზე ათას-
ჯერ უარესია, მხეცური მტაცებლობაა“. ილია ალხაზიშვილს მეტად აწუ-
ხებდა და აღაშფოთებდა ის ამბავი, რომ საქართველოში ამ „სალოცავ“
ტყეებს დაუნდობლად ანადგურებდნენ. მაგალითად მას მოჰყავდა ქა-
რელსა და ხაშურს შორის გაჩეხილი მუხნარი, სამაჩაბლოსა და საციცია-
ნოში განადგურებული ფიჭვნარი და სხვ. „მხოლოდ რამდენიმე მანეთის
გულისთვის მხეცურად ანადგურებენ ტყეებს“, რასაც გამოუსწორებელი
შედეგები მოჰყვება მომავალში, – წერს იგი.²⁷

ილია ალხაზიშვილი, აღწერს რა მრავალი სიკეთით დაჯილდოებულ სა-
ქართველოს ულამაზეს ბუნებას, იქვე პრაქტიკულ რჩევებსაც იძლევა
იმის თაობაზე, თუ რა სარგებლობა შეიძლება მიიღოს ამ სიკეთისგან
ქართველმა კაცმა; მაგალითად, სამეგრელოში როგორ უნდა შეიძინოს
დაფნამ სასაქონლო სახე ან საქართველოს ულამაზესი სოფლები რო-
გორ შეიძლება იქცეს სააგარაკო ადგილებად.

ილია ალხაზიშვილი დაულალავად საუბრობდა იმ სიკეთეზე, რაც ხალ-
ხისთვის მეცნიერებას მოჰქონდა და არაერთხელ მიუთითებდა, რომ ამ
მხრივ ევროპის ქვეყნებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. „მაშ მივბაძოთ,
ბატონებო, დასავლეთ ევროპას. ქართველი უნდა ქართველად დარჩეს,
მაგრამ აუცილებლად საჭიროა ქართველის გაევროპელება“.²⁸ მაგრამ ეს
არ უნდა ყოფილიყო ბრმა მიმბაძველობა, ქართველს თავისი ღვთით
ბოძებული სახე არ უნდა დაეკარგა და ამით თვით ბუნების უზენაესი კა-
ნონი არ უნდა დაერღვია. იქვე ავტორი საზოგადოებას აცნობდა მრავალ
მეცნიერს, რომელთა აღმოჩენებმა ადამიანთა ცხოვრება სასიკეთოდ
შეცვალა და წუხდა იმის გამო, რომ ასეთ მეცნიერთა სახელებზე უკეთ
ხალხი იმ ტირანთა სახელებს იცნობდა, რომლებმაც მხოლოდ ომები,
სისხლი და უბედურება მოუტანეს კაცობრიობას.

საგანმანათლებლო ხასიათისაა ილია ალხაზიშვილის კიდევ ერთი ნა-
წარმოები „ჯავახური ლეგენდები“. ეს წიგნი 1978 წელს დაიბეჭდა. წიგნის
პირველ თავს შეადგენს 1897 წელს გამოცემული „ბუნება და ცხოვრება“.
„ეს სათაური იმისთვის ამოვირჩიე, – გვამცნობს ავტორი, – რომ, რო-
გორც ცხოვრებას, ისე ბუნებას დიდი ადგილი აქვს დათმობილი“. „ბუნება
და ცხოვრება“, რომლის ქვესათაურია „მგზავრის დღიურებიდან“, შემდე-
გი ნაწილებისგან შედგება: „მოგზაურთა განთიადი“, „ტაბაწყურის ტბა“,
„ერთი კუთხე ჯავახეთისა“, „თრიალეთის მთა ცხვარი“, „წალკა და რე-
ხა“. წიგნის მეორე თავი ასეა დასათაურებული „მტკვრის სათავეებთან“
(უწინდელი ზემო ქართლი და მტკვრის სათავე), მესამე კი – „ჯავახური
ლეგენდები“, რომელშიც ჯავახური ფოლკლორია წარმოდგენილი.

წიგნის პირველი და მეორე თავები მგზავრის დღიურების სახითაა და-

27. ალხაზიშვილი, ილია. „ტყე და მისი ჰაერი“. ჟ. „განათლება“, 1913, №7.

28. ალხაზიშვილი, ილია. „ტყე და მისი ჰაერი“. ჟ. „განათლება“, 1913, №8.

26. ალხაზიშვილი, ილია. „ტყე და მისი ჰაერი“. ჟ. „განათლება“, 1913, №6.

წერილი. მკითხველი ეცნობა მესხეთის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, მის ბუნებას, კლიმატს... ნაწარმოების ღირსებაა ისიც, რომ იგი მკითხველს ეროვნულ და სოციალურ პრობლემებზე აფიქრებს, აცნობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევებს.

ნაწარმოების გმირები მოგზაურობის დროს საუბრობენ ბუნების სხვადასხვა მოვლენაზე, რაც მათ უნახავთ და გაუგონიათ. მათ შორის ერთი ბუნებისმეტყველიც არის, რომელიც მეცნიერულად განმარტავს ამ მოვლენებს. საუბრობენ ასტრონომიაზე – ვარსკვლავებზე, მთვარეზე, მზეზე; კავკასიის მთების წარმოშობაზე, ვულკანებზე, რომელთა რაობას ხატონად ასე გადმოსცემენ: „ვულკანები დედამიწის სასულეები არიან, როცა [დედამიწას] ბოღმა მოადგება, სული შეეხუთება, მაშინ ამოისლოკინებს, ამოიქშინავს“; გვაცნობენ ელვასა და ელექტრობას, მეხს, ცისარტყელას, მარჯანს და მარგალიტს და მათი მოპოვების წესებს, ცხოველთა სამყაროს და იმ წესრიგს, რომელსაც ცხოველები ემორჩილებიან. საზოგადოდ ხომ ბუნებაში მკაცრად განსაზღვრული წესრიგი სუფევს; ერთადერთი, ვინც ამ წესრიგს არ ემორჩილება, ადამიანია: „მხოლოდ ადამიანი ებრძვის, ეწინააღმდეგება, არ ემორჩილება ბუნების კანონს“, – ვკითხულობთ ნაშრომში.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ხელოვნება, რასაც ილია ალხაზიშვილი ბუნების სურათების ხატვისას იჩენს. იგი ღრმად გრძნობს ბუნებას, დიდი სიყვარულითა და ოსტატობით აღწერს მას და თავის გრძნობებს მკითხველსაც გადასცემს. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია განსაკუთრებული ინტერესი არ გაუჩნდეს ჯავახეთის ბუნების მიმართ. ილია ალხაზიშვილს ძალიან აწუხებდა ამ მხარეში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ტყეების გაჩანაგების პრობლემა და ამის შესახებ წერდა კიდეც ნაშრომში „ბუნება და სამკურნალო მეცნიერება“. ჯავახეთში შემორჩენილ ტყეზე იგი მეტად საგულისხმო ცნობას იძლევა: „ჯერ ხომ ოსმალთა მფლობელობის დროს უღმერთოდ უჩეხიათ ტყეები და მერე, როცა რუსმა აიღო ეს მხარე, 1828 წლიდან არზრუმის ოლქიდან სომხობა გადმოასახლა, რომელმაც არავითარი ყადრი ტყისა არ იცოდა, რაც ოსმალთს გადაურჩა, არზრუმელებმა ძირიანად ამოაგდეს“.²⁹

ამ თხზულებას ცნობილი პედაგოგი ნიკო ცხვედაძე ასე აფასებს:

„ეს წიგნი ბევრს საყურადღებო, საჭირო სამეცნიერო და საეთნოგრაფიო ცნობებს შეიცავს. ყველა საკითხი, ბუნებისმეტყველებას შეეხება იგი თუ ასტრონომიას, საქართველოს რომელიმე კუთხის ხალხის ცხოვრების აღწერას თუ ბუნების მოვლენათა ახსნა-განმარტებას, მარტივად, ყველასთვის გასაგებად და კარგის ენით არის გადმოცემული, მოთხრობის კილოთი. ამისთანა მშვენიერი წიგნი უნდა მოიპოვებოდეს ყველა სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოში, ყველა სკოლის ბიბლიოთეკაში,

29. ალხაზიშვილი, ილია. ჯავახეთი. გაზ. „ივერია“, 1893, №205, გვ. 4.

ერთი კი არა, რამდენიმე ცალი. ის უნდა შეადგენდეს ჩვენებური სახალხო მასწავლებლის სახელმძღვანელო წიგნს, რომელშიც ბევრ საყურადღებო ცნობებს ამოიკითხავს ყველა მასწავლებელი და ცოცხალი სიტყვით თვალსაჩინოდ გადასცემს საჭირო ცნობებს როგორც თავის მოწაფეებს, აგრეთვე ხალხსაც“.³⁰

ამგვარად, ჩვენ რამდენადმე გავეცანით ილია ალხაზიშვილის პრაქტიკული საქმიანობისა და ლიტერატურული შემოქმედების ერთ ნაწილს, რომელიც მშობლიური ქვეყნის ბუნების შესწავლას ეძღვნება; დავრწმუნდით, რაოდენ ცდილობდა იგი საზოგადოების ყურადღება მიეპყრო იმ ფაქტისთვის, რომ ქართველებს ღმერთმა უღამაზესი და უმდიდრესი ქვეყანა არგუნა წილად და ამ ღვთიურ საჩუქარს გაფრთხილება სჭირდებოდა.

მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ახალ დროს ახალი გამოწვევები მოჰქონდა კაცობრიობისთვის. ქართველს თავისი სიცოცხლისუნარიანობა განათლებით უნდა დაემტკიცებინა, ხოლო იმ დროის მოთხოვნად კი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ღრმად დაუფლება მიაჩნდა. ეს კი წარმოუდგენელი იყო ახალი საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების გარეშე და ამ საპასუხისმგებლო საქმეში მან თავისი წვლილი შეიტანა.

30. ცხვედაძე, ნიკო. უ. „განათლება“, 1909, №1, გვ. 122.

ალხაზიშვილი, ი. 1893, „ჯავახეთი“, ივერია (205).

ალხაზიშვილი, ი. 1912. „ჭიგენა“, განათლება (1) .

ალხაზიშვილი, ი. 1913. „ტყე და მისი ჰაერი“, განათლება (6).

ალხაზიშვილი, ი. 1913. „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“, განათლება (6).

ალხაზიშვილი, ი. 1915. „მოქალაქეობრივი მოვალეობა სამშობლოსადმი“, განათლება (4).

ალხაზიშვილი, ი. 1915. „ადამიანის მკბენარი და მჭამელი პარაზიტები“. ჟ. განათლება (12).

ალხაზიშვილი, ი. 1916. „ბუნების ლექსიკონი“, განათლება (4).

გამრეკელი, ვ. 1893. რამდენიმე სიტყვა შესახებ ხელნაწერისა „სწავლა სამკურნალო საშუალებათა“, შედგენილი პროვიზორის ილია ალხაზიშვილის-მიერ, ივერია (272).

კეკელიძე, მ. 1953, „ილია ალხაზიშვილი“, მნათობი (11).

კეკელიძე, მ. 1969. ი. ალხაზიშვილის საბუნებისმეტყველო-სატერმინოლოგიო მუშაობიდან. ჟ. „ქიმია-ბიოლოგია სკოლაში“ (1).

კოპტონაშვილი, ვ. 1929. „ავტობიოგრაფია“ (მოგონებები). ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ხელნაწერი №1079.

ნაკაშიძე, ნ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ი. მაისურაძის პირადი არქივი, №263. გვ. 2.

სუდაძე, ნ. 1998. „სოციალური ვითარება და საგანმანათლებლო საკითხები XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთში“. გვ. 69.

სხილაძე, რ., ქავთარაძე, ვ. 2002. „გამოჩენილი პროვიზორი მე-19 საუკუნის საქართველოში“, „ფარმაცევტი“ (37).

ცხვედაძე, ნ. 1909. ჟ. განათლება (1).





თბილისის თვითმმართველობის
მწვანე პოლიტიკა 1875-1917 წლებში

ნინო სატკოევა

ურბანიზაციის დაჩქარებული პროცესის შედეგად მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი დღეისათვის ქალაქებში ცხოვრობს. დასახლების დიდი სიმჭიდროვის, სამრეწველო წარმოებისა და საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების გამო თანამედროვე ქალაქებში ჯანმრთელობისათვის მავნე მიკროკლიმატი იქმნება. აქედან გამომდინარე, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ქალაქის მესვეურთა ერთ-ერთ მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს. ამ პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური გზა ურბანულ დასახლებებში მწვანე ზოლების, ტყეების, პარკების, სკვერების, ყვავილნარების გაშენება, გაზონების შექმნა და მათი მოვლა-პატრონობაა. მწვანე ნარგავები არა მხოლოდ აუმჯობესებს გარემოს, კლიმატს, არამედ ესთეტიკურ გარემოს ქმნის და ხელს უწყობს ტერიტორიის კეთილმოწყობას. ამ მხრივ ჩვენს დედაქალაქ თბილისში არცთუ ისე სახარბიელო სურათია შექმნილი.

საინტერესოა, რა მდგომარეობა იყო თბილისში გამწვანების თვალსაზრისით საუკუნეების მანძილზე და რა საქმიანობას ეწეოდა ამ მიმართულებით ქალაქის თვითმმართველობა მისი შემოღების პირველი დღიდან, ანუ 1875 წლის 1 იანვრიდან, ვიდრე 1917 წლამდე, როდესაც საქალაქო თვითმმართველობის რეორგანიზაცია მოხდა. თანამედროვე მსოფლიოში ტერიტორიების გამწვანება და გამწვანებულ ტერიტორიებზე ზრუნვა ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობების, მუნიციპალიტეტების კომპეტენციაა.

ადგილი, სადაც ქალაქი თბილისი აღმოცენდა, ოდითგან ტყით იყო დაფარული, რაც ვახტანგ გორგასლის მიერ თბილისის დაარსების ლეგენდაშიც აისახა.

თბილისის ქალაქად ჩამოყალიბების და მისი ქართლის დედაქალაქად გამოცხადების შემდეგ აქ მრავლად გაშენდა ბალები, ვენახები, ბოსტნები, ყვავილნარი და სხვა, რაზეც მეტყველებს ადგილობრივი თუ უცხოური წყაროები:

X საუკუნის არაბი გეოგრაფის, ისთაჰრის ცნობით, თბილისი „სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიან-ნათესებიანი“;¹

1. თბილისის ისტორია, ტ. I, თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. თბილისი: 1990, გვ. 73.

1672-1673 წლებში თბილისში იმყოფებოდა ფრანგი მოგზაური, იუველი-რი და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე ჟან შარდენი, რომელმაც თბილისს უღამაზესი ქალაქი უწოდა. იგი წერს: „თბილისის გარეუბნებს მრავალი საღალბო სახლი და საუცხოო ბაღი ამშვენებს. ყველაზე უფრო დიდია მთავრის ბაღი. ხეხილი აქ ნაკლებად არის, მაგრამ სამაგიეროდ უმშვენიერესი, ჩრდილისა და სივრცის მფენი ხეები აურაცხელია“;² ეს ცნობა იმაზეც მიუთითებს, რომ თბილისის ტერიტორიაზე, ხეხილის ბაღების გარდა, მხატვრული ბაღებიც გაჩნდა.

ფრანგი მოგზაურისა და ბუნებისმეტყველის, ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის შეფასებით, რომელიც 1701 წლის ივლისში იყო თბილისში ჩამოსული, „აქაურ ბაღებში მშვენიერი მცენარეები ხარობს და მათ უკეთ უვლიან, ვიდრე თურქეთის ბაღებში“;³

XVIII საუკუნის თბილისის ბაღების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან გერმანელი მეცნიერი იოჰან გიულდენშტედტი, რუსი დიპლომატი კაპიტანი იაზიკოვი და ვახუშტი ბატონიშვილი. ამ უკანასკნელის მიერ 1735 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე თერთმეტი ბაღია აღრიცხული. ესენია: ყაიბულას, მამასახლისის, დედოფლის, თბილელის, ტფილისის ბაღი სეიდაბადისა, ციხის, კრწანისის, ბებუთას, ახალი ბაღი მეიდნისა და ბეჟანას ბაღი.⁴

ციხის ბაღში ავტორი მეფის ბაღს მოიაზრებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისსა და მის მიდამოებში ბაღები ჰქონდათ მეფეს, დედოფალს, ბატონიშვილებს, თბილელ ეპისკოპოსს, თავადებს და მოქალაქე ვაჭრებს.

1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად ქალაქთან ერთად დაიწვა და თითქმის მთლიანად განადგურდა ბაღებიც. ასეთი მდგომარეობა იყო ქართველი მეფის სატახტო ქალაქში, როდესაც 1801 წელს რუსეთმა მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეიყვანა. თბილისი გამოცხადდა საგუბერნიო ქალაქად, ხოლო მოგვიანებით გახდა მთელი კავკასიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი მოგვითხრობს, თუ რა ბედი ეწია ამ მოვლენების შემდეგ თბილისის სამასი ბაღიდან ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ბაღებს:

როსტომ მეფის მეუღლის, დედოფალ მარიამის ბაღი, სოლოლაკში გაშენებული, დიდი ქვის აუზით, გადავიდა ჯერ თეკლე ბატონიშვილის, შემდეგ კი კერძო პირთა ხელში;

დედოფალ მარიამის ბაღის მოსაზღვრედ მდებარე ქართველ მეფეთა ბაღი ხაზინამ 1824 წელს გაყიდა; თბილისის მიტროპოლიტის ბაღის ერთ ნაწილში აშენდა ამაღლების სახელობის ეკლესია, დანარჩენი კი განადგურდა; თავად ორბელიანების ბაღის ადგილას გაშენდა კავკასიის მეფისნაცვლის სასახლის ბაღი; მის გვერდით მდებარე ბაგრატიონ-მუხრანელების ბაღი გადავიდა კერძო მფლობელთა ხელში და იქ სახლების აშენების შემდეგ განადგურდა; მეფე იესეს ბაღი გიორგი XII-მ აჩუქა კოვალენსკის, იმპერატორ პავლეს წარმომადგენელს ქართლ-კახეთის მეფის კარზე; შემდეგ იგი საინჟინრო უწყებას დაექვემდებარა; ქართველ კათალიკოსთა ბაღი სეიდაბადში საქართველოს ეგზარქოსთა კუთვნილება გახდა; ქართველ მეფეთა ბაღი ლევთახევში გადაეცა ხაზინას, შემდეგ მას ბოტანიკური ბაღი ეწოდა.⁵

საქართველოში საფრანგეთის კონსულ გამბას ცნობით, რუსეთის ხელისუფლებამ მეფე ერეკლეს ბაღი 1820 წელს გაყიდა 5000 ვერცხლის მანეთად.⁶

როგორც ჩანს, XIX საუკუნის დასაწყისიდან, თბილისის ბაღებისა და ნარგავების უმრავლესობა კერძო პირებზე გასხვისების შემდეგ განადგურდა. მცენარეული საფარი გაქრა მთაწმინდის, სოლოლაკისა და მახათას მთებზე. შესაბამისად შეიცვალა ქალაქის მიკროკლიმატიც.

XIX საუკუნის 60-იან წლებში თბილისის უძველეს ნაწილში – კალაში, სეიდაბადში, ვარდისუბანში, სოლოლაკში და კუკიაზე – ბაღებისა და ძვირფასი ნარგავების ნაშთებილა იყო შემორჩენილი. ამ ბაღების ადგილას აღმოცენდა ახალი საცხოვრებელი კვარტლები, სადაც სახლების შიდა ეზოები ძველი ბაღების აჩეხის შემდეგ შემორჩენილი ნარგავებით იყო გამწვანებული. თბილისის ტოპონიმიკაში გაჩნდა ისეთი დასახელებები, როგორიცაა: ბაღის, ბოტანიკური, ვარდისუბნის ქუჩები; ბოსტნის, ტყის, ხილის შესახვევები და სხვ.

XIX საუკუნეში თბილისი ტრადიციულად მდინარის აღმა, ჩრდილო-დასავლეთისაკენ ვითარდებოდა, იერთებდა რა ცალკეულ სოფლებს და დასახელებებს; მიმდინარეობდა გარეთუბნის ინტენსიური განაშენიანების პროცესი. „თბილისის ზრდასა და მწვანე ნარგავების შემცირებას შორის კანონზომიერი კავშირი იყო... ქალაქი უმეტესად სწორედ ბაღების ხარჯზე იზრდება; განაშენიანება წინ მიიწევს, მწვანე მასივი კი უკან იხევს – ასეთია ზრდის პროცესი“.⁷

რაკილა თბილისი კავკასიის უპირველეს ქალაქად მოიაზრებოდა, დაიწყო ზრუნვა მისი ევროპულ ყაიდაზე კეთილმოწყობისათვის. ეს ქალაქის გამწვანებასაც შეეხო. გაჩნდა პირველი საზოგადოებრივი დანიშნულე-

2. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. თბილისი: 1974, გვ. 323.

3. ტურნეფორი ჟოზეფ. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თბილისი: 1988, გვ. 66.

4. ვახუშტი ბატონიშვილი. თბილისის გეგმა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმის გეგმებისა და რუკების კოლექცია, ასლი, ი-140.

5. Иосселиани, Платон. Описание древностей города Тифлиса. Тифлис: 1866, с. 271-272.

6. პოლიევქტოვი მიხეილ და ნათაქ გრიგოლ. ძველი ტფილისი. ტფილისი: 1930, გვ. 80.

7. ბერიძე ვახტანგ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, ტ. II. თბილისი: 1963, გვ. 51.

ბის ბალი გარეთუბანში, მთავარმართებლის სასახლის გაგრძელებაზე. „ეს არის ვეებერთელა ბალი საუცხოო მცენარეულობით, გემოზე დაგვე-მილი“, – წერდა გამბა.⁸

XIX საუკუნის 50-იან წლებში, მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მმართველობისას, მეფისნაცვლის მეუღლის ინიციატივით ამ ბაღში ყვავილ-ნარი გაშენდა. ყვავილებს ძირითადად საზღვარგარეთიდან იწერდნენ.⁹ ბაღში იმართებოდა მეკლისები და სხვადასხვა გასართობი ღონისძიება.¹⁰

ახალი ბალი გაშენდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზეც. იგი ცნობილია მუშთაიდის ბაღის სახელწოდებით. XIX საუკუნის 20-იან წლებში ეს ბა-ლი გააშენა სპარსეთიდან დევნილმა შიიტების რელიგიურმა ლიდერმა, თავრიზის მუჯთაჰიდმა კუკიაში, თავისი გარდაცვლილი ქართველი ცო-ლის ხსოვნის პატივსაცემად. იგი რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, ბალი კი კერძო პირს მიჰყიდა, რომლისგანაც 50-იან წლებ-ში ხაზინამ შეიძინა. სახელმწიფო ბაღს კერძო პირებს აძლევდა იჯარით. მართალია, ეს ბალი სიშორის გამო მიუწვდომელი იყო მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის, იგი ბევრისთვის მაინც იქცა ადგილობრივთა საყ-ვარელ ადგილად, სადაც „იმართებოდა სახალხო სეირნობები, კარნა-ვალები, კონცერტები; ქალბატონებისთვის შესვლა უფასო იყო.“¹¹ იოსებ გრიშაშვილის ცნობით, ბალი „ევროპიულად გაზრდილთათვის“ იყო განკუთვნილი.¹²

თბილისის საქალაქო მეურნეობა და ინფრასტრუქტურა სწრაფი ტემპით და ფართო მასშტაბით განვითარდა კავკასიის მეფისნაცვლების – მი-ხეილ ვორონცოვისა და ალექსანდრე ბარიატინსკის მმართველობის წლებში. პირველად 1848 წელს დაირგო ხეები გოლოვინის პროსპექტის ცალ მხარეს;¹³ მოგვიანებით კი – ახლად გაყვანილ მიხეილის პროსპექ-ტზეც, რომლის ინტენსიური განაშენიანება დაიწყო მიხეილის და ვერის ხიდების გახსნის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ვორონცოვის ქუჩის (ახ-ლანდელი ვახტანგ გორგასლის ქუჩა) გაყვანის დროს ვორონცოვი შეე-ცადა, ხელი არ ეხლო სეიდაბადის ბაღებისათვის, რომლებიც ასე ამშვე-ნებდნენ გარემოს.¹⁴

სწორედ ვორონცოვის მმართველობისას – 1845 წელს – დაერქვა ლელ-ვთახევში გაშენებულ „სამეფო ბაღს“ ბოტანიკური ბაღი. ადრე იგი, მას შემდეგ, რაც 1801 წელს სახელმწიფო საკუთრება გახდა, „ტფილისის სა-

ხაზინო ბაღად“ იწოდებოდა. ამ დროისათვის ბაღს მხოლოდ 6 ჰექტარი ფართობი ეჭირა, სადაც გაშენებული იყო ხეხილი და ვენახი, მოჰყავდათ აგრეთვე ბოსტნეული კულტურები. ბაღმა მალე ახალი ფუნქცია შეიძი-ნა: კავკასიაში მებაღეობის განვითარება, დეკორატიული და სასარგებ-ლო თვისებების მქონე კავკასიური მცენარეების მოშენება. ბაღის განვი-თარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით გერმანელ მეცნიერებს, რომლებიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ ბოტანიკურ ბაღს. ესენი იყვნენ: შემიოტი, დემონკალი, დოიჩმანი, შარერი, ჰინცენბერგი, როლოვი (რო-ლოფი). თანდათან გაიზარდა ბაღის ფართობი, სადაც გაიყვანეს საკუთა-რი სარწყავი სისტემა, აშენდა ორანჟერეა, სათბური, სანერგე, საიდანაც მოსახლეობას უსასყიდლოდ ურიგდებოდა ნერგები; მოეწყო მუზეუმი, შეგროვდა კავკასიის მცენარეთა ჰერბარიუმი, გამოიყო ნაკრძალი ტე-რიტორიები და სხვ. ასე რომ, ბალი თანდათან სერიოზულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად იქცა.

1912 წლამდე ბაღში მოსახლეობა სპეციალური ბარათებით უფასოდ შედიოდა. ამის შემდეგ წესები გამკაცრდა, დაწესდა ბევრი აკრძალვა: ბაღში შესვლა ყველასათვის ფასიანი გახდა, გარდა ათ წლამდე ასა-კის ბავშვების, მოსწავლეებისა და კოლექციების შესწავლის მსურვე-ლი დამთვალეიერებლისა. ბაღის იმ ნაწილში შესვლა, სადაც იშვიათი სამეცნიერო კოლექციები და განსაკუთრებულად მოსავლელი ნარგა-ვები ხარობდა, მხოლოდ დირექტორის სპეციალური ნებართვით იყო შესაძლებელი.¹⁵

საბაღე-საპარკო ხელოვნების ნიმუშად იქცა გოლოვინის პროსპექტის აღმო-სავლეთ მხარეს გაშენებული იმ დროისათვის ყველაზე დიდი საზოგადოებ-რივი დასვენების პარკი, რომელიც „ალექსანდრეს ბაღის“ სახელით იყო ცნობილი. ბალი ალექსანდრე ბარიატინსკის მმართველობისას, 1859 წელს დააპროექტა შვედმა არქიტექტორმა ოტო სიმონსონმა (1832-1914). ბაღის გაშენებას დიდი ამაგი დასდო აგრეთვე გერმანელმა სწავლულმა მებაღემ ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერმა (1828-1906), რომელმაც ხეები და სხვა ნარ-გავები კოჯრიდან, გუსტავ ფივეგის სატყეო მეურნეობიდან ჩამოიტანა.¹⁶ ბალი გაიხსნა 1865 წელს და სახელი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის პა-ტივსაცემად ეწოდა.

ალექსანდრეს ბალი ორ ტერასაზე გაშენდა. ზედა ნაწილში გვიან შუა საუ-კუნეებში მდებარეობდა სასაფლაო, რომელიც შემდეგ ვერაზე გადაიტა-ნეს. ქვედა ნაწილი კი დათმობილი ჰქონდა ასპარეზს, რომელსაც მოგ-ვიანებით ყაბახი ეწოდა, ვინაიდან აქ ტარდებოდა სახალხო გართობები, ბურთით, ცხენებით შეჯიბრებები, კრივი და სხვ. მოგვიანებით, რუსულ-მა ადმინისტრაციამ ამ მოედანს „ალექსანდრეს პლაცი“ დაარქვა, სადაც სამხედრო წვრთნებს ატარებდნენ. 1855 წელს აქვე დაუფიცებიათ თბი-

15. Справочная книга по городу Тифлису. Тифлис: 1913, с. 120.

16. მანია მაია. ევროპელი არქიტექტორები თბილისში. თბილისი: 2006, გვ. 22.

8. პოლიევქტოვი მიხეილ და ნათაძე გრიგოლ. დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

9. Чхетия Шалва. Тбилиси в XIX столетии. Тбилиси: 1942, с. 183.

10. Зубов Платон. Шесть писем: о Грузии и Кавказе, писанные в 1833 году Платономъ Зубо-вым. Москва: 1834, с. 71.

11. ბერიძე თეიმურაზ. თბილისი, საყმაწვილო ენციკლოპედია. თბილისი: 2012, გვ. 100.

12. გრიშაშვილი იოსებ. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. ბათუმი: 1986, გვ. 68.

13. Бежанишвили Г. Зеленый наряд Тбилиси. Тбилиси: 1961, с. 13.

14. Иосселиани Платон. დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

ლისელები იმპერატორ ალექსანდრე II-ის ერთგულებაზე რუსეთის იმპერატორად მის კურთხევასთან დაკავშირებით.¹⁷

ბაღის გაზრდასა და მის გამშვენებას ხელი შეუწყო სპეციალურად ბაღისათვის შექმნილმა სარწყავმა სისტემამ. დარგული მცენარეები მალე გაიზარდა და ბაღი ერთ-ერთ სასურველ დასასვენებელ და ზაფხულობით თბილისის მცხოვრებ მზიან თავესაფარ ადგილად იქცა. განსაკუთრებით პოპულარული იყო იგი რიგით თბილისელებში. 1879 წელს, როდესაც ალექსანდრე ბარიატინსკი გარდაიცვალა, მადლიერმა თბილისის საზოგადოებამ მას ბაღის ტერიტორიაზე გახსნილ ეკლესიაში პანაშვიდი გადაუხადა.¹⁸

ბაღში ხშირად ისმოდა რუსული და ევროპული მუსიკის ხმები, უცხოეთიდან ჩამოსული აკრობატები საცირკო ნომრებს ასრულებდნენ.¹⁹ ასეთი სიახლეები და გართობის საშუალებები მიუღებელი იყო ბევრი თბილისელისათვის.

თბილისის გამწვანებასა და ქალაქის ხილითა და ბოსტნეულით მომარაგებაში დიდი წვლილი მიუძღვით გერმანელ მოახალშენებს, რომლებმაც, 1818 წლიდან მოყოლებული, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ორი კოლონია დააარსეს. ერთ-ერთი იყო სოფელ კუკიის ჩრდილოეთით, მდინარე მტკვრის გასწვრივ მდებარე „თბილისის კოლონია“ (დღევანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტი და მისი მიმდებარე ქუჩები). ექიმ ნ. ტოროპოვის გადმოცემით, თბილისში XIX ს.-ის 60-იან წლებში მცხოვრებ მოხუცებს წინაპრებისაგან სმენოდათ, რომ კუკიის ამ დასახლების ადგილას წინათ უღრანი ტყე იყო, მოსახლეობისათვის საშიში – იქ თავს აფარებდნენ მოთარეშე ლეკები, რომლებიც ძარცვავდნენ მოქალაქეებს.²⁰

მეორე კოლონია მდებარეობდა თბილისის კოლონიიდან ხუთი ვერსის დაშორებით, დიდუბის ტერიტორიაზე. ესაა დღევანდელი სამტრედიის ქუჩა და მიმდებარე უბნები. ამ დასახლებას „ალექსანდერსდორფი“ ეწოდა იმპერატორ ალექსანდრე I-ის პატივსაცემად.

გერმანელებმა ამ ადგილებში ააშენეს მცირე ზომის საცხოვრებელი სახლები, გააშენეს ხეხილის ბაღები, ვენახები და ბოსტნები. განსაკუთრებით ეს ითქმის ალექსანდერსდორფში მცხოვრებ გერმანელებზე, ვინაიდან კუკიაში დასახლებული გერმანელები ძირითადად ხელოსნები იყვნენ. ბევრი მათგანი კოლონიიდან ქალაქში მიდიოდა, იქ ქირაობდა საცხოვრებელს და იქვე მუშაობდა ხელოსნად.²¹ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ კუკიის კოლონია სიმწვანის ნაკლებობას განიცდიდა. მუშთაიდის ბაღსა და

თბილისის კოლონიაში გაყვანილი უნიკალური სარწყავი სისტემის წყალობით ეს ადგილები მალე გამწვანდა, ბაღ-ბოსტნები გაჩნდა. 1833 წელს თბილისში მყოფი რუსი მწერალი პლატონ ზუბოვი გერმანულ კოლონიას, აბანოს კართან და სეიდაბადთან ერთად, თბილისის მშვენებას უწოდებს,²² ხოლო შემოთ ნახსენები ექიმის, ნ. ტოროპოვის თქმით, ეს ადგილი ნამდვილი ოაზისი იყო ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მტკვრის, უშაერობისა და უწყლობისაგან თავდასაცავად წლის ყველაზე უფრო ცხელ დროსაც კი.²³ სინესტის გამო გერმანელთა კოლონიაში ხშირი ყოფილა ციების შემთხვევები; სინესტეს მათ სახლებში რომ არ შეედგია, ისინი იძულებულნი იყვნენ, საცხოვრებელი სახლები მიწის პირიდან აემალლებინათ.²⁴

ქალაქი თბილისი განაგრძობდა ზრდას. 1852 წელს მას ოფიციალურად შეუერთდა გერმანელთა კოლონია. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო აქ ქალაქური ტიპის განაშენიანება, შემცირდა კოლონისტების ბაღები; მათ ადგილს ქუჩათა ქსელი იკავებდა; ფორმირდება მიხეილის, ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტი, რომლის გასწვრივ დაირგო მწვანე ნარგავები. ეს გახდა თბილისის ერთ-ერთი ყველაზე გამწვანებული უბანი. აქვე გაიხსნა საზაფხულო კლუბები, რომელთა ეზოებს ამშვენებდა ძველი ბაღების ნარგავები. თბილისელები სიამოვნებით სტუმრობდნენ ამ ბაღებს, სადაც იმართებოდა ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკის კონცერტები; საქველმოქმედო მიზნით თამაშდებოდა ლატარეა-ალეგრი; ტარდებოდა საღამოები და სხვა გართობები პიროტექნიკის გამოყენებით.²⁵ მიხეილის პროსპექტზე ხალხს ძალიან უყვარდა შემდეგი ბაღები: „სემეინი“, „შტუტგარტი“, „აკლიმატიზაციონი სად“, „იტალია“, „მიხაილოვსკი“, „ვაზა“, „სადოვოდსტო გ. ლარშე“, „ზოლოტოე ვრემია“²⁶ და სხვ.

თბილისის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებული იყო კრწანისისა და ორთაჭალის ბაღ-ვენახები, საიდანაც თბილისელები ყოველდღიურად ახალ-ახალი ბოსტნეულითა და ხილით მარაგდებოდნენ.

XIX საუკუნის დამდეგს ორთაჭალის ბაღები გიორგი XII-ს ეკუთვნოდა. „შემდგომად მეფის ძისა რუსეთისაკენ წასვლისა მიეცა იგი დოსითეოსს არქიეპისკოპოსსა, გვართა ფიცხელაურსა, და შემდგომად ამისცა შეისყიდა იგი სომეხმან თფილისელმან, მოქალაქემან ტერშიმოვანმან; დღესაც მემკვიდრეთა მისთა უპყრიესთ იგი სავაჭროდ და არა სალხინოდ“.²⁷

XIX საუკუნეში კუნძულის მიმდებარე დიდ უბანსაც ორთაჭალა ეწოდა.

22. Зубов, Платон. დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

23. Взглядъ на Тифлисъ въ пиротологическомъ отношешии, статья доктора Н. Торопова, 1862, с. 21.

24. იქვე, გვ. 39.

25. Бердзенов, Н., Бакрадзе, Д. Тифлис в историческом и этнографическом отношешиях, Санкт-Петербургъ, 1870, с. 128-129.

26. Подробная справочная книжка Тифлиса. Тифлис: 1884, с. 36.

27. იოსელიანი, პლატონ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბილისი: 1978, გვ. 73.

17. Кишмишев А. Личные воспоминания. Тифлис: 1909, с. 28.

18. Сведения о деятельности Тифлисской городской думы за 1879 год. Тифлис: 1880, с. 11.

19. ბერიძე თეიმურაზ. ...და აღმოცენდა თბილისი. თბილისი: 1977, გვ. 102.

20. Взглядъ на Тифлисъ въ пиротологическомъ отношешии, статья доктора Н. Торопова, 1862, с. 2-3.

21. ბერიძე თეიმურაზ. დასახ. ნაშრომი, თბილისი. თბილისი: 1977, გვ. 208.

თავად ბალები კი ქალაქელთა სეირნობის, გართობა-დასვენებისა და მოლხენის ადგილი გახდა. აქ სტუმრობდნენ როგორც რიგითი თბილისელები, ისე მაღალი ფენის წარმომადგენლები. 1829 წლის მაისში თბილისის საზოგადოებამ ამ ბალებში გაუმართა მიღება რუს მწერალ ალ. პუშკინს, ხოლო 1850 წელს – მომავალ იმპერატორ ალექსანდრე II-ს. რუსეთის ტახტის მემკვიდრეს უმასპუნძლეს ზემოთ ნახსენებ ტერშიმოვანის ბაღში, რომელიც ყველაზე უფრო შესაფერისი იყო საამისოდ.²⁸ იოსებ გრიშაშვილის გადმოცემით, ორთაჭალის ბალები მდებარეობდა ხალხის დროის გასატარებელი ადგილი იყო, სადაც იმართებოდა „ამქრობის“ დღესასწაულები. „თითქმის ორმოცი დღის განმავლობაში (აღდგომის ორშაბათიდან – ამაღლებამდე) ორთაჭალა და ქალაქის სხვა განაპირა მიდამოები ახმაურებული იყო ამქართა დღესასწაულებით. მიდიოდნენ ქალაქის ბალებში, დაჰკლავდნენ სამღვთოს და ამზადებდნენ შილაფლავს“.²⁹

გაზეთ „დროების“ 1869 წლის 19 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, სადაც ავტორი, ახასიათებს რა ახალი დროის საზოგადოებრივი დანიშნულების ბალებს, არჩევანს ორთაჭალის ბალების სასარგებლოდ აკეთებს. იგი წერს: „სახალხო ბალები, სწორედ გითხრათ, მეტი უღონობის ღონეა. მართალია, გატკეპნილი კვლები და ხეივნებია, სისუფთავე და სიფაქიზე სამაგალითოა, მაგრამ არა ჰგავს ჩვენს ორთაჭალის ბალებსა! აბა რა შეედრება იმ პოეტიკურს არეულ-დარეულობას, უსწორმასწორობას, ვაზის თალარს, მაღალ კაკლის წენგოთი დატვირთულ ხის საამურ სუნსა, თვალის შესაქცევარ და პირში წყლის მომგვრელ სხვადასხვა ხილებს... აბა როგორ შეედრება ამას ზემოხსენებული ბალები თავის თანასწორეთ გადამორვილის ხეებით და დანაყილი აგურიტ გატკეპნილი, დაგვილი ხეივნებით“.³⁰

კრწანისსა და ორთაჭალაში იყო კერძო პირთა კუთვნილი შემდეგი ბალები: „მაისკაია როზა“, „დრუზია“, „ნად კუროი“, „მონპლემირი“, „სემეინი“, „ელდორადო“, „არგენტინა“³¹ და სხვ.

თბილისში, ლუარჯი მონასტრიდან მდინარე ვერეს მტკვართან შესართავამდე გაშენებული იყო ვერეს ბალები, ვენახები და ბოსტნები. ეს ადგილი გამოირჩეოდა ნაირსახოვანი ლანდშაფტით და მცენარეულობით. მოგვიანებით ბალების ერთი ნაწილი დაეთმო მართლმადიდებლურ სასაფლაოს. აქ სხვადასხვა პერიოდში გაშენდა კერძო პირთა ბალები: „ბირიუზა“, „ფანტაზია“, „ედემი“, „აკვარიუმი“, „საქართველო“³² და სხვა.

თბილისი განიცდიდა ყვავილნარებისა და გაზონების სიმცირეს.

XIX ს.-ის 80-იანი წლებიდან საქართველოში დამკვიდრებულმა გერმანელმა მწერალმა და პუბლიცისტმა, არტურ ლაისტმა მებაღეობის მდგომარეობას მიუძღვნა წერილი „ქართული ბაღი“. იგი წერს: „შეიძლება თქვან, რა საჭიროა საქართველოში ხელოვნური ბალები, როცა თვით ქვეყანა ბუნებრივ ბაღს წარმოადგენსო! მაგრამ არა, მებაღეობა ეროვნული კულტურის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ბაღი არქიტექტურასთან ერთად მაჩვენებელია ერის გემოვნების, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა... მაჩვენებელია იმ გარეგანი სახისა, რომელსაც უცხოელი პირველად მიაქცევს ყურადღებას. მოსახლეობა უბაღოდ – უშინო და ულამაზო“.³³ ავტორი გულისტკივილით წერს, რომ ქართველები დიდი პრაქტიკული მოსაზრებით ხელმძღვანელობენ და უპირატესობას ხეხილის ბალებსა და ვენახს ანიჭებენ. „საქართველოს ღვთით და ბუნებით ყველაფერი აქვს მომადლებული, რომ საბაღო ხელოვნება განვითარდეს. ვისაც მიწა აქვს, არ უნდა დაიშუროს შრომა და ხარჯი ბაღის გასაშენებლად. იგი სახეა ყოფაცხოვრებისა, თავისებური არქიტექტურა, რომელშიაც სახიერდება გემოვნებისა და შრომის კულტურა. რა თქმა უნდა, ბუნებრივი სილამაზე დიდი საქმეა ქვეყნისთვის, მაგრამ კულტურული სილამაზეც, რომელსაც შეიქმს გონება და შრომა, არა ნაკლებ დიდია და დასაფასებელი...“.³⁴

შალვა ჩხეთიას მიხედვით, „1864 წლის სტატისტიკური აღწერის მონაცემებით, რომელიც ემთხვევა 1865/66 წლების საარქივო მონაცემებს, ამ დროისათვის თბილისში იყო სულ 267 ბაღი...“.³⁵ მისივე ცნობით, მათგან უმრავლესობა, 262 ბაღი, იყო კერძო; ოთხი – სახელმწიფო და ერთი – ალექსანდრეს ბაღი – კი ქალაქის საკუთრება.

ეს მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან იმ დროისათვის სახელმწიფო საკუთრებას მხოლოდ სამი ბაღი იყო: ბოტანიკური, ალექსანდრეს და მუშთაიდის.. რაც შეეხება ალექსანდრეს ბაღის ქალაქის უწყებისადმი დაქვემდებარებას, ეს ცნობაც არასწორია, ვინაიდან საკუთრების ასეთი ფორმა იმხანად არ არსებობდა. მდგომარეობა შეიცვალა 1870 წლის 16 ივნისის „საქალაქო დებულების“ გამოქვეყნების შემდეგ, – რუსეთის იმპერიის დიდმა ქალაქებმა თვითმმართველობის უფლება მიიღეს; მათ შორის იყო კავკასიის რეგიონის უმთავრესი ქალაქი თბილისი. საქალაქო რეფორმა საქართველოში გვიან გატარდა. 1875 წლის 1 იანვრიდან თბილისის საქალაქო თვითმმართველობა მუშაობას შეუდგა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის არც ერთ ქვეყანაში თვითმმართველობის იდეა ისე არ იყო დამახინჯებული, როგორც რუსეთში, ამ მოვლენას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი წარმოადგენდა დემოკრატიული მმართველობისაკენ გადადგმულ ერთ ნაბიჯს, რადგანაც

28. Нишмишев, А. დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

29. გრიშაშვილი, იოსებ. დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

30. ანჩისხატის-უბნელი. თბილისში გასეირნება. გაზ. „დროება“, 1869, 19 ივნისი, №25, გვ. 1.

31. Справочная книга по городу Тифлису. Тифлис: 1912, с. 120.

32. იქვე, გვ. 121.

33. ლაისტი, არტურ. საქართველოს გული. თბილისი: 1963, გვ. 251.

34. იქვე, გვ. 253.

35. Чхетия, Шалва. დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

არჩევით პრინციპებს ემყარებოდა, წარმომადგენლობითი იყო და მასში მოსახლეობის სხვადასხვა ფენა მონაწილეობდა; იქმნებოდა პროგრესული საზოგადოებრივი ძალების სამოქმედო ასპარეზი.

თვითმმართველობის მთავარი ფუნქცია იყო ქალაქის კომუნალურ მეურნეობაზე (წყალმომარაგება; ქუჩების, მოედნების მოკირწყვლა და განათება; ტრანსპორტი; სანიტარიული დასუფთავება; გამწვანება) ზრუნვა. მასვე ევალებოდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და კულტურის პრობლემების გადაწყვეტა.

საარჩევნო სისტემა ამომრჩეველთა ქონებრივ ცენზს ითვალისწინებდა, ამიტომაც საქალაქო არჩევნებში თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 4-5% იღებდა მონაწილეობას. არჩეულ ხმოსანთა დიდ ნაწილს მსხვილი ვაჭრები, მრეწველები, ბანკირები შეადგენდნენ, რის გამოც მას „სოლოლაკელი კრებების“ და „ფინანსური ტუზების“ საკრებულოს უწოდებდნენ.

საარჩევნო კანონმდებლობა იმის საშუალებასაც იძლეოდა, რომ ხმოსნებად გასულიყვნენ ქვეყნისათვის ცნობილი ისეთი ადამიანები, როგორებიც იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ილია წინამძღვრიშვილი, გიორგი ქართველიშვილი, ივანე მაჩაბელი, ნიკო ცხევედაძე, დავით სარაჯიშვილი, ანტონ ფურცელაძე, კალისტრატე ცინცაძე და სხვები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ არჩევნები თბილისის ბალების ტერიტორიაზეც ტარდებოდა.³⁶

რაც შეეხება ხმოსანთა ეროვნულ შემადგენლობას, აქ ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ: სომხები, ქართველები, რუსები; თბილისის თვითმმართველობის მუშაობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს გერმანელებმაც. ქალაქის სათათბიროში სხვადასხვა დროს ხმოსნებად იყვნენ არჩეული: ალბერტ ზალცმანი (Albert Salzmann), კონსტანტინ რაიტერი (Konstantin Reiter), სტანისლავ ვაის-ფონ ვაიზენჰოფი (Stanislaw Weis-von-Weisenhof), ვიქტორ დინგელშტედტი (Wiktor Dingelstedt), ლეოპოლდ ბილფელდი (Leopold Bilfeld), ივან მაიერი (Ivan Meier), ჰერმან ბარტი (Herrmann Barth), ივან ვეტცელი (Ivan Wetzel), ფრიდრიხ ვეტცელი (Friedrich Wetzel), გუსტავ ზიბერტი (Gustav Siebert), კურტ ფონ კუჩენბახი (Kurt von Kutzschenbach), ფერდინანდ კარლ ოტენი (Ferdinand Karl Otten), ანდრეს ფიშერი (Andres Fischer), ევგენი ვურცელი (Eugen Wurzel) და სხვ.

ამომრჩეველები ირჩევდნენ საკანონმდებლო ფუნქციით აღჭურვილ 72-კაციან საქალაქო სათათბიროს, საიდანაც ხდებოდა სამკაციათი აღმასრულებელი ორგანოს – გამგეობის არჩევა. გამგეობას და სათათბიროს ქალაქის თავი ხელმძღვანელობდა.

სერგეი მესხი გაზეთ „დროებაში“ წერდა: „თუ ყოველი ამომრჩეველი თავის საკუთარ საქმეს ისე შეხედავს, როგორც საზოგადო ქალაქის საქმესა და ქალაქის საქმეს ისე, როგორც თავის საკუთარ საქმესა, – აი, მხო-

ლოდ მაშინ მიეცემა ქალაქსაცა და იმის მცხოვრებლებსაც წარმატება; მხოლოდ მაშინ ეღირსება ჩვენ ქალაქს ის, რაც ასე საჭიროა“.³⁷

თვითმმართველობის შემოღების პირველ წლებში ქალაქის მმართველობის ორგანოები დაკავებული იყვნენ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტით, როგორიცაა: მმართველობითი სტრუქტურების შექმნა, ქალაქის გერბის დამტკიცება, თბილისის მოსახლეობის აღწერა, თვითმმართველობის შენობის საკითხის მოგვარება და სხვ. ქალაქის გამწვანებაზე ზრუნვა ამ ეტაპზე არ იყო დღის წესრიგში. თუმცა თბილისის საზოგადოება, იცოდა რა ქალაქში მწვანე საფარის მნიშვნელობა, პრესის საშუალებით ხშირად აპროტესტებდა დედაქალაქში ხეების მოჭრას, ჩიოდა ანტისანიტარიისა და დაბინძურებული ჰაერის გამო.

საინტერესოა გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილი, სადაც ავტორი წერს: „უწინ ტფილისი აყვავებული და ამწვანებული იყო ხშირის ხე-ხილითა და ბაღებითა... დროთა განმავლობაში ეგ ბაღები გადიკაფდნენ, მათ ადგილას აღიმართნენ უზარმაზარნი სასახლენი, შენობანი შეჯგუფდნენ, ჰაერის თავისუფალი ტრიალი მოიშალა, დაიხშო ჰაერი და ეხლა ზაფხულობით ადამიანს სული ვერ მოუტრიალებია... რაც შეიძლება მომეტებული სასიერნო ბაღები, ხევნარები, ხეივნები უნდა დაიმართოს ქალაქში... მაშინ ნახეთ ეს ჩვენი დღეს უგემური ტფილისი რა სასიამოვნო ადგილად შეიქმნება“.³⁸

მართლაც, ქალაქის მმართველობამ გადადგა პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით, – სათათბიროსთან შეიქმნა სატყეო-საბაღე კომისია, ხოლო გამგეობასთან – შესაბამისი განყოფილება; დაინიშნა ქალაქის მებაღე.

საქალაქო დებულების თანახმად, თბილისი გახდა დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტი, რომელიც ფლობდა უძრავ-მოძრავ ქონებას. იგი იყო ამ ქონების სრული მესაკუთრე – შეეძლო გაეყიდა ის, გადაეცა იჯარით და სხვ. ქალაქის, ანუ მუნიციპალური საკუთრების გვერდით, თბილისის ტერიტორიაზე კვლავ აგრძელებდა არსებობას სახელმწიფო, საეკლესიო და კერძო საკუთრების ფორმები.

1881 წელს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა, ხაზინის კუთვნილი თბილისის სამი ყველაზე დიდი ბაღი – ბოტანიკური, მუშთაიდის და ალექსანდრეს ბაღები გაესხვისებინა, რადგანაც მათი შენახვა ძვირი უჯდებოდა.³⁹ პირველ ყოვლისა, თბილისის მმართველობას შესთავაზეს თავის უწყებაში მიეღო ეს ბაღები.

37. მესხი, სერგეი. „თფილისის მოქალაქეებს“. გაზ. „დროება“, 1874, №449, გვ. 1.

38. „ტფილისი“, გაზ. „ივერია“, 1878, №13, გვ. 2.

39. Известия Тифлисскаго городского общественного управления, 1887 год. Заседания Тифлисской городской думы 16 октября 1887 года. Тифлис: с. 4.

36. „განცხადებანი“, „ივერია“, 1897, №94, გვ. 4.

თბილისის თვითმმართველობაში კარგად შეისწავლეს საკითხი, კერძოდ, რა მდგომარეობა იყო ამ ბაღებში და რა სარგებელს მიიღებდა ქალაქი თანხმობის შემთხვევაში. აღმოჩნდა, რომ მუშთაიდისა და ალექსანდრეს ბაღები იჯარით იყო გაცემული ერთობ მძიმე საკონტრაქტო პირობებით. თავად ბაღებშიც არ იყო სახარბიელო მდგომარეობა, რადგან კონტრაქტორები არ უვლიდნენ ბაღებს სათანადოდ.

ქალაქს თავად ჰქონდა პრობლემები ფინანსების თვალსაზრისით. ამ მიზეზების გამო ქალაქის მხრიდან პასუხის გაცემა გაჭიანურდა. მხოლოდ 1883 წლის 11 აპრილს მიიღო თბილისის სათათბირომ დადგენილება სამივე ბაღის ქალაქის უწყებაში გადასვლის შესახებ, მაგრამ – გარკვეული პირობებით. კერძოდ, ქალაქი უნდა განთავისუფლებულიყო ვალდებულებისაგან, ალექსანდრეს ბაღის მოსარწყავად გადაეხადა ყოველწლიური გადასახადი – 3650 მანეთი – კერძო წყალსადენის მეპატრონე ყორღანოვისათვის; ქალაქი ითხოვდა აგრეთვე, რომ მუშთაიდის ბაღის შესაძენად ქალაქის მიერ აღებული ვალი რვა წელზე გადანაწილებულიყო; და კიდევ: ქალაქი უარს აცხადებდა სახელმწიფოსათვის გადაეხადა 14 500 მანეთი. ეს იყო კავკასიის მეფისნაცვლის სპეციალური ფონდებიდან ალექსანდრეს ბაღის მოაჯირის და კიბის შესაკეთებლად დახარჯული თანხა.⁴⁰

მოლაპარაკება წლების მანძილზე გაგრძელდა. განხილვებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გერმანელი ხმოსნები: დინგელშტედტი და ვაიზენჰოფი. ისინი ამბობდნენ, რომ ბაღების გადაცემას ქალაქისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ერთ-ერთი ხმოსნის აზრით, ამ ბაღებში თავი უნდა მოეყარა მთელი კავკასიის ფლორას, რაზედაც უპასუხეს, რომ ბაღები ქალაქს სჭირდება ჰაერის გასასუფთავებლად და არა ბოტანიკის შესასწავლადო.⁴¹ ქალაქის მმართველობა უარს აცხადებდა ბოტანიკური ბაღის ქალაქის უწყებაში მიღებაზე, რადგანაც არ შეეძლო ეტვირთა პასუხისმგებლობა მცენარეთა მოვლასა და გამრავლებაზე.⁴²

რამდენიმე ხმოსანმა გამოთქვა სურვილი, რომ კარგი იქნებოდა სახელმწიფო დახმარებოდა ქალაქს და თვითონ გაეწია ამ ბაღების შენახვის ხარჯები.

დავა იმით დასრულდა, რომ ხაზინამ უარი თქვა ბოტანიკური და მუშთაიდის ბაღების ქალაქისათვის გადაცემაზე და მხოლოდ ალექსანდრეს ბაღის გადაცემას დასჯერდა.⁴³

1890 წელს ქალაქმა საკუთრებაში მიიღო ამ ბაღის შუა და ქვემო ნაწილები, ხოლო 1896 წელს მას იჯარით გადაეცა ზემო ნაწილიც 10 წლის ვადით.⁴⁴ ქალაქს ეკრძალებოდა ბაღის გაყიდვა მთლიანად ან ნაწილობრივ; მისი უფლებები არ ვრცელდებოდა ბაღის ტერიტორიაზე არსებულ ხაზინის და ეკლესიის უწყების კუთვნილ ნაგებობებზე. ესენი იყო: სამხედრო დიდების მუზეუმი, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობა, ალექსანდრე ნეველის სახელობის სამრეკლო, წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია.

ბაღის მეთვალყურეობა და კონტროლი დაევალა ქალაქის მებაღეს, რომელსაც ექვემდებარებოდა სამი ზედამხედველი. იმისათვის, რომ ბაღი ქურდებისაგან დაეცვათ, ბაღის სამივე ნაწილს გაუკეთდა რკინის კარი, რომელიც ღამის საათებში იკეტებოდა.⁴⁵

1903 წლის 3 მარტს ალექსანდრეს ბაღის შუა ნაწილში, თბილისის თვითმმართველობის ინიციატივით და ხარჯით, დაიდგა რუსი მწერლის, ნიკოლაი გოგოლის ძეგლი, რომლის გახსნასაც სათათბიროს და გამგეობის სრული შემადგენლობა დაესწრო, ხოლო 1909 წლის 21 მაისს გაიხსნა პუშკინის სახელობის საჯარო საქალაქო უფასო ბიბლიოთეკა.

როგორც ჩანს, არ გამართლდა იმ ხმოსანთა აზრი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ დროთა განმავლობაში ალექსანდრეს ბაღი ქალაქისათვის მომგებიანი გახდებოდა. თბილისის ბიუჯეტის მონაცემებში აღნიშნულია მხოლოდ ამ ბაღზე გაწეული ხარჯები და არა მისგან მიღებული შემოსავალი.

მიუხედავად იმისა, რომ მუშთაიდი ვერ გახდა ქალაქის საკუთრება, თბილისის მმართველობა მაინც ზრუნავდა იმაზე, რომ მოიჯარის ხელში ბაღს არ დაეკარგა მისი როგორც საზოგადოებრივი ბაღის ფუნქცია და ამისათვის ყოველ ღონეს მიმართავდა. მაგალითად, ზრუნავდა მის მორწყვაზე და ამ საქმისთვის გარკვეულ თანხებსაც ხარჯავდა.⁴⁶

ქალაქის თვითმმართველობამ დაიწყო ზრუნვა ქალაქში სკვერების მოწყობაზე. სკვერებისათვის მიწის უფრო პატარა ფართობის გამოყოფა იყო საჭირო ქალაქის ფარგლებში.

სხდომები იმართებოდა იმის გადასაწყვეტად, თუ სად გაეშენებინათ სკვერი, ქალაქის რომელ უბანს უფრო სჭირდებოდა ის. განსაკუთრებით იმ ადგილებს ანიჭებდნენ უპირატესობას, სადაც მწვანე საფარი ნაკლები იყო. ასეთ ადგილად შეირჩა ერევანსკის მოედანი, მართლმადიდებელ სემინარიასა და თამამშევის ქარვასლას შორის ფართობი, სადაც შეშის

44. Систематический сборник определений Тифлисской городской думы по важнейшим вопросам городского хозяйства за время съ 1875 г. по 1902 годъ, составитель С. Чрелаевъ. Тифлис: 1902, с. 155.

45. Доклады по деламъ, назначеннымъ къ слушанию городской думы, 1893 год. Тифлис: с. 21.

46. გაზ. „ივერია“, 1888, №139, გვ. 3.

40. Известия..., 1883 год. Заседания... 11 апреля 1883 года. Тифлис: с. 112-115.

41. Известия..., 1885 год. Заседания... 18 октября 1885 года. Тифлис: с. 147.

42. Известия..., 1884 год. Заседания... 1 октября 1884 года. Тифлис: с. 215.

43. Известия..., 1887 год. Заседания... 16 октября 1887 года. Тифлис: с. 45.

ბაზრობა იმართებოდა და ურმებსა და საზიდრებს ჰქონდათ ჩახერგილი გზა. ქალაქის გამგეობამ სათათბიროს წარუდგინა პროექტი ზუსტი გათვლებითა და ხარჯთაღრიცხვით, რომელიც შეადგინა მებაღე მეცნიერმა ჰაინრიხ შარერმა. სწორედ მას დაევალა სკვერის მწვანე საფარის მოწყობა. ამასთანავე, გამოითქვა სურვილი, რომ მცენარეთა უმრავლესობა ყოფილიყო მარადმწვანე და წიწვოვანი. გადაწყდა სკვერის ირგვლივ გისოსი გაკეთებულიყო. იმის გამო, რომ გისოსი ძვირი ჯდებოდა, მისი დამზადება შეუკვეთეს საქალაქო სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებს. ის უბრალო რკინისაგან დამზადდა, მარტივი გაფორმებით. თანხების არქონის გამო გისოსის ბურჯისთვის სხვა მშენებლობებზე მორჩენილი სოლანდულისა და ალგეთის ქვის მასალა გამოიყენეს.

დადგენილება სკვერის გახსნის შესახებ ქალაქის გამგეობამ 1884 წლის 21 მაისს მიიღო, სკვერი კი 1885 წელს გაიხსნა. მან დაიკავა 587 საუენი ფართობი და დაჯდა 5 106 მანეთი და 88 კაპიკი. ამაში შედიოდა ბულვარის მოსაწყობი და „საქალაქო სახლის“ გარშემო ნარგავებისათვის საჭირო თანხაც.⁴⁷ თბილისელები ამ სკვერს „ახალი სკვერის“ სახელით იხსენიებდნენ.

1890 წლის 12 აპრილს საქალაქო გამგეობამ მიიღო დადგენილება ახალ სკვერში ალექსანდრე პუშკინის ძეგლის დადგმის შესახებ. ამ ადგილას ძეგლის დადგმის იდეა გაუჩნდა თბილისის ყოფილ პოლიცმანისტერ ლევ როსინსკის, რომელმაც ძეგლისათვის შეაგროვა 2 281 მანეთი და 5 კაპიკი. მისივე სურვილი იყო, რომ ძეგლი ყოფილიყო პეტერბურგში, საიმპერატორო ლიცეუმში მდგარი იმპერატორ ალექსანდრე I-ის ძეგლის ანალოგი.⁴⁸ ძეგლი დამზადდა მოქანდაკე ხოდოროვიჩის პროექტით და გაიხსნა დიდი ზეიმით 1892 წლის 25 მაისს. სკვერსაც ალექსანდრე პუშკინის სახელი უწოდეს. ქალაქის მმართველობამ წესრიგის დაცვისა და ნარგავების უსაფრთხოების მიზნით სკვერს დაუნიშნა მეთვალყურე, რომელიც სპეციალურ სამკერდე ნიშანს ატარებდა.⁴⁹

მომდევნო წლებში თბილისის თვითმმართველობამ არაერთი მუნიციპალური სკვერი გახსნა ქალაქის ტერიტორიაზე: მორსაზიდ ქუჩაზე (ახლა – ვერის შესახვევი), წმ. თეოდოსი ჩერნიგოველის სახელობის ეკლესიასთან (ახლა – გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისი), მამადავითის მოედანზე (ახლა – ბესიკის მოედანი), ამაღლების ქუჩაზე (ახლა – ამაღლების ქუჩა), აბას-აბადის მოედანზე (ახლა – ლადო გუდიაშვილის მოედანი), ეგზარქოსის მოედანზე (ახლა – ერეკლე II-ის სახელობის მოედანი), მუხრანის მოედანზე (ახლა – ბარათაშვილის მოედანი), კათოლიკეების ქუჩაზე (ახლა – გია აბესაძის ქუჩა), ნავთლულის მოედანზე (ახლა – ბოჭორმის ქუჩა ავლაბარში), ციციანოვის აღმართზე (ახ-

47. Доклады..., 1884 год. Тифлис: с. 77–78.

48. Известия..., 1890 год. Заседания... 12 апреля 1890 года. Тифлис: с. 51.

49. Доклады..., 1895 год. Тифлис: с. 59.

ლა – ბარათაშვილის აღმართი), კახეთის მოედანზე (ახლა – ავლაბრის მოედანი), თივის მოედანზე (ახლა – ევროპის მოედანი), ნორიოს ქუჩაზე (ახლა – ნორიოს აღმართი), ავჭალის მოედანზე (ახლა – გიორგი ჩიტაიას სახელობის მოედანი), ახალ-სამეხის ქუჩაზე (ახლა – წინანდლის ქუჩა ავლაბარში).⁵⁰

1889 წლის ოქტომბერში თბილისის სათათბირომ მიიღო გადაწყვეტილება, კავკასიის გამოფენის ადგილზე, მუშთაიდის ბაღის გვერდით, გაეშენებინათ საქალაქო ბაღი, რაზედაც ერთ-ერთმა ხმოსანმა განაცხადა: „ჩვენ მზა-მზარეული ბაღებიც ხელიდან წაგვივიდა, როგორც მუშთაიდი, საბატანიკო ბაღი, ალექსანდრეს ბაღი და მაგეებს რაღლა ვეტანებითო“.⁵¹

თბილისის ქუჩებში დასარგავ ნერგებს ქალაქის მმართველობა ბაზარში ყიდულობდა. უხარისხობის გამო დარგული ნერგები მალე ხმებოდა, ამიტომ გამოფენის ადგილზე ქალაქის სანერგეს მოწყობა გადაწყდა.

სანერგე 1891 წელს გაიხსნა. კარგი სარწყავი სისტემის წყალობით პირველი შედეგები 1894-1895 წლებში მიიღეს. აქ ახარებდნენ როგორც მარადმწვანე წიწვოვან, ისე ფოთლოვან მცენარეებს: ტუიას, კვიპაროსს, ფიჭვს, იაპონურ არყის ხეს, ბექსუსს, ფოტინიას, თეთრ აკაციას, ბეგონიას, მოცვს, ფშატს, ტირიფს, კავკასიურ და ამერიკულ ნეკერჩხალს, კაკალს, ალვას, მუხას, იფანს, ვარდის სხვადასხვა ჯიშს, ჟასმინს და სხვ. ნერგებით ქალაქსაც ამარაგებდნენ და ყიდდნენ კიდევაც, რაც ქალაქს გარკვეულ შემოსავალს აძლევდა. 1895 წლისათვის სანერგის ფართობი სამ დესეტინამდე გაიზარდა; ნარგავების რაოდენობამაც შესაბამისად 200 000-ს მიაღწია.

სანერგეში მოეწყო რამდენიმე საცდელი სათბური ზოგიერთი ჯიშის მცენარის თესლითა და კალმით გასამრავლებლად. სანერგეს მოვლა-პატრონობა ევალებოდა ქალაქის მებაღეს, რომელსაც იქ პატარა ოთახი ჰქონდა გამოყოფილი. ქარისა და მტვრისაგან მცენარეთა დასაცავად სანერგეს გარშემო ხის ღობე შემოავლეს.

ქალაქში ნერგების განაწილება ხდებოდა იმის გათვალისწინებით, თუ სინესტის როგორი მოყვარულები იყვნენ ისინი. იმ უბნებში, სადაც მცენარეთა მორწყვის საშუალება იყო, ირგვებოდა სინესტის მოყვარული მცენარეები.

ბუჩქოვანთაგან შერჩეული იყო ისეთები, რომლებიც ყვავილობდნენ. მათ რგავდნენ ალექსანდრეს ბაღის დეკორატიულ გაზონებში.⁵²

ქალაქის ქუჩებსა და ბულვარებში ნარგავების დარგვა ინტენსიურად

50. Тифлисский муниципальный календарь, 1917 год. Тифлис: с. 92.

51. „გამოფენის ადგილის ქალაქის ბაღად გადაკეთების საკითხი“, გაზ. „ივერია“, 1890, 17 იანვარი, გვ. 3.

52. Доклады..., 1895 год. Тифлис: с. 59.

დაიწყო 1894 წლიდან. მცენარეთა ნაწილი ილუპებოდა, მაგრამ 60% გადარჩა. ქარის მიერ მცენარეთა დაზიანების თავიდან ასაცილებლად დაიწყეს სარებითა და ეკლიანი მავთულებით მათი გამაგრება. მცენარეთა მომრავლება ზოგს არ მოსწონდა, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ ეს მათი საცხოვრებელი სახლებისა და სარდაფების დანესტიანებას იწვევდა; ამიტომ ხშირი იყო მოსახლეობის მიერ ნარგავების ამოგლეჯისა და განადგურების შემთხვევები.

ხე-ტყის გამშენებელმა კომისიამ დაადგინა, რომ მოქალაქეთა მიერ სახლის აგების თუ შეკეთების ნებართვის აღების დროს, გამგეობის სამშენებლო განყოფილებას ხელწერილით დაევალებინა თითოეული ასეთი მობინადრისათვის ქუჩის ნარგავების მოვლა-პატრონობა. 1895-1896 წლებში თბილისის ქუჩებში ათასობით ხე დაირგო.⁵³

მიუხედავად ჩატარებული ღონისძიებებისა, ქალაქის გამწვანებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემა გადაუჭრელი რჩებოდა თბილისში. ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა ამ საკითხს: „რაც გინდა გაამშვენოთ ქალაქი, რაც გინდ ბევრი სხვა სიკეთე შეჰმატოთ, თუ ქალაქს აკლია ჯანმთელი და სუფთა ჰაერი, ასეთს ქალაქში ცხოვრება არავისთვის არ იქნება სანუკვარი და ვერც მაგდენად მოიმხრობს ქალაქი უცხო ხალხსა“, – ვკითხულობთ „ივერიაში“.⁵⁴

საჭირო იყო უფრო ქმედითი და ეფექტური ღონისძიებები ქალაქის მწვანე საფრის გასაუმჯობესებლად. ასეთ ღონისძიებად მიიჩნიეს ქალაქის ფარგლებში და მის გარშემო ტყის გაშენება, რაზედაც ფიქრი თბილისის თვითმმართველობამ ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. „... პირველი ლაზათი და შნო ქალაქისა არის ტყე და ჰაერის სიმრთელეც უმთავრესად მასზეა დამოკიდებული, მეტადრე ჩვენისთანა თბილს ქვეყნებში...“, – წერდა „ივერია“.⁵⁵

1893 წლის სექტემბერში თბილისის სათათბიროს ხმოსანმა ნიკოლოზ ხუდადოვმა წარმოადგინა პროექტი ხარჯთაღრიცხვით მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ნაძალადევში, კუკიის საძოვრების ადგილას ხელოვნური ტყის გაშენების შესახებ. ნიკოლოზ ხუდადოვი დაიბადა 1850 წელს გორში; დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია, შემდეგ კი – პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია; სტაჟირება გაიარა გერმანიასა და შვეიცარიაში; დაქორწინებული იყო ანა ტინგენჰაუზენზე. თბილისში მუშაობდა რკინიგზის საავადმყოფოს მთავარ ექიმად; ეწეოდა აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას: მუშებისათვის დააარსა წერა-კითხვის შემსწავლელი საკვირაო სკოლა, სიფხიზლის საზოგადოება და სხვ. იგი შავრაზმელებმა მოკლეს 1907 წელს.

53. Доклады..., 1895 год. Тифлис: с. 60.

54. გაზ. „ივერია“, 1888, №85, გვ. 1.

55. იქვე.

თვით ნიკოლოზ ხუდადოვი ჩაუდგა სათავეში კუკიის ტყე-პარკის გაშენებას, რომელსაც შემდეგ თბილისელებმა „ხუდადოვის ტყე“ უწოდეს. ადგილი ამ ტყე-პარკისათვის შეირჩა იმის გათვალისწინებით, რომ მტკვრის მარცხენა სანაპირო ნაკლებად იყო გამწვანებული; გარდა ამისა, ამ შემალღებული ადგილიდან კოკისპირული წვიმების დროს წყალი ნიაღვრად ჩამოდიოდა ავჭალის ქუჩაზე და საშიშროებას უქმნიდა მოსახლეობას. ქალაქის მესვეური იმედოვნებდნენ, რომ ტყე-პარკი დიდ სამსახურს გაუწევდა თბილისელებს ზაფხულის ცხელ დღეებში და კონკურენტი იქნებოდა თვით მუშთაიდის ბაღის, რომელიც სულ უფრო ვიწროვდებოდა და კარგავდა თავის ფუნქციას. „სულ ოცი დღიური მიწა იქმნა ამისთვის ამორჩეული. ამ დღეებში კიდევ გაატარებენ ხსენებულს ადგილზედ გუთანს და შემდეგ ჩაჰყრიან ნერგებს“, – წერდა „ივერია“.⁵⁶

თავდაპირველად ქალაქს ნერგებით სახაზინო სატყეო მეურნეობა ამარაგებდა, შემდეგ კი ადმინისტრაციამ თავად მოაწყო პატარა სანერგე. ტყე-პარკის მთელ ტერიტორიაზე გაკეთდა პარალელური მწკრივები ნარგავებისათვის, რომელთა შორის დაცილება 10-12 ფუტი იყო. საჭიროებიდან გამომდინარე, ეს დაცილება 3 საუენამდე იზრდებოდა. თითოეული ნერგის გარშემო კეთდებოდა თხრილი და მაღალი მიწაყრილი, რათა წყალი დიდხანს ჰყოფნოდა მცენარეს და ფუტად არ დაღვრილიყო. აქ დაირგო შემდეგი მცენარეები: იუდას ხე, აკაცია, მუხა, იფანი, ნუში, ნეკერჩხალი, კაკალი, წაბლი, ხურმა, ალუბალი, ფიჭვი, ჭერამი, ტუია, იფანი, ნუში, ნეკერჩხალი, კაკალი, წაბლი, ხურმა, ალუბალი, კვიპაროსი. სატყეო სამუშაოებისათვის მუშახელი მოჰყავდათ მეტეხის საპატიმროდან. თითოეულს დღეში 40 კაპიკს უხდიდნენ. 20-25 პატიმარზე გამოყოფილი იყო ერთი ზედამხედველი, რომელსაც აგრეთვე ეძლეოდა ხელფასი – დღეში 50 კაპიკი. კეთილმოეწყო როგორც ტყემდე მისასვლელი, ისე შიდა გზები. ტყის გარშემო დაირგო ბუჩქნარი, რომელიც ღობის ფუნქციას ასრულებდა და ტყეს ქალაქისაგან მიჯნავდა. გამოიყო ორი დარაჯი, რომელთაც ჰყავდათ ძაღლები. ღამით ამ ძაღლებს ტყის ტერიტორიაზე უშვებდნენ. ტყე-პარკს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ მინდვრის თავგები და კურდღლები, რომლებიც ღამღამობით ჩამოდიოდნენ და ანადგურებდნენ მცენარეთა ფესვებსა და ფოთლებს.

თბილისის თვითმმართველობის სატყეო-საპარკო კომისიის 1897 წლის 5 იანვრით დათარიღებული ანგარიშის მიხედვით, ტყე-პარკის ფართობი გაზრდილა და 60 დესეტინამდე მიულწევია, დარგული ყოფილა 350 000 ნერგი, აქედან ნარგავების მხოლოდ 4-6% დაღუპულა. სატყეო-საპარკო კომისიის თავმჯდომარეს ა. როტინოვს განუცხადებია: „თბილისის თვითმმართველობის მიზანი მიღწეულია და დახარჯული კაპიტალი ტყუილად არ არის გადაყრილი“.⁵⁷

56. გაზ. „ივერია“, 1893, №215, გვ. 1-3.

57. Доклады..., 1897 год. Тифлис: с. 64.

1907 წლის 1 თებერვალს ქალაქის სათათბიროს სხდომაზე თბილისის ქალაქის თავის მოვალეობის შემსრულებელმა ვ. ჩერქეზიშვილმა, ისაუბრა რა ნიკოლოზ ხუდადოვის მკვლელობის თაობაზე, ხაზი გაუსვა მის დიდ ღვაწლს ტყე-პარკის გაშენებისა და ქუჩების გამწვანების საქმეში. მან წინადადებით მიმართა ადმინისტრაციას, იგი ამ ტყეში დაეკრძალათ და ტყისთვის მისი სახელი ეწოდებინათ. ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა ეს თხოვნა.⁵⁸

თბილისის საქალაქო გამგეობის 1898 წლის 20 მაისის სხდომაზე მიიღეს დადგენილება ვერაზე, გაუქმებული სასაფლაოს ადგილას, ბაღის გაშენების შესახებ.⁵⁹ ვერის საქალაქო პარკი გაიხსნა მოგვიანებით, 1911 წელს.

1917 წელს თბილისის საერთო ფართობი (ვაკის გარდა) შეადგენდა 2 589 დესეტინას და 1 376 საჟუნს; აქედან ბაღებსა და სკვერებს დათმობილი ჰქონდა 327 დესეტინა და 160 საჟუნი⁶⁰, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელი იყო რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებთან შედარებით.

1917 წლის 30 ივლისს თბილისში პირველად ჩატარდა საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. აქედან იწყება თვისებრივად ახალი ეტაპი თბილისის თვითმმართველობის ისტორიაში, რაც მის პრაქტიკულ საქმიანობაზეც აისახა.

58. Известия..., 1907 год. Заседания 1 февраля 1907 года. Тифлис: с. 19.

59. გაზ. „ივერია“, 1898, №106, გვ. 2.

60. Тифлисский муниципальный календарь, 1917 год. Тифлис: с. 83.

ანჩისხატის-უბნელი .1869. „თბილისში გასეირნება“. დროება (25).

ბატონიშვილი, ვ. თბილისის გეგმა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. თბილისის ისტორიის მუზეუმის გეგმებისა და რუკების კოლექცია. ასლი. ი-140.

ბერიძე, ვ. 1963. „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები“. ტ. II. თბილისი.

ბერიძე, თ. 1977. „...და აღმოცენდა თბილისი“. თბილისი.

ბერიძე, თ. 2012. „თბილისი“. საყმაწვილო ენციკლოპედია. თბილისი.

„განცხადებანი“, 1897. ივერია (94).

„გამოფენის ადგილის ქალაქის ბაღად გადაკეთების საკითხი“. 1890. ივერია (17).

გრიშაშვილი, ი. 1986. „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“. ბათუმი.

„ვერის გაუქმებულ სასაფლაოზე ბაღის გაშენება“. 1898. ივერია. (106).

თბილისის ისტორია, 1990. ტ. I. თბილისი: „მეცნიერება“.

იოსელიანი, პ. 1978. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. თბილისი.

ივერია (139). 1888.

ლაისტი, ა. 1963. „საქართველოს გული“. თბილისი.

მანია, მ. 2006. „ევროპელი არქიტექტორები თბილისში“. თბილისი.

მესხი, ს. 1874. „თფილისის მოქალაქეებს“, დროება (449).

მოქალაქე. 1893. „თბილისის გარშემო ტყის გაშენების შესახებ“. ივერია (215).

პოლიევქტოვი, ნ. და ნათაძე, გ. 1930. „ძველი ტფილისი“. ტფილისი.

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, 1974. თბილისი.

ტურნეფორი, ჟ. 1888. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თბილისი.

„ტფილისი“. 1878. ივერია (13).

„ქალაქის საბჭო“. 1888. ივერია (85).

Бежанишвили, Г. 1961. „Зеленый наряд Тбилиси“. Тбилиси.

Бердзенов, Н. и Бакрадзе, Д. 1870. „Тифлис в историческом и этнографическом отношениях“.

„Взглядъ на Тифлисъ въ пиротологическомъ отношеніи“. 1862. Статья доктора Н. Торопова. Тифлис.

Доклады по деламъ, назначеннымъ къ слушанию городской думы. Тифлис: 1884, 1893, 1895, 1897.

Заседания Тифлисской городской думы 16 октября 1887 года, Известия Тифли-
скаго городского общественного управления.

Заседания ... 11 апреля 1883 года, Известия...

Заседания... 18 октября 1885 года, Известия...

Заседания... 1 октября 1884 года, Известия...

Заседания... 1 октября 1884 года. Известия...

Заседания... 12 апреля 1890 года. Известия...

Заседания... 1 февраля 1907 года, Известия...

Зубов, П. 1834. „Шесть писемъ о Грузіи и Кавказѣб писанныя въ 1833 году Пла-
тономъ Зубовымъ“. Москва.

Иосселиани, П. 1866. „Описание древностей города Тифлиса“. Тифлис.

Кишмишевъ, А. 1909. „Личные воспоминанія“. Тифлис.

Санкт-Петербургъ. Подробная справочная книжка Тифлиса. 1884. Тифлис.

Сведения о деятельности Тифлисской городской думы за 1879 год. 1880. Тифлис.

Систематический сборникъ определений Тифлисской городской думы по
важнейшимъ вопросамъ городского хозяйства за время съ 1875 г. по 1902 годъ.
1902. составитель С. Чрелаевъ. Тифлис.

Справочная книга по городу Тифлису. 1913. Тифлис.

Тифлисский муниципальный календарь. 1917. Тифлис.

Чхетия, Ш. 1942. „Тбилиси в XIX столетіи“. Тбилиси.

